

ახალი ქართული ენის კათედრის შრომები. 4

ფ. ვრთელიშვილი

რთუდი წინადადების
ისტორიისათვის
ქართულში

I

ჰიკოტაქსის საკითხები

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომში ჰიპოტაქსის საკითხებია განხილული.

ვიდრე ნაშრომი იმ სახეს მიიღებდა, როგორც მას ამჟამად აქვს, თემის დამუშავება უფრო კონკრეტული საკითხების კვლევის მიმართულებით იყო განზრახული, მაგრამ უკვე ძველი ქართულის მასალებზე მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ ძნელია (მიზანშეუწონელია) ცალკეული საკითხების შესწავლა ამ სფეროში. სანამ არა გვაქვს მეტ-ნაკლებად სრული აღწერილობითი სურათი ქართული ჰიპოტაქსისა და, რაც მთავარია, ნათელი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა გვეწარმოებინა კვლევა-ძიება ქვეწყობილი წინადადების შესასწავლად.

გაჩნდა ორი ძირითადი მიზანდასახულება, რამაც ნაშრომი ორ ნაწილად გაყო.

პირველ ნაწილში აღწერილია მიმართებითი ნაცვალსახელების, მიმართებითი ზმნიზედებისა და კავშირების შემცველ წინადადებათა ქვეწყობა ქართულში. ცალკე თავშია განხილული ე. წ. „ცნობიერება წრის“ ზმნებიანი წინადადებები, რომელთა კონსტრუქცია სპეციფიკურია. ფაქტობრივი მასალა სალიტერატურო ენის ძეგლების დამუშავების შედეგად არის მოპოვებული და მოიცავს პერიოდს მეხუთე საუკუნიდან დღემდე, თუმცა საჭიროა აღინიშნოს, რომ მასალა ერთნაირი სისრულით არ არის შესწავლილი. ძველი ქართულის გამოცემული ძეგლები შედარებით მცირე რაოდენობით მოგვეპოვება და ამიტომ მასალა უფრო ადვილი მოსავლელი აღმოჩნდა. საშუალ ქართულში, როგორც ცნობილია, სალიტერატურო ენის დიდი სიჭრელე შეიმჩნევა; ამ დროისათვის ქართულ სალიტერატურო ენას საერო ბასიათის ძეგლები „მიეძალა“ და, სალიტერატურო ენის არსის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა, ამიტომ ვცდილობდით სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოებები შეგვესწავლა, ამ პერიოდის სასულიერო ძეგლებს კი თავს ვარიდებდით. თანამედროვე ქართულის ჰიპოტაქსისათვის მასალა დამუშავებულია მხატვრული, პუბლიცისტური თუ სამეცნიერო ლიტერატურის ძეგლების შეზღუდული რაოდენობის მიხედვით. ამის გამო ქვე-

წყობილი წინადადების აღწერა ერთგვარად ზოგადი ხასიათისაა და მოიცავს ძირითადი მიმართებითი ნაცვალსახელების, ზმნიზედებისა თუ კავშირების შემცველ წინადადებათა ქვეწყობას. შემდგომში, როდესაც ვინმე დაისახავს მიზნად იკვლიოს წინადადებათა ტიპები ცალკეულად, მასალისა თუ საკითხების განხილვა უფრო სრულყოფილად მაშინ იქნება შესაძლებელი.

ქართული ჰიპოტაქსის საკითხებთან დაკავშირებით თითქოს მოსაგვარებელია ტერმინოლოგიის საკითხი. „ქვეწყობა“ მოუხერხებელი ტერმინია. რას ნიშნავს „ქვე-წყობა“ თავისთავად? რატომ უნდა ეწოდებოდეს ამ ტიპის წინადადებას საერთოდ „ქვეწყობილი“? „რთული დაქვემდებარებული წინადადება“ შეიძლება უკეთესია „ქვეწყობილზე“, მაგრამ ტერმინის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს დაქვემდებარებული იყოს მთელი ქვეწყობილი წინადადება. სიზუსტით ამას აჯობებდა „რთული დაქვემდებარებული წინადადებიანი წინადადება“ (რთული დაქვემდებარებულიანი წინადადება), მაგრამ აქ ტერმინია თვითონ რთული, ვრცელი. უხერხულეა ახლავს აგრეთვე ტერმინს „დამოკიდებული წინადადება“, რადგან თანწყობილი წინადადების ერთ-ერთი კომპონენტიც მეორე წინადადებაზე ზოგჯერ არა ნაკლებ არის დამოკიდებული და საერთოდ, აზრის მიხედვით, წინადადებები ერთმანეთზე აგრეთვე „დამოკიდებული“ არიან. საჭიროა აღინიშნოს კი, რომ ღროთა ვითარებაში, როცა ტერმინებად გამოყენებულ სიტყვებს მათში ჩაქსოვილი შინაარსი თანდათან ეცლებათ, ტერმინებს ცნების შინაარსი ავსებს ხოლმე და უხერხულეა იმდენად საგრძნობი აღარ არის. ამის გამო ტერმინების საკითხს ნაშრომში ახლა აღარ გამოვლენებოვართ.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია სინტაქსის ზოგად-თეორიული საკითხები.

ამ ნაწილში მოექცა თავი „ჰიპოტაქსის გენეზისის საკითხი. სათვის“. აღნიშნულ საკითხზე შეჩერება მოგვიხდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი მოსაზრების სახით დაისვა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

ქვეწყობილი წინადადების შესწავლასთან არა ერთი სიძნელეა დაკავშირებული. საჭიროა პირველ რიგში თვალსაზრისი, სინტაქსური თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს კვლევა-ძიება, თვალსაზრისები კი საერთოდ სინტაქსის ობიექტის მიმართ დღეისათვის, როგორც ცნობილია, განსხვავებულია; საჭიროა თვალსაზრისთა შორის შედარებით მიზანშეწონილის გაზიარება, დაზუსტება და კონკრეტულ ენობრივ მასალაზე მუშაობისას შესაბამისი პრინციპების დაცვა. თვალსაზრისის საკითხებს ეხება

თავი — „სინტაქსის საგნის საკითხისათვის რთული ქვეწყობილი წინადადების ფარგლებში“, სადაც მოცემულია ცდა — გადაიხინჯოს ამჟამად დამკვიდრებული შეხედულება სინტაქსის ობიექტის მიმართ და გაიკრევეს, რა შეიძლება იყოს სინტაქსური ქვეწყობილ წინადადებაში მთლიანად, რომ კვლევამ, რომელიც ამ სფეროში სინტაქსურის ძიებას დაისახავს მიზნად, შედეგებიც სინტაქსური მიიღოს. ამ ნაწილში, როგორც წესია, უნდა მიმოგვეხილა აღძრულ საკითხებთან დაკავშირებული ლიტერატურა, მაგრამ ამჯერად ჩვენი მსჯელობა მასალის შესწავლის შედეგად გამომდინარე დასკვნებისა და დამკვიდრებული შეხედულების ურთიერთშედარებაზე ავაგეთ.

შესაძლებელია მიზანშეწონილი იყო ამ თავის (სინტაქსის საგნის საკითხისათვის რთული ქვეწყობილი წინადადების ფარგლებში) ნაშრომის დასაწყისში გადმოტანა (შესავლის სახით), მაგრამ ეს მოუხერხებელი აღმოჩნდა, რადგან თვალსაზრისი ჯერ კიდევ ძველი ქართულის ჰიპოტაქსზე დაკვირვების შედეგად შემუშავდა და იგი თვით საპირობებს შეესებას; მისი უკეთესი შემავსებელი და დამაზუსტებელი კი კონკრეტულ ენობრივ მასალაში კვლევა-ძიების შედეგები იქნება. მეორეც არის — და, შესავლის სახით ამ თავის წამძღვარება გულისხმობდა იმას, რომ თვალსაზრისის შესაბამისი პრინციპების მიხედვით უნდა ყოფილიყო ნაკვლევი ნაშრომის I ნაწილში მოთავსებული მთელი მასალა. ამის გაკეთება ერთი ხელის მოსმით შეუძლებელია; ქვეწყობილი წინადადების ფარგლებში სიტყვათა შეკავშირების წესების გამოვლინებას ხანგრძლივი დრო და ინტენსიური მუშაობა დასჭირდება. წინამდებარე ნაშრომში კი ყურადღება გამახვილებულია ენობრივი ერთეულების მორფოლოგიაზედაც, სემანტიკაზედაც, მათ ისტორია-ეტიმოლოგიაზედაც (სადაც ეს შესაძლებელია), სიტყვათა შეხამებაზედაც, მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ურთიერთმიმართებაზედაც. საკლასიფიკაციო ერთეულებზედაც და ა. შ., ერთი სიტყვით, ყურადღება მახვილდება ისეთ საკითხებზე, რომელთაგან თითოეული საჭიროა ქართული ქვეწყობილი წინადადების შესასწავლად საერთოდ და არა მხოლოდ რთული ქვეწყობილი წინადადების სინტაქსის შესასწავლად.

P. S.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი ამ ათიოდე წლის წინათ უკვე დამთავრებული იყო. მომდევნო წელს შეივსო ის საშუალი და ახალი ქართულის მონაცემებით. ნაშრომი იბეჭდება შემოკლებით.

ტიქნიკური მიზეზების გამო უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ სპეციალურ ლიტერატურას ვერ ვიმოწმებთ.

ქვეყნობილი წინადადება ქართულში

თ ა შ ი პ ი რ ვ ე ლ ი

მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველ
წინადადებათა ქვეყნობა

მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველ რთულ ქვეყნობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადებით (დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით) ჩვეულებრივ ისაზღვრება, ზუსტდება მისამართი სიტყვის მნიშვნელობა ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით. მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის ასეთი კავშირი აზრობრივია. წინადადებათა ამ აზრობრივი კავშირის ფონზე გამოიყოფა სიტყვათა შორის სპეციფიკური სინტაქსური კავშირი, რომელიც, წინადადებათა სხვა ტიპებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ქვეყნობილი წინადადებისათვის არის დამახასიათებელი.

დამოკიდებული წინადადება, რომელიც მიმართებით ნაცვალსახელს შეიცავს, მთავარ წინადადებასთან კავშირს ამყარებს მიმართებითი ნაცვალსახელის საშუალებით. ეს ნაცვალსახელი ჩვეულებრივ უკავშირდება არა საერთოდ მთავარ წინადადებას, არამედ მის რომელიმე წევრს — მისამართ სიტყვას¹. ამ მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ურთიერთობა გვაძლევს სიტყვათა შორის სინტაქსური დამოკიდებულების სახეობას ქვეყნობილი წინადადების ფარგლებში.

ქვემოთ განხილულია ყველა ძირითადი მიმართებითი ნაცვალსახელის შემცველ წინადადებათა ქვეყნობა როგორც მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობის თვალსაზრისით, ისე სხვა ნიშნების მიხედვით, რომელთა შესწავლის მიზანშეწონილობა შეპირობებულია მთლიანად ქვეყნობილი წინადადების შესწავლის საჭიროებით.

¹ აქაც და ქვემოთაც მთავარი წინადადება ჩვენთვის მისამართსიტყვიანი წინადადებაა (წინადადება აზრობრივად შეიძლება მთავარი არ იყოს, მაგრამ მასში მისამართი სიტყვა მოიპოვებოდეს).

თარგმნილი ტერმინი „მისამართი სიტყვა“ კ. დონდუას ეკუთვნის (მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940 წ. სხვა ტერმინებს ეს ვამჯობინეთ).

ა) რომელი

რომელ¹—მიმართებითი ნაცვალსახელს ძველ ქართულში მხოლო-
ბითი რიცხვის ყველა ბრუნვის ფორმა აქვს (გარდა წოდებითისა).

წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი: მოვიდა იაკობ ლუზად, რომელ არს ქუეყა-
ნასა მას ქანაანისასა, დაბ. 35,6

ხოლო რომელ-იგი მაქუს, გცეთ შენ, მცქლ. 3,6

ვითარ ეგების ესე, რომელმცა ქართველნი არა მართლმადიდე-
ბელნი იყვნეს, მთწმ. 313,3

მისდევდა, რომელცა მიეყრდნა მკერდსა და ჰკითხა, ი. 21,20 C
და რომელცა-ესე ქმნა, ითქუმოდის საქსენებელად მაგისა,
მრკ. 14,9

აღდგა და შეოჯდგა მას, რ^ალცა-იგი შემდგომად ამისსა მახა-
რებელ იქმნა, ბოლნ. 10,2

მისსა გარეშე არარაჲ იქმნა, რომელ-რაჲ იქმნა, ი. 1,3 C

მოკამა ყოველი მწუანვილი ქუეყანისაჲ და ნაყოფი ხეთაჲ,
რომელა-იგი დაშთომილ იყო სეტყუსაგან, გამოსლვ. 10,15

სახელობითი: მოვალს კაცი, რომელი პირველ ჩემსა იყო,
ი. 1,30

და შენ რაჲ სთქუა, რომელი-ეგე უქმებით სცხონდები, ექუსთ.
87,5

რომელი-ესე მათითა წყალობითა და შეწევნითა აღვაშენე ლავ-
რაჲ, მათთავე ჯელთა შევჰვედრებ, ცხრ. 40,1

რომელი-იგი მან მოაელინა, ესე თქუენ არა გრწამს, ი. 5,38

და რომელიმცა რჩული უწმიდღე იყო, იგიმცა შევიყუარებ,
ეესტ. 167,8

მონაგები მათი დაუტრევს ზენონს და დასა მისსა, რომელიცა
იყო სახლსა შინა მის თანა, ხანძთ. იბ, 9

საკრველად განგებულებით შეიერთა ღმრთებამან, რომელი-
ცა-იგი ორითავე მით სახელითა.. იქადაგების, ჰაბო. 59,38

ღმერთი დაუსრულებელ არს, და რომელი-რაჲ მისგან მისაწლო-
მელ არს, დაუსრულებელ არს, მრგლთ. 296,2

მოთხრობითი: რომელმან მამული რჩული არა აღიაროს,
იგი საპყრობილესა შინა მოკუედინ, ეესტ. 164,9

რაჲ-შე ძალ-მიც შენდა ყოფად, რომელმან-ეგე იცნი გონებანი
კაცთანი, იობ. 7,20

¹ მაგალითებს აქაც და ქვემოთაც ასეთი თანმიმდევრობით ვიძღვეით: ნაც-
ვალსახელი ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით, ნაწილაკდართული ფორმა, თანდებუ-
ლიანი ფორმა, თანდებულიან-ნაწილაკიანი ფორმა.

რომელმან-იგი განმკურნა, მან მრქუა მე... ი. 5,11
ანუ ვინ-მე არს, რწმცა გამოთქუა ესე, იპლტ. 1,110
და არავინ არს, რომელმანცა სახლად შეგკუყვანნა და დამად-
გინნა, მსაჯ. 19,18

იხილა ფარისეველმან მან, რომელმანცა-იგი ჰხადა მას, ლ. 7,39

მიცემითი: მე ვარ იჯ, რლსა შენ მდევნი, არიმათ. 61,2
ბრძანე და მე დაეამკუა აპოლონი, რლსა-ვეგე ლთად ჰკონებთ
თქუენ, კიმ. I, 135,37

მოვიდა, რომელსა-იგი ორი ქანქარი მიელო, მ. 25,22

არა ხარ კაცი ჩემებრი, რომელსამცა სიტყუა-უგე, იობ. 9,32
წარიყვანა იგი გზასა მას, რომელსაცა წარქელიდა მამამ ეპი-
ფანე, ხანძთ. ნა, 7

მაუწყე მე, ორო გზად, რლსაც ვიდოდი, კიმ. I, 125,15

ალაშენონ მცირს სახლი, რლსა შინა დადგან კოკები, საბა. 6,34
ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა
ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის, ხანძთ. მთ, 5

და გარდაუტევეს ცხედარი იგი, რომელსა ზედა იღვა
განრლუეული იგი, ძრკ. 2,4

ნათესაობითი: ესე იესუ აღადგინა ღმერთმან, რომლისა
ვართ ჩუენ ყოველნი მოწამე, მკქლ. 2,32

ანუ არა ესრეთ არსა ეამი და წელიწადი, რომლისა-იგი თანა-
წარსრული უჩინო იქმნა, ექუსთ. 6,27

მოკვქოკვესვე იოჯფლა მან ეშმაკი, რისაცა მორჩილ იყო,
კიმ. 180,1

ამას დღესა შინა შეგიწყნარო შენ ზეცას, რომლ-ხაგან გარდა-
მოგვედ ქუეყანად, კიმ. II, 84,31

არა მომიქსოიეს შენთს სამოსელი შეთხზოვლი ფოკრცელთა-
გან, რისაგანცა მშობელთა შენთა დაიფარეს შიშოვლობად, კიმ.
I, 180,1

ესე არს, რომლისათჳს წერილ არს, მ. 11,10

ესე არს, რომლისათჳს-იგი თქუა ესაია წინაწარმეტყუელმან,
მ. 3,3

განკაცებასა ოლისასა ოკუნებით ქწნილად ჰგმობდეს, რლი-
ხათჳსცა კრებად იგი ქალკიდონისად იქმნა, კიმ. I, 61,20

რლისათჳსცა-იგი გწადლოდა, მოგეცა შენ, კიმ. I, 137,26

საკვრელი შეილი ვშევე, რისა გამო ვცან კტი ღმერთი, კიმ.
I, 158,11

გულპყრობილ იქმნნეს ფიცებისაგან მამისა გრიგოლისა, რომ-
ლისადა აღეთქუა, ხანძთ. ლე, 4

მო-ვინმე-ეგებებოდა კაცი ქალაქისაგან, რომლისა თანა იყვნეს ეშმაკნი, ლ. 8,27

იხილეს ეშმაკეული იგი მჯდომარე და შემოსილი და გონიერი, რომლისა თანა-იგი ყოფილ იყო ლეგეონი, მრკ. 5,15

ეძიებდით სიწმიდესა და მშუდობასა, რლისა თანა ვერ ვერვინ იხილოს ოლი, კიმ. I, 339,23

მთავრისა ვარ მე დიდისა, რომლისა სახელი გიორგი, რომლისა მიერ მოვივლინე მე, ზარზმ. 155,2

და მერმე წარვიდა... თეოფანე ხუცისა, რომლისა მიმართ დიდი სიყუარული აქუნდა მამასა ეფთუმეს, ცხრ. 111,2

ზოგადსა მას ყოველთა აღსასრულსა მიიწიოს, რომლისა მიმართმცა მიწვევულ ვართ ჩუენ, ექუსთ. 62,33

და ესოდენ არნ სიმძაფრე დინებისა მისისაჲ, რაოდენცა არნ სიმძიმე მისი და სიღრმე აღგილისა მის და შთაღმართისაჲ, რომლისა მიმართცა შთადინ იგი, ექუსთ. 42,16

და ილიდები სერაბინთა მიერ, რომლისა წინაშე დგანან ათასნი ათასთანი, არქ. მგ, 3 — 4

მოქმედებითი: უჩუენა ფერჯი იგი, რომლისთა კელობდა, კიმ. II, 178,3

არა იპოვის მას შინა კეცი, რომლისთამცა ცეცხლი აღილო, ესაია. 30,14

ღმრთეებისა სოჯლი მოჰმადლე მორწმუნეთა შენტა, რომლისთაცა გიცნეს შენ, სსლ. სკბ, 65

ვითარებითი: იწყო იესუ ყოფად და სწავლად ვიდრე დღედ. რომლადმდე ამცნებდა მოციქულთა სულითა წმიდითა, მცქლ. 1,2 გ (რომელადმდე: ა, ბ)

რომელ მიმართებით ნაცვალსახელს მრავლობით რიცხვში არა აქვს წრფელობითი, მოქმედებითი, ვითარებითი (და წოდებითი) ბოუნვის ფორმები.

სახელობითი: ხოლო რომელნი სთესვიდეს, საღმობაჲ მოიმკონ მათ, იობ. 4,8

რომელნი-ეგე შემომიდეგით მე..., დასხდეთ თქუენცა ათორბეტთა საყდართა, მ. 19,28

ხოლო ჩუენ, რომელნი-ესე საესე ვართ ყოველთა ცოდვითა, არა კმა არს ჩუენდა განსუენებაჲ ტრაპეზისაჲ, ცხრ. 80,2

და ეკითხვიდეს ოჯრთი-ერთას, რნი-იგი სხდეს ტაძარსა მას. შინა, ბოლნ. 78,3

და ძმანი იგი შეჭვედრნა ღმერთსა, რომელნიცა მასვე აღგილსა. აღესრულნეს, კიმ. II, 164,24

რადენსა პატივსა მიგანიჭებს თქნ ონი წთა ამთ ღღეთათს ორმოცთა მარხვისათა, რწიცა-ესე განეწესნეს ჩნ ზა, ბოლნ. I, 11. აწ სასწაულნი მათნი ეამთა სიმრავლისაგან მიეცნეს სიღრმესა დავიწყებისასა..., რომელნიცა-იგი ბრწყინვიდეს, ვითარცა მთიებნი, ხანძთ. ბ, 14.

უკუეთუ განაშორო მისგან სიშავე და სიგრილე და სიმძიმე... გინათუ სხუანი იგი, რომელნიცა-რაჲ მის შორის იხილევებიან, არ-ლარაჲ დაშთეს წინა-მღებარედ, ექუსთ. 10,25.

მოთხრობითი: ყოველთა რომელთა აღიღონ მახული, მახულითაცა წარწყმდენ, მ. 26,52

დაუშთა მათ, რომელთა-იგი კამეს, ი. 6,13

მას ეამსა, რლთაცა არა იცოდეს, მიუწყებულ იქმნეს ქს. მიერ, იპლტ. 15,6

მიცემითი: რომელთა ვაყუარობდ, ჩემ ზედა აღდგომილ არიან, იობ. 19,19

გვედრები თქნ, ლიკინიე და პანსოფიე, რლთა-ეგე არარაჲ გიქმნიეს ბოროტი, კიმ. I, 56,11

და რლთა-იგი მწოუხარებით გოვეძინა, განვიფრთხევთ სიხარული, კიმ. I, 11,5

გამოირჩინა ათორმეტნი მათგანნი, რომელთაცა მოციქულ უწოდა, ლ. 6,13

ვპონით ჩნ შემკულნი კერპნი ეგე ქვისანი, რლთა ზედა არა იქსენებოდა სახელი ქსსი, კიმ. I, 191,4

მოვლენან ღღენი, რომელთა შინა თქუან, ლ. 23,29

მამათა შორის ფრიად იყენეს..., რომელთა შორის¹ ეამთა ჩუენთა ბრწყინვიდა ვევესა მას მიძნადოროდსასა დიდი იაკობ, ხანძთ. ნგ, 4

ნათესაობითი: თარგმნა წიგნნი საღმრთონი, რომელთა აღრიცხუვაჲ კინი-ლა შეუძლებელ არს, ცხრ. 48,4

ყოველივე მოსწრაფებაჲ აჩუენა დამტკიცებისა ჩუენისათს, სხუათა რავდენთამე ქრისტეს მოყუარეთა ძმათა თანა, რომელთა-იგი საუკუნომცა არს საქსენებელი, ცხრ. 118,14

¹ მიმართებითი ნაცვალსახელი აქ შეიძლება ნათესაობითშიც იყოს, რადგან შორის თანდებული „მართვის მხრით ყველა სახელს მიცემით ბრუნვაში მოითხოვდა, III პ. ნაცვალსახელს კი — ნათესაობითში“, ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 238.

და უკუეთუ ავასხებდეთ მათ, რომელთაგან ესავთ კუალად მოღებასა, რომელი მადლი არს თქუენდა, ლ. 6,34

არა ყოველთა დაიტიონ სიტყუაჲ ეგე, ად რომელთადა მიცემულ არს, მ. 19,11

ისმინედ ქრისტეანეთა, რომელთადა-იგი ბრძანებულ არს, ექუსთ. 95,22

მომცენ მე ცოლნი ჩემნი, რომელთათჳს გმონებდ 'შენ, დაბ. 30,26 ესე არს ოჯმანკონი და ოჯბიწონი და წრფელნი წდ'ანი და მოციქოვლნი მისნი, რ'ლთათჳსცა იტყუჳ, ბოლნ. 11,30

ბ' ჩ'ნ ოჯმჯობეს ვართ მათსა, საყოზარელნო, რ'ლთათჳსცა-იგი დასთხია ოჯბიწოჲ სისხლი თჳსი ჯ'რსა ზ'ა, ბოლნ. 22,6

ევაჲსგან შობილ ხართ თქუენ ყ'ლნი, რ'ლთა გამოცა აღივსნეს ყ'ლნი დაბადებულნი. კიმ. I, 143,16

მრავალნი გლახაკნი ილუაწნა და მონაზონთა მათ, რომელთა თანა იყო, კეთილად ნუგეშინის-სცა, ცხრ. 112,3

იგინი თქუნა ღმრთად, რომელთა მიმართ იყო სიტყუაჲ ღმრთისაჲ, ი. 10,35

შედარებით იშვიათად გვხვდება რომელ ნაცვალსახელის ორმაგი ბრუნვის შემთხვევები:

ნ ა ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი :

ნეტარ არს იგი მონაჲ, რომლისაჲ მოვიდეს უფალი, ლ. 12,43 რომლისაჲცა ჰბრძანო, უფალმან გამოირჩიენ რჩეულად მოწესელ, ზანძთ. კვ, 17

ნ ა ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ა რ ი მ ი ც ე მ ი თ ი :

ესე არს, რ'ლისასა იტყოდე, ვ'დ ამას დაუმყარებიეს ყ'ი ქუეყანაჲ, კიმ. I, 134,7

ვიხილოთ საკვრველი იგი ხატი, რ'ისასა-ეგე იტყუ, კიმ. I, 157,5

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი ს ნ ა ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი :

უშობიან ნაშობნი, რომელთაჲ არა არს რიცხუ, კიმ. II, 83,30 ისმინეთ სიტყოჯათა ჩემთა, რ'ლთაჲ-ესე აწ მეგოჯლების მითხრობად თქუენდა, ბოლნ. 75,11

და უთხრეს მას გალილეველთა მათოჯს, რომელთაჲ-იგი პილატე სისხლი შეჰრია, ლ. 13,1

რ'ლ'თაჲცა საქმ' ერთი არს, ბოჯნებაჲცა ერთ არს, კიმ. I, 79,16

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი ს ნ ა ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ა რ ი მ ი ც ე მ ი თ ი :

გაუწყო ძალი და საქმე ღმერთთა თქ'ნთაჲ, რ'ლთასა-ეგე მიბრძანებ თაყ'ნისცემასა, კიმ. I, 49,32

არა მოსრულ არიან აქა ეგვიპტეში მონაზონნი, რომელთასაცა ბრძანებს სიწმიდმ შენი, ხანძთ. კგ, 25

ნანათესაობითარ სახელობითში გვხვდება ასეთი ფორმებიც:

ხოლო სასყიდლით დადგინებული იგი, რომელი არა არს მწყემს, რომლისანი არა თჳსნი არიედ ცხოვარნი, იხილის რაჲ მგელი მომავალი, დაუტევის ცხოვარნი, ი. 10,12

ესე არიან სახელები მოწამეთა, რლ-თანი მოიხოჯნეს ძოჯალნი, კიმ. I, 4,33

მეიახლა მათ, რლ-თანი-იგი წარჯილ იყვნეს თითნი მათნი, კიმ. I, 146,29

დამოკიდებული წინადადება, რომელიც აღნიშნულ მიმართებით ნაცვალსახელს შეიცავს, მთავარ წინადადებასთან კავშირს მიმართებითი ნაცვალსახელის საშუალებით ახორციელებს. ეს ნაცვალსახელი ჩვეულებრივ უკავშირდება არა საერთოდ მთავარ წინადადებას, არამედ მის რომელიმე წევრს — მისამართ სიტყვას.

მისამართი სიტყვა მთავარი წინადადების ის წევრია, რომელსაც დამოკიდებული წინადადების წევრი — მიმართებითი ნაცვალსახელი უკავშირდება და რომელიც დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით ისაზღვრება და ზუსტდება.

რომელ მიმართებითი ნაცვალსახელის მისამართ სიტყვებად ძველ ქართულში გვხვდება:

1) არსებითი სახელი (საკუთარი და საზოგადო):

იგი არს ელია, რომელი მოსლვად არს, მ. 11,14

სახელი მისი იაკობ, რ-ნცა შენდგომად მისა დაიმკჯდრა მწყემსობაჲ, საბა. 7,39.

მეფენი მეცნიერ იყვნეს აბუჰარბისა, რომელი იყო სიმამრი მამისა იოვანესი, ცხრ. 10,3

დაეშენა ქუეყანასა, რომელსა ჰრქვან ნაზარეთ, მ. 2,23

იხილა კაცი, რომელი ჯდა საზურესა ზედა, მ. 9,9

მომავალ არს ჟამი, რლსა გდევნიდენ, კიმ. I, 107,13

არარაჲ იყო სათნოებაჲ, რომელიმცა არა აქუნდა მათ სრულებით, ცხრ. 104,13

მისამართი სიტყვებია: ელია ... იაკობ ... აბუჰარბისა ... ქუეყანასა...კაცი...ჟამი...სათნოებაჲ.

მისამართ სიტყვებს შეიძლება მოსდევდეს მსაზღვრელი ნაწილაკები, ნაცვალსახელები, ზედსართავეები, არსებითი სახელები:

აჰა ლელჯ იგი, რომელი ჰსწყევე, განჴმა, მრკ. 11,21

მოწყუდნეს გმირნი იგი, რომელნი იყვნეს ასტაროთს, დაბ. 14,5

იხილა ახისთავმან მან, რომელი წინაშე დგა მისა, მრკ. 15,39

არა გრწმენეს სიტყუანი ჩემნი, რომელნი აღესრულნენ თამსა მათსა, ლ. 1,20

მამამ იგი ში რი ჰხედავს დაფაროვლთა, მოგაგოს შენ ცხადად, ბოლნ. 18,9

მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა ვაჰარსა, რომელი ეძიებნ კეთილსა მარგალიტსა, მ. 13,45

ხოლო მან ასწავა მათ სიტყუაჲ ცხოვრებისაჲ, რლსა შინა იყო ჯსნაჲ მათი, კიმ. I, 309,31

შედარებით იშვიათად მსაზღვრელები მისამართი სიტყვების წინ არიან მოქცეული:

ნეტარი იყოს იგი კაცი, რი მოკუდეს ესევრითა სიკუდილითა, ბოლნ. 41,3

დაიცვენ ყოველნი იგი ქალწულნი, რომელნი რწმუნებულ იყვნეს ჩემდა, კიმ. II, 81,19.

სანნი იგი კაცნი, რლნი ავლინებდეს ეტლსა მას, იყვნეს გარემოჲს მომავლისა მის, კიმ. I, 282,19

მისამართი სიტყვებია: ლელჲ, გმირნი, ასისთავმან, სიტყუანი, მამაჲ, კაცსა, სიტყუაჲ, კაცი, ქალწულნი, კაცნი...

რა დამოკიდებულებაშია მიმართებითი ნაცვალსახელი მისამართი სიტყვების მსაზღვრელებთან? პირდაპირი დამოკიდებულება ამათ შორის არ არსებობს. ის, რაც მისამართ სიტყვებს განსაზღვრებებად ერთვის, მისამართი სიტყვების კუთვნილებაა. მიმართებითი ნაცვალსახელი უშუალოდ მისამართ სიტყვას — არსებით სახელს უკავშირდება. ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც მისამართ სიტყვებად გვაქვს:

2) საწყისი:

ნათლის-ღებამ, რომელი მე ნათელ-ვილო, ნათელ-ილოთ, მ. 20,23

ქემზარიტ არს წამებამ მისი, რომელსა წანებს ჩემოჯს, ი. 5,32
სთნდა ჰეროდეს როკვამ იგი მისი, რომლისათჲს ფიცით აღუთქუა მას, მ. 14,6

დამტკიცებელ გიყოფიეს სიტყუაჲ ღმრთისაჲ მოძღურებითა მავით თქუენითა, რომელსა ასწავებთ, მრკ. 7,13.

3) ნაცვალსახელი:

რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მან მე შემეწყნაროს, მ. 10,40
რომელი გამოვიდეს შენგან, მან დაგიმკვდროს შენ, დაბ. 15,4
რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს, ლ. 22,47

რომელი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა, და რომელი განჰქსნეთ ქუეყანასა ზედა, ჯსნილ იყოს იგი ცათა შინა, მ. 18,18

როდის შეიძლება მისამართ სიტყვად რომელ ნაცვალსახელს პირის ნაცვალსახელი ჰქონდეს (და არა სრულმნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეული: არსებითი სახელი, საწყისი)? როდესაც მისამართი სიტყვა მთავარი წინადადების შემასმენლის რომელიმე პირია (ქვემდებარეა, დამატებაა) და, მაშასადამე, როდესაც იგი სხვა სახელის მსაზღვრელი არ არის.

ცნობილია, რომ შემასმენელს (ზმნას) პირთა გამოხატვა შეუძლია ნაცვალსახელების (ან სახელების) ჩვენების გარეშეც. ამიტომ არის, რომ ასეთ შემთხვევებში მისამართი სიტყვა მთავარ წინადადებაში ხშირად გამოტოვებულია ხოლმე:

და რომელი ერდოსა ზედა იყოს, ნუ გარდამოვალნ [იგი], მ. 24,17

შევიწყალო [იგი], რომელი შევიწყალო, და შევიწყნარო [იგი], რომელი შევიწყნარო, გამოსლვ. 33,19

ამიტომეა, რომ მთავარი წინადადების გამოტოვებული, მაგრამ ნაგულისხმევი პირი მისამართი სიტყვის როლს დაუბრკოლებლად ასრულებს.

გამონაკლისს შეადგენს შემთხვევები, როდესაც მისამართ სიტყვებად შეიძლება თავი იჩინოს მიმღეობამ ან განუსაზღვრელობითმა თუ განსაზღვრებითმა ნაცვალსახელებმა:

და მოვიდეს მისა და მოაქუნდა განრღუეული, რომელი ზე აქუნდა ოთხთა, მრკ. 2,3

მაგრამ აქ ვნებითი გეარის მიმღეობა (განრღუეული) არსებითის მაგვირობას ეწევა.

გამო-ვინ-იძიე შემძლებელი სხუაჲ, რომელი მიავლინო, გამოსლვ. 4,13

და ქმენ ყოველი, რომელი გიბრძანე, გამოსლვ. 31,6

ამ მაგალითებში ვინ = ვინმე-ს, ყოველი = ყველაფერ-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ თარგმნილ ძეგლებში მისამართი სიტყვის დატოვება-გამოტოვება ჩვეულებრივ სათარგმნი მასალის მიხედვით ხდება.

მისამართი სიტყვა თარგმნილია:

რომელმან დაითმინოს, იგი სრულიად ცხონდეს, მ. 10,22

ὁ δὲ πῶμα·νὰς εἰς τελος, οὐ τος σωθήσεται

ი რ ჯამერისაჲქ ἱ აიყაო ზაა ἱსეფქ

მისამართი სიტყვა გამოტოვებულია:

რომელი გეგულების საქმედ, ...ყავ აღრე, ი. 13,27

Ὁ πῶμα, πῶμασον τὰχῖον

ი რ ἳზნჯ აანხლიჲ ხა არა ἳაღἳაღაჲქ

რა თქმა უნდა, მისამართი სიტყვის გამოტოვება მხოლოდ თარგმნილი ძეგლების ტექსტებისათვის არ არის დამახასიათებელი. ქართულ ორიგინალურ ტექსტებში ეს ჩვეულებრივია და ქართულისავე ნიადაგზე იხსნება.

მისამართი სიტყვა შეიძლება უშუალოდ უსწრებდეს წინ მიმართებით ნაცვალსახელს ან დაცილებული იყოს მისგან მთავარი (ან დამოკიდებული) წინადადების სხვა რომელიმე წევრით:

იხილა მუნ კაცი, რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინს, დაბ. 27,33

ძალ-გიცა სახუმელი შესემად, რომელი მე შეესუა, მრკ. 10,38

რით არის შეპირობებული მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვა ქვეწყობილ წინადადებაში?

I. მიმართებით ნაცვალსახელს ბრუნვაში მართავს დამოკიდებული წინადადების შემასმენელი: რომელი ვიხილეთ, ეწამებთ, ი. 3,11

რომელმან მამული რჩული არა აღიაროს, იგი საპყრობილესა შინა მოკუედინ, ევსტ. 164,9

მე ვარ იესუ, რომელსა შენ მღევნი, არიმათ. 61,2

ამ მაგალითების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვას დამოკიდებული წინადადების შემასმენელი განაგებს. მიმართებითი ნაცვალსახელი შეგვხვდება იმ ბრუნვაში, რომელშიც იქნებოდა ქვემდებარედ ან დამატებად გამოყენებული სახელი მარტივი წინადადების ფარგლებში: იგი ვიხილეთ... მან არა აღიაროს... მე მღევნი...

ცხადია, ასეთივეა ვითარება, როდესაც მიმართებითი ნაცვალსახელი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი:

ეძიებს ღნი მათ, რნი არიან გლითა წდანი, ბოლნ. 18,13

რომელთა აღიღონ მახული, მახულითაცა წარწყმდენ, მ. 26,52

გამოირჩინა ათორმეტნი მათგანნი, რომელთაცა მოციქულ უწოლდა, ლ. 6,13

რომ დებულება — მიმართებითი ნაცვალსახელი ბრუნვაში დამოკიდებული წინადადების შემასმენლისაგან იმართვისო — მკვიდრია, ეს შემდეგიდანაც ჩანს:

როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავარს ყოფს, მის შუაშია, მისამართი სიტყვა უშუალო მეზობლობაში აღმოჩნდება მიმართებით ნაცვალსახელთან, მაგრამ მიმართებითი ნაცვალსახელი მისამართი სიტყვის ბრუნვას ანგარიშს არ უწევს. მისამართი სიტყვა, მიუხედავად იმისა, რომ თავისი შემასმენლისაგან მთელი წინადადებით არის გათიშული, ბრუნვაში მაინც მთავარი წინადა-

დების შემასმენლისაგან იმართვის, მიმართებითი ნაცვალსახელისა კი — თავისი (დამოკიდებული წინადადების) შემასმენლისაგან:

ქალი ვინმე, რ'ლსა შეაშთობდა ეშმაკი უდაბნოხსაჲ, ფ'დ გუემულ იყო, კიმ. I, 254,1

მამაჲ ჩემი, რომელმან მომცნა მე ივინი, უფროჲს ყოველთასა არს, ი. 10,29

ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი, ეშმაკი არს, მ. 13,39 ადგილი ეგე, რომელსა შენ სდგა, ქუეყანაჲ წმიდა არს, გამოსლვ. 3,5

შიში, რომლისათჳს ვზრუნევდი, მოიწია ჩემ ზედა, იობ. 3,25 კუერთხი ეგე, რომლითა ეც მდინარესა, შიილდე ჳელსა შენსა, გამოსლვ. 17,5

ჭაბუკმან ვინმე, რ'ლსა ერქუა გიორგი..., დაარღუა სახლი ძუელი, კიმ. I, 327,4

ღმერთსა, რომელმან საცნაოჯრითა მით ღმრთეებისა ცეცხლითა შეწოჯა ცოდვისა მწინკოჯლი, თჯგალობთ, სსლ. სლ, 50

ასეა ეს საერთოდ. მაგრამ არაიშვიათად გვხვდება წინადადებები, რომლებშიც მისამართი სიტყვის ბრუნვას მთავარი წინადადების შემასმენელი ველარ მართავს და იგი (მისამართი სიტყვის ბრუნვა) მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვას ემთხვევა¹:

ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს, მ. 7,19

ყ'ლსა რ'ლსა ვჳამ, იქმნების სისხლ და მატლ, კიმ. I, 331,32 თქ'ნ ყ'ნი რ'ნი თანა-მღებ იქმნენით სისხლსა მას ო'ნისასა, არქოჯთ პილატეს, ბოლნ. 76,32

ყოველთა რომელთა აღიღონ მახჯლი, მახჯლითაჲ წარწყმდენ, მ. 26,52

სიტყუათა რომელთა გეტყჳ თქუენ, სულ არიან და ცხორება, ი. 6,63

აღნიშნული მოვლენის შესახებ ა. შანიძე წერს:

„თუ რომელიმე სახელი განსაზღვრულია დამოკიდებული წინადადებით, იგი ბრუნვის მიხედვით, ანგარიშს უწევს დამოკიდებული წინადადების ზმნას, და არა მთავარისას. მაგ. „აწ სპარსნი რომელნი პირველითგან მოაქამომდე და წალმართ მიუკუნისამდე მტერნი არიან ჯუარისა მსახურთანი, ეამსა უღონოებისასა ლიქნითა ყვიან სიყვარული“. დღევანდელი სინტაქსური კონსტრუქციის

¹ ნორმიდან გადახვევის ეს შემთხვევა ეხება მისამართ სიტყვას. აქ მისი გათვალისწინება გვეკრძება იმდენად, რამდენადაც მისამართი სიტყვის ბრუნვა იცვლება მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვის შესაბამისად.

მიხედვით საჭირო იყო: „აწ სპარსთა... ლიქნითა ყვიან სიყვარული“, მაგრამ ძველად სხვა მდგომარეობა იყო: „სპარსნი“ — ეს სიტყვა დამოკიდებული წინადადების „არიან“ ფორმას უწევს ანგარიშს. ასეთივე მაგალითია: „გარნა ღმერთსა რომელსა ყოველთა კაცთა ჰნებაეს ცხოვრებაჲ... მიანიჟა მას შვილი კეთილი“¹.

მოსაზრებას, რომ „ძველად სხვა მდგომარეობა იყო“, ერთგვარად დაზუსტება სჭირდება. ძველად კი იყო ასეთი მდგომარეობა, მაგრამ იგი ნორმა არ ყოფილა, რომ იგი „დღევანდელი სინტაქსური კონსტრუქციის“ ნორმებს შეეუბირისპიროთ...

აღნიშნული მოვლენა „ატრაქციის“, „ასიმილაციის“ სახელით არის ცნობილი. საკითხი ძველი ქართული ენის მასალების მიხედვით განხილული აქვს კ. დონდუას. რატომ გვაქვს ასეთი შემთხვევები? სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? კ. დონდუა ასეთ განმარტებას იძლევა:

„მიზეზი ის უნდა იყოს, რომ თავდაპირველად, როცა ასეთი რთული დამოკიდებული წინადადება ყალიბდებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო, მიმართებითი ნაცვალსახელი ერთსა და იმავე დროს მისამართ სიტყვასაც უნდა კუთვნებოდა და საკუთრივ დამოკიდებული წინადადების შემასწენელსაც. სივარად რად რომ ვთქვათ, მიმართებითი ნაცვალსახელი წარმოადგენდა მისამართი სიტყვის (Bezugwort) ატრიბუტს. ამ წინადადებაში: „სიტყუათა, რომელთა გეტყოდე თქვენ, სულ არიან და ცხოვრება“... სიტყვა „რომელთა“ არა მარტო გარეგნულად (აქუსტიკურად ან გრაფიკულად) მოსდევს სიტყვა „სიტყუათა“-ს, არამედ შინაარსობლივადაც უშუალოდ ეკუთვნის მას. პირველი მძიმე (,) რომ ამოვიღოთ ამ წინადადებიდან, ადრინდელი შინაარსის შესატყვის ფორმას მივიღებთ, სახელდობრ: „სიტყუათა რომელთა [=რომელთა სიტყუათა] გეტყოდე თქვენ, [და სიტყუანი ესე] სულ

¹ ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ქრესტომათია საშუალო სკოლის IX კლასისათვის, შეადგინეს ა. შანიძემ, ალ. ბარამიძემ და ილ. აბულაძემ. ა. შანიძის რედაქციით, XI გამოცემა, 1950, გვ. 315 — 16.

შდრ.: „თუ დამოკიდებული წინადადება მოქცეულია მთავარში, მაშინ რომელი და მის წინ მდგომი მის მიერ სახლერული სახელი — ორივე ერთნაირად ეფარდება მომდევნო შემასწენელს:

„ყოველმან წულმან რომელმან განალოს საშოჲ, წმიდა უფლისა ეწოდოს“ ლკ. 2:23; მ. შანიძე, „რომელ“ ნაცვალსახელის ფუნქციისა და ადგილისათვის ძველ ქართულში, სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი III, 1948, გვ. 97.

არიან და ცხოვრება“... ასეთი უნდა ყოფილიყო მიმართებითი ნაცვალსახელის ადრინდელი ფუნქცია“¹.

გასაზიარებელია დებულება, რომ „მიმართებითი ნაცვალსახელი ერთსა და იმავე დროს მისამართ სიტყვასაც უნდა კუთვნებოდა და საკუთრივ — დამოკიდებული წინადადების შემასმენელსაც“, რომ „მიმართებითი ნაცვალსახელი წარმოადგენდა მისამართი სიტყვის ატრიბუტს, ეს „ორმხრივი კუთვნილება“ ანუამადაც მოქმედია: იგი თვით მიმართებითი ნაცვალსახელის ბუნებაშია მოცემული, მაგრამ ეს მოსაზრება მოვლენის ახსნას თითქოს ვერ იძლევა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისამართი სიტყვის მიმართებით ნაცვალსახელთან ბრუნვაში შეთანხმება შემდეგით არის გამოწვეული:

სიტყუათა ზომელთა გეტყვ თქუნ, სულ არიან და ცხოვრება,
ი. 6,63

როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავარში „შეიქრება“, მთავარი წინადადების შემასმენელი მთელი წინადადებით სცილდება თავის სამართავ სახელს:

სიტყუანი სულ არიან და ცხოვრება.

ამის გამო შემასმენლის მიერ სახელის ბრუნვაში მართვის ძალა სუსტდება ან სავსებით იჩრდილება. ეს გარემოება ხელს უწყობს იმას, რომ მისამართი სიტყვა. რომელიც მიმართებითი ნაცვალსახელის უშუალო მეზობლობაშია, თავის შემასმენელზე „ორიენტაციას“ კარგავს და იგი დამოკიდებული წინადადების შემასმენლისაგან მართულ მიმართებით ნაცვალსახელს ეკედლება ბრუნვაში...

როგორც უნდა იყოს მოვლენის ახსნა, ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა თვით ფაქტი: მისამართი სიტყვა არ არის მართული ბრუნვაში მთავარი წინადადების შემასმენლისაგან. მოსალოდნელი იყო ერთი ბრუნვა, გვაქვს სხვა — მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვის შესაბამისი.

საერთო წესისაგან გადახვევის შემთხვევასთან გვაქვს საქმე კონსტრუქციაში, რომელსაც, რამდენადაც საქმე ეხება მიმართებით ნაცვალსახელს, პირობითად შეიძლება წარფელობითბრუნვიანი ვუწოდოთ, რადგან მოსალოდნელი სახელობითის ნაცვალად მიმართებითი ნაცვალსახელი წარფელობითშია „მართული“.

დამოკიდებული წინადადების ქვემდებარედ:

და კუერთხი ეგე, რომელ გარდაიქვა გუელად, მიიღე ჰელითა
შენითა, გამოსლე. 7,15

¹ კ. დონდუა, მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის... გვ. 335 — 6.

გარდაგორვებულ იყო ლოდი იგი, რომელ იყო დიდ ფრიად, მრკ. 16,4

შენ გეწოდის კეფა, რომელ ითარგმანების: კლდე, ი. 1,42

ხოლო ზეცისა იგი იწმობი აზნაოზრ არს, რლ არს დედაჲ ჩნი, ბოლნ. 30,17

და მისცეს კარიისა ეკლესიასა, რომელ არს შესაკრებელი ყოველთაჲ, ცხრ. 32,2

დამოკიდებული წინადადების დამატებად:

და ლოდი ესე, რომელ აღვდგი ძეგლად, იყოს სახლად ღმრთისა ჩემისა, დაბ. 28,22

და სრულ იქმნა წამებაჲ მისი... დღესა მას შინა, რომელ ზემოვაქსენეთ, კიმ. II. 58,13

დაარღვეს ტაძარი იგი, რლ ქმნა სოლომონ, ბოლნ. 77,7

ტალანტი სიბრძნისაჲ, რომელ სიყრბით ჩემითგან მომეც, განვაპრავე, ხანძთ. ობ, 10

მოიღეთ თევზთა მათგანი, რომელ იპყართ აწ, ი. 21,10

არაიშვიათად ამ ნაცვალსახელის წრფელობითბრუნვიანი ფორმადამოკიდებული წინადადების წვერობის ფუნქციისაგან თავისუფალი ჩანს და კავშირის ფუნქციითლა გვევლინება (მნიშვნელობით „რომ“):

ვაწვმო ეჲმსა ოდენ ამას ხვალე სეტყუჲა დიდადი ფრიად, რომელ ეგვეითარი არა ყოფილ იყოს, გამოსლვ. 9,18

ესრეთ ვიხარკოთ, ძმანო, რომელ შეკრებაჲ ჩუენი ამას წმიდასა ადგილსა არა ცუდად იყოს, ცხრ. 77,4

და ესეცა საკვრველი გულისხმის-საყოფელ არს, რომელ ზაქარია ურწმუნოებისა მისისათჳს დადუმებულ იყო, მრვლთ. 303,12

მიერითგან ესრეთ განვთავისუფლდი მრავალ ეჲმ, რომელ კუალიცა ვერა ეპოვე, მთწმ. 223,27

იხილოს რაჲმე კეთილი წესი, რომელ ქრისტიანობასა შუენოდის და ჩუენ შორის არა იყოს, ხანძთ. მც, 126

რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ წრფელობითის ფორმა გამოყენებულია როგორც წვერ-კავშირის ფუნქციით (რომელი); ისე კავშირად (მნიშვნელობით „რომ“) თავდაპირველი პოლისემანტიზმის ნაშთია იგი, თუ მეორეული მოვლენაა?

დაშვება არც ერთისა არ არის გამორიცხული.

შეიძლება დაუშვათ, რომ რომელ მომდინარეობს რომელი-საგან და რომელ-ში სახელობითი ბრუნვის ნიშანი მოკვეცილია, რადგან ამ ნაცვალსახელს საერთოდ უჩანს ფუძის ცვეთის თანმიმდევრული ტენდენცია: (რომელი → რომელ → რომე (დიალექტ.) →

რომ (თანამედრ. სალიტ. და დიალექტ.) → რო (დიალექტ.). ასეთ შემთხვევაში მიმართებით ნაცვალსახელად (სახელობითის ფარდად) წრფელობითის ხმარება ამავე ფუნქციის სახელობითისაგან გადმოყოლილი აღმოჩნდებოდა, კავშირად (მნიშვნელობით „რომ“) გამოყენება კი — მეორეული, ნაცვალსახელის ცვეთის ნიადაგზე შექმნილი.

მეორე მხრივ, სახელობითი ბრუნვისათვის საერთოდ ამოსავალია წრფელობითი. ახლა მიღებულია, რომ სახელობითის o მსახლურელი ნაწევარის (იგი) ნაშთია. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ რომელღ ← რომელ იგი ← რომელ. ამ მსჯელობის მიხედვით ამოსავალია რომელ; და რადგან იგი გვხვდება როგორც მიმართებით ნაცვალსახელად, — ისე კავშირად, შეიძლება დაგვეშვა, რომ მისი ფუნქციური დაუზუსტებლობაც თავდაპირველი მოვლენაა. შედარებით გვიან, რომელ ნაცვალსახელი, რომელმაც სახელობითი ბრუნვის ნიშანი მიიღო და შემასმენლის მიერ ბრუნვაში მმართველობით ძალას დაემორჩილა, მიმართებით ნაცვალსახელად გაფორმდა და ამ სახით დღევანდლამდე შემოინახა თავი; რომელ ნაცვალსახელი კი, რომელმაც სახელობითი ბრუნვის ნიშანი არ მიიღო და შემასმენლის ბრუნვაში მმართველობით ძალას არ დაჰყვა, თანდათან გაცვდა და ამით მიმართებითი ნაცვალსახელისა და კავშირის საზიარო ფუნქციითაგან კავშირისა დაისაკუთრა და დაიმკვიდრა...

რომელ მიმართებითი ნაცვალსახელი წრფელობითი ბრუნვის ფორმაში გვხვდება დამოკიდებული წინადადების სუბიექტად, ობიექტად.. ასეთ შემთხვევებში შეუძლებელი არ იქნებოდა იგი ინდეფინიტური კონსტრუქციის გადმონაშთად მიგვეჩნია. ისევე, როგორც ეს შეიმჩნევა საკუთარ სახელებთან (აბრაამ შვა ისააკ) და I და II პირის ნაცვალსახელებთან (მე გაქე შენ, შენ მაქე მე). პირველ შემთხვევაში ოდენფუძიან კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე: არც რეალური სუბიექტია გაფორმებული ბრუნვაში, არც ობიექტი. მეორე შემთხვევაში ნაცვალსახელები ფუძის როლში გამოდიან, ისტორიულად სივსა სახელთა ფუძეს ეტოლებიან¹...

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ, მართალია, რომელ მიმართებითი ნაცვალსახელის წრფელობითბრუნვიან ფორმებს ოთხთავის DE რედაქცია იცნობს, მაგრამ ასეთები არსებითად C რედაქციისათვის არის დამახასიათებელი:

¹ ა. ჩიქობავა, ვრგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი, 1948, გვ. 2 — 3.

არა დაშტეს ქვაჲ ქვასა ზედა,
რომელი არა დაირღუეს, DE

გულისწმა-ყვეს სიტყუაჲ იგი,
რომელი ითქუა, DE

არა დაშდეს ქვაჲ ქვასა ზე-
და, რომელ არა დაირღუეს,
მრკ. 13,2 C

და მოეგონა სიტყუსაჲ მის,
რომელ ითქუა, ლ. 2,17 C

შდრ. აგრეთვე მ. 20,1; 10,26; მრკ. 15,46; 15,28; 14,18; 13,15;
ი. 1,18; 1,30 და ა. შ., სადაც DE-ს რომელი-ს ნაცვლად C-ში
რომელ გვაქვს.

ასეა თუ ისე, აღნიშნული მოვლენა ამჯერად ჩვენთვის იმით
არის საყურადღებო, რომ საქმე გვაქვს მოსალოდნელი ნორძისაგან
გადახვევასთან: მიმართებითი ნაცვალსახელი სახელობითში უნდა
ყოფილიყო დასმული. ამის ნაცვლად იგი წრფელობითში გვხვდება.

ამ გადახვევების გათვალისწინებით შეიძლება გავიფიქროთ
საერთო დებულება: მიმართებით ნაცვალსახელს ბრუნვაში მართავეს
დაძოკიდებული წინადადების შემასმენელი.

მიმაოთებითი ნაცვალსახელის ბრუნვას შეიძლება მართავედეს
არა მხოლოდ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი:

II. მიმართებით ნაცვალსახელს ბრუნვაში მარ-
თავეს თანდებული:

ალაშენონ მცირე სახლი, რლსა შინა დადგან კოკები, საბა. 6,34

მიიწინეს ადგილსა ერთსა კლდესა, რომელსა ზედა იყო ქუაბი,
კიმ. II, 155,34

ამას ღღესა შინა შეგიწყნარო შენ ზეცას, რომლისაგან გარდა-
მოვედ ქუეყანად, კიმ. II, 84,31 და ა. შ. (იხ. თანდებულიანი
ფორმები).

იშვიათად გვხვდება შემთხვევები, როდესაც უთანდებულო
ფორმა მიმართებით ნაცვალსახელად თანდებულიანის ფარდად
არის ნახმარი:

და მოიყვანეთ ებოჲ იგი და დაკალთ, რომელსა არა დადებოვლ
არს ოვლელი ცოდვისაჲ, ბოლნ. 40,8

ადგილი ეგე, რომელსა შენ სდგა, ქუეყანაჲ წმიდა არს, გა-
მოსლვ. 3,5

III. მიმართებითი ნაცვალსახელი მართულია.
ნათესაობით ბრუნვაში სიტყვისაგან, რომელსაც
ის საზღვრავს:

იყავნ ჩემდა ქალაქი საფლავად, რომლისა ზღუდეთა ზედა ვიქ-
ცეოდე, იობ. 6,10

კუალად სხუაჲცა ვინმე, რ^ალისა ჳელი იყო შეუძრავ, ევედრებოდა წ^ადასა მას, კიმ. I, 337,23

სახელი ყრმისაჲ მის ასტრიოს, რ^ალისა სათნოებანი მისნი განითქუნეს ყ^ალსა ამას ქ^აყნსა, საბა. 9,24

და ეწოდა მას... საბა, რ^ალისა თარგმანებაჲ არს მოხუცებულის, საბა. 4,17

IV. მიმართებითი ნაცვალსახელი, რომელიც დროისა და ადგილის აღმნიშვნელი სახელების მსაზღვრელია, უთანხმდება მათ მიცემით ბრუნვაში.

ა) დროის აღმნიშვნელი სახელების მსაზღვრელად:

რომელსა დღესა განვიდა ლოთ სოდომით, აწჳმა ცეცხლი, ლ. 17,29

რომელსა უამსა არა ჰგონებდეთ, ძმ^ე კაცისაჲ მოვიდეს, მ. 24,44

ბ) ადგილის აღმნიშვნელი სახელების მსაზღვრელად:

და რ^ალსაჲცა ვინ ადგილსა მიადოს სახელითა მისითა..., მუნ შეეწიოს ძალი ჩემი, კიმ. I, 276,17

დადევს იგი ადგილსა, რ^ალსა ჰრქჳან დასიმი, რ^ალსაჲცა ადგილსა დღეს შ^ენ არს წ^ა ტაძარი მისი, კიმ. I, 106,14

მიმართებითი ნაცვალსახელი შეიძლება უთანხმდებოდეს საზღვრულს მოქმედებით ბრუნვაში:

არცა მე გითხრა თქუნ, რომლითა ჳელმწიფებითა ამას ვიქმ, მრკ. 11,33

შეცა გითხრა თქუნ, რომლითა ჳელმწიფებითა ვიქმ ამას, მ. 21,24 და ა. შ.

მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვის შესახებ (როდესაც დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია) ა. შანიძე წერს:

„განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების საკავშირებელი სიტყვა, თუ ის მიმართებითი ნაცვალსახელია, იმ ბრუნვის ფორმით იხმარება, რომელიც ეწჳობა დამოკიდებული წინადადების შემასმენელს, რომელთანაც ის ან ქვემდებარება, ან ერთ-ერთი საიის დამატება (პირდ., ირიბი, უბრალო)“¹.

მაშასადამე, რომელ მიმართებით ნაცვალსახელს ბრუნვაში მართავს დამოკიდებული წინადადების შემასმენელი, თანდებული, საზღვრული სიტყვა, ეს უკანასკნელი მას ზოგჯერ ითანხმებს ბრუნვაში.

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, სახელმძღვანელო VII—VIII კლასებისათვის, 1952, გვ. 84.

საერთოდ ნათლად ჩანს, რომ მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვის არჩევანი დამოკიდებული წინადადების შიგნით წესრიგდება, მართავს მას შემასმენელი, თანდებული თუ საზღვრული სიტყვა (მართავს ან ითანხმებს).

მისამართი სიტყვა ითანხმებს მიმართებით ნაცვალსახელს რიცხვში.

ამ წინადადებაში, მაგალითად, — „მოვლენან კაცი, რომელნი პირველ ჩემსა იყვნეს“ — მთავარი წინადადების შემასმენელი იმიტომ არის მრავლობითი რიცხვის ფორმაში, რომ ამას მოითხოვს სახელი (კაცი), მიმართებითი ნაცვალსახელი იმიტომ არის მრავლობითი რიცხვის ფორმაში, რომ იგივე სახელი, რომელსაც ის საზღვრავს (კაცი), მრავლობითშია. სასაზღვრი სიტყვა აქ მიმართებითი ნაცვალსახელისათვის მისამართი სიტყვაა. მისამართი სიტყვა მიმართებით ნაცვალსახელს რიცხვში ითანხმებს. ამ უკანასკნელის რიცხვზეა დამოკიდებული თავის მხრივ დამოკიდებული წინადადების შემასმენლის რიცხვი.

ამგვარად, ვიღებთ სახელებისა და შემასმენლების რიცხვში შეთანხმების ერთგვარ ხლართს.

აი, საამისო მაგალითებიც:

ა) მიმართებითი ნაცვალსახელი დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეა:

და ჩუენ ყოველნი, რომელნი დაშთომილ ვიყვენით მას ეამსა, დიდსა ლელვასა და მიმოტაცებასა შთავცუვენით, ცხრ. 116,3

და ძალნი, რომელნი იყვნენ ცათა შინა, შეიძრნენ, მრკ. 13,25
უმცირეს არს იგი ყოველთა თესლთა, რომელნი არიან ქუეყანასა ზედა, მრკ. 4,31

რლთაცა მიმოდასთესეს ქადაგებაჲ იგი, განერეს [იგინი] კელთა ბრტისა ეშმაკისათა, კიმ. I, 52,9

ავაჴაკნი დაესხნეს მას, რლთაცა განძარცოვეს იგი, ბოლნ. 60,26

ბ) მიმართებითი ნაცვალსახელი დამოკიდებული წინადადების შემასმენლის დამატებაა:

ხოლო რჩეულთა მათთჳს, რომელნი გამოიღჩინა, შეამოკლნა დღენი იგი, მრკ. 13,20

ბ სხოვანი სახწაულნი, რნი ქმნნა იჴ, არა დაიწერნეს წდასა სახარებასა, ბოლნ. 82.12

მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატისა, რომელნი-იგი იხილნა რაჲ... სიხარულითა აღივსო, ცხრ. 48,1

არა შეჴვარდე ბოროტთა მათ სატანჯველთა, რნი მოვაწინე შენ ჴა, კიმ. I, 139,31

და ხუცესნი, რომელნი შეიპყრნეს, დაქრნეს, კიმ. II, 200,7
იგულისხმება, რომ, როდესაც მისამართი სიტყვა მხოლოდით
რიცხვშია, მიმართებითი ნაცვალსახელიც ყოველთვის მხოლოდითში
იქნება.

მაშასადამე:

მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვს შეაპი-
რობებს მისამართი სიტყვა¹. მისამართი სიტყვა
ითანხმებს მიმართებით ნაცვალსახელს რიცხვში
(როგორც მხოლოდითში, ისე მრავლობითში), ოღონდ:

ა) ძველი ქართულის ნორმების მიხედვით მოსალოდნელი იყო,
რომ -ებ-იან მრავლობითში მისამართი სიტყვა მიმართებით ნაც-
ვალსახელს რიცხვში არ შეითანხმებდა, და ასეთი შემთხვევები
გვაქვს კიდევ:

ზა მოოჳდეს მას კოჳერთხებითა და ქვებითა, რი აქოჳნდა
მათ, კიმ. I, 106,9

... და სხუაჳცა ნავები, რომელი იყო მის თანა, მრკ. 4,36

მაგრამ გვაქვს მაგალითებიც, რომელთა მიხედვით მიმართებითი
ნაცვალსახელი მისამართ სიტყვასთან რიცხვში შეთანხმებულია²:

მოწყუდა ყოველი ყრმეზი, რომელნი იყვნეს ბეთლემს, მ. 2,16

და მისცეს მათ ცოლები, რომელნი იყვნეს დედათაგან იაბის
გალაადისათანი, მსაჯ. 21,14

და სხუათაცა მრავალთა მამათა და დედათა ზედა აღასრულა
ხასწაულეზი, რლთა არა არს რიცხუ, კიმ. I, 298,30

და იწყეს მიერთგან ყოველთავე უგუნურთა კაცთა აღმართე-
ბად კერპებისა, რნიცა იქმნნეს სადგურ ბოროტთა ეშმაკთა, კიმ.
I, 51,29

ასე რომ, -ებ-იან მრავლობითში მისამართი სიტყვა მიმართებით
ნაცვალსახელს რიცხვში ხან ითანხმებს და ხან — არა.

ბ) როდესაც მისამართი სიტყვა კრებითი სახელია, მიუხედავად
იმისა, რომ მისი რიცხვი მორფოლოგიურად არ არის გამოხატუ-
ლი, მიმართებითი ნაცვალსახელი მას მრავლობითში უთანხმდება:

¹ ზოგჯერ მისამართი სიტყვა მთავარ წინადადებაში გამოტოვებულია, მაგ-
რამ მიმართებითი ნაცვალსახელი მას (გამოტოვებულს, მაგრამ ნაჯულისწმევს)
რიცხვში მაინც უთანხმდება:

რაოდენ უფროს მამამან ზეცით მოჰსცეს სული წმიდაჲ [მათ], რომელნი
ჰსთხოვედნ მას, ლ. 11,13

რომელთა იცოდეს სახელი ჩემი, დამივიწყეს მე [მათ], იობ. 19,14

და მოვიდენ [ოვ], რომელმან-იგი შენ და მას გხადა, ლ. 14,9

² ეს მოვლენა მით უფრო საყურადღებოა, რომ მრავლობითობა არც მთა-
ვარი წინადადების შემასმენელში აისახება.

და მიუგო ყოველმან ერმან, რომელნი სხდეს ბქეთა ზედა,
რუთ. 4,11

გარდამოავლინოს წყალობაჲ მისი ერსა მისსა ზა მორწმუნესა,
რნი აღიდებენ მს, საბა. 21,10

ესმა ჯმაჲ ერისა მრავლისაჲ, რთა თქუეს ამენი, კიმ. I, 248,2
იხილეს ბერძენთა მათ სიმრავლე სპარსთა ლაშქრისაჲ, რომელთა დაებანაკა გარემოჲს იერუსალჴმსა, წარტყ. იგ, 10

ასეთ შექთხვევებში მიმართებითი ნაცვალსახელისათვის, ჩანს, სემანტიკური მოძინტია აზოსავალი: მისამართი სიტყვის სემანტიკას ეწევა ანგარიში და არა მის მორფოლოგიას. მხედველობის გარეშე არ შეიძლება იქნეს დატოვებული ის გარემოებაც, რომ კრებით სახელებს ჩვეულებრივ საკუთარი მსაზღვრელებიც უძღვის ხოლმე წინ: ყოველი... მრავალი... სიმრავლე...

გ) მისამართ სიტყვად (სიტყვებად) შეიძლება გვეკონდეს ერთზე ძეტი სახელი და თითოეული მათგანი მხოლოდით რიცხვში იყოს. მიმართებითი ნაცვალსახელს მათ მრავლობითი რიცხვის ფორმით უთანხმდება:

ესენი ნიემსგავსნეს ბესელეელს და ელიაბს, რომელნი განმგებელ იყვნეს საქმესა მას კარვისასა, კიმ. II, 162,10

დ) თუ მისამართი სიტყვა მხოლოდითი რიცხვის სახელია და მიმართებითი ნაცვალსახელი თავის მხრივ მსაზღვრელია სხვა, მრავლობითში დასმული სიტყვისა, რომელიც მიმართებით ნაცვალსახელს ნათესაობითში მართავს, მაშინ მიმართებითი ნაცვალსახელი მისამართ სიტყვასთან მხოლოდითშია შეთანხმებული და საზღვრულთან — მრავლობითში:

ხოლო სასყიდლით დადგინებული იგი, რომელი არა არნ მწყემს, რომლისანი არა თჳსნი არიედ ცხოვარნი, იხილის რაჲ მგელი მომავალი, დაუტეგნის ცხოვარნი, ი. 10,12

მაგრამ თუ მისამართი სიტყვაც მრავლობითშია და სასაზღვრი სიტყვაც, მაშინ მიმართებითი ნაცვალსახელი ორივეს მრავლობით რიცხვში უთანხმდება:

ესე არიან სახელები მოწამეთა, რომელთანი მოიხოჯნეს ძოჯალნი, კიმ. I, 4,33

მიებახლა მათ, რლთანი იგი წარქდილ იყვნეს თითნი მათნი, კიმ. I, 146,29

საყურადღებოა, რომ ასეთ შემთხვევებში საზღვრული სიტყვა მიმართებითი ნაცვალსახელისაგან შემასმენლით არის დაცილებული. როდესაც საზღვრული სიტყვა მიმართებითი ნაცვალსახელის უშუალო მეზობლობაშია, რიცხვს იგი თვით გამოხატავს:

აწ არს ხანძთას ჯელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმი-
დისა საწელიწდომ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ
არიან, ხანძთ. ლთ, 12 (შდრ.: ...საწელიწდომ იადგარი, რომლი-
სანი ფრიად კეთილ არიან სიტყუანი...)

უნდა აღინიშნოს კი, რომ ნათესაობითში მართული მიმართე-
ბითი ნაცვალსახელის საზღერულ სიტყუასთან რიცხვში შეთანხმების
მაგალითები მეტად იშვიათად გვხვდება.

ე) საინტერესო ზოვლენასთან გვაქვს საქმე წინადადებებში,
რომლებშიც მიმართებითი ნაცვალსახელი მისამართ სიტყუასთან
რიცხვში არ არის (არც 'შეიძლება იყოს') 'შეთანხმებული':

მოოჯწოდის მეგობართა თუსთა, რლ არიან წ'დანი და მორწ-
მოჯენი, ბოლნ. 31,20

მოხოჯედ, რათა მოიძინე და შეიწყნარე ცხოვარნი იგი, რლ
არა ბაქისა შ'სანი არიან, ბოლნ. 7,30

ორნი ეპიტირიტისნი, რომელ არიან დამხედვარნი, დაედგინეს,
ცბრ. 60,1

მსწრათლ ხოლო მივიდმ ძმათა ჩემთა თანა, რომელ დაუტევენ
მუნ, ხანძთ. თ, 65

ხოლო ათნი იგი პურნი განჯმელნი, რომელ თანაწარგხუნეს,
მოწაფემან მისმან აგაპი ივუმინა, კიმ. II, 156,28

სხუათაგან უწყებათა ვიწყოთ ამიერთგან და ძრწოლით მი-
გითხრნე თქუენ ვნებანი. რომელ მოიწინეს ზედა წმიდათა, კიმ. II,
107,18

იხილენით შვეცნი ესე, რომელ განძიმზადებიან თქუენთუს, კიმ.
II, 24,30

ამ მოვლენას ადგილი აქვს როგორც ორიგინალურს, ისე ნა-
თარგმნ ძეგლებში. ძველ ბერძნულსა და სომხურთან შედარება
ასეთ ვითარებას აჩვენებს:

სადა არიან კაცნი იგი, რომელ შემოვიდეს შენდა ლამე, დაბ. 19,5
Που εισει ον ζυνηρες ον εισελθοντες πρδς σε την νυχτα
იღრ სუ არღნ ირ ძთქინ აიღ ესღ ფჩღრქ

ხოლო კაცნი, რომელ იყვნეს კართა ზედა, იგუემნეს იგინი
სერბრმითა, დაბ. 19,11

τους δὲ ζυνηρες τους δυτας ζπι τηζ μύραζ ταν ολχου ἐπάταξαν
ძორასია

ღ გარსნ ირ აიღ იღრს თანს ღაქქინ ღარქინ ღიღრიქ რ...

¹ როგორც მისამართ სიტყუასთან რიცხვში შეთანხმებლობის იშვიათი
შემთხვევა შეიძლება დავიმოწმოთ ასეთი მაგალითი:

და მოგცნე შენ ფიცარნი ქვისანი, შჯული და მცნებანი ჩემნი, რომელი-
დავწერე: გამოსღვ. 24,12, მაგრამ ეს შემთხვევითი უნდა იყოს...

შესაძლებელია შემთხვევითი არ იყოს რედაქციული სხვაობანი ოთხთავეის პარალელურ ტექსტებში. DE — თითქოს ბერძნულს გასდევს, C — სომხურს:

ეგრევე ავაზაკნი იგი, მის თანა ჯუარ-ცუმულნი, აყუედრებდეს მას, DE

Τὸ δ' αὐτὸ καὶ οἱ λησται οἱ ἄσστασραμῖντες ἀπὲφ ἰνείδινζον ἀπὲφ

ეგრეცა ავაზაკნი იგი, რომელ ჯუარ-ცუმულ იყენეს მის თანა, აყუედრებდეს მას, C

ჭინჯანს და ასაღაკღნი ირ ჭას-ჯხალ ჭქინ რნო ზძას ზაქათოქინ ორას

მ. 27,44

და იწყო სიტყუად წინაშე მდგომელთა მათ, DE

ἦρξαντο λέγειν τοῖς παρροστη-
ξόσις

იწყო სიტყუად, რომელ ღგეს მუნ, C

და ასაღას სახელ ფაქათოქი ირ ჯიღრჯინს ჭაკქინ

მრკ. 14,69

და იხილნა ტილონი იგი ხოლო მდებარენი, DE

βλέπει τὰ ἐμβόρια ἐκλεμένα μόνον

და იხილნა მჩუარნი იგი ხოლო, რომელ¹ იხხნეს, C

ათხაანს და ფათაანს ოიქ ოქ ᭄აკქინ

ლ. 24,12

ზოგჯერ ბერძნულის მიმლეობითი კონსტრუქციის შესატყვისად DE რედაქციაც დამოკიდებულ წინადადებას აჩვენებს, მაგრამ მიმართებითი ნაცვალსახელი მისამართ სიტყვასთანაც შეთანხმებულია რიცხვში და თავის მხრივაც ითანხმებს დამოკიდებულ წინადადების შემასმენელს. სომხურში და ქართულს C რედაქციაში იმავე წინადადებების მიმართებითი ნაცვალსახელები მისამართი სიტყვის რიცხვს ანგარიშს არ უწევენ:

იყვნეს ვინმე ღედანიცა, რომელნი შორით მხედვიდეს, DE

Ἦσαν δὲ καὶ ὑσανίχες ἀπὸ μακρῖνον θῆαρινσαι

და იყვნეს მუნ ღედანიცა, რომელ შორით ხედვიდეს, C

ქქინს და ᭄ანასკე ირ ზაკქქინს ᭄ანოათანს

მრკ. 15,40

¹ C-ში ყოფილა ო. რედაქტორ-გამომცემელს შეუსწორებია: ო(ლ).

და აჰა ესერა არიან უკუ-
ნაჲსკენლნი, რომელნი იყვნეს
პირველ, DE

αὐτὸ ἐνδὸς, εἰς τὸν ἔσχατον οἷ ἔσπι-
νται πρῶτον

და აჰა ესერა არიან უკუ-
ნაჲსკენლნი, რომელ იყვნენ პირ-
ველ, C

ს. არა ჩქარს ჩხოჩხარ ირ
სეჩქარს არაჯარს

ლ. 13,30

ზოგჯერ კი ქართული თარგმანი არც ბერძნულს ჰბაძავს, არც
სომხურს. ბერძნულისა და სომხურის მარტივი წინადადების შე-
სატყეისად ქართულში ქვეწყობა გვაქვს:

ესმა ჰეროდეს მეოთხედ მთა-
ვარსა საქმშ იგი, მის მიერ რომელნი
იქმნებოდეს (Sic), DE

Ἡμεῖς δὲ Ἡρόδου δ τερτά-
ρχου τὰ ὑσόμενα ἡ' αὐτὸν πάλιν

ესმა ეროდეს მეოთხედ მთა-
ვარსა საქმშ იგი, რომელ მის
მიერ იქმნებოდეს, C

ი.ი.ი. ჰსოიქესა ჰიეროქესა-
ესსა გჳიობანს არაჩარს

ლ. 9,7

თითოეული მაგალითის განხილვა ბერძნულ-სომხურთან შედა-
რებით ამკამად ვერ მოგვიხერხდება. მოგვყავს ოთხთავიდან სხვა
მაგალითებიც:

ჰკითხეს მას მოწაფეთა მისთა
DE

ჰკითხეს მას, რომელ იყვნეს
გარემოჲს მისსა, C

მრკ. 4,10

და იყვნეს მამაჲ მისი და დე-
დაჲ დაკვრეებულ სიტყუათა
ამათ ზელა მისთჲს, DE

და იყვნეს მამაჲ მისი და დე-
დაჲ მისი დაკვრეებულ ზელა
სიტყუათა მათ, რომელ ითქუნეს
მის ზელა, C

ლ. 2,33

ზრუნვანი ამის სოფლისანი
და საცთური სიმლიდრისაჲ
შეუჯდის და შეაშთვიან სიტყუაჲ
იგი, DE

და ზრუნვათა ამათ სოფლი-
სათა და საცთურმან სიმლიდრი-
სამან, რომელ შეერინიან, შეა-
შთვიან სიტყუაჲ იგი, C

მრკ. 4,19

რომელნი-იგი ღმერთმან შე-
აულნა, კაცი ნუ განაშორებნ,
DE

აწ რომელ ღმერთმან შეა-
ულნა, კაცნი ნუ განაყენებნ, C

მრკ. 10,9

ზემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვით ჩანს, რომ რომელ მიმართებითი ნაცვალსახელი მისამართ სიტყვას რიცხვში შეიძლება არ შეუთანხმდეს. დამოკიდებული წინადადების შემასმენელი მაინც მრავლობით რიცხვშია.

აღნიშნული მოვლენა დამახასიათებელია სომხურისათვისაც. ქართულ ოთხთავში მიმართებითი ნაცვალსახელის მისამართ სიტყვასთან რიცხვში შეუთანხმებლობის შემთხვევები არსებითად C რედაქციაზე მოდის...

მაგრამ ძველი ქართულისათვის ეს მოვლენა მხოლოდ გამონაკლისის სახით შეიძლება აღინიშნოს. საერთო კანონზომიერებაში მისი სვედრითი წონა უბინიშნელოა. წესი კი ასეთია:

რომელ მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვს შეაპირობებს მისამართი სიტყვის რიცხვი. მისამართი სიტყვა ითანხმებს მიმართებით ნაცვალსახელს რიცხვში (როგორც მხოლოდითში, ისე მრავლობითში).

რომელ მიმართებითი ნაცვალსახელის შემცველი დამოკიდებული წინადადება შეიძლება მოსდევდეს. უსწრებდეს მთავარ წინადადებას ან ჩართული იყოს მასში.

მოექსენა ხატი წმიდისა იოვანე მახარებლისაჲ, რომელი მხატვრისადა მიეცა განსაგებლად, ცხრ. 112,4

ქამეთ პური, რომელი განვიზხადე თქუენ, ხანძთ. მბ, 5

და წარუძღელ ერსა მაგას აღვილსა მას, რომელსა გარქუ შენ, გამოსლვ. 32,34

პოვა მიზეზი, რომლითა შეაწუხა წადა იგი, კიმ. I, 245,18

მოყვანილ მაგალითებში დამოკიდებული წინადადება მთავარს მოსდევს. ასეთ შემთხვევებში მისამართ სიტყვებად ჩვეულებრივ სრულმნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულები გვაქვს.

დამოკიდებული წინადადება შეიძლება უსწრებდეს მთავარს:

რომელი არა ჩუენდა მტერ არს, იგი ჩუენ კერძო არს, მრკ. 9,40

რომელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერი ჩემი არს, მ. 12,30

რომელმან მამული რჩული არა აღიაროს, იგი საპყრობილესა შინა მოკუედინ, ვესტ. 164,9

რომელნი სთესვიდეს, საღმობაჲ მოიმკონ მათ, იობ. 4,8

როგორც ჩანს, მისამართ სიტყვებად ახლა ნაცვალსახელები გვაქვს. ზოგჯერ ეს ნაცვალსახელებიც გამოტოვებულია:

რომელი შემძლებელ არს დატვენად, დაითიენ, მ. 19,12

რომელსა ასხენ ყური სმენად, ისმინენ, მრკ. 4,29

მაშინ რომელნი იყვნენ ჰურიასტანს, ივლტოდედ მთად, მრკ. 13,14

რლთაცა მიწოდასთესეს ქადაგებაჲ იგი, განერეს ჯელთა ბრტისა ეშმაკისათა, კიმ. 1, 52,9

შემთხვევითია. თუ რაინე კანონზომიერებას ემყარება ის ფაქტი, რომ დამოკიდებული წინადადება ხან მთავარის მომდევნოდ არის მოქცეული და ხან წინ უსწრებს ნას?

თუცა ამის საწინააღმდეგო მაგალითებიც შეიძლება დაიძებნოს, მაგრამ ფაქტების ძირითადი ნაწილი იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ ეს მოვლენა შემთხვევითი არ უნდა იყოს:

როდესაც მთავარ წინადადებაში მისამართ სიტყვებად სრულმნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულები გვაქვს¹, დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების მომდევნოდ ექცევა², ხოლო როდესაც მისამართ სიტყვებად სრულმნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულები არა გვაქვს, დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების წინ არის გადმოწაცლებული.

დამოკიდებული წინადადება შეიძლება ჩართული იყოს მთავარში:

საწადელსა, რომელსა სურვიელ ვიყავ; მივემთხვე და გკრგუნსა რომელსა ვეძიებდი, ვპოვე, კიმ. 11, 57,38

გზასა მას, რომელსა არღარა მოქცევად ვარ, მივალ მე, იობ. 16,23

ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი, ეშმაკი არს, მ. 13,39 ყოველი მეუფებაჲ, რომელი განევთის თავსა თვისსა, მოოჯრდის, მ. 12,25

შვილი, რომელი უყუარს უფალსა, სწავლის იგი და ტანჯის, წარტყ. ლა, 17

ასეთ შემთხვევებში მისამართი სიტყვა ქვეწყობილი წინადადების თავშია და იგი ჩვეულებრივ სრულმნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულია, იშვიათად ნაცვალსახელი შეიძლება იყოს:

ყოველი რომელი განურისხნეს ძმასა თვისსა ცუდად, თანამდებ იყოს სასჯელისა, მ. 5,22 C

¹ სრულმნიშვნელოვან ლექსიკურ ერთეულებში პირობითად ვგულისხმობთ არსებით სახელებს, საწყისებს (მიმღობებს).

² ასეთი მაგალითები იშვიათად გვხვდება: და მუქლმოდრეკით თაყუანის სცენ მათ, რომელნი მათა ღმერთ არიან კერპნი იგი უსულონი, კიმ. 11, 33,2.

როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების წინ არის მოქცეული, მისამართ სიტყვებად ნაცვალსახელები გვაქვს (ან არა გვაქვს, მაგრამ იგულისხმება). შესაძლებელია სასაზღვრი სიტყვა (ლექსიკური ერთეული) მიმართებითი ნაცვალსახელის მომდევნოდ აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევებშიც მისამართ სიტყვებად ნაცვალსახელები გვაქვს (ან იგულისხმება):

რომელთა ძმათა აქუნდა საწვამრები, მოლხინებით შთამოვიდეს [ივინი] მონასტრად, ცხრ. 55,5 (შდრ.: მოლხინებით შთამოვიდეს მონასტრად ძმანი, რომელთა აქუნდა საწვამრები)

რომლითა საშჯელითა შჯიღეთ, მითცა დაისაჯნეთ, მ. 7,2 (შდრ.: დაისაჯნეთ საშჯელითა ძით, რომლითაცა შჯიღეთ)

სასაზღვრი სიტყვა ზოგჯერ მიმართებით ნაცვალსახელს და-ცილებულია:

რომელსა მე თავი მოვკუეთე იოვანეს, იგი აღდგომილ არს, მრკ. 6,16

რომელნი ჰხედვიდეს მას ქრისტიანენი და მეცნიერნი მისნი, ცრემლოოდეს [ივინი] მისთჳს, ჰაბო, 72,33

რომლისა თანაცა იპოოს მონათა შენთაგანისა ბარძიმი იგი, მოკუედინ [იგი], დაბ. 49,9

რომელნი-იგი შეიპყრნეს და შესთხინეს საპყრობილესა კაცნი, იყვნეს [ივინი] მყუდრონი და მშუდობისა მეძიებელნი, კიმ. II, 32,24

სრულწინაშენლოვანი ლექსიკური ერთეულების უქონლობას მისამართ სიტყვებად თუ სასაზღვრ სიტყვებად უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ რომელ მიმართებითი ნაცვალსახელი ხან ვინ და ხან რა მიმართებითი ნაცვალსახელების ფარდად არის ნახმარი.

რომელი ი=რა :

რომელი გთხოვოთ, მიყო რააცა გთხოვოთ, მიყო ჩუენ, C ჩუენ, მრკ. 10,35

მე რომელი ვიხილე მამისა ჩემისაგან, მას ვიტყუ, ი. 8,38

რომელი იხილა და ესმა, ამას წამებს, ი. 3,32

რომელი გეგულების საქმედ, ყავ ადრე, ი 13,27

რომელსა-ესე მე ვიქმ, არა იცი აწ, ი. 13,7

რომელი მე მიჴმდეს, იგიცა ვჴამო, კიმ. II, 195,33

მე რაჲ ვიხილე მამისა ჩემისა თანა, ვიტყუ, C

რააცა იხილა და ესმა, წა-მებს, C

აწ რაჲ გეგულების საქმედ, იქმოდე, C

რახა-ესე მე ვიქმ აწ, არა უწყი, C

ოპიზელთა მამათა მოსცეს ყოველი, რომელი იპოვა ჯელთა მათთა, ხანძთ. ია, 40

რომელ ნაცვალსახელი ძირითადად მიმართებით ნაცვალსახელად გვხვდება. კითხვითად იგი იშვიათად იხმარება. და მაინც, როდესაც იგი კითხვითი შინაარსით თავს იჩენს, ჩვეულებრივ, სხვა სიტყვის პრეპოზიციული მსაზღვრელია ხოლმე¹:

რომლისა ქალაქისაჲ ხარ შენ? კიმ. II, 4, 25

რომელსა ჯეესა იყოფით? კიმ. II, 152, 35

თუ კითხვით წინადადებაში რომელ ნაცვალსახელს საზღვრული სიტყვა არ ახლავს, მისი მნიშვნელობაა ზოგჯერ „რა“:

ცოფნო და ბრმანო, რომელი უფროჲს არს: შესაწირაჲვი იგი ანუ საკურთხეველი, რომელი განსწმელს შესაწირაჲსა? მ. 23, 19	ცოფნო. და ბრმანო, რაჲ უფროჲს არს... μαροὶ καὶ τυφλοὶ τί γὰρ μείζον...
---	--

*მქმარე ἰς κურε, ἡ ἰσὺ
μκθ ἑ..*

იმისათვის, რომ რომელ ნაცვალსახელს საკუთარი მნიშვნელობა (რომელი) აღუდგინოს, ქართული თარგმანი ზოგჯერ ხელოვნურად აჩენს სასაზღვრ სიტყვას, რომელიც სათარგმნ ტექსტში არ მოიპოვება:

მოძღუარ სახიერო, რომელი ხაქმჲ ექმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკვდრო? მრკ. 10, 17 DE	მოძღუარ ჳეელის მოქმედ, რაჲ ექმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკვდრო? C ...τὶ ποιησάτω ἡ ἑσθὴ ἀδύνοσ ἀληθοσμησά
---	---

*ღსზ სრარქე გქ ოქსანანს
კაქიოხნაკანს ოაოანღსეჩე*

რომელი „რა“-ს მნიშვნელობით ნახმარია აგრეთვე შემდეგ ნაწყევტში:

შენ ხოლო მწირ ხარ იერუსალმს და არა უწყვი, რაჲ-ესე იქმნა მას შინა ამათ დღეთა. და მან ჰრქუა: რომელი?. ლ. 24, 18—19 (ახალი ქართულით შემდეგს ნიშნავს: ...არ იცი, რა მოხდა იქ ამ დღეებში? მან უთხრა: რა (მოხდა)?

რა გამომდინარეობს? თუ რომელ მიმართებით ნაცვალსახელს მისამართ სიტყვად (ან სასაზღვრ სიტყვად) სრულმნიშვნელოვანი

¹ „რომელი წინ უსწრებს საზღვრულს მაშინ, როდესაც ის კითხვითია, და შეიძლება მოსდევდეს, როცა განუსაზღვრელი ნაცვალსახელია“, მ. შანიძე, „რომელ“ ნაცვალსახელის ფუნქციისა და ადგილისათვის... გვ. 98.

ლექსიკური ერთეულები არა აქვს (და ასეთები კი ჩვეულებრივ მაშინ გვხვდება, როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავარს წინ უსწრებს), მისი მნიშვნელობა შეიძლება იყოს „რაც“. ამავე ვითარებას აჩვენებს კითხვითი წინადადებაც: თუ რომელ კითხვითი ნაცვალსახელი სასაზღვრ სიტყვას მოაკლდა, მისმა მნიშვნელობამაც შესაძლებელია „რა“-ზე გადაინაცვლოს.

ზემოხსენებული მიზეზის გამოვე რომელ მიმართებითი ნაცვალსახელი შეიძლება შეგვხვდეს მნიშვნელობით „ვინც“:

რომელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერი ჩემი არს, მ. 12,30

რომელი შემძლებელ არს დატყენად, დაიტიენ, მ. 19,12

რომელნი სთესვიდეს, საღმობაჲ მოიმკონ მათ, იობ. 4,8

თუმცა საკიროა აღინიშნოს, რომ, როდესაც რომელი გვხვდება მნიშვნელობით „ვინც“, იგი (მნიშვნელობა „ვინც“) შეთავსებულია ძირითად მნიშვნელობასთან „რომელიც“ და ამათი გათიშვა ხშირად არც ხერხდება. რომელ ნაცვალსახელის ამგვარად შეთავსებული მნიშვნელობანი კითხვით წინადადებაში იშვიათად გვხვდება (ვინ არს უფროჲს: რომელი ინაჩით ზის ანუ რომელი ჰმსახურებს? ლ. 22,27) და საზღვრულ სიტყვას აქაც მოკლებულია.

როდესაც რომელ მიმართებით ნაცვალსახელს მისამართ სიტყვებად სრულმნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულები აქვს (და ასეთები კი ჩვეულებრივ მაშინ გვხვდება, როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავარს მოსდევს), მაშინ მისი მნიშვნელობა „თავის თავს“ (რომელიც) უდრის:

იხილა კაცი, რომელი ჯდა საზურერესა ზედა, მ. 9,9

მივიდოდეს მასვე დღესა შინა დაბასა, რომელი შორავს იერუსალმს, ლ. 24,13

ოდესმე აღესრულა მთავარეპისკოპოსი, რომელი იყო მუნ, ცხრ. 57,1

ასეთი მაგალითები ხშირია.

მსგავსადვე: სასაზღვრ სიტყვად ლექსიკური ერთეული კითხვით წინადადებაშიც მსაზღვრელი ნაცვალსახელის ძირითად მნიშვნელობას („რომელი“) შეაპირობებს და ავლენს (რომლისა ქალაქისაჲ ხარ შენ? კიმ. II, 8,25).

გვხვდება წინადადებები, რომლებშიც დამოკიდებული წინადადება მთავარს მოსდევს, მაგრამ მთავარ წინადადებაში მისამართი სიტყვა არც მოიპოვება და არც იგულისხმება:

დიდ-დიდნი და წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი სამეფოსა ჩუწნისანი ძკრ-ძკრად მოისრნეს და წარწყმდეს, რომლისა შიერ ლუთის მსახური მეფე ბაგრატ დიდსა მწუხარებასა შთავარდა, მთწმ. 329,9 (=რის გამოც).

განაკცებასა ოლისასა ოვცნებით ქმნილად ჰგმობდეს. რლი-სათჳსცა კრებაჲ იგი ქალკიდონისაჲ იქმნა, კიმ. I, 61,20 (=რის გამოც).

ასეთ მოვლენებს პირდაპირ თუ ირიბად ეხება ს. ყაუხჩი-შვილის ერთი გამოკვლევა: „ჩვენ მიერ წარმოებული კვლე-ვებით დასტურდება კიდევ ახალი სახე ნაცვალსახელისა „რომელი“, სახელდობრ, ნაცვალსახელი „რომელი“ ...იხმარება აგრეთვე ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციითაც“¹. აქვეა მოყვანილი მაგალითები იმის საილუსტრაციოდ, რომ რომელი ძველ ქართულში გარდა მისი ჩვეულებრივი მიმართებითი მნიშვნელობისა, ჩვენებითი ნაცვალსახელის („იგი“, „ეს“) მნიშვნელობითაც იხმარება“².

რადგან რომელი ამ ფუნქციითაც არის აღქურვილი, ცხადია, ეგვეფ ფუნქცია უნდა გამოავლინოს აგრეთვე მისმა ნაწილაკდართულმა ვარიანტმა — რომელი-იგი. ასეც გვაქვსო: „და ადგილნი მრავალნი, მონასტერნი და სადაყუდებულონი გარემოჲს დიდისა მონასტრისა ვიდრე იმერად ზღუადმდე თჳსითა საფასითა იყიდნეს, რომელნი-იგი შუენიერ არიან და საწადელ და მომზაებელ სულიერთა მონაზონთა საყოფლად“³.

ამ წინადადებაში მისამართი სიტყვებია — ადგილნი, მონასტერნი, სადაყუდებულონი. თითოეული ამათგანი მრავლობითი რიცხვის ფორმაშია. მიმართებითი ნაცვალსახელი აგრეთვე მრავლობითშია. რომელ მისამართ სიტყვას „მიმართება“ მიმართებითი ნაცვალსახელი? ცხადია, ყველას. მიმართებითი ნაცვალსახელი მრავლობითი რიცხვის ფორმაში იქნებოდა მაშინაც, როდესაც მას მისამართ სიტყვად ექნებოდა ერთი, მაგრამ მრავლობითში დასმული სახელი, და მაშინაც, როდესაც მისამართ სიტყვებად ექნებოდა ერთზე მეტი, მაგრამ მხოლობითში დასმული სახელები. ახლა მიმართებითი ნაცვალსახელი მრავლობითი რიცხვის ფორმით მიემართება მრავლობითი რიცხვის თითოეულ სახელს. ასეთ კონტექსტში რომელ მიმართებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობა შეიძლება გაგებულ იქნეს პირის ნაცვალსახელის მნიშვნელობად (იგინი):

ხოლო თორნიკ ვინამთგან იოტა სკლიაროსი, და კულად აქვე მოიქცა ურიცხვთა საფასითა და განძითა, — რამეთუ უფროჲს ათორმეტისა კენდინარისა მოილო განძი ოდენ, სხუათა ტურფათა

¹ ს. ყაუხჩი-შვილი, ბერძნულ-ქართული სემასიური პარალელები, თ. ს. უნივერსიტეტის შრომები, XXX — XXXI B, 1947, გვ. 423.

² იქვე.

³ მაგალითები მოგვყავს დასახელებული გამოკვლევის მიხედვით.

კიდე, რომელი-იგი ყოველივე მამისა თვისა სულიერისა იოვანეს
კელთა მისცა... ცხრ. 26,1

ამ მაგალითშიც შეიძლება რომელი-იგი-ს მნიშვნელობად იგი
გვესმოდეს, მაგრამ როგორც აქ, ასევე ზემოთ მოყვანილ წინადა-
დებაში არ ჩანს ამისი აუცილებლობა.

ასეთ წინადადებებში:

ხოლო სანატრელი სერაპიონ აღივსო სულითა წმიდითა და
მსგავსად მდინარისა აღმოადინებდა თაფლ-მწოთლოვარითა მით
ენითა სწავლათა საღმრთოთა და, ვითარცა მდინარე ედემისაჲ,
აღმოუწყაროდა ოქრონაკადული პირით მისით. რომლისათხცა
განკვრდა მთავარი იგი და ყოველნი წინაშემდგომნი, ზარზმ. 156,31.

... თორნიკს მოუწერეს: „ვიციოთ, რომელ ღმერთი შეგეწვევის
და ნურარას ორგულობ, და ოდეს ღმერთმან წარგიმართოს, ყო-
ველნი წინააღმდგომნი ჩუენნი დაატყუენენ და ყოველივე ნატყუე-
ნავი მათი შენი იყოს“. რომლისათხცა მისცა კურაპალატმან
თორმეტი ათასი მვედარი რჩეული თორნიკს, ცხრ. 20 - 21.

რომლისათხცა მიმართებით ნაცვალსახელს მისამართი სიტყვა
არ გააჩნია და, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, იგი სხვა მნიშვნე-
ლობით იხმარება: „რის გამოც“. ამ მაგალითებში იგი შეიძლება
ასეც გვესმოდეს: „ამიტომ, ამის გამო“.

საკმარისია ამ მაგალითებს შევადაროთ რომელ მიმართებითი
ნაცვალსახელის იგივე -თხს თანდებულებიანი ფორმა სხვა კონ-
ტექსტში, სადაც მიმართებით ნაცვალსახელს მთავარ წინადადე-
ბაში მისამართი სიტყვა აქვს, რომ ამ მეორეული მნიშვნელობისა-
გან („რის გამოც“, „ამიტომ“, „ამის გამო“) რომლისათხცა მიმარ-
თებითი ნაცვალსახელი თავისუფალი აღმოჩნდეს:

მიიღეს მადლი კოჯრებისაჲ ქ^რს მიერ ლ^რთისა ჩ^რნისა, რ^რ-ლ^რ-
ხათხცა ილოჯაწეს ვ^რე სიკოჯდიღმდე, კიმ. 1, 114,25

საშუალ ქართულში რომელ მიმართებითი ნაცვალსახე-
ლის შემცველ წინადადებათა კონსტრუქციები შედარებით იშვია-
თადლა გვხვდება. ამ დროისათვის ბრუნებად ნაცვალსახელს ენა-
ცვლება ფუჟე (რომელ) ან მისი გამარტივებული ვარიანტები
(რომე და სპორადულად — რომ).

რომელი საშუალ ქართულში რაიმე განსაკუთრებულ თავისე-
ბურებებს არ გვიჩვენებს, იგი გვხვდება სხვადასხვა ბრუნვაში:

მიპხედა-თქო საქმე, რომელი ყოველთათვის გარდუვალია, ვ. ტ.
158,3

კურთხეულმც არის, რომელმან ესრეთ დაგბადა შენაო, თმრზ.
19,5

გამოჩნდა მკეცი ერთი, რომელსა ცხუირთა რქა ედგა, დრჯ. 10,7
მწადლა არა თქმა, რომლისა ღონე არა მაქვს თმობისა, ვ. ტ.
125,2

არა აღიარა ცოდვა, რომლითაცა სცოდა, ჰყნდ. 7,6
გვაქვს ამ ნაცვალსახელის როგორც უნაწილაკო, ისე ნაწილა-
კიანი ფორმები, ოლონდ ნაწილაკთაგან მხოლოდ -ც(ა) იჩენს თავს:
ჩვენ დაუფსოთ იგი ცეცხლი, რომელიცა მას ედების, თმრზ.
31,23

წიგნი მივიღეთ, რომელმანც ჩუშნ დიდად სასურველი ჰამბავი
გვახარა, ერეკლე, 5,6
ხშირად გვხვდება ამ ნაცვალსახელის თანდებუიანი ფორმებიც:
მაჩუენეთ იგი მკეცი, რომლისათუის მოსრულ ვარ, დრჯ. 66,42
თავისი ბარგიც იმათ აზიდენა, რომლისთვისაც არც ერთი
კობიკი გასვლია, ერეკლე, 28,21

... ერგების ყურსა, რომელისაგან გამოვიდოდის შალალი,
სმკრნ. 81,40

რომელი მისამართ სიტყუასთან შეთანხმებულია რიცხვში:
მერმე მოვიდეს მონანი, რომელნი უკან ჰყეებოდეს, ვ. ტ. 79,3
ჩვენ გავგზავნეთ მენავენნი, რომელთაცა კელა უელია, ვ. ტ.
638,1...

იშვიათადლა იჩენს თავს ამ ნაცვალსახელის მართულ-შეთანხმე-
ბული ფორმები:

იმან... თუთ მყოფთა ღრაფთან ოფიცართაც მისწერა, რომელი-
ხასაც ეჰკონებთ, რომ თანამდებობა აღარა ჰქონია, ერეკლე, 41,9
შორისდებულთანი მრავალნი ვიდრემე არიან სახენნი, რომელ-
თანი რომელნიმე არიან სანეტარნი, ღრმტ. 114,5

დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ რომელ მიმართებითი
ნაცვალსახელით იწყება, მაგრამ რითმის საჭიროებისათვის მან
დამოკიდებული წინადადების ბოლოს შეიძლება გადაინაცვლოს:
იყო არ-ნათლად ნათელი, ფარდაგსა შემომდგომელი;
ებურა მოშლით პირ-ოქრო რიდე, მე მივეც რომელი, ვ. ტ.
521,2

ზღრ. აგრეთვე: მოვიდა მისი მებაღე, ბალსა ეახლნეს რომელსა,
ვ. ტ. 1063,1

ორიე სირცხვილი გასინჯე, უფროსი იყოს რომელიც... არჩ.
44,25

რომელი გვხვდება სხვა სიტყვის მსაზღვრელად დამოკიდებულ
წინადადებაში:

რომელიც მღვდელი მღვდელობაში მეცნიერებას არ იწურ-
თის..., დაისჯება, ჰყნდ. 15,28

რომელიც ავადმყოფი კაცი ყოფილა, ორასზე მეტი ამ ციხეებში დაუგდია, ერეკლე. 43,3

რომელიც ანხანაგი სულ ცარიელი დარჩეს, წილს ვერ დააკლებს, სამართლ. 115,32

ამ საზღვრულ სიტყვას რომელი -ებ-იან მრავლობითში არ უთანხმდება:

და რომელიცა მათ შუა ცნობილი კაცები იყო, ომსა შიგან ივინიცა გახელებულ იყენეს, ვისრ. 149,27

რომელიც მტკვარს გამომღმა სოფლები იყო, იმას მიემართეთ, ერეკლე, 29,30

რომელ მიმართებით ნაცვალსახელს ზოგჯერ ერთვის რომ კავშირი:

და კაცინცა განვაწესეთ, რომელნიცა რომ მისის დიდებულების წინაშე წარმოივლინებიან, ერეკლე. 5,18

რომელ-ის ნაცვლად იშვიათად იჩენს თავს დიალექტური რომენ-ი¹:

თეთრი მიეცით ამ წესით, რომენ... სიძვ. 129,2

თანამედროვე ხალიტერატურულ ქართულში რომელ მიმართებითი ნაცვალსახელის შემცველ წინადადებათა ქვეწყობა ფართოდ არის გავრცელებული.

თანამედროვე ქართულში, შეიძლება ითქვას, თითქმის თანაბრად გვხვდება რომელ ნაცვალსახელის როგორც -ებ-იანი, ისე ნარ-თან-იანი მრავლობითი. რომელი იბრუნვის როგორც ჩვეულებრივი ფუძეკუმშვადი სახელი.

სახელობითი: იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძებრდა, ცივი ხელები დააკრეფინეს, ა. წ. 83,40

ნიშნებს, რომლებიც აუცილებლად ახასიათებენ საგნებს და მათ მნიშვნელოვან მხარეებს წარმოადგენენ, არსებითი ნიშნები ეწოდებათ, ქ. ბაქრ. 88,17

გაჩნდა მთელი რიგი მწერლებისა, რომელნიც ღრმად ჩასწვდნენ გულში თანამედროვეობას, ქ. კეკ. 34,6...

მოთხრობითი: რომელმაც უარი გითხრას, იმისი იმედი გქონდესო, ანდ. 470

¹ რომენ-ი ახლაც გვაქვს, მაგალითად, ხევსურულში:

რომენიც მაეწონების, იმას შესწირავს ძმასაო; რომენიც ჯიხვი უჯობდა, იმას ესრიე... შ. ძიძიგური, ძიგბანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954, გვ. 72.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები... მოწოდებული არიან მოამზადონ ისეთი სპეციალისტები, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი საქმე, «კომ.» 207,1

მე ვსჭკრეტდი სულებს იმ ჩვენი წინაპრებისას, რომელთაც თავის სამშობლოს სარწმუნოებისა და ენის დაცვისათვის თავი ამსხვერპლეს, ა. წ. 147,32

მ ი ც ე მ ი თ ი: მაგრამ, ქართველო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვის ვსტირი? ი. ქ. I, 137,8

განსაზღვრულობა და განუსაზღვრელობა ქვე-კატეგორიებია, რომლებსაც ეყრდნობა ზე-კატეგორიის ცნება, ა. შან. 010,33

ილარიონმა კახეთში გააშენა რიგი მონასტრები, რომელთაც დაახარჯა დედამისის მთელი ქონება, კ. კეკ. 121,40

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი: დასკვნა ის ფორმაა ადამიანის აზროვნებისა, რომლის გარეშე ჩვენ ვერ აღმოვაჩენდით მოვლენათა კანონზომიერებას, კ. ბაქრ. 49,3

იმათთვის ძალიან საკმაყოფილონი იყვნენ ის სენტიმენტალური... წირპლიანი მწერლები, რომლების თავი და თავი, პირველი ბაირახტარი იყო თვით სახელოვანი კარამზინი, ი. ქ. III, 11,17

ტყის შორი-ახლოდ მოჩანდა სამკუთხად ბუჩქები, რომელთა შუაგულს რჩებოდა... პატარა მინდორი, ყაზ. I, 320,16...

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი: მოჰკლა ცქრანტმა კაცმა ერთის დიდის ტანის... კაცი იმავე იარაღით, რომლითაც ჩვენა და ჩვენს ძმებს გვდევენ მოსაკლავად, ვაჟა, 278, ა, 30

მოთხრობა იქნებოდა მზგავის ესრედ წოდებული ზნის მასწავლებელ მოთხრობებისა, რომლებითაც ილაჯი წაართვეს ევროპიელს ბავშვებსა... გოგ. II, 30,7

ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი (იშვიათად გვხვდება): ... დაწესდეს დონე, რომელამდეც უნდა შემციოდეს სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები, «კომ.» 207,1

ხშირად იჩენს თავს რომელ ნაცვალსახელის თანდებულისანი ფორმები (რომელზედაც, რომელზეც, რომელშიაც, რომელშიც, რომელთანაც, რომლისთვისაც, რომლიდანაც, რომელთაგანაც, რომლისადმი...)

რომელი მიმართებითად ხმარებისას ჩვეულებრივ -ც(ა) ნაწილაკ-დართულია. სხვა ნაწილაკები მის მომდევნოდ უკვე საშუალ ქართულიდან აღარ გვაქვს. -ც(ა) ნაწილაკი შეიძლება არ დაერთოს

მიმართებით ნაცვალსახელს, როდესაც ის, ნათესაობითში მართულ-
ლი, სხვა სიტყვის მსაზღვრელია:

ვერც ერთ წინადადებას ვერ ჰპოვებთ შიგა, რომლის ამოშლა
შეიძლებოდეს, გოგ. II, 13,37

ასეთ შემთხვევებში -ც(ა) ნაწილაკმა შეიძლება საზღვრულ სიტ-
ყვასთან გადაინაცვლოს:

შევიპარე ერთს ბნელ ოთახში, რომლის კარიც დათიკოს ოთახში
გადიოდა, ი. ჯ. II, 88,23

ამ ჩადენილი საქციელის მოგონება, რომლის გახსოვებაც მის
თვალში შეუძლებელი იყო, წარმოუთქმელად აწუხებდა, კლდ. I,
11,37

სამაგიეროდ, თუ რომელი შეთანხმებული მსაზღვრელის როლ-
შია, -ც(ა) ნაწილაკის დართვა საზღვრულ სიტყვაზე აუცილებელია:
რომელს თითხაც მოვიჭრი, ყველა მეტკინება, ანდ. 470

ისინი მკაცრად გმობენ ყოველგვარ უწესრიგობას, რომელ წრე-
შიაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი, გოგ. II, 151,28

რომელ ზეზდაც გინდა, შეჯდები, ვაჟა, 302, ბ, 16

-ც(ა) ნაწილაკი შეიძლება არ ჰქონდეს თანდებულიან ფორმებს:
მიიღო სახელწოდება, რომლისადმი მხოლოდ სიძულვილს
ავრცელებს ხალხში სრულიად უნებურად, კლდ. I, 190,23

მის თხზულებაში დასახელებულია არა ერთი და ორი ისეთი
ნაწარმოები, რომელთაგან ზოგი დღესაც არსებობს, კ. კეკ. 154.30

შდრ.: ამ სიტყვებზე შემოვიდა ორი დეკანოზი, რომელთაგანაც
ერთს ეჭირა ხელში მერდინის დროშა, ყახ. I, 67,12

თეორია, რომელშიც ადგილი აქვს აზრთა თანმიმდევრობის
დარღვევას, ... არ არის მეცნიერული თეორია, კ. ბაქრ. 51,21

თუ -ც ნაწილაკიან მიმართებით ნაცვალსახელს კი ნაწილაკი
ერთვის, მაშინ ნაცვალსახელი კი ნაწილაკთან ერთად (რომელიც
კი) „გამოურიცხავ სიმრავლეზე“ მიუთითებს:

ყმაწვილი, რომელიც კი სოფელში არ გაზრდილა, ბუნებაზე
სრულიად მოსხლეტილია, ა. წ. 13,12

აკაკის პატარა ლექსი „ყმაწვილი და პეპელა“ შემკულია ყოვე-
ლი ღირსებით, რომელიც კი მოეთხოვება საუკეთესო საბავშვო
ლექსსა, გოგ. II, 26,33

მისამართ სიტყვებად რომელ მიმართებით ნაცვალსახელს თანა-
მედროვე ქართულშიც მეტყველების იგივე ნაწილები უჩანს, ძველ
ქართულში რომ ჰქონდა:

არსებითა სახელი (ცნება, რომლის გამოსახატავად ენას
მოუპოვება გარკვეული გრამატიკული საშუალება, წარმოადგენს
გრამატიკულ კატეგორიას, ა. შან. 34,6..),

საწყისი (ვაკრობის ინტენსიურმა განვითარებამ. რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, გამოიწვია მოვაკრეთა რიცხვის ზრდა, კ. კეკ. 24,35),

პირისა და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები (ეს იყო იხ, რომელსაც მთელ სოფელში არ ეძინა, ი. ქ. II, 322,3; იმასში ჩაღაცა იყო იმისთანა, რომელიც ამტკიცებდა, ი. ქ. II, 35,38).

და ამათ გარდა, ჩვენებითი ნაცვალსახელი (აქ ცოტანი იყვნენ ისეთნი, რომელნიც საფუძვლიანად დაპკვირებოდნენ თავიანთ საქმეს, ყაზ. I, 304,19; დიდხანს ერთს ადგილს ვერ მოიცდის, თუ იმისთანას არ მიაგნო, რომელიც ცარიელი არ არის, ა. წ. 169,5 ..), ზედსართავი სახელი (მოკლულების ალაგს იმ წამსვე იქერდნენ ცოცხლები, რომლებსაც ...მათრახით ერეკებოდნენ, ე. ნინოშ. 89,9), მიმღეობა (ამ კრებას წამდაუწუმ ემატებოდნენ ახალ-ახალი მოხულები, რომელთაც იქ მყოფთაგანი რამდენიმე კაცი ჩუმად წინ მიეგებებოდა, ყაზ. I, 96,27), მაგრამ ეს უკანასკნელი მისამართ სიტყვებად გვაქვს მაშინ, როდესაც საზღვრული სიტყვა გამოტოვებულა, ამიტომ ისინი მხოლოდ პირობითად შეიძლება მივიჩნიოთ მისამართ სიტყვებად.

ისევე როგორც ეს ძველ ქართულში იყო, ახალ ქართულშიც მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვას დამოკიდებული წინადადების შემასმენელი (თანდებული ან საზღვრული სიტყვა) განაგებს (მაგალითები იხ. ზემოთ).

მიმართებითი ნაცვალსახელი რიცხვში უთანხმდება მისამართ სიტყვას¹.

ა) მხოლოდითში :

ბევრი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცსა, რომელსაც ეგრე სიყვარულით გარს არტყია ხალხი, ი. ქ. II, 48,20

ნუ იზამთ იმისთანა უსამართლობას, რომელიც არც თქვენს ძველებს და არც ჩვენს ძველებს არ ჩაუდენიათ, ა. წ. 31,20

ხრიალით გამოსქდა წყალი ამ მთიდგან, რომელიც წარმოუთქმელის სიჩქარით გაემართა ქვევით, ხევისაკენ, ყაზ. I, 273,1

ადამიანის წარმოდგენებში არის ისეთი შინაარსი, რომელიც დამოუკიდებელია სუბიექტისაგან, კ. ბაქრ. 69,2

მიმართებითი ნაცვალსახელი მხოლოდითშია მაშინაც, თუ მისამართ სიტყვებად გვაქვს კრებითი სახელები — ხალხი, საზოგადოე-

¹ ზოგჯერ მისამართი სიტყვის ნაცვლად შეიძლება გვეკონდეს მისამართი ოდენობა (ეს თანხმონებია -8 და -5, რომელთაც ამის გამო ცხვირისმიერი... ბგერები ეწოდება, ა. შან. 16,21).

ბა, ბრიგადა, ჯგუფი, კრება, კადრი, დასი, ამაღა, კოლექტივი-
თაობა, გლეხობა, საქონელი, სოფელი...

გაინმაურა ხალხმა, რომელიც წუთის წინათ ისე თავხედად
დასცინოდა პეტრესა, ი. კ. II, 50,18

პასტერის სულის მშვენიერებას სრულიად მოუხიბლავს მთელი
კრება, რომლის ნამდვილ კერპად გამხდარა, გოგ. II, 41,20

ჩამოცივიდა მთელი სოფელი, რომელმაც ცოცხალ-მკვდარი
ციცკა ხელიდან გაავდებინა გამხეცებულს სალდათებს, ყაზ. I, 5,21

მაულის ფაბრიკის კოლექტივმა, რომელმაც... შეასრულა მეხუთე
ხუთწლიანი გეგმა, მიაღწია შრომის ნაყოფიერების მკვეთრ ზრდას,
კომ. 232,1...

შენიშვნა: თუ კრებითი სახელის მრავლობითობა მორფოლო-
გიურად არის გამოხატული, მიმართებითი ნაცვალსახელი მას
მრავლობითში უთანხმდება:

ამით ის თავის ხალის გვერდში უყენებს იმ კულტურულ ხალ-
ხებს, რომელთაც საწყისი იაფეტიისაგან მოჰქონდათ, კ. კეკ. 138,8

ბ) მ რ ა ე ლ ო ბ ი თ შ ი :

ასხამდნენ წყალს პირდაღებულს, დასიცხულ კამეჩებსა, რო-
მელნიც გუბეში ეყარნენ, ი. კ. II, 224,14

ამ ექიმს დიდხანს ჰქონია პრაქტიკა იტალიის იმ მხარეებში,
რომელნიც მდიდარნი არიან ქაობებით, გოგ. II, 42,12

ის აღამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლა-
პარაკობენ, ვაჟა, 338 ა, 30

საქართველოს ისტორიაში ცნობილი არიან ეგრეთ წოდებული
ასურელი მამები, რომელნიც ჩვენში მოსულან მეექვსე საუკუნეში,
კ. კეკ. 117,18

მიმართებითი ნაცვალსახელი მრავლობითშია მაშინაც, როდესაც

1) ი გ ი მ ი ე მ ა რ თ ე ბ ა მ ხ ო ლ ო ბ ი თ რ ი ც ხ ვ შ ი და ს მ უ ლ
ე რ თ ე მ ე ტ სა ხ ე ლ ს :

საკმარისია მიეუთითოთ... იოსელიანზე, ცაგარელზე, ფურცე-
ლაძეზე, ბაქრაძეზე, რომლებიც გარდა აღმინისტრაციული საქ-
მიანობისა, ცნობილი არიან თავიანთი შრომებით, გოგებ. II, 157,29

ბეხიამ და სიმონმა, რომლებსაც ბავშვობიდანვე შეწყობილი
ჰქონდათ ერთმანეთთან ხმა, საამოდ შემოსძახეს... სიმღერა,
ე. ნინოშ. 47,8

სხებმა მოუთხარეს საფლავი მარტიახ და გიორგის, რომელთაც
ერთად უპირებდნენ დასაფლავებას, ყაზ. I, 39,36

ამგვარივე საქმე მოუვიდოდა პელოსაც და კატულიახაც, რო-
მელნიც მაძიდასას მიდიოდნენ, კლდ. I, 344,11

2) იგი მიემართება სახელს, რომელსაც მსახ-
ღვრელად ახლავს ერთზე მეტი რიცხვის აღმნიშვნე-
ლი რიცხვითი სახელი (ან ზედსართავი სახელი):

ნათურის შუქი აჩენს მხოლოდ ორ აღამიანს, რომელნიც მოა-
ჯიროს მოსდგომიან, ნ. ლორთქ. I, 277,26

გაჩერდა ტროიკა, შებმული სამი ჩერკეზულის ცხენით, რომელ-
თაც კობტად გვერდზედ ეპირათ თავები, ყაზ. I, 195,6

ეს იყო თორმეტი წყვილი კუნთებმაგარი, ბანჯგვლიანი ფეხი,
რომლებიც თანაბრად, რიგრიგობით სრიალებდნენ წვენსავე
ყურძნის მტეენებში, მრეელ. 70,24

ქართული სიტყვების დასაწერად დღევანდელ სალიტერატურო
ენაში სულ 33 ნიშანი იხმარება, რომელთაც დაბეჭდილ ნაწარმო-
ებებშიც კი სხვადასხვა სახე აქვთ, ა. შან. 7,11

მანვე მოაქცია რიფსიმე და მისი 50 თანამოღვაწე ახული, რომ-
ელთა ძელებზე შემდეგ აღმოცენდა სომხების ქრისტიანობა, კ. კეკ. 100,19

(რომელიმე თაობა) იძენს აზრისა და გრძნობის ნაყოფს ათახთა
წინანდელთა თაობათა, რომელნიც დიდი ხანია მიწად არიან
ნაქცევნი, გოგ. II, 212,2

წესებრივი ბრუნების მქონე თავისთავადი სახელები ხამგვარ
ყალიბს გვიჩვენებს, რომელთაც ტიპებს ვეძახით, ა. შან. 51,4

3) იგი მიემართება სახელს, რომელსაც მსახ-
ღვრელად ახლავს განუსაზღვრელ სიმრავლეზე
მიმთითებელი სიტყვები: არა ერთი (და ორი), რამდენი-
მე, მრავალი, უმრავლესობა, (მთელი) რიგი...

მის თხზულებაში დასახელებულია არა ერთი და ორი იხეთი
ნაწარმოები, რომელთაგან ზოგი დღესაც არსებობს, კ. კეკ. 154,30
რამდენიმე კაცს, რომლებიც დარჩენილიყვნენ გაგის ამალიდ-
გან, დაენახათ გაპარულები, ყაზ. I, 37,13

ასეთია მრავალი გეოგრაფიული სახელი, რომელთაც ბოლოში
-ის მოუღიოთ, ა. შან. 115,5

ორატორთა უმრავლესობამ, რომლებიც კონფერენციაზე გამო-
ვიდნენ, მხარი დაუჭირეს ამ საკითხს, კომ. 207,4

მოიპოვება რიგი გეოგრაფიული სახელებისა, რომელთაც
საფუძვლად უძევთ ამა თუ იმ საგნის სახელი, ა. შან. 138,1

გაჩნდა მთელი რიგი მწერლებისა, რომელნიც ღრმად ჩასწვდნენ
გულში თანამედროვეობას, კ. კეკ. 34,6

მკვიდრი არა ჩანს მიმართებითი ნაცვალსახელის მისამართ
სიტყვასთან დამოკიდებულება რიცხვში შეთანხმების თვალსაზრი-

სით, როდესაც მისამართ სიტყვას განსაზღვრებად ახლავს „ყოველი“.

ეგრეთ ჯოჯოხეთში არის ხოლმე ყოველი რედაქტორი, რომლის ჟურნალსაც საკუთარი კაპიტალი... არა აქვს, ი. კ. III, 16,8, მაგრამ:

ყოველი მისი წინანდელი პატივისმცემელი, რომელთაც სრული უფლება მიეცემათ..., ისე მოგეყრან.. კლდ. I, 92,26

მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის რიცხვში შეთანხმების აღნიშნული წესები არაიშვიათად ირღვევა, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის მწერალთა ენაში:

იგი შეებრძოლა ჩვენს საბუთებსა, რომლითაც ჩვენ ვამტკიცებთ მოქმედებითის ბრუნვის არსებობას, გოგ. II, 111,5

ზვავები, რომელიც განუწყვეტლივ ჩამოდის იმ ადგილებში..., საკმაოდ აღარიბებს ხალხსა, ყაზ. I, 1,3

აქა-იქ შეხვდნენ მონადირეები თოვლში ამოთხრილ ორმოებს, რომელშიაც ირმები იყვნენ, ნ. ლორთქ. I, 117,37

არსენის მიერ გამოყენებული წყარო შეიცავდა ცნობებს იმ პოლიტიკური ცვლილებების შესახებ ქართლში, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-9 საუკუნის უკანასკნელ ათეულში, კ. კეკ. 119,12

აშკარად გაარჩია ყაზახის ჯარი, რომელთაც წინ მოუძღოდა რამდენიმე აფიცერი, ყაზ. I, 322,12 (მაგრამ იქვე: იმან ისევ ჯარს გახედა, რომელიც... სრულიად უშიშრად მოდიოდა, 322,22)

ისინი ამ მიზნის მისაღწევად უმეგობრდებოდნენ გურიის იმდროინდელ თავადაზნაურობას, რომლებშიაც უმეტესი ნაწილი იმათი ახლო ნათესავი იყო, ე. ნინოშე. 13,19

მოთხრობაში მოიპოვება არა ერთი ღირსება, რომელიც ძვირფასს ნაწარმოებად ჰხდის ავტორის ნაწერსა, გოგ. II, 29,17

როდესაც მისამართ სიტყვას მსაზღვრელად ახლავს ჩვენებითი ნაცვალსახელი, მიმღეობა ან ზედსართავი, მისამართი სიტყვა (არსებითი სახელი) შეიძლება გამოტოვებულ იქნეს, მაშინ რიცხვის ნიშანს იღებს მსაზღვრელი:

ერიენენ ისეთნიც, რომლებსაც არ გაეგებოდათ, რისთვის... გამოსულიყვნენ, ე. ნინოშე. I, 79,1

მორწმუნეთა შორის იმთავითვე აღმოჩენილან ისეთები, რომელთაც მოუსურვებიათ ფარდის ახდა ამ საიდუმლოებით მოცული პერიოდისათვის, კ. კეკ. 59,22

ქართულში სახელები ყველა იბრუნვის, ისეთებიც კი, რომლებიც ნასესხებია ბრუნვის უქონელი ენებისაგან, ა. შან. 44,36

ამ კრებას წამდაუწუმ ემატებოდნენ ახალ-ახალი მოსულები, რომელთაც იქ მყოფთაგანი რამდენიმე კაცი ჩუმად წინ მიეგებებოდა, ყაზ. 1, 96,27

მოკლულების ალაც იმ წამსვე იქერდნენ ცოცხლები, რომლებსაც დადიანი, ჯაიანი და ხუთიოდე სხვა თავადი მათრახით ერეკებოდნენ, ე. ნინოშე. 89,9

მისამართ სიტყვას, რომელსაც შეიძლება -გან თანდებული დაერთოს, ჩვეულებრივ ემატება ხოლმე მსაზღვრელად სიტყვები „ერთი“ || „ერთ-ერთი“... ამით დართვით და უამათოდაც -გან თანდებულიანი სიტყვა „გამორჩევითობის“ შინაარსს იძენს:

ბოლოს ერთმა სტუმართაგანმა, რომელიც უფრო ყმაწვილი იყო, გადაიწია ჩოხის კალთა, ყაზ. 1, 175,16

მხოლოდ ერთ იმათგანს, რომელიც უფრო მოზრდილი იყო, გაუფარდა ძირს... ა. წ. 19,11

ვერც ერთი იმ ნაკლთაგანი, რომელიც ახასიათებს ნინოს ცხოვრების... შატბერდისეულს რედაქციას, ლეონტის თავიდან ვერ აუცილებია, კ. კეკ. 102,35

ეს მოვლენა ყურადღებას იმით იქცევს, რომ მისამართი სიტყვა ყოველთვის მრავლობითშია, მიმართებითი ნაცვალსახელი კი შეიძლება იყოს მხოლოდითშიც (იხ. ზემოთ) და მრავლობითშიც:

„კაკანათი“ არის ერთი იმ ამბავთაგანი, რომელნიც ავტორსა სურს მოგვითხროს, გოგ. II, 14,5

ეს ეკლესია იდგა ერთ იმ გორთაგანზე, რომლებითაც ისე მოუსწმასწორებელია გურიის არემარე, ე. ნინოშე. 8,23

თვითეულ მარცვალში შედის აუცილებლად ერთ-ერთი იმ ზგერათაგანი, რომლებიც ხმოვანთა სახელით არის ცნობილი, ა. შან. 21,1

იოანე პეტრიწი ერთი იმ პირთაგანია, რომელნიც XI — XII სს. ცდილობდნენ ქართულ ნიადაგზე გადმოენერგათ ბიზანტიური ფილოსოფიის მიღწევანი, კ. კეკ. 176,42

აქ დარღვევასთან არ უნდა გვქონდეს საქმე. ორივენაირი შეთანხმება დასაშვები ჩანს. საქმე ისაა, რომ, მართალია, მისამართი სიტყვის მრავლობითობა სათანადო სუფიქსით არის გადმოცემული, მაგრამ -გან თანდებული, რომელიც მისამართ სიტყვას ერთვის, სიმრავლიდან ერთის გამოცალკეევებას გულისხმობს. აქედან მომდინარეობს რიცხვში ორივენაირი შეთანხმების შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, გადმოსაცემი შინაარსის მოთხოვნილების შესაბამისად.

როდესაც, გამოსახატავი შინაარსის შესაბამისად, დამოკიდებული წინადადებით ისაზღვრება „გამოცალკეეებული ერთი“, მაშინ

დამოკიდებული წინადადება ჩართულია მთავარში და მიმართებითი ნაცვალსახელი მაოლობით რიცხვშია; ხოლო, როდესაც დამოკიდებული წინადადებით ისაზღვრება მრავლობითი რიცხვის მისამართი სიტყვა, მაშინ დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს და მიმართებითი ნაცვალსახელიც მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოვიდგება.

-გან თანდებული შეიძლება დაერთოს მიმართებით ნაცვალსახელსაც იმავე „გამოცალკევებული“ ერთის აღსანიშნავად. ამ შემთხვევაში, ცხადია, მისამართი სიტყვით ერთზე მეტი საგანი იქნება აღნიშნული:

ამ სიტყვებზე შემოვიდა ორი დეკანოზი, რომელთაგანაც ერთს ექირა ხელში მერდინის დროშა, ყაზ. I, 67,12

ამით სარგებლობენ სპარსეთი და ოსმალეთი, რომელთაგან პირველი აღმოსავლეთ საქართველოს აქცევს თავისი პოლიტიკური გავლენის სფეროში, ხოლო მეორე — დასავლეთ საქართველოს, ქ. კეკ. 32,13

ამგვარად მივიღეთ ორგვარი ფორმა, რომელთაგანაც ერთი არაფრით განსხვავდება ფუძისაგან, ა. შან. 60,33

რედუქცია, მამასადაძე, ქართულში ეხება სამ ხმოვანს: ა-ს, ე-ს და ო-ს, რომელთაგანაც მხოლოდ უკანასკნელი ტოვებს კვალს, ა. შან. 26,31

როდესაც მისამართი სიტყვა ხასიათდება არა ერთი ნიშნის მიხედვით, დამოკიდებული წინადადება შეიძლება იყოს ერთზე მეტი და თითოეული მათგანი მთავართან დაკავშირებული იყოს რომელ ნაცვალსახელით:

შენ ხარ ხელის შემწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დამფრთხალს გონებასა უბედურობას ბედნიერებად აჩვენებს ხოლმე, ი. ქ. II, 23,5

(ლოგიკა) სწავლობს დასკვნებს, რომელთა საშუალებით უკვე არსებული ცოდნიდან ჩვენ მივდივართ ახალი ცოდნისაკენ და რომლებიც წარმოადგენენ ახალი დებულებების დასაბუთების საშუალებას, ქ. ბაქრ. 46,14

ის გამოწვეული უნდა ყოფილიყო ქრისტიანთა წინააღმდეგ იმ დევნულობით, რომელიც მოგვებმა ასტეხეს სპარსეთში... და რომლის შედეგად ქრისტიანები მიმოზნეულან და თავი სხვადასხვა ქვეყანაში შეუფარებიათ, ქ. კეკ. 79,29

როგორც ჩანს, ორი დამოკიდებული წინადადება ერთმანეთისაგან გათიშულია და კავშირით, მაგრამ ეს კავშირი აუცილებელი არ ჩანს:

... საქმე უნდა ჰქონოდათ მამულის მოსიყვარულე გმირებთან, რომელთაც თავი გამოეჩინათ ვაჟკაცობით და სიგულადით, რომელნიც ისე აფასებდნენ თავისუფლებას, ყაზ. I, 307,28

სოლომანს საშინლად გული მოსდიოდა იმ კუდაბზიკა აზნაურებზე, რომლებსაც არაფერი გააჩნიათ და მაინც თავის გვარონებას და წინანდელ ამყობას არ ივიწყებენ, რომლებთანაც ამის გამო აღამიანი ვერავეითარ საბეჯითო საქმეს ვერ დაიკავებ, კლდ. I, 64,1

მსგავს შემთხვევებში, ერთი შეხედვით, შესაძლებელია მისამართი სიტყვა ძნელი მოსაძებნი ვახდეს, "შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნეს, თითქოს მიმართებითი ნაცვალსახელი წინამავალი დამოკიდებული წინადადების რომელიმე სიტყვას მიემართებოდ და ამიტომ ბუნდოვანი გაიდეს შინაარსი, რომელიც მთლიანად ქვეწყობილი წინადადებით გადმოიცემა, მაგრამ აღრევის თავიდან ასაცილებლად ენა სხვადასხვა საშუალებებს მიმართავს:

დაწოკიდებული წინადადების შემასმენელი წინადადების ბოლოს ექცევა და კონსტრუქციას ხშავს. თუ ეს არ ხდება და შემასმენელს მოსდევს სხვა სიტყვა, რომელიც შეიძლება მისამართ სიტყვად იგულისხმებოდეს მომდევნო მიმართებითი ნაცვალსახელისათვის, მაშინ განსხვავებას გვაძლევს რიცხვი მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელისა. წინადადების წაკითხვისას სიტყვის გაძლიერებული მახვილი მიმართებით ნაცვალსახელს მოუდის. თუ დამოკიდებული წინადადება რამდენიმეა, მისამართი სიტყვა შეიძლება მეორედ მოდეს თითოეული დამოკიდებული წინადადებისათვის:

უნო ენად ენახეთ ჩვენი საყვარელი ენა, ის ენა, რომელზედაც დაილილინა ჩვენმა უკვდავმა რუსთაველმა... ის ენა, რომელზედაც დაიგალობა თავისი ლეთიური სიმღერები თავად ალექსანდრე ჭავჭავაძემ... ი. ჭ. III, 15,12

ასეც უნდა ყოფილიყო იმ ხალხში, რომელიც დედის ძუძუსთან ერთად შესწოდდნენ და ჩაინერგავდნენ ამსანაგის მოლალატის ზიზლსა და სიძულვილს, იმ ხალხში, რომელთაც ზღაპარი თუ ლექსი ამ საგანზე ტრიალებდა, ყაზ. I, 104,35

მისამართი სიტყვა, როდესაც დამოკიდებული წინადადება ერთზე მეტია, შესაძლებელია ჰქონდეს თითოეულ მიმართებით ნაცვალსახელს ცალ-ცალკე:

გლახა იყო ხევში ერთი შეძლებული გვარის შვილი, რომელიც მოეხარა ახალ წყობილებას და იმ ძალახ, რომელიც ისე უღმერთოთ ამსხვრედა ხალხის ჩვეულებას, ყაზ. I, 170,21

ხმოვნებით დაწყებულ სუფიქსებს შორის გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ორი: -ი, რომელიც სახელობითი ბრუნვის ნიშანია, და -ო, რომელიც წოდებითში დაერთვის სიტყვას, ა. შან. 27,23

თუ მთავარ წინადადებაში რამდენიმე ერთნაირი წევრია და მიმართებითი ნაცვალსახელი ერთ რომელიმე მათგანს მიემართება, მაშინ ეს მისამართი სიტყვა მიმართებითი ნაცვალსახელის უშუალო მეზობლობაში უნდა იყოს:

მამულის-შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გული-თაცა, რომლისათვისაც დუმილიც გასაგონია, ი. ქ. II, 12,23

შეგრძნებები, აღქმები და აზროვნება, რომელიც პირველთა ნიადაგზე წარმოიშვა... დაკავშირდნენ ერთმანეთთან, კ. ბაქრ. 91,34
ამას ძალიან ცხადად ამტკიცებენ კნ. ბ. ჯორჯაძის ლექსები და მისი სტაფია, რომელზედაც ჩვენ უნდა... ვილაპარაკოთ, ი. ქ. III, 31,4

მისამართი სიტყვის მიმართებით ნაცვალსახელთან უშუალო მეზობლობაში უქონლობა შედარებით უბტკივნეულოა, როდესაც მისამართ სიტყვასთან რიცხვში შეთანხმება გვაქვს:

ჩემი სიტყვები მოუყვანია კნ. ჯორჯაძისას, რომელთაც ძალიან დაუჩაგრავთ, ი. ქ. III, 36,6

ეს ჩანს ავტორის სიტყვებიდან, რომელიც ევსტათის თანაპრობილ ქრისტიანთა შესახებ შენიშნავს, კ. კეკ. 80,24

მისამართი სიტყვის როლისა და ადგილის გაუთვალისწინებლობა შეიძლება მიხეზი ვახდეს აზრის სწორად გაუგებლობისა:

ქართულ ენაზე შენახულია ცნობები ზოგიერთ ბიზანტიელ მწერალთა შესახებ, რომელნიც ავსებენ და სულ ახალ ასპექტში ამუქებენ ამ მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებას, კ. კეკ. 29,10

რომელ სიტყვას მიემართება დამოკიდებული წინადადება: „ცნობებს“ თუ „მწერალთა“? აზრის მიიღვით, ის მიემართება სიტყვას „ცნობები“. ასეთი კითხვა არ დაისმოდა, თუ წევრთა ადგილი მთავარში სხვაგვარი იქნებოდა.

ასევე აზრი გასაგებია, თუმცა წყობა გაუმართავია შემდეგ წინადადებებში:

თამადა განმეორებით სვამს მასპინძლის სადღეგრძელოს, რომელიც სახლში არ ბრძანდება, ნ. ლორთქ. I, 278,8

ამ სიტყვებს დაუმატა ქალის ქება, რომელიც ტანადობით ისარს დამსგავსებოდა, ყაზ. I, 13,12

წარმოიდგინეთ ქალის მდგომარეობა, რომელსაც გული სევდითა და ვარმით ვაესებოდა, ყაზ. I, 41,7

ეს მოჰხდა ერთის აზნაურიშვილის სახლში, რომელმაც ჯვარი დაიწერა, ი. ქ. II, 168,1...

რომელ მიმართებითი ნაცვალსახელის შემცველი დამოკიდებული წინადადების ადგილი მთავარი წინადადების მიმართ საერთოდ თავისუფალია. შედარებით იშვიათად გვხვდება დამოკიდებული

წინადადება მთავარი წინადადების წინ. როგორც მიმართებითი ნაცვალსახელი დამოკიდებული წინადადების თავშია.

ბ) რაოდენი, რავდენი, რამდენი

რაოდენ მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნება ძველ ქართულში ასეთ სურათს გვაძლევს:

წრფელობითი: ხოლო იგი წინააღუდგა და, რაოდენ შესაძლებელ იყო მისგან, აბრკოლებდა. ცხრ. 33,4

იწყობა ქადაგებად ათქალაქთა მათ, რაოდენ-რაჲ იყო იესუ, მრკ. 5,20

და ესოდენ არნ სიმძაფრე დინებისა მისისაჲ, რაოდენცა არნ სიმძიმე მისი, ექუსთ. 42,15

არლარა არს საქმარ სიბრძნის-მეტყუელებაჲ წე მძღაერთაჲსა, რაოდენცა-იგი ძალ-გედვას ძლევად მათდა, კიმ. 1, 54,27

სახელობითი: ყოველივე კაცი და საცხოვარი, რაოდენი იპოოს ველსა ზედა..., დაეცეს მას ზედა სეტყუაჲ, გამოსლვ. 9,19 და თუნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი-რაჲ იქმნა, ი. 1,3 აუყუევს მას, რაოდენიცა უნდა, მრკ. 9,13 C

არაჲ დაოკრევეს მათ თანა ყდვე, რაოდენიცა-რაჲ ლთის-მოყოზარეთა კაცთა მიეცა, კიმ. I, 93,36

მიცემითი: და ყოველსა რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა..., გეყოს თქუნენ, მ. 21,22

ყო მე ყოველივე, რაოდენსაცა გეტყოდე შენ, დაბ. 28,15
ყოველსავე უჩუენებს მას, რაოდენსაცა-იგი იქმს, ი. 5,20

მრავლობითი რიცხვი

სახელობითი: და რაოდენნი შეეხებოდეს, ცხოვნიდებოდეს, მრკ. 6,56

შეკრიბნა მამანი, რაოდენნიცა იყვნეს უდაბნოს, კიმ. I, 51,14
რაოდენნიცა-რაჲ არიან სიტყურნი ბუნებანი სახელდებულნი, გინა უსახელონი, და სულნი იგი მსახურნი, არა იყვნეს ესე ბნელსა შინა, ექუსთ. 21,22

მოთხოვითი: და რაოდენთა შეახეს, ცხოვნიდეს, მ. 14,36
ხოლო რაოდენთა-იგი შეიწყნარეს, მოჰსცა მათ კელმწიფებაჲ შეილ ღმრთის ყოფად, ი. 1,12

მიცემითი: და რაოდენთა აქუნდა საღმობაჲ და შეეხნეს, განიკურნებოდეს, მრკ. 3,10

რაოდენი-ს ფონეტიკურ სახეცვლილებას წარმოადგენს რავდენი (ო→ფ), რომელიც აგრეთვე მიმართებით ნაცვალსახელად გვხვდება: რამეთუ მცირედ იყენეს, რავდენ იყენეს ჩემ წინაშე, დაბ. 30,30 და შეკრიბა იოსებ ყოველი ვეცხლი, რავდენი იპოვა ქუეყანასა ეგპტისასა, დაბ. 47,14

რავდენსა-იგი მამაჲ იქმს, მას ძმ ეგრევე მსგავსად იქმს, ი. 5,19 სამხრად რავდენნიცა ხუცესნი იყენენ, თჳს-თჳსად ჟამი უწირონ, ალაბ. 217,4

ერი იგი, რავდენთა კამეს, იყენეს ვითარ ხუთ ათას, ევსტ. 171,17 და ა. შ.

რაოდენი-ს აგრეთვე ფონეტიკური სახეცვლილების შედეგად არის მიღებული რავოდენი, რომელიც ერთ ძეგლში დასტურდება: რავოდენნიცა, ექუსთ. 27,27; რავოდენგზისცა, ექუსთ. 25,21

საერთოდ მოულოდნელი არ არის რაჲოდენ ფორმა, რომელიც სისტემურად გვხვდება ამ სახით სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში (კ. კეკელიძის გამოცემით) 172,23; 158,21; 167,19; 167,32... მაგრამ თითოეული ამათგანი შეცვლილია რაოდენ-ად ი. იმნაიშვილის გამოცემაში (ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია).

რაოდენ მიმართებითი ნაცვალსახელი ძირითადად დამოკიდებული წინადადების შემასმენლისაგან არის მართული ბრუნვაში:

რაოდენი-რაჲ იყოს მას შიდა, არაწმიდა არს იგი, ლევიტ. 11,33 ყოველსავე უჩუენებს მას, რაოდენსაცა-იგი იქმს, ი. 5,20

როდესაც რაოდენი სხვა სიტყვის მსაზღვრელია, იგი საზღვრულს უთანხმდება ბრუნვასა და რიცხვში:

რაოდენი ძალი იყო გონებასა ჩუენსა..., ეგოდენ შეუძლეთ გან-შუენებაჲ აპოლონისი, კიმ. II, 151,6

სამხრად რავდენნიცა ხუცესნი იყენენ, თჳს-თჳსად ჟამი უწირონ, ალაბ. 217,4

იშვიათად რაოდენი საზღვრული სიტყვისაგან არის მართული ბრუნვაში:

ეთქუთ უკუე გუშინ, რაოდენისა თქუმაღ შეგვიდლო ჩუენ ჟამმან მან მწუხროსამან, ექუსთ. 92,35

გვხვდება რაოდენი წრფელობითი ბრუნვის ფორმითაც (რაოდენ)¹, მაგრამ ასეთ შემთხვევებში მას ზმნიზედური მნიშვნელობა

¹ ერთი მაგალითი შეგვხვდა, სადაც რაოდენი დროის ზმნიზედის მსაზღვრელია და ისევეა წრფელობით ბრუნვაში, როგორც მის მიერ საზღვრული სიტყვა:

რაოდენ ჟამ სიძმ იგი მათ თანა-ლა იყოს, ვერ შემძლებელ არიან მარხვად, მრკ. 2,19 C

უფრო აქვს („რამდენადაც“) და ამდენად მისი ბრუნვაში მართვის საკითხი აქ არც დაისმის:

და რავდენ იგინი დაამდაბლებდეს, ეგოდენ ესენი უფროდს გან-
ძლიერდებოდეს, გამოსლვ. 1,12

მიუხედავად ამისა, გვაქვს შემთხვევები, როდესაც რაოდენ-ის წრფელობითბრუნვიანი ფორმები სახელობითის ფარდად არის ნახ-
მარი:

... რამეთუ მცირედ იყენეს, რავდენ იყენეს ჩემ წინაშე, დაბ. 30,30

მოსალოდნელი იყო, რომ რაოდენ მიმართებით ნაცვალსახელს მისამართ სიტყვებად ძირითადად არსებითი სახელები ექნებოდა, მაგრამ ხშირად მისამართ სიტყვებად სწორედ ნაცვალსახელები გვხვდება. ასეთ შემთხვევებში მიმართებითი ნაცვალსახელი დამო-
კიდებული წინადადების ქვემდებარე ან დამატებაა (სხვა სახელის მსაზღვრელი არ არის) და რიცხვში მისამართ სიტყვას უთანხმდება:

რავდენსა-იგი მაჰაჲ იქმს, მას ძმ ეგრევე მსგავსად იქმს, ი. 5,19
ხოლო რაოდენთა იგი შეიწყნარეს, მოასცა მათ ქელმწიფებაჲ,
ი. 1,12

მისამართ სიტყვად ხშირად თავს იჩენს „ყოველი“ (=ყველა-
ფერი), რომელსაც რაოდენი მხოლოდით რიცხვში უთანხმდება:

ყოველივე მის მიერ შეიქმნა, რაოდენი-რაჲ იქმნა, პაბო, 61,26
მისამართ სიტყვად არსებითი სახელი რაოდენ || რავდენ მიმარ-
თებით ნაცვალსახელს რიცხვში ითანხმებს:

და შეკრიბა იოსებ ყოველი ვეცხლი, რავდენი იბოვა ქუეყანასა
ეგპტისასა, დაბ. 47,14

შეკრიბნა მამანი, რაოდენნიცა იყენეს უდაბნოს, კიმ. I, 51,14

როდესაც რაოდენი სხვა სახელის მსაზღვრელია, იგი საზღვ-
რულთან არის რიცხვში შეთანხმებული, მაგრამ როგორც ერთის,
ისე მეორის რიცხვი მისამართი სიტყვისაა:

რაოდენნიცა ხუცესნი იბოვნენ, ყოველნივე დაუკლებელად
მისთჳს შეიმოსნენ, ალაპ. 262,27

და რავოდენნიცა განსაცდელნი არიან უცალოებისა მოქმედნი,
ყოველნივე უფალმან გარეწარაჲჳდნეს, ექუს. 27,27.

უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ შემთხვევებში მისამართი სიტყვა
(ყოველნი) თავის მხრივ სხვა, ნაგულისხმევი სახელის მსაზღვრელია,
სახელისა, რომელიც ამ კონტექსტში მიმართებითი ნაცვალსახელის
მომდევნოდ არის გადანაცვლებული (ზღრ.: დაუკლებელად მისთჳს
შეიმოსნენ ყოველნი ხუცესნი, რაოდენნიცა იბოვნენ...) მისამართი
სიტყვის მსაზღვრელი ნაცვალსახელი კი მისამართი სიტყვის ნაც-
ვლობას ეწევა.

თუ მისამართი სიტყვა კრებითი სახელია, მიმართებითი ნაცვალ-სახელი მას მრავლობითში უთანხმდება:

ერი იგი, რავდენთა ქამეს, იყენეს ვითარ ხუთ ათას, ვესტ. 171,17

მიმართებითი ნაცვალსახელი მისამართ სიტყვასთან არ არის რიცხვში შეთანხმებული, როდესაც იგი წრფელობითი ბრუნვის ფორმით გვხვდება:

ესე არიან წელნი ღღეთა აბრაჰამისთანი, რავდენ ცხონდა, დაბ. 25,7

რამეთუ მცირედ იყვნეს, რავდენ იყვნეს ჩემ წინაშე, დაბ. 30,30
ზოგჯერ მიმართებითი ნაცვალსახელი სახელობითშია, მაგრამ მისამართ სიტყვას, რომელიც მრავლობით რიცხვშია, არ უთანხმდება. შესაბამისად დამოკიდებული წინადადების შემასმენელიც მხოლოდითშია¹:

და განუკრდა იოთორს ყოველთა მათ კეთილთა ზედა, რავდენი უყო მათ უფალმან, გამოსლვ. 18,9

კურქერი მათნი და ცოლნი მათნი წარმოტყუენეს, რავდენი იყო ქალაქსა შინა, დაბ. 34,29

გვხვდება მაგალითები, რომელთა მიხედვით რაოდენ-ის მიმართებითობაზე ლაპარაკი არ შეიძლება, რადგან მისამართი სიტყვა მიმართებით ნაცვალსახელს არ მოეპოვება და, ცხადია, არც რიცხვი შეიძლება იყოს მისამართი სიტყვისა:

რაოდენი შეემთხვა მას, არარაჲ ცოდა ბაგითა თჳსითა იობ წინაშე უფლისა, იობ. 2,10

და რაოდენი-რაჲ უყვეს მას, ვერ შეუძლეს ნეტარსა მას დაქსნად. მისა და დაყენებად მათ თანა, კიმ. II, 145,32

რაოდენ || რავდენ მიმართებითი ნაცვალსახელის შემცველი დამოკიდებული წინადადება აგრეთვე შეიძლება შეგვხვდეს როგორც მთავარი წინადადების მომდევნოდ, ისე მის წინ, ან—მასში ჩართული.

შეკრიბნა მამანი, რაოდენნიცა იყვნეს უდაბნოს, კიმ. I, 51,14

ყო მე ყოველივე, რაოდენსაცა გეტყოდე შენ, დაბ. 28,15

რაოდენი გუესმა საქმშ შენი კაფარნაუმს, ქმენ აქაცა, ლ. 4,23

რაოდენნიცა ხუცესნი იპოვნენ, ყოველნივე დაუკლებელად მისთჳს. შემომოსნენ, ალაპ. 262,27

¹ შდრ. ეს ვითარება რომელ ნაცვალსახელისა:

სადა არიან კაცი იგი, რომელ შემოვიდეს შენდა ღამე, დაბ. 19,5; მიუხედავად იმისა, რომ მიმართებითი ნაცვალსახელი წრფელობითშია და რიცხვის ნიშანი არ მოეპოვება, დამოკიდებული წინადადების შემასმენელი მაინც მრავლობითშია.

ვირები და ყოველი, რავდენი იყო ქალაქსა მას შინა და რავდენი-რაჲ იყო ველსა ზედა, წარმოიღეს, დაბ. 34,28

და იყვნეს, რაოდენთა-იგი კამეს, ვითარ ხუთ ათას მამაკაცი ხოლო, მრკ. 6,44

კითხვით წინადადებაში რაოდენ ნაცვალსახელი ჩვეულებრივად სხვა სიტყვის პრეპოზიციული მსაზღვრელია და მისი მნიშვნელობაა „რამდენი“ (πῶσος, *ჟაზი*):

რაოდენი პური გაქუს აქა? მ. 15,34

რაოდენი უამი არს, ვინაჲთგან ყოფილ არს ეგე მაგის თანა? მრკ. 9,21

ეგევე მნიშვნელობა აქეს მას მიმართებითად ხმარებისასაც, როდესაც მისამართ სიტყვად ლექსიკური ერთეულებია:

ალავსენით ძაძანი მაგათ კაცთანი საზრდელითა, რავდენ ძალედვას წარლებად, დაბ. 44,1

Πλήσαστε τὸν μαρτύριον τὸν ἀνθρώπων βραχάτων ὅσα ἐξὺν ἔσονται.

ღესჲ ეჲამანსა არიანუნს ღსერაკრიქ ირჯაჲს ს კარჩხუნს რაინსაქ¹.

ჭურჭერი მათნი და ცოლნი მათნი წარმოტყუენნეს, რავდენი იყო ქალაქსა შინა, და რავდენი იყო სახლებსა შინა, იავარ-ყვეს, დაბ. 34,29

შეკრიბნა მამანი, რაოდენნიცა იყვნეს უდაბნოს, კიმ I, 51,14
სასაზღვრ სიტყვებად მთავარ წინადადებაში ლექსიკური ერთეულებია: საზრდელითა, ჭურჭერი, ცოლნი, მამანი...

სშირად მისამართ სიტყვებს საკუთარი მსაზღვრელი აქვთ— ყოველი:

და წარიღეს ნაყოფი მათი და ყოველი მონაგები მათი, რაოდენი რაჲ მოეგო ქანაანისა ქუეყანასა, დაბ. 46,6

და შეკრიბა იოსებ ყოველი ვეცხლი, რავდენი იპოვა ქუეყანასა ეგვიპტისასა, დაბ. 47,14

ყოველივე კაცი და ხაცხოვარი, რაოდენი იპოოს ველსა ზედა და არა შევიდეს სახლსა, დაეცეს მას ზედა სეტყუაჲ, გამოსლვ. 9,19
ზოგჯერ მისამართი სიტყვა (ლექსიკური ერთეული) გამოტოვებულია და მის მაგივრობას ნაცვალსახელი (ყოველი) ეწევა:

ვეყო მე ყოველივე, რაოდენსაცა გეტყოდე შენ, დაბ. 28,15

ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი და ყოველივე მის მიერ შეიქმნა, რაოდენი-რაჲ იქმნა, ჰაბო, 61,26

¹ რაოდენ—მიმართებითი ნაცვალსახელის ბერძნულ-სომხურ შესატყვისებში დიდი სიჭრელეა, ამას სპეციალურად შესწავლა სჭირდება.

ყოველსავე უჩუენებს მას, რაოდენსაცა იგი იქმს, ი. 5,20
ზოგჯერ კი გამოტოვებულია ორივე—მისამართი სიტყვაც და
სასაზღვრო სიტყვაც:

უყვეს მას, რაოდენი უნდა, მრკ. 9,13

როდესაც. რაოდენ მიმართებითი ნაცვალსახელის შემცველი
დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების წინ არის გად-
მონაცვლებული, მას მისამართ სიტყვებად ლექსიკური ერთეულები
არ უჩანს:

რაოდენიცა ჰპოვნეთ, მოუწოდეთ ქორწილსა ამას, შ. 22,9

რაოდენნი შეეხებოდეს, ცხოვრებოდეს, მრკ. 6,56

რაოდენთა არა შეიწყნარეს, ჰგიან მასვე საცთურსა შინა, კიმ. I,
52,10

რაოდენთა აქუნდა საღმობაჲ და შეეხნეს, განიკურნებოდეს,
მრკ. 3,10

ასეთ შემთხვევებში რაოდენ მიმართებით ნაცვალსახელს რო-
მელ-ის (გინ-ის) შინაარსიც ეძლევა (=რამდენი ვინმეც):

და რაოდენთა შეახეს, ცხონ- და რომელთა შეახეს, ცხონ-
დეს, DE შდრ.: დეს, C

მ. 14,36

ხოლო რაოდენთა-იგი შეიწყ- ხოლო რომელთა შეიწყნარეს
ნარეს, მოჰსცა მათ კელმწიფებაჲ იგი, მისცა მათ კელმწიფებაჲ
შვილ ღმრთის ყოფად, DE ნაშობ ღმრთის ყოფად, C

ი. 1,12

და რაოდენთა არა შევიწყ- და რომელმან... არა შე-
ნარნენ თქუნ, DE გიწყნარნეს თქუნ, C

მრკ. 6,11

თუ მიმართებით ნაცვალსახელს დამოკიდებულ წინადადებაში
საზღვრული სახელი (ლექსიკური ერთეული) აქვს, მისი მნიშვნე-
ლობაა „რამდენი“:

რაოდენიცა ზუცენნი იპოვნენ, ყოველნივე დაუკლებელად მისთჳს
შეიმოსნენ, ალაპ. 262,67

ხან კი, როდესაც მთავარ წინადადებაში სასაზღვრ სიტყვებად
ლექსიკური ერთეულები არ მოიპოვება, რაოდენ მიმართებითი
ნაცვალსახელის მნიშვნელობაა: „რამდენი რამეც“ (რაც):

რაგდენი-რაჲ შეაცხოთ, შეაცხვეთ და რაგდენი-რაჲ შეაგბოთ,
შეაგბეთ, გამოსღვ. 16,23

რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგ ზ
მე მიყავთ, მ. 25,40

რაოდენი-რაჲ იყოს მას შიდა, არაწმიდა არს იგი, ლევიტ. 11,33
წარედ და, რაოდენი გაქუს, განყიდე, მრკ. 10,21

შდრ.: გუალე, რაჲცა გიც, განყიდე. C

რავდენსა იგი მამად იქმს, მას ძმ ეგრევე მსგავსად იქმს, ი. 5,19

შდრ.: რასაცა-იგი იქმს, მისა მსგავსადცა ძმ იქმს, C

აქაც: თუ მიმართებითი ნაცვალსახელის მომდევნოდ ლექსიკურმა ერთეულმა იჩინა თავი (საზღვრულად), ნაცვალსახელის მნიშვნელობა „შენადქნათაგან- იწმინდება“.

და რავოდენიცა განსაცდელნი არიან უცალოებისა მოკმედნი, ყოველნივე უფალმან გარეწარაჯადნეს, ექუს. 27,27

რაოდენიცა-რაჲ არიან სიტყვური ბუნებანი სახელდებულნი, გინა უსახელონი, და სულნი იგი მსახურნი, არა იყვნეს ესე ბნელსა შინა, ექუს. 21,22

რაოდენ ნაცვალსახელის მნიშვნელობა „თავის თავს“ (რამდენი) მაშინ უდრის, როდესაც ეს ნაცვალსახელი ლექსიკური ერთეულების მსაზღვრელია, კითხვით წინადადებაში იქნება ეს თუ მიმართებითად ხმარებისას. როდესაც ასეთი საზღვრული სიტყვები არ ჩანს, მიმართებითი ნაცვალსახელი შეთავსებულმნიშვნელობიანი ხდება: „რამდენი ვინმეც (რომელიც)“, „რამდენი რამეც (რაც)“.

რაოდენ ნაცვალსახელის შემცველი დამოკიდებული წინადადების ადგილი თითქოს იმავე ნიშნის მიხედვით წესრიგდება, როგორც რომელ მიმართებითნაცვალსახელიან ქვეწყობილ წინადადებაში შეიმჩნევა, მაგრამ ამ კანონზომიერების დარღვევას შემთხვევები აქ საკმაოდ ხშირად გვხვდება.

უკვე საშუალ ქართულში რაოდენი მიმართებით ნაცვალსახელად იშვიათია¹ (ვინაითგან ვჰსთქმნით ეგოდენ, რაოდენიცა შესაბამ ვჰგონეთ, სმრთლ. 124,22), უფრო ხშირად იჩენს თავს ამ ნაცვალსახელის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტები: რამდენი, რამთენი, რამთონი, რასთენი...

რამდენიც ძმანი არიან, იმდენი კომლი და კომლი უნდა შეაფარდონ, სმრთლ. 78,23

რამთენიც თითი დაუშავდეს, ყველასათვის ამა ანგარიშით გაუჩინეთ, სმრთლ. 63,14

რამთონიც ვაზი მოექრას, იმთონი აბაზისა მისცეს, სმრთლ. 96,24

მერმე რასთენიცა თითი არის, ყულაა შიგან გაიყოფვის, სმკრნ. 5,31

¹ ხმარობს მას ანტონ I თავის გრამატიკაში.

საშუალ ქართულში რამდენი და მისი ვარიანტები ჩვეულებრივ არსებითი სახელების მსაზღვრელებად გვხვდება, ამდენად ვითარება ძველ ქართულთან შედარებით უკვე მარტივდება და რამდენს-ს კორელატი სიტყვა უჩნდება—იმდენი.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრდა რამდენი:

იოსელიანიმა მიიღო სწორედ იმდენი თეთრი, რამდენიც ქართველი იყო, და კუეშინსკიმ იმდენი, რამდენიც რუსებიანო, გოგ. II, 303,32

ამ სიყვარულს იმდენივე მნიშვნელობა აქვს მისთვის, რამდენიც ორთქლმავლისათვის ორთქლსა, ვაეა, 342 ბ, 1

ალმოსავლეთ საქართველოში იმდენი „სამეთო“ გაჩნდა, რამდენიც წინათ საერისთაო იყო, კ. კეკ. 14,21

იმდენ ხანს დარჩა, რამდენიც საჭირო იყო, ნ. ლორთქ. I, 77,12 [ტოლად შერწყმული სახელი] იმდენ ცნებას შეიცავს, რამდენიც წევრია შეერთებულში, ა. შან. 158,27

მის რჩევას ამ დროს ხალხი იმდენ ყურადღებას არ აქცევდა, რამდენსაც ბესიასა და მის ამხანაგებს, ე. ნინოშვ. 41,5

იმდენი ნიჭი არა მქონდა, რამდენიც სურვილი და ბეჯითობა, ა. წ. 44,10

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, მისამართ სიტყვას მსაზღვრელად ჩვეულებრივ ახლავს იმდენი. ნაწილაკი ერთვის მიმართებით ნაცვალსახელს. ეს ნაწილაკი არა გვაქვს, თუ რამდენი მსაზღვრელია სხვა სიტყვისა:

იმდენი სიკეთე ღმერთმა შენ მოგცეს, რამდენი ნათესაობა და მახლობლობა მე მყვანდეს, ი. ჭ. II, 183,8

იმდენი ღლეგრძელობა ამის დამწერს ჰქონდეს, რამდენი იმის ტოლი თავადიშვილი იმის ყოფა-ცხოვრებას შეჰნატროდა, ი. ჭ. II, 130,32

რამდენი ხმოვანიც არის დაწერილი, მარცვლიც იმდენივე იქნება, ა. შან. 21,5

ის ძნელად თუ დაუძვრებოდა, სანამ მისგან იმდენს არ გამოორჩებოდა, რამდენის გამორჩენაც შეიძლებოდა, კლდ. I, 210,14

უკანასკნელ ორ მაგალითში -ც ნაწილაკი გადანაცვლებულია საზღვრულ სიტყვასთან. ზოგჯერ იმის გამო, რომ მისამართი სიტყვა კონტექსტის მიხედვით იგულისხმება, იგი შეიძლება გამოტოვებულ იქნეს:

მერე კი იმდენსა სვამდნენ, რამდენიც უნდოდათ, ა. წ. 19,24

იმდენს არ ჰვამდნენ, რამდენსაც საჩქაროთ იტენიდნენ ხურჯინში, ნ. ლორთქ. I, 70,29

იმდენი იყვირე, რამდენიც გინდოდეს, ი. ქ. II, 165,23

რამდენიც შეიძლოთ, იმდენი დაამზადეთ, ა. წ. 90,38

რამდენ-ს იშვიათად რა-ც ენაცვლება:

„როტაში“ არ უნდებოდათ იმდენი წკებლა, რაც თვითეულ კლასში, ა. წ. 42,36

გ) რუმორი

საშუალო ქართულიდან მიმართებით ნაცვალსახელად იშვიათად იხმარება როგორი. როგორი მომდინარეობს რა გუარისხაგან¹, თუმცა ეს უქანასქნელი ჩვეულებრივ მიმართებით ზმნიზედად გვხვდება (რა გუარცა), მიმართებით ნაცვალსახელად კი — მისი ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტი როგორი:

უნდა იზოვნოს ისეთი, როგორიც ზემოთ დაგვიწერია, სმრთლ. 61,13

როგორიც პირობა და წიგნი აქვს, იმრიგად აყმევეით, სმრთლ. 118,1

როგორიცა ხარ, მე შენი ქება აწ დაევიწყეო და, თმრზ. 19,32

უფრო ჩამოყალიბებული სახე აქვს აღნიშნული ნაცვალსახელის შემცველ ქვეწყობილ წინადადებას თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, მიმართებითი ნაცვალსახელი ჩვეულებრივ სახელობითსა და ზიცემით ბრუნვებში გვხვდება:

რუსული ენა სულაც არ არის ახლა ისეთი, როგორიც ის იყო ნახევარი საუკუნის წინათ, გოგ. II, 153,23

ვინ იყო მშველელი ისეთ მივარდნილ ყრუ სოფელში, როგორიც არის ტვერეთი, ე. ნინოშვ. 208,14

კობამაც მიიხედა იქით და დაინახა ისეთივე გალალებული ხარი, როგორიც იდგა კლდის წვერზე, ყაზ. I, 292,12

ხევის აქეთ იმათ იპოვეს ისეთი ადგილი, როგორხაც ეძებდნენ, ყაზ. I, 25,37

სხვა ბრუნვებში ის იშვიათად გვხვდება (წოდებითი მას არა აქვს, მოთხრობითი კი ჩვენს მაგალითებში არ აღმოჩნდა):

რომ იგი ყოფილიყო დაწერილი... სრულიად გაუგებარი ენით, როგორის ნიმუშს წარმოადგენს ბ. ლულაძის უმაგალითო წერილი აღზრდაზე, გოგ. II, 77,14

¹ იმერულ კილოში, ნ. ლორთქიფანიძის მიხედვით, გვხვდება რავალი:

შენ რაცხას იმისთანას აპირებ, რავალიც ჯერ ჩვენში კაცს არ უქნიაო, ნ. ლორთქ. I, 290,3 (რავარი→რავარი→რავალი)

დიდ ბედნიერებად ჩასთვლის სოფლის გლეხი სტუმრობას ისეთის მდიდარის, „სწაფულულის“ და „ქკვიანის“ ნათესავისას, როგორათაც (!) სთვლიდნენ ტევრეთში კოტე მამალაძეს, ე. ნინოშე. 203,32

ვახტანგის ცხოვრება(იმავე ზღაპრული, სადევგმრო სულითაა გამსჭვალული, როგორითაც ლეონტის უცილობელი შრომა [არის გამსჭვალული], ქ. კეკ. 137,14

იშვიათადვე იჩენს თავს ამ ნაცვალსახელის თანდებულნიანი ფორმებიც:

იამშიქს... ვერ მოესმა დიამბეგის ბრძანება და ამისთვის გაუნძრევლად იმავე მდგომარეობაში დარჩა, როგორშიაც ბრძანებამდინ იყო, ყაზ. I, 203,28

ექიმებს ამ შემთხვევაში ისეთივე შეცდომა მოსდით, როგორშიაც იყვნენ ყველა მეცნიერნი, გოგ. II, 44,22

მისამართ სიტყვებად როგორი ნაცვალსახელის შემცველ წინადადებათა ქვეწყობაში შეიძლება გვექონდეს არსებითი სახელი და შედარებით იშვიათად საწყისი (იმათ არა აქვთ ამგვარი გონებითი მუშაობა. როგორიც სხვა წოდების ხალხს, ყაზ. I, 266,22).

მისამართ სიტყვებს მთავარ წინადადებაში ჩვეულებრივ ახლავთ ჩვენებითი ნაცვალსახელები: ისეთი, იმისთანა, იმ სახით:

მაგნებელი უნდა იყოს ზურგის შექცევა იმისთანა დედაენისა, როგორიც არის ქართული ენა, გოგ. II, 217,31

იმისთანა გარყვნილ იასაულეებმაც კი, როგორიც გირგოლა იყო, ვერ მოახერხეს ხელის გამოღება, ყაზ. I, 192,31

აგილოთ თუნდაც ისეთი საკითხი, როგორიცაა სახელის განსაზღვრა ნაწევრით, ა. შან. 010,33

ივანემ იშოვა საუკეთესო მსმენელი, ისეთი, როგორიც ჯერ არ ყოლოდა, ნ. ლორთქ. I, 211,9

მისამართი სიტყვა შეიძლება იყოს მრავლობით რიცხვში. მართალია, გვაქვს თითო-ოროლა შემთხვევა, როდესაც მიმართებითი ნაცვალსახელი რიცხვში მასთან არის შეთანხმებული:

ორჯერად მარცხი არამც თუ იმისთანა ქონდრის კაცებს მოუვიდოდათ, როგორნიცა ვართ ჩვენ ორივენი... გოგ. II, 30,21

ბავშვი, მოშორებული და მოკლებული დედა-ენას, ვერასოდეს ვერ იპოვის იმისთანა ღრმად გულში მოსახვედრს გამოხატულებათა, როგორნიც არიან „შენი ქირიმე“, „შენ გენაცვალე“, „შენ გეთაყვანე“, გოგ. II, 209,29

მაგრამ ასეთი რამ ახალ ქართულში ფეხს ძნელად იკიდებს. მიმართებითი ნაცვალსახელი მაგალითების უმრავლესობაში მისამართ სიტყვასთან რიცხვში არ არის შეთანხმებული:

სადირკველი არ უგავს ისეთ ხაყდრებს, როგორსაც ქრისტიანობის დროს აწენებდნენ, ნ. ლორთქ. 1, 248,29

გამონაკლისად გვეჩვენება ისეთ წარმოების ფორმები, როგორიცაა: საუყეთესო, საუცხოო, სასწრაფო... ა. შან. 110,10

ხელოვნური ხასიათი აქვს ჰ-ს შენახვას უცხო ენებიდან ახლად ნასესხებ სიტყვებში, როგორიცაა მაგ., ჰარმონია, პეგემონია, პიპოთეზა... ა. შან. 25,14

ქართველები მრავლად მოღვაწეობდნენ აქ ისეთ შესანიშნავ ლავრებში, როგორიც იყო ხარიტონის, ექვთიმეს, თეოდოსისა და საბა განწმენდილის ლავრები, კ. კეკ. 42,12

ისეთ სკოლებს, როგორსაც ადგილი ჰქონდა ბიზანტიაში, თვით ქართველებიც აწყობენ, კ. კეკ. 40,8

განა არ შეიძლება სტაბილური სახელმძღვანელოები გვექონდეს ისეთ საგნებში, როგორიც არის მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ქართული ლიტერატურა, „კომ“. 207,3

ჩვენში, მაღალმთიან ახალქალაქის რაიონში შეიძლება... ისეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა, როგორიც არის თავთავიანი კულტურები და კარტოფილი¹, კომ. 232,3

როგორც ჩანს, მიმართებითი ნაცვალსახელის მისამართ სიტყვასთან რიცხვში შეთანხმება საკმაოდ მერყევე ვითარებას გვიჩვენებს.

დამოკიდებული წინადადება მთავარს მოსდევს, მიმართებითი ნაცვალსახელი დამოკიდებული წინადადების თავშია, თავშია მაშინაც, როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავარის წინ იწვევს:

როგორც ავთანდილი შენ იყავ, მეც იმისთანა შერმადინობა გაგიწიე, ი. ჭ. II. 117,31

ნაწილაკი -ც მიმართებით ნაცვალსახელს ყოველთვის ერთვის. თუ მიმართებითი ნაცვალსახელი დამოკიდებულ წინადადებაშივე სხვა სიტყვის მსაზღვრელად გვევლინება, ნაწილაკმა შეიძლება საზღვრულ სიტყვასთან გადაინაცვლოს:

როგორი ყარამანიც შენ ხარ, იმისთანა სალბიხურამან ის არის, ი. ჭ. II, 171, 26

¹ თუმცა საჭიროა შევნიშნოთ, რომ ეს შეიძლება იმ ტიპის მაგალითებს ეხებოდეს, რომლებშიც დამოკიდებულ წინადადებად „როგორიც არის“, „როგორიც იყო“ გამოთქმა მკვიდრდება „გაქვევებული სახით“... და ეს წესი საყოველთაო არ იყოს.

-ც ნაწილაკი შეიძლება არ გვეკონდეს მაშინაც, როდესაც მიმართებითი ნაცვალსახელი ნათესაობითშია:

რომ იგი ყოფილიყო დაწერილი... სრულიად გაუგებარი ენით, როგორც ნიმუშს წარმოადგენს ბ. ლულაძის უმაგალითო წერილი აღზრდაზედ, გოგ. II, 74,14

მისამართი სიტყვა იშვიათად გამოტოვებულია (შენ ხომ იხეთი ხარ, როგორც აოის ათაბი ჩვენგანი, ნ. ლორთქ. I, 331,13).

შეიძლება შეგვხვდეს შემთხვევები, როდესაც მიმართებითი ნაცვალსახელის მაგივრად მიმართებითი ზმნიზედა გვეკონდეს (ალბათ იმის წყალობით, რომ მას ბრუნვის ნიშანი აღარ უჩანს), როგორც ნაცვლად როგორც-ისა:

სთქვა იმ სახით, როგორც ქექა-ქუხილის დროს ვიცით ხოლმე, ი. ქ. II, 209,19

განა იხეთი მსხვილი იხვი, როგორც არაგვმა იცის, სხვაგანაც არის? ვაჟა, 259, ა, 11

არც ღვინო გქონიათ წინათ იხეთი, როგორც შარშან კოლექტივის ჰქონდა, მრვლ. 68,28

მაშ რა სწნავს იმისთანა კაცურ კაცს, როგორც გიორგი იყო... ი. ქ. II, 316,11

დ) რამე

რამე მიმართებით ნაცვალსახელს ძველ ქართულში მხოლოდებითი რიცხვის მოთხრობითი, მოქმედებითი¹, ვითარებითი და წოდებითი ბრუნვის ფორმები არ გააჩნია. ეს ნაცვალსახელი მიმართებითად არ გვხვდება აგრეთვე წრფელობითში. სხვა ბრუნვებში ასეთი ვითარებაა:

¹ რამე ნაცვალსახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმაა რამათა. ფუძე უკვეცვლად არის წარმოდგენილი. კითხვით წინადადებაში რამათა ინსტრუმენტალისის ფუნქციით (= რით) გვხვდება: უკუეთუ მარილი იგი წბილ იყოს, რამათა დაიმარილოს? მრკ. 9,50; რამათა ვცნა ესე? ლ. 1,18

გვერე რამათა გამოყენებულია ქვეწყობილი წინადადების კავშირად, მაგრამ მისი მოქმედებითბრუნვიანობა იქ უკვე დაჩრდილულია (იხ. ქვემოთ). რაც შეეხება რამე ნაცვალსახელს მოქმედებითი ბრუნვის ფორმით, რომელსაც -ცა ნაწილაკი აქვს დართული და შეთანხმებულია საზღვრულთან ბრუნვაში, ის სინტაქსური იდიომას იძლევა:

და ვინცა რამათა მიხებითა შეცვალოს, ღა მან გასცეს პასუხი, აღაპ. 231,24 (= თუ ვინმემ რა მიხებითაც უნდა იყოს || რომელიც უნდა იყოს მიხებით...)

ბრუნვაში შეთანხმება ასეთ შემთხვევებში, ჩანს, მაინც ნორმა არ არის:

და ვინ რამცა მიხებითა არა გარდაიქდიდეს, მან გასცეს ღმერთსა პასუხი, აღაპ. 232,22

სახელობითი: რამ გეგულები ჩემ ზედა, იქმოდე, ჰაბო.
73,18

რამ-იგი იყო, ეგო, და რამ არა იყო, იქმნა, კიმ. I, 88,33

არარამ აქუნდა, რამცა ჰამეს, მრკ. 8,1

რამცა¹ იყო მისი, მისცა ჯელთა იოსებისთა, დაბ. 39,4

და რამცა-იგი მას უნდა, ქმნა, იობ. 23,13

კაცსა რამცა-რამ უყვარნ და აქებნ, მისა მიმართ მიისწრაფინ,
მთწმ. 283,23

მიცემითი: და ესეცა ოჯყოდევე, ზ კ'ცო, რახა-იგი იქმ მო-
ყუსისა მ'მართ შინა, ბოლნ. 83,24

რახაცა ჰხედვედ, იგიცა ჰრწამნ, მრვლთ. 282,16

...ყ'ლსა, რახაცა-იგი იქმანედ წ'ე კრებოჯლსა და ერსა შ'ს,
ბოლნ. 55,4

რახაც იგი იქმს, მისა მსგავსადცა ძმ იქმს, ი. 5,19

იშვითად გვხვდება ამ ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის
ფორმები, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივია: რამსა, რამსათხ..., მაგ-
რამ ესენი იხმარება მარტივ წინადადებაში მნიშვნელობით „რატომ“:
რამსა გამომცდით მე? მ. 22,18

რაისათხ თქუენ ბოროტსა ზრახავთ გულსა შინა თქუენთა,
მ. 9,4

„მიმართებითად“ რამ ნაცვალსახელი ნათესაობითი ბრუნვის
ფორმით გვხვდება -თხ თანდებულდართული, მაგრამ 'სეთ შემთხ-
ვევებში მიმართებითი ნაცვალსახელის მიმართებითობა სხვაგვარად
უნდა განიხილებოდეს (ამის შესახებ იხ. ქვემოთ):

მაუწყე მე ო'ლო, რაისათხ გივმს ესე, კიმ. I, 209

გულისჯმა-ყვეს, რაისათხ იტყვს, მ. 21,45

უფალმან იცის, რაისათხ ჰბრძანე აქა, ხანძთ. ნზ, 66

ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში რამ ნაცვალსახელის ფუძის
უკვეცელობა (რამსა) ძველი ქართულისათვის ნორმაა. აქა-იქ მაინც
თავს იჩენს კვეცილფუძიანი ვარიანტი მარტივ წინადადებაშიც და
ქვეწყობილშიაც:

რამ ვნებად გაქუს, რისათხ მოხუედ აქა, კიმ I, 318,26

საკირო იყო სხუათაცა დღესასწაულთა გამოძიებად, რისათხცა
შეკრბეს წ'ნი მმ'ნი, ბოლნ. 3,21

¹ რამცა-ს გამარტივებულნი სახე (რაც) ძველსავე ქართულში იჩენს თავს:
რაც დრისტი ტურფაჲ იყო..., ყოველი იავარ-იქმნა, ცხრ, 116,3

რამ მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვასაც დამოკიდებული წინადადების შემასმენელი განაგებს (თუ იშვიათ გამონაკლისებს არ მივიღებთ მხედველობაში) მრავლობითი რიცხვის ფორმები რამ ნაცვალსახელს ძველ ქართულში არ უჩანს, მისი მისამართი სიტყვები, როგორც წესი, მსოლობითშია და მიმართებითი ნაცვალსახელიც მასთან მსოლობითშია შეთანხმებული:

რამცა გრქუას, იგიცა ყაე, კიმ. II, 175,6

განყიდა ყოველივე, რამცა აქუნდა, მ. 13,46 და ა. შ.

ამიტომ, შესაძლებელია, შემთხვევითი არ იყოს, როდესაც თარგმანში მისამართ სიტყვას -ებ-იან მრავლობითში იღებენ:

და დასდვა მათ სახელები, რამცა-იგი დაედვა მამასა მისსა, დაბ. 26,18

რამ მიმართებით ნაცვალსახელს მისამართ სიტყვებად სრულმნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულები იშვიათად უჩანს; როდესაც ასეთები გვაქვს, დამოკიდებული წინადადება მთავარს მოსდევს:

და შემდგომად გამოლოცვისა მოერთუმოდის ძმათა ხილი, რამცა-რამ დახუდეს მის ქამისაჲ, ალაპ. 262,26

მაშინ მამამან გრიგოლ უწინაჲსწარმეტყუელა ბრალთა მათოჲს, რამ-იგი შემთხუევად იყო მისდა, ხანძთ. ნშ, 11

თუ მისამართ სიტყვად სრულმნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეული არ მოიპოვება, დამოკიდებული წინადადება შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს მთავარ წინადადებას:

რამ-იგი შეჰგვანდეს, მან უყოს, ეესტ. 163,10

რამცა ამათ ობოლთა თანა ჰქმნა, ღმერთმან მოაგოს სულსა შენსა, ცხრ. 18,3

მოიღე, რამ-იგი არს, კიმ. I, 39,7

კაღნიერ იქმნა წარლებად, რამცა-იგი აქუნდა წმიდასა მას, ხანძთ. მბ, 6

საშუალ ქართულში რამ მიმართებითად ხმარებისას ყოველთვის ნაწილაკდართულია, ნაწილაკთავან გვხვდება -ც(ა). -ცალა: რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს, ვ. ტ. 11,1

ღმერთმან მტერსა მოუვლინოს, რაც ქართლს უყვეს ან კახეთსა, გურ. 42,6

რაცალა ჯამდა, ყუელა უთხარ, დრჯ. 63,24

საშუალ ქართულში რამ ჩვეულებრივ გვხვდება სახელობითსა და მიცემითში, ოღონდ სახელობით ბრუნვაში მას სახელობითი ბრუნვის ნიშანი ჩამოცილებული აქვს:

კოქასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების, ვ. ტ. 1094,4

ქვეყანაზედ რაც რამ მოვა, შენს თავზედან გამოსახე, თმრზ.
104,33

აწ რასაცა მე მალირსებ, ხორციელი არა ღირს ა, ე. ტ. 416,1
რასაც იქმენ, იგიცა მოგხსენდებათ, ერეკლე 45,34

იშვიათად დასტურდება რა-ს მოთხრობითის, ნათესაობითისა
და მოქმედებითი ბრუნვის ფორმები, მოთხრობითში დასმული
მიმართებითი ნაცვალსახელი ბრუნვაში შეთანხმებულია საზღვრულ
სიტყვასთან:

რამანცა კაცმან ამის საქმეში გარევა მოინომოს (sic!), თავა-
დამც რისხაეს დაუსაბამო ლთი, სიძე. 65,6;

გიბოძებ მათის სამართლიანის მამულითა, რისაც მქონებელნი
იყენენ, სიძე. 65,24

რითაც ღი შეიძლებოდეს, ისე დავაწყნაროთ, ერეკლე. 95,28

აქა-იქ გვხვდება სახელობითის მრავლობითის ფორმებიც:

მას გააგონე, რანიცა ცეცხლნი უმრეტნი მდებიან, ვ. ტ. 964,4
რანიც წმიდანი იხსენებიან, იმათის მიდგომით და შუამდგომ-
ლობითა... ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგვეც მე თაყაი-
შვილმა ქაიხოსრომ, სიძე. 134,11

საკმაოდ ხშირად შეიმჩნევა შემთხვევები, რომელთა მიხედვით
რა დამოკიდებული წინადადების რომელიმე წევრის მიმართ მსაზ-
ღვრელად გვევლინება:

რაცა ამას ზემოთ... სენები სწერია, ყულა ერთგვარი არის,
სამკრნ. 52,21

რაც სული კაცი არის ქრისტეანი, ყოველივე წავა, გარ. 2,19

რაც წამალი მქონდა ანანურის ციხეში, სრულიად გაიტანა,
ერეკლე, 50,51

რასაც კაცთან საყმით მახვიდე, ეს მამული თან მოგყვეს, სიძე.
130,27

რა მიმართებით ნაცვალსახელს ზოგჯერ ერთვის რომ კავშირი:
ძვალმან ფრთა-ხორციანი შეისხეს, გამთელდეს, რაც რომ ხეოდეს,
თმრზ. 58,15

ვინ ამასა იქმს, მასცა იქს, რაც რომ არ დამიწერია, არჩ. 10,13

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში რა-ს
წოდებითის გარდა ყველა ბრუნვის ფორმა გაუჩნდა:

რაც¹ მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია, ი. ჭ. I, 107,7

¹ მე-19 საუკუნის მწერალია ენაში რა გვხვდება ძველი ფორმითაც, სახე-
ლობითი ბრუნვის ნიშანდართული: რაიც ჩვენში გავგიგონია მამაპაპათაგან,
აქაც ის ყოფილა, ყაზ. I, 341,3; ცეცხლს ანთებდა ოდის უკან გადმოხუტულში,
რაიც სამზარეულოს მაგივრობას უსრულებდა, კლდ. I, 171,12

ამას ზედ დაერთო დედის გახსენება, რამაც კიდევ უფრო დაუძძინა გული, კლდ. I, 247,8

რახაც დასთეს, მასვე მომკიო, ანდ. 469

ეს ბატონები იმის ცდაში იყვნენ, რომ აქედან ხარკის სახით გაეტანათ ყველაფერი, რის გატანაც კი შეიძლებოდა, კ. კეკ. 14,31

ამ სამარეებში მარხია ყოველივე ის, რისთვისაც ეხლა გული მეწვის, მედაგება, ი. ჯ. II, 243,15

იმას, რითაც საგნები ერთმანეთს ემსგავსებიან ან რითაც ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ნიშანი ეწოდება, კ. ბაქრ. 86,19

თუ აღამიანი, ან ხალხი სიტყვა-ამოუღებელივ ქედ-მოდრეკით ემორჩილება დაბალი ღობის ბედსა, რადაც... გაუხდიათ იგი წერილ-ფეხობა მოხელეებსა, ეს იმის უტყუარი ნიშანია... გოგ. II, 329,1

რა გვსვდება კუთვნილებით-მიმართებითი შინაარსითაც:

ახლა რისიც ღირსი ვიყო, ის მომანიჭეთ, ა. წ. 329,4

ამ ქვემძრომებს მივეუწყოთ ის, რისაც ღირსნი არიან, ი. გოგ. II, 329,1

ა. ყაზბეგთან დაკულია უკვეცელი ვარიანტი: რისიც ღირსი იყო... ყაზ. I, 87,13

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მოხშირდა რა-ს თანდებუიანი ფორმებიც:

სადაა ყოველივე ის, რაზედაც იგი ოცნებობდა სემინარიაში... კლდ. I, 190,10

ეს გახლავთ „ენა“, რაშიაც უხილავად ჩაქსოვილია მთელი მისი სულიერი სიცოცხლე, ვაჟა. 340, ა, 20

რისთვისაც მამანი იღვწოდნენ უწინ,—დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა, ი. ჯ. I, 143,21

უგულოდ ეპყრობოდა ყველაფერს, რისგანაც რამე სარგებლობას არ გამოელოდა, დ. კლდ. I, 228,36

რა მიმართებით ნაცვალსახელს მისამართ სიტყვებად შეიძლება ჰქონდეს ნაცვალსახელები, არსებითი სახელი, საწყისი:

და რაცა სწყურდა აქამდე მის სულს, იგივე უნდა ბოლომდე სწყურდეს, ი. ჯ. I, 221,5

მაში. რახაც გვაწვდის გრძნობიერება,—უკვე არსებობს ზოგადი; კ. ბაქრ. 42,3

მან უამბო თითქმის ყველაფერი, რაც მათ შორის მოხდა, კლდ. I, 37,21

სხვაც ბევრი რამ იყო ამგვარი, რახაც ხელს უწვდენდა ოტია, კლდ. I, 302,5

თქვენს მტერს მიადგეს ის განსაცდელი, რაც ჩვენ თავზე დაგვატყდებოდა, გოგ. II, 103,1

მისამართ სიტყვად ნაცვალსახელი ზოგჯერ გამოტოვებულია ხოლმე:

რასაც არ ეშველება რა, [მას] კაცი არ უნდა აეთრევინოსო, ი. ჯ. II, 309,13

რაც ცბიერებით ვერ გააწყეს, [ის] ძალით უნდოდათ მოეგვარებიათ, ნ. ლორთქ. I, 40,15

როდესაც მისამართ სიტყვად არსებითი სახელი გვაქვს და მას ჩვენებითი ნაცვალსახელი ახლავს (ის... იმ...), მისამართი სიტყვა შეიძლება გამეორდეს დამოკიდებულ წინადადებაშიც, მიმართებით ნაცვალსახელის მომდევნოდ. ასეთ შემთხვევებში ნაწილაკი არსებით სახელს ერთვის და არა მიმართებით ნაცვალსახელს:

რა საგანააც კრიტიკულად იხილავ, ის საგანი კარგად, დაწვრილებით იცოდე, ვაჟა. 345, ა, 22

რა გვერდზედაც დაწვებოდი, დილას იმავე გვერდით წამოვდგებოდი ხოლმე, ა. წ. 191,25

ადამიანი მართლა მიკროკოსმოსს წარმოადგენს იმ აზრით, რა აზრითაც ამას შტერნი გულისხმობს, დ. უზნ. 21,6

თუ მისამართ სიტყვად ნაგარაუდვეი სახელი დამოკიდებულ წინადადებაშია გადანაცვლებული და -ც ნაწილაკი ისევ მიმართებით ნაცვალსახელს ერთვის, მაშინ მისამართ სიტყვად გვაქვს „ყველა“ ან „სულ“ და, თუ არა გვაქვს, ისინი მაინც იგულისხმებიან:

გზაზედ, რაც ტანისამოსი მქონდა, ამ რუსის ფარაჯაზე გავცვალე, ი. ჯ. II, 119,24

რაც მოსახლე და სოფელი ნახო, ყველა გამოიწვიე, ნ. ლორთქ. I, 116,9

ორმოცი დღის განმავლობაში სულ დავიარე, რაც ამ ქვეყნად ნაცნობები მყავდა, ა. წ. 250,4

რაც კაი კაცებია..., ყველა ხელმწიფის წინააღმდეგ ყოფილა, ნ. ლორთქ. I, 310,10

მისამართ სიტყვად გვაქვს ან იგულისხმება „ყველაფერი“, როდესაც მიმართებით ნაცვალსახელს კი ნაწილაკი ერთვის:

ეგ წამალი ყველაფერში იხმარება, რასაც კი ჩვენს ოჯახობაში ყუთში ვინახავთ ხოლმე, ი. ჯ. II, 19,2

ყველაფერი, რაც კი წარმოდგენილი იყო გამოფენაზე, საბჭოთა ადამიანების დიდ ინტერესს იწვევდა, „კომ.“ 232,1

ასეთსავე „გამოუირიცხავ სიმრავლეზე“ გვაქვს მითითება, როდესაც მიმართებით ნაცვალსახელს ერთვის რამ (←რამე) ნაცვალსახელი:

რაც რამ იყო შიგ, სულ ერთიანად გამოიფიტა, კლდ. I, 191,35

რაც რამ გასაყიდი აქვს ამ სოფლებს, ფოთში ჰყიდის, ე. ნინოშვი. 210,2

ზოგჯერ კი და უკვე ნაწილაკადქცეული რამ ნაცვალსახელი წყვილად იჩენს თავს მიმართებითი ნაცვალსახელის მომდევნოდ:

რაც კი რამ გვაქვს ჩვენს ენაზედ, ამას ჯერ არა სჯობია-რა, ი. ქ. II, 62,4

რაც კი რამ იყო საქართველოში მშვენიერი, მდიდარი, ძლიერი, სახელოვანი,—ყველაფერი მიდიოდა, ნ. ლორთქ. I, 33,4

რა ნაცვალსახელიანი დამოკიდებული წინადადება შეიძლება მიემართებოდეს მთლიანად მთავარ წინადადებას და არა რომელიმე სიტყვას მთავარ წინადადებაში.

(სვავი) თავის თავს თითქმის არწივის ტოლ-ამხანაგად სთვლის, რაიც ფრინველთა უგუნურობას ღირსეულად ვერ დაუფასებია, ვაჟა. 315, ა, 6

ავტორი არის თანამედროვე კონსტანტისა, რაც შემდეგი მისი სიტყვებიდან ჩანს, კ. კეკ. 92,25

რა მიმართებითი ნაცვალსახელის შემცველი დამოკიდებული წინადადების ადგილი საერთოდ თავისუფალი ჩანს, მაგრამ, თუ მისამართ სიტყვად სრულმნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეული გაერია, დამოკიდებული წინადადება მთავარს მისდევს ან ჩართულია მასში. მიმართებითი ნაცვალსახელი ყოველთვის დამოკიდებული წინადადების თავშია.

ე) შინ

ვინ მიმართებით ნაცვალსახელს ძველი ქართული მონაცემების მიხედვით. აქვს მხოლოდითი რიცხვის სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმები.

სახელობითი: ვინ არს უფლისა კერძო, მოვედინ ჩემდა, გამოსლვ. 32,26

ვინ-იგი გგონიე მე ყოფად, მე არა იგი ვარ, მცქლ. 13,25 (იშვიათად გვხვდება).

არავენ არს ქუეყანასა ზედა, ვინშცა შემოვიდა ჩუენდა, დაბ. 19,31 და მოკლეს ყ^რ, ვინცა¹ იყო მონაზონთაგანი რაითს, კიმ. I, 31,9

¹ ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი არ არის, რომ, როდესაც ვინ-ს -ცა ნაწილაკი მიერთვის, მის წინ -ნა ელემენტისეული ა (ვინ-ა) იჩენდეს თავს: ვინაცა, ცხრ. 68,11

მოთხრობითი: და ვინ სთესა—მოიმკო და ვინ განაბნია
გლახაკათუს—წიკრიბა, შუშ. XVI, 28

არაინ არს, ვინმცა განმიმარტა იგი, დაბ. 41,15

ვინცა ამას კაცსა კმსახუროს, კურთხევაჲ ორლისაჲ მიილოს,
კიმ. I, 163,9

ვინცალა დეკანოზი იყოს, ტრაპეზარსა უთხრობდეს, ალაბ. 257,6
ვინაცა წუართის თუნიერ ყოელისა მიზეზისა, ნუგეშინის-სცის
და ალაშენის, ცხრ. 68,11

მიცემითი: ვის აქუს ოქროჲ, გამოიღენ, გამოსლვ. 32,24

ყოველნი მოვიდოდინ სასარებისა სმენად, ვისცა ოდენ ზე ადგო-
მაჲ შეეძლოს, ალაბ. 273,6

ნათესაობითი: ვისთჳს-იგი ქადაგებდა, იგივე შეეწოდა,
მრვლთ. 267,22

ხოლო ვაჲ არს კაცისა მის, ვის მიერ მიეცემის იგი, ლ. 22,22

მრავლობითი რიცხვი

სახელობითი: უკუეთუ გნებავს ჭეშმარიტად ცნობაჲ და
სწავლაჲ საქმით, თუ ვინ არიან შეცთომილნი და ვინ არიან, ვიფთნი
ჭეშმარიტსა მისდევენ, განიშორე პირველად უკეთურებაჲ, კიმ. II,
47,9

მოთხრობითი: დიდად დაჭირება და წარწყმედულობა არს
მათდა, ვიეთ შენი ისმინონ, კიმ. II, 48,24

ნათესაობითი: ჯელმწიფებაჲ აქუნდა მათ ზედა შეურაცხები-
საჲ, ვიეთცა ენების, კიმ. II, 105,21

სხუაჲ არს ცეცხლი, და სხუაჲ არს სანთელი, რამეთუ ერთსა
მას აქუს ძალი მნათობი და მეორე იგი შექმნილ არს განმანათლე-
ბელად, ვიეთდა იგი საჭმარ არს, ექუსთ. 65,25

ვიფთდა-ს გამარტივებულ ფორმას უნდა წარმოადგენდეს—
ვიეთა:

ხოლო დაჯდომაჲ მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა ჩემი
არს მიცემად, არამედ ვიეთა (=რომელთათჳს, C) განმზადებულ
არს მამისა მიერ ჩემისა, მ. 20,23

თუ იშვიათ გამონაკლისებს არ მივიღებთ მხედველობაში, ვინ
ნაცვალსახელი დამოკიდებული წინადადების შემასმენლისაგან არის
მართული ბრუნვაში, რადგან ამ ნაცვალსახელის თანდებუდიანი
ფორმები აქა-იქ თუ იჩენს თავს და სხვა სახელების მსაზღვრელა-
დაც იშვიათად გვევლინება.

ვინ მიმართებითი ნაცვალსახელი რიცხვში აგრეთვე მისამართ სიტყვასთან არის შეთანხმებული:

ვინცა იოსებს გამოუცხადა თხოვილისათჳს, მანცა ამათ ვარსკულაფი გამოუცხადა, მრელთ. 278,32

„ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს“-ო, ხანძთ. 50, 79
დიდად დაჭირვება და წარწყმედულობა არს მათდა, ვიეთ შენი ისმინონ, კიმ. II, 48,24

ვინ ნაცვალსახელი მრავლობითი რიცხვის ფორმით მიმართებითად იშვიათად გვხვდება. როდესაც მისამართი სიტყვა მრავლობითი რიცხვისაა, ვინ-ს რომელი უნდა ენაცვლებოდეს.

მართალია, კითხვით წინადადებაში ვინ ნაცვალსახელის სახელობითში დასმული მრავლობითი რიცხვის ფორმები გვხვდება და შემასმენელიც რიცხვში მასთან არის შეთანხმებული¹ (ვინანი არიან, კიმ. I, 331,21; ვინანი ხართ, ევსტ. 163,28; ლ. 13,25...), მაგრამ ძველ ქართულში ამ ფორმებს სხვა მნიშვნელობა აქვთ—„საიდან“.

ჩვეულებრივ, მაშინაც, როდესაც შემასმენელი მრავლობითშია, კითხვითი წინადადების ვინ მხოლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი (ვინ არიან შეტომილნი, კიმ. II, 47,8; ვინ არიან მსტუმრებელნი მათნი, ექუსთ. 86,5; ვინ არიან ძმანი ჩემნი, მ. 12,48 = ბერძნულის *τινες εσιν*).

ამისი გამოძახილი უნდა იყოს მსგავსი მოვლენა ქვეწყობილი წინადადების ფარგლებშიც:

ყოველნი მოვიდოდინ სახარებისა სმენად, ვისცა ოდენ ზე აღგომამა შეეძლოს, ალაპ. 273,6

დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსაქსენებელად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩუენსა, ჰაბო. 55,18

ასეთი მაგალითები იშვიათად შეგვხვდება.

ვინ მიმართებით ნაცვალსახელს მისამართ სიტყვებად სრულმნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულები იშვიათად უჩანს და, როდესაც ასეთები გვაქვს, დამოკიდებული წინადადება მთავარს მოსდევს:

ხოლო ვაჲ არს კაცისა მის, ვის მიერ მიეცემის იგი, ლ. 22,22

როდესაც მთავარ წინადადებაში მისამართ სიტყვებად ასეთი ლექსიკური ერთეულები არ მოიპოვება, მაშინ დამოკიდებული წინადადება მთავარს ჩვეულებრივ წინ უსწრებს:

¹ საინტერესო მაგალითია: ვინ და ვინ არიან, რომელნი განვლენ?, გამოსლ. 10,8. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ვინ-ის „გაორკეცება“ აქ მრავლობითის ნაცვლობაჲ ეწევაო, მაგრამ ბერძნულიც და სომხურიც შესატყვის ნაცვალსახელებს წყვილად იძლევა (ოლონდ, ბერძნული—მრავლობითი რიცხვის ფორმაში თითოეულ კომპონენტს: *τινες δε και τινες εσιν. ἢ ἂ ἢ ἢ ἢ*).

ვინ არს უფლისა კერძო, მოვედინ ჩემდა, გამოსლვ. 32,26
ვინ არა გარდაიწდიდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი, ალაპ. 218,8
ვინცა ამას კაცსა ამსახუროს, კურთხევამ ოლსისამ მიიღოს,
კიმ. I, 163,9

სინტაქსურ იდიომას კმნის ვინცა ვინ, რომელიც ამ მნიშვნე-
ლობით უნდა იხმარებოდეს—„ვინც უნდა იყოს, თუ...“ (ა. შანიძის
მიხედვით: „ვინც უნდა“, ცხრ. ლექსკ.).

ვინცა ვინ მოვიდის ეგვიპტის კაცი, ნახევარი საფასისა თჳსი-
სამ ეკლესიასა შეწირის, ცხრ. 87,1

ვინცა ვინ არა გარდაიწდიდეს ყოვლითა გულსმოდგინებითა,
ღმერთსა მან გასცეს პასუხი, ალაპ. 287,2

ვინ ნაცვალსახელის ფუძეა ვი. ნ მოთხრობითი ბრუნვის ნიშა-
ნია. ეს აღნიშნული აქვს ჰ. შუხარდტს. მისთვის ამოსავალია
ვინ ფუძე ერგატივისა ბრუნვის ნიშნითურთ. სახელობითი ბრუნვის
როლი მას მერელა აქვს დაკისრებულიო¹.

„ქართულში -ნ მხოლოდ ორ სახელში აწარმოებს მოთხრობითს
(მა-ნ, ვი-ნ),—წერს ა. ჩიქობავა,—ამათგან პირველს სახელო-
ბითი ბრუნვა საკუთარი ფუძიდან არ ეწარმოება..., მეორეს კი სა-
ხელობითშიც იგივე ფორმა აქვს: ვი-ნ (ვინ აკეთა. ვინ აკეთებს.)“².

სა შუალ ქართულში მიმართებითად ხმარებული ვინ იმგვა-
რადევა ნაბრუნები, ძველ ქართულში რომ იბრუნებოდა; სიახლე
იმაში მდგომარეობს, რომ ვინ-ის მრავლობითი რიცხვის ფორმები
(ვიეთ) ამ დროისათვის უკვე საერთოდ გამქრალა.

ვინ ნაცვალსახელის სხვადასხვა ბრუნვის ფორმები მხოლოდითი
რიცხვისა გვხვდება როგორც უნაწილაკოდ, ისე ნაწილაკდართული.
ნაწილაკათგან გვაქვს -ც(-ცა), შედარებით იშვიათად— -ცალა:

მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრეფ კიტრად ბერად, ვ. ტ.
786,1

კვლა აქაცა იამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი, ვ. ტ. 12,3
შენ მან მოგცეს მუქაფა, ვინ ეგრე ტურფად გშენაო, თმრზ. 13,5
ვინც შესწამებს ვისმე რასმე, იმ შეწამებულმან კაცმან უნდა
დაიფიცოს, სმრთლ. 52,12

მაშინ შორს დაგრჩესთ, ვისა გყავს სიცრუის დობილ-ძმობილნი,
არჩ. 43,32

¹ Г. Шухардт, О пассивном характере переходного глагола в
кавказских языках. Эргативная конструкция предложения, Москва, 1950,
გვ. 52.

² ა. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ
ენებში, უნივერსიტეტის შრომები X, 1939, გვ. 173.

ვისცა მკლავი ძლიერი ჰქონდა, მოიჭმარა ვრმალი, ვისრ. 149,46.
ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია, ვ. ტ. 36,4
მას გავექცევი, ვისგანცა ჩემი არა ვცნა ამება, ვ. ტ. 295,2
მისია, ვისთვინაც მიუცემია, სმრთლ. 84,14

მიმართებითად ვინ-ის გაორკეცებულად ხმარება საშუალი ქარ-
თულისათვის არ არის უცხო:

ვინცა-ვინ ამა ჩვენგან დადგინებულსა მოძღვარსა უჯერო და
ურიგო ჰქადროს..., სიძვ. 19,3

თქვენც აგრე ჰქენით მიჯნურნო, ვინცა-ვინ ვისთვის კვდებოდა,
თმრზ. 22,23

ვისცა ვის სწადდის, შეექცევოდინ, დრჯ. 60,4

ვინ-ს იშვიათად ერთვის რომ კავშირი:

ვინ რომ დაიწყრა ქვეყანა, დღე მასცა ასთავებია, თმრზ. 139,23

ვინც რომ ძრახვას თაკილობდეს, ნურასა იქს საძრახვასა, გურ.
45,23

ვინ დამოკიდებული წინადადების თავშია, გამონაკლისის სახით
შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი:

მას აღიდებლი, ყვავილნი ვინც ასე ტურთად დამოსა, თმრზ.
12,30

ვინ ნაცვალსახელი გვხვდება კუთვნილებით-მიმართებითის ფუნქ-
ციითაც:

წიგნი ვნახე, მისი იყო, ვისი მდაგავს ალი გულსა, ვ. ტ. 376,1.

ეს მისცეს, ვისიც სიგელი იყოს, გარ. 6,113

ვისიცა საფლავი იყოს, მას შეჰგავს ეკლესია, ერისთ. 346,15

ფიცი, ვისახაც ჯელთ მამული არის, მისია, სმრთლ. 52,14

ეს მიმართებით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი მრავლობით
რიცხვში შეიძლება შეუთანხმდეს საზღვრულ სიტყვას (დამოკიდე-
ბული წინადადებაში):

მას ნახავს. ვისთა ვამთაგან ცრემლი მრავალჯერ სდენოდა,
ვ. ტ. 122,2

თვით ბიძასა ჩემსა მიჰხვდა, ვისთა შვილთა აწ დამკოდეს,
ვ. ტ. 601,3

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ვინ
მიმართებითად გვხვდება აგრეთვე სახელობით, მოთხრობითსა და
მიცემით ბრუნვებში;

ვერა განჰკურნოს მან მონის წყლული, ვინც მონებას თვით ემორ-
ჩილება, ი. ჯ. I, 138,26

ღმერთმა ნუ გაახაროს, ვინც ჩემს ახლო-მახლო ეკალას ბურდი
ნახოს და ამომიჩიხოს, კლდ. I, 219,1

ვისაც გაჭირვება არ უნახავს, მან ლხენა არ იცის, ანდ. 453
მიტემითში დასმული ვინ ყოველთვის ემფატიკურხმოვნიაანი,
მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში ეკვეცება ეს ხმოვანი ფუძეს:

ეგ ის არის, ვისც პორტფელი ილლიას ქვეშ მუდამ სჩრია,
ი. ქ. I, 120,25

ნათესაობითი ბრუნვის ფორმები თანდებულდართულია:

მოებმარა სწორედ ის, ვისგანაც დაქერისა და დაბრკოლების
მეტს არაფერს მოელოდა, ნ. ლორთქ. I, 345,23

ეს სასწავლებელი... ვერ უპასუხებდა მოთხოვნილებებსა და
თავისებურებებს იმ მართლმადიდებელი ხალხისას, ვისთვისაც...
იქნა დაარსებული, გოგ. II, 636,12

ნაწილაკი თანდებულს მომდევნოდ ერთვის. -თანა თანდებულ
სრული სახით წარმოგვიდგება. -გან და -თვის თანდებულებსა და
-ც ნაწილაკს შორის ა ხმოვანი იჩენს თავს: ვის-გან-ა-ც, ვის-
თვის-ა-ც.

ვინ მიმართებითი ნაცვალსახელი ყოველთვის -ც(ა) ნაწილაკ-
დართულია. -ც ნაწილაკი ერთვის ამ ნაცვალსახელის კუთვნილე-
ბით-მიმართებით ფორმებსაც:

ვისიც ერლო მალალიო, მეც იმისი მაყარო, ანდ. 453

იქნებ აკვანში ის ყრმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი,
ი. ქ. I, 105,6

ბუნდოვნად ეხატებოდა მისი სახე, ვისიც მოშორება... ეძნელე-
ბოდა, კლდ. I, 94,28

ნამდვილად იმ პირთა მიერ მოთხრობილი და ჩაწერილი არაა,
ვისიც¹ სახელი აწერია მათ, ქ. ქექ. 99,20

მისამართ სიტყვებად ვინ ნაცვალსახელს შეიძლება ჰქონდეს
პირის ნაცვალსახელეტი, განსაზღვრებითი ნაცვალსახელი—ყველა და
განუსაზღვრელობითი—ზოგი.

მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია, ი. ქ. I,
195,19

ვისაც ჩვენ ამოგირჩევთ საქმროდ, შენც იმაზედ უნდა გათხოვდე,
ყაზ. I, 168,10

ზოგი, ვისაც ღონე და ძალა აქვს, გაიქცევა ხოლმე მოედნიდამ
და იმალება ხალხში, ზოგი კი ვისაც არც ღონე აქვს და არც ძალა,
გამოვა და შეუპოვრად დადგება შუა მოედანზედ, ი. ქ. III, 29, 3—5

როდესაც ვინ მიმართებით ნაცვალსახელს ერთვის ნაწილაკი
კი, მისამართ სიტყვად გვაქვს ყველა, ან არა გვაქვს, მაგრამ იგუ-
ლისხმება:

¹ -ც ნაწილაკმა შეიძლება სახდერულ სიტყვასთან გადაინაცვლოს... ვისი
სახელიც აწერია მათ...

ჯერ მზარეული ჩაყლაპა და მერე ყველა, ვინც კი ამბის შესატყობად მიდიოდა, ა. წ. 269,15

ყველა, ვინც კი პირველად თოფს აიღებს, კურდღელს ემუქრება, ვაჟა. 256, ა, 1

იახლოვებდა და ხიბლავდა ყველას, ვისაც კი გაეცნობოდა, კლდ. I, 270,11

ვისაც კი თქვენებურს შეეხედებოდი, თქვენს ამბავს ვკითხავდი [ყველას] ი. ჭ. II, 170,29

ჯერ კიდევ ძველ ქართულში მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვას მართავს დამოკიდებული წინადადების შემასმენელი ან თანდებული.

ვინ ნაცვალსახელს მრავლობითი რიცხვის ფორმები უკვე საშუალ ქართულიდან აღარ უჩანს, ამიტომ, ცხადია, მრავლობითში დასმულ მისამართ სიტყვას რიცხვში ის ვერც შეუთანხმდება; მაშასადამე, მოსალოდნელი იყო, რომ დამოკიდებული წინადადების შემასმენელიც ყოველთვის მხოლოდით რიცხვში იქნებოდა:

ამას ჩემს აპრილის სტატიანზედ მარტო ისინი იტყვიან, ვისაც თავის დღეში კომპლიმენტების მეტი არა გაუგონია-რა, ი. ჭ. III, 47,16

გუნებაში დასცინოდა მათ, ვინც რაღაცას ეძებდა, კლდ. I, 228,33

მაგრამ გვხვდება მაგალითები, რომელთა მიხედვით დამოკიდებული წინადადების შემასმენელი უშუალოდ უთანხმდება რიცხვში მისამართ სიტყვას, რომელიც შეიძლება იყოს წინადადებაში, ან შეიძლება არ იყოს, მაგრამ იგულისხმებოდეს:

ქალები, ვინც კი იყვნენ საყდარში, სულ აქეთ-იქით მიიფანტნენ, ი. ჭ. II, 190,30

სულ მთლად იქ მოგროვილიყვნენ [ისინი], ვინც კი იყვნენ თანხლებულნი, ი. ჭ. I, 203,16

ისინი, ვინც გუშინ თათრის ერთგულებასა და ქართველების მტრობას იჩენდნენ, დღეს პირველი თავდადებულნი ქართველები გახდნენ, ა. წ. 126,36

აქ გავიხსენებ ჩვენს მოღვაწეებს, ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში ვინც ყოფილან, ა. წ. 71,9

წადით [თქვენ]. ვისაც არ გინდათ ჩვენთან მალლა, ცის ახლოს ყოფნა, ვაჟა. 288, ბ, 26

რიცხვში შეთანხმება აქ მარტივი წინადადების ფარგლებს სცილდება, თანაც ისე, რომ მიმართებითი ნაცვალსახელი ამ შეთანხმებაში არ მონაწილეობს: სახელი, ერაი მხრივ, ითანხმებს მთავარი

წინადადების შემასმენელს და, მეორე მხრივ, დამოკიდებული წინადადების შემასმენელს—რიცხვში.

ვინ ნაცვალსახელიანი დამოკიდებული წინადადება თანამედროვე ქართულში შეიძლება უსწრებდეს წინ მთავარ წინადადებას, მოსდევდეს ან ჩართული იყოს მასში:

ვინც მოჰყვდა, თავსა მოუყვდაო, ი. ჯ. II, 325,17

ასე აშკარად სჯის ბუნება ყველას, ვინც კი მას ჰლაღატობს, გოგ. II, 209,5

ყველა, ვინც კი პირველად თოფს აიღებს, კურდღელს ემუქრება, ვაჟა. 256, ა, 1

მიმართებითი ზმნიწაღებისა და კავშირების შემცველ წინადადებათა ძველწობა

რა პრინციპზეა აგებული მიმართებითი ზმნიწედებისა და კავშირების შემცველ წინადადებათა ქვეწყობა?

დამოკიდებული წინადადებით ისაზღვრება მთავარი წინადადების შემასმენელი ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით. უკეთ: დამოკიდებულ წინადადებაში გამოსატული აზრით ზუსტდება, განისაზღვრება მთავარი წინადადების შემასმენლით გადმოცემული მოქმედების ადგილი, დრო, ვითარება, მიზეზი, მიზანი. დამოკიდებული წინადადებით შეიძლება ისაზღვროდეს მთლიანად მთავარი წინადადებაც.

დამოკიდებულ წინადადებაში გვაქვს მიმართებითი ზმნიწედა ან კავშირი, მთავარ წინადადებაში შეიძლება გვექონდეს საკავშირებელი სიტყვები (კორელატები)¹. მიმართებითი ზმნიწედები მირთვის წესით არიან დაკავშირებული დამოკიდებული წინადადების შემასმენლთან, საკავშირებელი სიტყვები (კორელატები) — მთავარი წინადადების შემასმენლთან.

დამოკიდებული წინადადება შეიძლება მიემართებოდეს ადგილისა და დროის აღმნიშვნელ სახელებს (მტრედები სიხარულით გაფრინდნენ იმ ადგილისაკენ, სადაც მათი ამხანაგები მოუთმენლად უცდიდნენ; არის ხოლმე ისეთი წაშები, როდესაც სიტყვას ადგილი აღარა აქვს კაცის მწუხარებაში), ასეთი მიმართების შემთხვევებში დამოკიდებული წინადადებით ადგილისა და დროის აღმნიშვნელი სახელები კი ისაზღვრება, მაგრამ აქ განსაზღვრება გაშუალებულია. ადგილისა და დროის აღმნიშვნელი სახელებითაც და დამოკიდებული წინადადებითაც ისევ მთავარი წინადადების შემასმენლით გამოსატული მოქმედების ადგილი და დრო განისაზღვრება. რადგან დამოკიდებული წინადადებით ზუსტდება მოქმედების ადგილი და დრო, ცხადია, დამოკიდებული წინადადებები ადგილისა და

¹ ტერმინებს — „საკავშირებელი სიტყვა“, „კორელატი“ ჩვენთვის სინონიმური ღირებულება აქვთ.

დროის განსაზღვრებით (გარემოებით) დამოკიდებულ წინადადებებზე შეიძლება მივიჩნიოთ.

ქვემოთ განხილულია ყველა ძირითადი ზმნიზედისა და კავშირის შემცველ წინადადებათა ქვეწყობა.

- ა) ვიდრე. ვიდრე-ანა, ვიდრე-იგი, ვიდრეცა, ვიდრედა, ვიდრედა-იგი, ვიდრედა-რა, ვიდრეამდე, ვიდრეამდის, ვირე, ვირამ, ვირამდის, ვირამდე, ვირამდინ

ვიდრე მიმართებით ზმნიზედიანი დამოკიდებული წინადადება ძველ ქართულში შეიძლება შეგვხვდეს მთავარი წინადადების წინ ან მომდევნოდ.

და ვიდრე მე მივალ, თქვენ ვერ ჯელ-გეწიფების მოსლვად, ი. 8,21
ὁ πῶς ἐγὼ ἴπαμι, ἴμαρ ἐς τὸ ἔσχατον ἐλθῆναι

იღრ სან სრქამა, იღრ იჯ კარქე რა

წარგიყვანონ შენ, ვიდრე შენ არა გინდეს, ი. 21,18

ὁμοίως ὁ πῶς ἴμαρ ἐλθῆναι...

თარეწნ იღრ იჯნ კამქეწამ..

გცე შენ ადგილი, ვიდრე მიივლტოდის კაცის-მკვლელი იგი, გამოსლვ. 21,13

ამ მაგალითების მიხედვით ვიდრე კავშირის მნიშვნელობაა „სადაც, საითაც“. უფრო ხშირად გვხვდება ვიდრე ზმნიზედა მეორე მნიშვნელობით „სანამ, ვიდრე“:

ვიდოდეთ, ვიდრე ნათელი გაქუს, ი. 12,35

და ვიდრე ივინი იტყოდეს-ლა, აჰა ესერა იუდა...მოვიდა, მ. 26,47

Καὶ ἔτι αὐτοῖς λαλοῦντος, ἔθις, Ἰουδαῖς...ἦλθε

სა მქინ ჯეხი ნა რაქნ ქიარქე, არა შიღრა... სქნ

ვიდრე იგი ამას იტყოდა, აჰა რაქელ მოვიდოდა ცხოვართა თანა, დაბ. 29,6

და ვე არლა გამოსრულ იყო, არავის რას განამხიარულებდა, იპლტ. 2,74

მკვდარი ვიდრე წყობასა არ შესრულ არნ, ძღვევაჲ მისი სიმრავლესა შინა ლაშქართასა არა საცნაურ არნ, ხანძთ. მა, 6

სანატრელითა მით ქრისტეს-მიერთთა სიყუარულითა შემიყუარე მე, ვიდრე იყავლა სოფელსა ამას შინა ჩუენსა, ჰაბო. 77,21

ვერ განიკურნო შენ და ვერცა შეილნი იგი შენნი, ვიდრე არა შეინდოთ დედუფლისა მისგან, ხანძთ. ნტ, 15

-ლა ნაწილაკდართული ვიდრე ზმნიზედის ერთი მნიშვნელობა-
თაგანია „სანამ, ვიდრე“:

ვიდრეღა იყვნეს ესრეთ ჟამ რადოდენმე, მხიარულსა სულითა
და შუებითა, ყოველნი აღივსებოდეს საღმრთოდათა მადლითა, ზარზმ.
169,30

ვიდრეღა მამაჲ იოვანე ცოცხალ იყო, მო-ვინმე-ვიდა მონაზონი
პრომისა ქუეყანისაჲ, ცხრ. 51,1

განრისხნა საეკლარი და ბრძანა ყოვრემლის-ცემაჲ მისი და
მეყსეოვლად გოკემეს ესოდენ, ვღა დაეცა ქუეყანად, კიმ. I, 71,5
მოსე უკუე არს, რომელმან წიგნი ესე აღწერა; იგი მოსე, რო-
მელი ვიდრეღა სწოვდა ძუძუსა, მკვრცხედ „ღმრთისა იწამა“,
ექუსთ. 2,1

ვიდრეღა იხმარება მეორე მნიშვნელობითაც—„იქამდის რომ“,
„რის გამოც“, დამოკიდებული წინადადება მთავარს მოსდევს:

დიდად მისჭირდა ქუეყანასა, ვიდრეღა ფურცელი ხეთა და
ვენანტაჲ გაწმა და სკვოდა, ცხრ. 55,1

და ესოდენ ლმობიერ იქმნიან ყოველნი, ვიდრეღა მრავალი
კრემლი დასთხიიან და ამაღლობდიან ღმერთსა, ცხრ. 77,2

ამით სიტყუათა მიერ ლმობიერ ყო გული მეფისა, ვიდრეღა
მრავალი კრემლი დასთხია მთავართა თუსთა თანა, მთწმ. 330,19

ვიდრეღა მიმართებით ზმნიზედას იშვიათად ერთვის -იგი და
-რა ნაწილაკები; მნიშვნელობაა „სანამ, ვიდრე“:

იტყვან, ვითარმედ ვიდრე-ღა-იგი ჩიჯლ იყვნენ მართუენი მათნი,
და მიზეზისა რადსაგანმე შეშინდენ, კუალად საშოთავე შეიწყნა-
რებენ, ექუსთ. 82,24

ვიდრეღა-იგი ცოცხალ იყო წმინდაჲ ესე, ყოველთა მიერ საყუა-
რელ და ყოველთა მეგობარ იყო, ზარზმ. 178,3

აღირჩია თანა ძვრის-ხილვამ ერსა ღმრთისასა, ვიდრე-ღა-რა
პყრობად საწუთროსა მას საშუებელსა ცოდვისასა, ექუსთ. 2,6

უმჯობეს არს ამისა სიკუდილი, ვეღა-რა ესევერსა ცხოვრებასა
შა ყოფაჲ, კიმ. I, 289,20

ვიდრე ზმნიზედის -მდე და -მდის თანდებულებიანი ფორმები არ-
სებითად იმავე მნიშვნელობას გადმოგვეცემენ, რასაც თანამედროვე
ქართულში:— „ვიდრემდე, სანამდე“¹:

¹ კითხვით წინადადებაში ვიდრემდე = „როდემდის“:

ვიდრემდე არა ჰნებავეს სმენად ბრძანებათა ჩემთა... გამოსლვ. 16,28 (= **ἕως τίνος .. ἄχρις ἐμοῦ*).

ვიდრემდე იყოს ესე ჩუენ ზედა ტანჯვაჲ? გამოსლვ. 10,7 (**ἕως τίνος .. ἄ-
χρις ἐμοῦ*.)

არა დაგიტეო შენ, ვიდრემდე ვყო მე ყოველივე, დაბ. 28,15
დავითმინო, ვიდრემდე კუალად ვიშვე, იობ. 14,14
არლარა მისილოთ მე ამიერთგან, ვიდრემდე სთქუათ, მ. 23,39
დადგა იგი შორის საპყრობილესა და დაადგრა ზედა ფერჯთა
თვსთა..., ვიდრემდე აღასრულნა ფსალმუნნი, პაბო. 71,11
და მოსცეს წჳმად დიდძალი, ვწმდე შეიზილა კირი იგი, კიმ. I,
257,26

ნუვის უთხრობთ ხილვასა ამას, ვიდრემდის ძმ კაცისაჲ მკუდ-
რეთით აღდგეს, მ. 17,9

იყავ კეთილად მცნობელ წინამოსაჯულისაგან შენისა აღრე,
ვიდრემდის ხარ მის თანა გზასა ზედა, მ. 5,25

და ვდის იგი არა სოჯმიდა ღვნოსა, ლომნი კელითა მისითა
მოისრეოდეს, ბოლნ. 85,8

მიზეზი საქმისაჲ ამის ვერვინ იკადრა კითხვად წმიდისა მის,
ვიდრემდის თუთ უბრძანა ძმათა მათ ნეძუელთა, ხანძთ. ნბ, 24

შეაგდე იგი სატანჯველსა და გუემასა, ვიდრემდის არა აღი-
აროს შჯული მაჰმად მოციქულისა ჩუენისაჲ, პაბო. 68,36

ჯკირვეულად ვიდოდეს, ვიდრემდის მოიწინეს მთასა მას, ზარზმ.
152,35

როგორც ვიდრემდე, ასევე ვიდრემდის ზმნიზედებს აქვთ მეორე,
წარმოებული მნიშვნელობაც: „ასე რომ, რის გამოც→ამიტომ“. ამ
მნიშვნელობის მქონე ზმნიზედიანი დამოკიდებული წინადადება
მთავარს მოსდევს:

და შეკრიბა იოსებ იფქლი, ვითარცა ქვშაჲ ზღვისაჲ დიდად
ფრიად, ვიდრემდე ვერლარა ეძლო აღრაცხად, დაბ. 41,49

და არარაჲ მიუგო მას იესუ არცალა ერთისა სიტყუსათჳს, ვიდ-
რემდე დაუკვრდაცა მთავარსა მას, მ. 27,14

და შეკრბა მუნ სიმრავლე ერისაჲ, ვიდრემდე ვერლარა იტევდა
წინაშე კართა მათ, მრკ. 2,2

აღივსო ყოველი სახლი ბეთლემისაჲ, ვიდრემდე ვერ კმა იყვნეს
მათა ველნიცა სადგურად, მრვლთ. 269,17

და იქმნის იგი ხე დიდ, ვიდრემდის მოვიდიან მფრინველნი
ცისანი, და დაიბუდიან რტოთა მისთა, მ. 13,32

ხოლო იგი თავით თვსით მიუგებდა მათ მადლობით სიტყუათა
მათ ჳეშმარიტისა სარწმუნოებისათა, ვიდრემდის უკვრდაცა მათ
და აღიდებდეს ღმერთსა, პაბო. 65,37

მასევე ეამსა შინა დაფარა იგი ზლოჯამან და აღავსო იგი ქვშითა,
ვდის ყდვე არლარა საცნაოჯრ იყო, კიმ. I, 114,18

იხილა მან ქცევაჲ იგი ყრმისა მის და აღიძრა შურიითა ეშმაკი-
საჲთა, ვდის ენება მოკლვაჲ მისი, კიმ. I, 221,32

ამ მნიშვნელობის მქონე ვიღრემდე || ვიღრემდის კავშირების შემცველი დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების მომდევნოდ გვხვდება.

როგორც უნდა იყოს ვიღრე ზმნიზედისა და მისი ვარიანტების მნიშვნელობანი, თითოეულისათვის ამოსავალია ვიღრე ფორმა. რა შედეგენილობისაა იგი?

ნ. მარი თვლიდა, რომ ვიღრე-ში ვი-დ ვინ ნაცვალსახელის ვითარებითი (მიმართულებითი) ბრუნვის ფორმააო: „Есть и Нир. ვი-დ, но лишь в составе мадежа сугубой формы ვიღრე куда“¹.

ვიღრე-ში -რე (ვიღ-რე) ნაწილაკი უნდა იყოს (ზღრ. ვგ-რე, ეს-რე...). ვიდ—კი შესაძლებელია, მართლაც, ვინ ნაცვალსახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმას წარმოადგენდეს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ მარტივი წინადადების ფარგლებში ვიღრე ხშირად უკავშირდება ვითარებითში დასმულ (-მდე თანდებულის) საწყისებს (ვიღრე ტყუეობადმდე, მ. 1,17; ვიღრე შერთვადმდე, მ. 1,18; ვიღრე აღსრულებადმდე, მ. 2,14; ვიღრე გამოსლვადმდე, მ. 10,11), სახელებს (ვიღრე სისხლადმდე, მ. 23,35; ვიღრე მუნღღემდე, მ. 26,29; ვიღრე სიკუდილდმდე, მ. 26,38), ზმნიზედებს (ვიღრე აქამომდე, მ. 24,21; ზსთვან ვიდოე ქუემდე, მ. 27,51)...

მართალია, ვითარებითი ბრუნვის ფორ.მა აქ -მდე თანდებულისაგან არის მართული, მაგრამ თუ მდე←მი ღღედ², როგორც ა. შანიძე ფიქრობს, მაშინ ისტორიულად ბრუნვაში შეთანხმება უნდა ვივარაუდოთ: *ტყუეობად მი ღღედ (→ტყუეობადმდე), ამით გვერდით აღმოჩნდებოდა ვიღრე-ც: ვი-დ-რე ტყუეობად მი ღღედ (→ვიღრე ტყუეობადმდე)...

ხ ა შ უ ა ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი ვიღრე ზმნიზედამ ფონეტიკური¹ სახეცვლილება განიცადა: -რე ნაწილაკის წინ ამოვარდა დ თანხმოვანი: ვიღრე→ვირე:

ვირე მომკლევდეს, მოვკვდები, სიცოცხლე გასაწყინარდა, ვ. ტ. 582,3

რასაცა გვედრებ ისმენდი, ვირე დრო გქონდეს ხლებისა, ვ. ტ. 778,3

ვირე მე ისი არა გამოვიყვანო, მანამდისი სხუასა საქმესა არა დავებაო, დრჯ. 16,23

ვიღრე გამარტივებული სახით არის დაცული თანდებულის ფორმებშიც:

¹ Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 102.

² ა. შანიძე, -მდე თანდებულის გენეზისისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე. ტ. III. № 4, 1942, გვ. 56.

ვირემდის სრულად არ მომკლავ, ნუ მექვ, რომ დამასულო და...
თმრზ. 20,18

მუნამდის სცა, ვირემდის სულობას მიდგებოდა, სიბრძნ. 148,23
მტერი ვირემდე მტერს დასაცემელად არა ნახავს, მანობამდის
ძლიერს ძალს არ გამოიჩენს, ქილ. 364,31

ფონეტიკურ სახეცვლილებას განიცდის -მდის თანდებულებანი
ფორმებიც¹:

დაიძინოს, ვირემდი საქმობა დაიწყოს, სპკრნ. 8,6

ვირემდინ მათ თქუენგან ავი არ წაეკიდების..., ჩუენ მათგან
აუგსა და მოყიენებასა შიგან ვართ, ვისრ. 148,4

ვირემ... გვიშეელიან, მანამ ჩენი გარდაგეხდების, გურ. 56,19

ახალმა ხალიტერატურო ქართულმა ამ ზმნიზედის
ძველი ფორმა აღადგინა:

ანთეოზისავით ძლიერია მთელი ერი საზოგადოდ და ყოველი
აღამიანი კერძოდ, ვიღრე იგი მტკიცედა სდგას ეროვნულ ნიადაგზე,
გოგ. II, 238,1

ვიღრე მე იქ ვიყავ, ვერავინ რასა ჰბედავდა, ვაჭა. 297,36

ვიღრემდის ღმერთი მწყალობდაო, ცხრა დიაკვანი მყვარობდაო,
ანდ. 452

ძველი ქართულისაგან განსხვავებით საშუალსა და ახალ ქარ-
თულში ვიღრე ზმნიზედას დროის გაგებალა შერჩა და იგი მხოლოდ
დროის გარემოებით დამოკიდებული წინადადების მთავართან დამა-
კავშირებელ საშუალებად იქცა.

ბ) ვითარ, ვითარ-მგვ, ვითარ-მხმ, ვითარ-იგი, ვითარმედ,
ვითარმცა, ვითარლავცა, ვითარცა, ვითარცა-მგვ,
ვითარცა-მხმ, ვითარცა-იგი, ვითარცა-რამ, ვითარცაღა,
ვითარცაღა-იგი, ვითარცა სახელ, ვითა, ვითაც,
ვითამც, ვითომ, ვითომც, ვით

ვითარ მიმართებითი ზმნიზედა ძველ ქართულში გვხვდება
მნიშვნელობით „როცა, როდესაც“:

ვითარ გამოვიდეს იგინი მიერ, პოვეს კაცი, მ. 27,32

ვითარ შემწუხრდებოდა და მზღ დაჰვიდოდა, მოჰყვანდეს მისა
ყოველნი სნეულნი და ეშმაკეულნი, მრკ. 1,32

და ვითარ მცირედ ვლეს, უბრძანა დადგომამ, ხანძთ. მგ, 30

¹ მესხურში დასტურდება ვირამდი: ვირამდი ხენწიფე დაათვალეირებდა,
ცხენი მოუკლა, შ. ძიძიგური, ... ძივბანი ქართული დიალექტოლოგიიდან,
გვ 91.

და ვითარ ტოზიკი გარდაიქადეს, შეკრბეს იგინივე მეჯადაგენი, ეგსტ. 162,4

და ვითარ მოიწია ქამის-წირვისა ქამი, შეიმოსა წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ეფთჳმე, ცხრ. 55,4

საკავშირებელი სიტყვებად გვხვდება: მაშინ, მეყსეულად, მუნ-ქუსევე...

და ვითარ ვერ არწმუნეს, მაშინ ჭაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი, შეუვრდა ძმასა მისსა იოვანეს, ზარზმ. 162,28

და ესე ვითარ თქუა, მეყსეულად საშინელი იგი მკეცი უჩინო იქმნა, კიმ. II, 148,3

და ვითარ გამოკდეს იგინი მიერ ნავით, მუნქუესვე იცნეს იგი კაცთა მათ, მრკ. 6,54 C

ვითარ ზმნიზედაში დროის მნიშვნელობის გვერდით ხშირად იგრძნობა მიზეზის მნიშვნელობა „რაკი, რადგან“:

და ვითარ არარაჲ აქუნდა გარდაკდად, პრძანა მისი უფალმან მან მისმან განსყიდაჲ, მ. 18,25

და ვითარ ვერლარა ეძლო დამალვად, მოილო დედამან მისმან კილობანაკი, გამოსლვ. 2,3

რაჲმს მიიწია კურაპალატი ციხედ, იკითხა ხოლო დედაკაცი იგი, და ვითარ არა პოვა, ფრიად შეიურვა, ხანძთ. ნზ, 59 (...так как не нашел ее, то очень огорчился)¹.

„როცა, როდესაც“ მნიშვნელობის მქონე ვითარ ზმნიზედიანი დამოკიდებული წინადადება, თუ იშვიათ გამონაკლისებს² არ მივიღებთ მხედველობაში, მთავარ წინადადებას მოსდევს.

დამოკიდებული წინადადების ნაცვლობას ზოგჯერ მიცემითში დასმული საწყისი ეწევა:

და ვითარ ყოვნიდა სიძჳ იგი, დაყოვნებასა მას მის სიძისა-
მიერულა ყოველთა, C სა მიერულა ყოველთა, მ.
25,5 DE

და ვითარ მოაკლდა ღჯნოჲ, და მოკლებასა ღჯნისასა
პრქუა იესუს დედამან, DE პრქუა დედამან იესუს, ი. 2,3 C

¹ ტექსტებიდან საილუსტრაციო მაგალითების რუსული თარგმანი აქაც და ქვემოთაც ნ. მარს ეკუთვნის.

² შტრ.: მოკლდა რაქელ დედაჲ შენი..., ვითარ მოვიწიე მე ცხენთ სარბიელსა მას ქუეყანასა, დაბ. 48,7

ეს მაგალითი კი: დედათაცა ვიეთმე ჩუენგანთა დამაკრეეს ჩუენ, ვითარ მივიდეს იგინი ცისკარსა საფლავსა მას, ლ. 24,22... მკდარი თარგმანის შედეგი უნდა იყოს. შტრ.: დედათაცა ვიეთმე ჩუენგანთა დამაკრეეს ჩუენ, რომელნი მსთუად განთიადსა მას მივიდეს სამარგსა მას, (=იერ... ვერბადე).

და ვითარ ასმენდეს მას და შესვენასა მას მღდელთ
მღდელთ მოძღუარნი..., არას მოძღუართასა... არარაჲ მიუგო,
მიუგებდა იგი, C მ. 27,12 DE

იწვიათად გვხვდება მაგალითები, რომლებშიც დამოკიდებული
წინადადება მთავარს წინ უსწრებს და ვითარ-ის მნიშვნელობაა
„როგორც“.

ვითარ გნებავს, წარმართნო, აღმასრულებთ, სსლ. თ, 52

ამ მნიშვნელობით ვითარ ზმნიზედიანი დამოკიდებული წინადა-
დება ჩვეულებრივ მთავარს მოსდევს:

მე გითხრა, ვითარ არს, კიმ II, 83,26

-იგი¹ ნაწილაკდართული ვითარ ზმნიზედა (ვითარ-იგი) გვხვდება
მნიშვნელობით „როცა, როდესაც“:

და ვითარ-იგი ესმნეს სიტყუანი რებეკაჲსნი..., ჰრქუა მას, დაბ.
24,30

და ვითარ-იგი ივლტოდა, შეემთხვა მას სხუაჲცა მოწაფჲ მამი-
საჲ, ცხრ. 105,5

და იყო ვითარ-იგი თანა-წარჰვიდოდა ყანობირსა შაბათსა შინა,
და მოწაფეთა მისთა იწყეს გზასა სლვად და მუსრვად თავსა ქუვეი-
ლისასა, მრკ. 2,23

მნიშვნელობით „რადგანაც“:

... ვითარ-იგი იწრო არს ბჲჲ და საჭირველ გზაჲ, რომელი მიიყვა-
ნებს ცხორებასა, მ. 7,14

და ვითარ-იგი შემფოთებულ ვიყავ, წარვედ ტაძარსა წმიდასა,
ცხრ. 45,5

ვითარ-იგი ქებაჲ მეფეთაჲ არა თქუა, წარეცა იგი სიკუდილდ,
და თავი მოჰკუეთეს, კიმ. II, 113,33

მნიშვნელობით „როგორც“:

არა ყვეს, ვითარ-იგი უბრძანა მათ მეფემან, გამოსლვ. 1,17

მიქმენ მე საქმელი, ვითარ-იგი მიყუარს მე, დაბ. 27,4

გუზრდიდიან, ვითარ-იგი ქრისტეს-მოყუარენი ძმანი ჩორჩანელი
და თარსმან, ცხრ. 118,16

¹ -ეგე და -ეხე ნაწილაკებიანი მაგალითები ვითარ ზმნიზედებისა ცოტა აღ-
მოგვჩინდა:

და თუ ნანღვლე შენ არა ხარ ვგრე, ვრ-ეგე იტყვ თავით თუსით, რაჲსათჲს
დაშვი მოყოჲსსა შენსა, ბოლნ. 54,3

ვითარ-ეხე გიცნი თქვენ, კადნიერად ზედა მომივალთ მე, იობ. 21,27...
იძლევიან თუ არა ეს ნაწილაკები რაიმე სხვაობას დანარჩენებთან შედარებით,
ამის გადაჭრით თქმა ამჟამად ძნელია.

როგორც ჩანს, დროისა და მიზეზის მნიშვნელობის მქონე ზმნი-
ზედებიანი დამოკიდებული წინადადება მთავარ წინადადებას უძღვის,
ხოლო თუ დამოკიდებული წინადადება შეიცავს ამავე მიმართებით
ზმნიზედას მნიშვნელობით „როგორც“; მაშინ დამოკიდებული წინა-
დადება მთავარს მოსდევს¹.

ვითარმედ კავშირი გვხვდება მნიშვნელობით „ასე რომ, ისე რომ“.
ალილო ცხედარი თვისი და გამოვიდა წინაშე ყოველთასა, ვითარ-
მედ განუკვრდებოდა ყოველთა, მრკ. 2,12

*Ἄρως τὸν κράββατον ἐξήλθεν ἐναντίον πάντων ὡς τε ἐξίστασθαι
πάντας*

*აილია დანადრანს, ხე ალილო ამნსილინს, მიხედა დარმანსა
ამნსილინს*

და იქმნა იგი ვითარცა მკუდარი, ვითარმედ მრავალნი იტყო-
დესცა; ვითარმედ: მოკუდა, მრკ. 9,26

*καὶ ἐγένετο ὅτε ἐν ἔσχατοις, ὡς τε πολλοὺς λέγειν ὅτι ἀπέθανεν
καὶ ἡγέτα ὑποταγῆς ἰσραὴλ ἱεροῦσα ἡμισυαί, ἡ ἡμίση ἡ ἡμισυαί ἡ ἡμισυαί
ἡ ἡμισυαί ἡ ἡμισυαί*

(ამ მაგალითში ქართული ორჯერ აჩვენებს ვითარმედ-ს. პირვე-
ლის მნიშვნელობაა „ასე რომ“, მეორესი—„რომ“. შესაბამისად
ბერძნულსა და სომხურშიც კავშირი ორია, მაგრამ როგორც გა-
რეგნულად, ისე სემანტიკურად განსხვავებული: ოსტე... ზე; მიხედა..
მტ... ც რედაქცია კი კავშირების „დისიმილაციას“ ახდენს: და იქმნა
იგი ვითარცა მკუდარი, რამეთუ მრავალნი იტყოდესცა, ვითარმედ
მოკუდაო).

...გამოვიდოდეს საფლავებისა მისგან ფრიად ბოროტნი, ვითარ-
მედ ვერვის ჯელ-ეწითებოდა წარსლვად, მ. 8,28

...ἔκ τὸν μνηστῆρας ἐξέρχόμενοι, χάλπειοι ἴσαν, ὡς τε μὴ ἰσχύειν
τεινὰ παρελθεῖν

...ხელსე ἡ ἡხრეღმანაფნს, ჯარაჯარე კიქ, ირყესა ἡ ἡ ἡ
ღნარ ანუნანს ἡ ἡ ἡ

და შეკრბა მერმე ერი იგი, ვითარმედ ვერ სცალნ ჰურის კა-
მადცა, მრკ. 3,20 (= ოსტე, მიხედა ἡ ἡ)

განკურნა იგინი, ვითარმედ უკვრდაცა ერისა მას, მ. 15,30—31

¹ მართალია, გვაქვს ასეთი წინადადება:

ვითარ-მე ვიყვენით ჩუენ ღმრთისა თანა, ვერეცა ღმერთი იყო ჩუენ თანა,
წარტყ. იბ. 6, მაგრამ მთავარ წინადადებაში მას ზმნიზედა აქვს, ავრეთვე ვითა-
რებისა (ვერეცა).

მრავალთა განჰკურნებდა, ვითარმედ ზედაცა დაესხმოდეს მას.
ერი იგი, მრკ. 3,10

ღელვასა მას შთაასხმიდა ნავსა მას, ვითარმედ აღ-ცა-ივსებოდა
ნავი იგი, მრკ. 4,37

აღმოსავალით კერძო მთისა მის იყო ბორცუ იგი საშინელ და-
უგზო, სიმრავლისაგან დამკვდრებულთა ეშმაკთაჲსა მას ზედა, ვი-
თარმედ მწყემსთაცა მის უდაბნოჲსათა ვერ ძალ-ედღა მიახლებად
ადგილსა მას, კიმ. II, 157,23

მრავალჯერ იქმნა ნეტარი ესე მეჯორეცა და სხუაჲცა მრავალი
კელი, რომელი მოჰხუდა, უზაკუველად და უდრტვნივლად გარდა-
იქადა, ვითარმედ უკვრდაცა ძმათა ყოველთა ესევითარისა მის ჭა-
ბუქისა გულსმოდგინებაჲ და მშუდობაჲ, კიმ. II, 145,15

ვითარმედ კავშირი ზოგჯერ ვითარების გარემოებით დამოკი-
დებულ წინადადებას იწყებს. ეს მაშინ ხდება ხოლმე, როდესაც
მთავარ წინადადებაში ვითარების ზმნიზედა (ესრმთ) იჩენს თავს.
ვითარმედ კავშირის მნიშვნელობა ასეთ შემთხვევებში არის „რომ“:

ესრმთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი, ვითარმედ ძმცა თჳსი
მხოლოდ შობილი მოჰსცა მას, ი. 3,16

ესრმთ უკუე დაჰქნო გუამი თჳსი, ვითარმედ მკუდრად ვიდრე
აღსრულებადმდეცა საგონებელ იყო, კიმ. II, 112,13

ესრეთ მკურვალთა სარწმუნოებითა მოისწრაფდეს, ვითარმედ
საზრდელსაცა ძლით მივიღებდით, მთწმ. 321,1

არის ნიშნებიც იმისა, რომ ვითარმედ კავშირს შეიძლება
მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება დაეწყო, თუ
მას მთავარ წინადადებაში მიზეზის გარემოება აღმოაჩნდებოდა:

შემაგდეს მე სახლსა შინა საპყრობილისასა ამის ჯერისათჳს,
გ'დ მივედ პილატსს კელმწიფის თანა და მოვიტხოე გოჯამი ძ'ჯასი,
არიმათ. 5,5 (ввергли меня в дом заточения за то, что я пошел
к правителю Пилату).

მაგრამ, როდესაც მთავარ წინადადებაში ასეთი სიტყვა არ
მოიპოვება, ვითარმედ კავშირის მნიშვნელობა შესაძლებელია „რომ“
და „რადგან“ მნიშვნელობათა მიჯნაზე აღმოჩნდეს:

რამეთუ მეშინოდა, ვითარმედ კაცი ხარ სასტიკი, ლ. 19,21

რა შედგენილობისა უნდა იყოს ვითარმედ კავშირი?

ნ. მარი ვითარმედ-ში -მედ-ს (ვითარ-მედ) ცალკე ოდენობად
მიიჩნევა. რა არის -მედ? „-მედ [|| -მენ|→მელ→მე частица не-
определенного местоимения, появляющаяся на втором месте в

составе местонамени и союзов: არა-მედ, ვითარ-მედ, რო-მედ, რაჲმე и др.¹.

გვხვდება ვითარ კავშირი:

იტყოდეს, ვითარ: რომელმან შეამკვნა ცანი ვარსკოკლავითა, მწოლარემ არს პიროუტყოთა ბაგასა, სსლ. ოზ, 26

გვაქვს აგრეთვე ამ კავშირზე -მე ნაწილაკდართული ფორმები: ვისწოთ აწ, ვრმე შევიდა, ბოლნ. 79,28

-მე ვითარმე-დ-ში განუსაზღვრელობითი ნაწილაკი უნდა იყოს (შლრ. ვინ-მე, რაჲ-მე...)

რა უნდა იყოს -დ? ერთი წინადადება მოსალოდნელი ვითარ-მედ-ის ნაცვლად ვითარად-ს აჩვენებს:

და დაიჯერე და ირწმუნე, ვითარად არცა პატიოსანი და არცა დიდებული... არა შევიდეს სასუფეველსა ღმრთისასა..., უკუეთუ არა მოიგონ სიმდაბლე და სიყუარული, (B რედ.— ვდ) მრხეთ. 338,3

ვითარად ამ მაგალითში ვითარებითი ბრუნვის ფორმაა და შეიძლება კაცს ეფიქრა, რომ ვითარმედ მიღებულია ასე: ვითარად+მე (ვითარადმე), მერე -მე ნაწილაკის ბრუნვის ნიშნის წინ ჩანაცვლებით და ა ხმოვნის დაკარგვით დ-ს წინ → ვითარ-მე-დ.

მაგრამ გამორიცხული არ არის იმისი დაშვების შესაძლებლობაც, რომ ვითარმედ-ში დ და კავშირის ნაშთი იყოს...და კავშირით ჩვეულებრივ იწყება ხოლმე წინადადება... ეს და ზოგჯერ ვითარ-მედ კავშირის მომდევნოდაც იჩენს თავს: ცრემლით. ეტყოდა, ვითარმედ: „და რად დაიღუმე აქამოდე და არა მამხილე... ცხრ. 29,5

რა მნიშვნელობითაც უნდა შეგვხედეს ვითარმედ კავშირი, დამოკიდებული წინადადება ყოველთვის მოსდევს მთავარს.

-მცა ნაწილაკიანი ვითარ კავშირის (ვითარმცა) შემცველი დამოკიდებული წინადადება აგრეთვე ყოველთვის მოსდევს მთავარს, იგი შეიძლება შეგვხედეს—მნიშვნელობით: „რომ, რათა“:

და ეძიებდეს, ვითარმცა წარწყმიდეს იგი, მრკ. 11,18

ხოლო ნათესავსა უცხოსა ვერ კელ-წვიფების მისყიდად მისა, ვითარმცა შეურაცხ-ყო იგი, გამოსლვ. 21,8

ნუ შემემთხუეინ მე ეგე ყოფად, ვითარმცა დაგიტევე შენ, რუთ. 1,16

და იგი ეტყოდა: „შეუძლებელ არს, ვითარმცა არა აღვედ!“² ცხრ. 105,4

¹ Н. Марр, Древнегрузинско-русский словарь к 1—2 главам евангелия Марка, 1913, зв. 14.

მნიშვნელობით „რომ თითქოს, ვითომც“:

ესრძთ შეპრაცხეს შემზადებად ადგილისაჲ მის, გითარმცა სრულად აღეშენა, ხანძთ. ლგ, 25

და ოდესმე აღიღის ცომი და სტყორცის ქყნასა ზა და ამს-გაეცებდა იგი, ვრმცა უგუნური იყო, კიმ. I, 205,29

და ჰხედვიდა იგი, ვრმცა იყო წდასა ბეთლემს, კიმ. I, 23,25.

უკუეთუ ვინმე ადგილსა ამას ალაშქნოს სენაკი, ეგრე არს, გითარ-მცა ეკლესიაჲ ღმრთისაჲ ალაშენა, კიმ. II, 159,37

გითარცა გადმოსცემს მნიშვნელობას— „როდესაც, როცა“, „რო-გორც კი“:

გითარცა ესმნეს სიტყუანი ესე მათნი მონასა მას აბრაჰამისსა, თაყუანის-სცა უფალსა ქუეყანასა ზედა, დაბ. 24,52

გითარცა შემწუხრდა, მოუქდეს მოწათენი მისნი, მ. 14,15

გითარცა ეამის წირვაჲ ალასრულეს და საზრდელი მიიღეს, წარმოვიდეს შინა, ცხრ. 55,5

და ვა ჰქა, გნეყენა იგი მთგან, ბოლნ. 80,23

გითარცა მიიწინეს ივინი ქუეყანად აფხაზეთისა, მთავარმან მის ქუეყანისამან შეიწყნარა ნერსე ყოვლით ერთ მისითურთ, ჰაბოკ. 65,25

ხოლო გითარცა მიიწია მუნ, იხილა ტალავარი იგი, ზარზმ. 154,30

გითარცა ესე სიტყუაჲ თქუა ნეტარმან ევსტათი, ჯუარსა თა-ყუანის-სცა, ევსტ. 166,13

გითარცა (მნიშვნელობით „როდესაც“) ზმნიზედის საკავშირებელ-სიტყვებად ზოგჯერ თავს იჩენენ დროის ზმნიზედები: მაშინ, შეესხეულად, მუნქუესგე:

გითარცა იგი ამას ეტყოდა ოდენ მათ, მაშინ მოუქდა მას მთა-ვარი ერთი, მ. 9,18

გითარცა აღმოსცენდა ჯეჯლი იგი და ნაყოფი გამოიღო, მა-შინ გამოჩნდა ღუარძლი იგი, მ. 13,26

და გითარცა იხილა წმიდამან მან ფრიადი სარწმუნოებაჲ კაცთა მათ მეუღლეთა და შვილთა მათთაჲ, მაშინ აღდგა სიხარულისა ცრემლით სავსე, ხანძთ. იგ, 41

გითარცა ესე თქუა, შეესხეულად განეყარა მისგან კეთროვნებაჲ იგი, მრკ. 1,42

და გითარცა ესმა ესე ივბიმიანოსს, შეესხეულად წარვიდა ივლია-ნოსისა, კიმ. II, 82,22

და გითარცა ესე ჰრქუა, მუნქუესგე დაჰქნდეს კელნი მტარ-ვალთან მათ, კიმ. II, 24,15

და ვითარცა ესმა მსაჯულსა მას წმიდათა მათგან მოწაბეთა, ბრძანა მუნქუესზე, რაეთა აღმოეცადოს თითოე თუალი, კიმ. 11, 55,34

ვითარცა ზმნიზედიანი დამოკიდებული წინადადების ნაცელობა შეიძლება გასწიოს მიცემითში დასმულმა საწყისმა¹:

და ვითარცა მზე აღმოაქდა ხოლო აღმობრწყინებასა მზი-
და დაპსება..., განვმა, DE სასა დასება მას... და განვმა, C

მრკ. 4,6

და ვითარცა დღესასწაული განზოგებასა ოდენ მის დღე-
იგი გან-ოდენ-ზოგებულ იყო, სასწაულისასა აღვიდოდა იესუ
აღვიდა იესუ ტაძრად, ტაძარსა მას, C

ი. 7,14

ვითარცა (მნიშვნელობით „როდესაც, როცა“) ზმნიზედის შემ-
ცველი დამოკიდებული წინადადება მთავარს წინ უსწრებს.

ვითარცა² გვხვდება აგრეთვე მნიშვნელობით „როგორც“:
დადარა კილობანი იგი წამებისაჲ, ვითარცა უბრძანა უფალმან
მოსეს, გამოსლგ. 40,19

ივნიენით ივინი, ვითარცა სათნო-გიჩს თქუენ, დაბ. 19,8
იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ
არს, მ. 5,48

შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მიიცვალა ექსორიობასა შინა,
ვითარცა ზემო მოვიკსენეთ, ცხრ. 118,7

ხოლო თუთ აღმოეცენა იგი ქუეყანასა თრიალეთისასა, ვითარცა
პირმან საქმისამან გაუწყოს, მთწმ. 285,19

დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ მთავარს მოსდევს³. სა-
კავშირებელ სიტყვებად შეიძლება შეგვხვდეს ვითარების ზმნიზედები:

¹ ოთხთავის DE რედაქციის ვითარცა ზმნიზედის ნაცელად C-ში ზოგჯერ
თავს იჩენს რაჲ ან რაჲამხ:

ვითარცა იხილა იგი იესუ, შეჰ- იხილა რაჲ იესუ, შეჰრისხნა, C
რისხნა მათ, DE

მრკ. 10,14

ვითარცა შევიდა იესუ სახიდ, მო- და რაჲამხ შევიდა იგი სახედ...C
წაფეთა მისთა თუსაგან ჰკითხეს, DE

მრკ. 9,28

² დიაკონნი ჰმსახურებდიან, ვითარცა მიხუდებინ, ცხრ. 73,1; BCD რედაქ-
ციები აქ ვითაცა-ს აჩვენებენ.

³ იშვიათად გვხვდება მაგალითები, რომლებშიც საკავშირებელ სიტყვად
ვითარების ზმნიზედა არ გვაქვს და დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს
მთავარს:

ვა პრწამს, ეგრეცა ქადაგებს, კიმ. I, 14,34
და ყო ეგრეთ კაცმან მან, ვითარცა უბრძანა მას იოსებ, დაბ.
43,17

და პოვეს ეგრე, ვითარცა პრქუა მათ იესუ, მრკ. 14,16
და მათ ეგრე ყვეს, ვითარცა უბრძანა მოსე, ლევატ. 10,7
ასეთ შემთხვევებში დამოკიდებული წინადადება შეიძლება უსწ-
რებდეს ან მოსდევდეს მთავარ წინადადებას.

ვითარცა მნიშვნელობით „რაკი, რადგანაც“.
ხოლო წმიდაჲ იგი, ვითარცა იყო უცხო ზუაობისაგან, მიუგო
და პრქუა მათ, ზარზმ. 165,23

და იგი, ვითარცა იყო ყოველსავე ზედა მორჩილი, მოსწრათედ
შეუდგა ბრძანებასა მისსა, ცხრ. 47,2

და ვითარცა არარაჲ აქუნდა მას, რადგანაც მისცა, უბრძანა უფალ-
მან მისმან... მ. 18,25

ამ მნიშვნელობით ვითარცა ზმნიზედა შედარებით იშვიათად
იხმარება, არც დამოკიდებული წინადადების ადგილი ჩანს განსა-
ზღვრული. მოგვეპოვება მაგალითები, რომელთა მიხედვით ძნელია
ითქვას, „როცა, როდესაც“ მნიშვნელობა აქვს ვითარცა-ს თუ
„რაკი, რადგანაც“:

და ვა არა შეიძრა, გულისკმა-ყო, რ მომკუდარ არს, საბა, 8,27
და ვითარცა შეშვირდა მას, მისცა დრაჰკინისა ნახევარი, კიმ. II,
161,33

და ვითარცა ვერ შეძრეს მართალი იგი, გამოვიდეს მიერ სირ-
ცხვლეულნი, ჰაბო. 70,33

აქა-იქ გვხვდება ვითარცა ზმნიზედა, რომელსაც ჩვენ ვკითხუ-
ლობთ ამ გაგებით — „რომ თითქოს; ისე რომ, თითქოს“:

ხოლო ლომი იგი ლოცვითა ბერისაჲთა ეგოდენ მწრაფლ ივლ-
ტოდა, ვითარცა ვინ სცემდა და წარსდევნიდა, კიმ. II, 155,21

და იქმნა კაცი იგი ყოვლად მრთელ, ვითარცა არარაჲ შეჰმ-
თხუეოდა ვნებაჲ იგი, ზარზმ. 177,21

ვითარცა ზმნიზედიანი დამოკიდებული წინადადება შეიძლება
ჩართული იყოს მთავარში:

მას დღესა შინა, ვითარცა შემწუხრდა, პრქუა მათ, მრკ. 4,35
და მზაკუვარმან მან, ვითარცა იხილა ძლეულებაჲ თვისი, იწყო
თქუმაღ სიტყუათა გმობისათა, ცხრ. 54,3

და სხუანი მრავალნი სწავლანი, ვითარცა ღმერთმან მოსცის
პირსა მისსა, მიუთხრნის, ცხრ. 77,4

ვითარცა ჩვეულ იყო, კჳალაჲ ასწავებდა მათ, მრკ. 10,1

ვითარცა გნებავს, აცხოვნე სული ჩემი, ცხრ. 27.3

როდესაც ვითარცა ზმნიზედას -იგი (-ეგე, -ესე) ნაწილაკი ერთ-
ვის, მაშინ მისი მნიშვნელობა ერთია— „როგორც“ და დამოკიდე-
ბული წინადადების ადგილიც განსაზღვრული: იგი მოსდევს მთა-
ვარს¹:

და ჰმსახურეთ უფალსა თქუნესა, ვითარცა-ეგე იტყუთ, გამოსლვ.
12,31

დასაბამისათჳს უკუჲ სიტყუაჲ აქამომდე იყავნ, ვითარცა-ესე
მრავლისაგან მცირედი გვთქუამს, ექუსთ. 8,19

და ყო მოსე, ვითარცა-იგი უბრძანა ღმერთმან, ლევიტ. 8,4
ხოლო მეპურეთ მოძღუარი იგი დამოჰკიდა ძელსა, ვითარცა-იგი
გამოუთარგმნა მას იოსებ, დაბ. 40,22

დაჰბურა საბურველი იგი კარვისაჲ მას ზედა-კერძო, ვითარცა-
იგი უბრძანა უფალმან მოსეს, გამოსლვ. 40,17

და განარჩინეს იგინი ურთიერთას, ვითარცა-იგი მწყემსმან გა-
ნარჩინის, მ. 25,32

გუასწავე ჩუენ ლოცვაჲ, ვითარცა-იგი იოვანე ასწავეა მოწაფეთა
თჳსთა, ლ. 11,1

ყავნ უფალმან თქუენ თანა წყალობაჲ, ვითარცა-იგი თქუენ
ჰყავთ, რუთ. 1,8

ოლონდ როდესაც საკავშირებელ სიტყუად ვითარების ზმნიზედა
იჩენს თავს, დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ მთავარის
წინ არის გადანაცვლებული;

და ვითარცა-იგი მოსე აღამალლა გუელი უდაბნოსა, ეგრეთ
ჯერ-არს აღმალლებაჲ ძისა კაცისაჲ, ი. 3,14

და ვითარცა-იგი იყო დღეთა ნოვესთა, ეგრეთ იყოს დღეთა მათ
ძისა კაცისათა, ლ. 17,26

ვითარცა-იგი იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა... ეგრეთ იყოს ძმ
კაცისაჲ გულსა ქუეყანისასა, მ. 12,40

და ვითარცა-იგი ჯორციელად—მშობელთა მონაგები შვილთა
განუყვიან, ეგრეთვე ხანძთაჲ სულიერად—მშობელი არს ჩუენ ყო-
ველთაჲ, ხანძთ. ლვ, 34

რამ ნაწილაკდართულ ვითარცა (ვითარცა-რამ) ზმნიზედის მნიშ-
ვნელობაა „როგორც“:

ვითარცა-რამ ოზბიწომან აბელ შეწირა ოჯფლისა მსხოვერპლი
ცხოველი, ეგრეთვე შენ, ნეტარო, შესწირე თავი შენი მსხოვერპლად,
სსლ. ეთ, 13

¹ გამონაკლისის სახით:

ვითარცა-იგი მან თჳსსა უდიდშსსა მარტულსა მას იფქლისასა შებნა
უყვის..., მეცა გულს-მოდგინე ვიქმენ უძლიერშს ჩემსა აღებად, ჰაბო. 56,17

ვ-ა-რამ სახლსა შინა მცირესა დადგის კუამლი ნივთთა რათმე მრ მყრალთა და კუამლის გამომცემელთა და აურვებნ მუნ შ-ა მყოფთა კუამლი იგი, ეგრეთვე ღწნომან წარუწყმიდის გონებაჲ ბრძენთაცა, კიმ. I, 57,25

გითარცალა—„ისევე, როგორც“:

ჩუენი ესე სწავლაჲ მათსა მას ცნობასა ეზიარა, ვითარცალა ვინ დაჰწერვის ხმ შუენიერი და აღორძნდის, მრელთ. 266,22

გითარცალა-იგი წამალმან, კეთილად შემზადებულმან მკურნალისა მიერ კელოვნისა, დაჰჰსნის სენთა სიმძაფრე, რომელ არნ გუამსა შინა სნეულისასა და დასულიბნის ძარღუნი, რაჲთა განეგოს ტკივილი, ეგრეთვე უწყოდეთ, რამეთუ ცრემლნი გამოვლენ სინედლისაგან გუამისა, მრსეთ. 78,22

გითარლამცა—„მსგავსად იმისა, როგორც“:

გითარლამცა ჭურსა ფრიად დიდსა, სავსესა ზეთითა გინა ღწნითა, გინა ლაკუასა, სავსესა წყლითა, შთავარდა მცირე თაგვ, გინა სხუაჲ რაჲმე კუეწარმავალთაგანი, და მოიშთოს, არე-მეა ყოველი იგი სიმრავლმ შვიგინოსა მცირედითა მით? მრსეთ. 70,18

გითარცა სახედ—„მსგავსად იმისა, როგორც; როგორც, მაგალითად“:

და ყოველი ცმელი მისი მოჰჰადოს, ვითარცა სახედ მოჰჰადიან ცმელი შესაწირავსა, ლევიტ. 4,31

და განიღონ ჯბოჲ იგი გარეშე ბანაკსა მას და დაწუან იგი, ვითარცა სახედ დაწუეს ჯბოჲ იგი აირველი, ლევიტ. 4,21

საკავშირებელ სიტყვებად შეიძლება შეგვხვდეს ეგრეცა ან ესრე სახედცა:

ფარაოჲს მეფისა მის მეგვბტელთაჲსა ეტლნი ვ-ა სახედ ესე ურთიერთას შედგომილ დ-ბლ არს და შუენიერ, ეგრეცა შენ შუენიერ იყო, იპლტ. 8,12

ვ-ა სახედ შეზავებულნი იგი საკუმეველთანი გამოსცემენ სულნელებასა, ესრე სახედცა სიტყუაჲ გამოსრულ მამისაგან განამზიარულებს მსმენელთა, იპლტ. 2,51

ვ-ა სახედ ჭურჭერსა რ-ლსა ნელსაცხებელი დგან დაკრძალულ და დაბეძულ ვ-ე არნ, არა გამოუტევის სულნელებაჲ..., ესრე სახედცა სიტყუაჲ იგი გულსა მამისასა იყო, იპლტ. 2,65

იშვიათად ვითარცა სახედ-ში კომპონენტები ადგილმონაცვლებულია:

სახედ ვ-ა დამაშურალი ვინ მრავლითა და შრომითა აღჰდეს. განსუენებად ცხედარსა შ-ა..., ეგრეცა ჩ-ნ მოჰკეულ ამის სოფლისა. ამოვებისაგან, იპლტ. 27,11

როგორც ეს განხილული მასალის მიხედვით ჩანს, ვითარ ზმნი-
ზედა ამოსაყვალა სხვა ნაწილაკებიანი ვარიანტებისათვის.

რა შედეგნილობისაა თვით ვითარი?

ნ. მარის მიხედვით ვითარი-ი ვინ ნაცვალსახელის მოქმედე-
ბითი ბრუნვის ემფატიკური ფორმაა, რომელსაც რ (←რე) ნაწი-
ლაკი აქვს დართული¹. თ. ყაუხჩიშვილს გაკერით აქვს აღნიშ-
ნული, რომ „ვით-არ-იც შეიცავს ვი ფუძის მოქმედებით ბრუნვას“².
ა. მარტიროსოვი ამ მოსაზრებას, ჩანს, იზიარებს: „სხვებთან
ერთად პ. ფოგტმა აღნიშნა, რომ ვით არის ვინ ნაცვალსახელის
მოქ. ბრუნვის ფორმაო“³, დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ კი
თ. შარაძენიძის სპეციალურ გამოკვლევებზე მიუთითებს. თ. შა-
რაძენიძე წერს: „ვით-ა-საგან—არ-ის დართვით მიღებულია ვითარი.
„ვითარცა“ კი იმავე ვითარ-ს წარმოადგენს -ცა ნაწილაკდართულს“⁴.
ვითა თავის მხრით „წარმოადგენს იმ ნაცვალსახელის მოქმედებით
ბრუნვას, რომელიც მოთხრობითში ვინ-ის სახით არის წარმო-
გენილი“⁵.

გამომდინარეობს, რომ მოსაზრებას, რომლის მიხედვით ვით
ვინ ნაცვალსახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმად არის მიჩნეული,
ყველა მკვლევარი იზიარებს, ოღონდ ნ. მარის მიხედვით რ (ვი-
თა-რ) რე ნაწილაკისაგან არის მიღებული, თ. შარაძენიძისათ-
ვის არ (ვით-არ) სუფიქსია.

თ. შარაძენიძე ფიქრობს, რომ „ვითა“ უფრო აღრინდელია,
ვიდრე „ვითარ“ და „ვითარცა“. შემდეგ ისინი პარალელურად იზმა-
რებიან. ერთ პერიოდში „ვითა“-ს ეძლევა უპირატესობა, მეორეში—
„ვითარ“-ს, „ვეფხისტყაოსანში“ ვითა არის გაპატონებული⁶. ასე-
თი დასკვნა ფორმის ანალიზის შედეგად ბუნებრივია, მაგრამ აღრინ-
დელიაო—როდესაც წერს ავტორი, მას, ჩანს, მხედველობაში აქვს
ყოველ შემთხვევაში მეხუთე საუკუნეზე აღრინდელი ქართული,
რადგან ძველი ქართულის მონაცემები საწინააღმდეგო ვითარებას
აჩვენებენ: ძველი ვითარ-ის ადგილს მოგვიანო ვითა იკავებს⁷.

¹ Н. М а р р. Древнегрузинско-русский словарь. გვ. 7; აგრეთვე მისივე
Грамматика древ. лит. груз. языка. გვ. 102, 104.

² თ. ყაუხჩიშვილი, ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათ-
ვის ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 279.

³ ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, იბერიულ-კავკასიური
ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 236.

⁴ თ. შარაძენიძე, „ვითა“ თანდებული ქართულში, უნივერსიტეტის
შრომები, X, 1939, გვ. 156.

⁵ იქვე, გვ. 157.

⁶ იქვე, გვ. 156.

⁷ რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ მოგვიანო
ძველების ვითა იყოს სწორედ აღრინდელი.

ხაშუალ ქართულში გაბატონდა ვითარ ზმნიზედის ფონე-
 ტიკურად გამარტივებული ვარიანტები ვითა და ვით: ¹
 მით ერთითა მათრახითა თავი ისრე გარდაჰფრიწა, ვითა
 მკედარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დაამიწა, ვ. ტ. 209,2
 ვითა სჯობდეს, ეგრეცა ვქმნათო, დრჯ. 68,44
 მერმე გაუგზავნა შაჰრო ასულსა, ვითა ხელმწიფეთა წესია,
 ვისრ. 144,10
 ორთავეს ზრდიდეს სათუთად, ვითა ღირდა და შვენოდა, თმრზ.
 25,29
 სახელნი ესთა იბრუნჳან, ვითა ითქუა, ღრმტ. 7,22
 „ვეფხისტყაოსანშივე“ და მომდევნო ხანის ძეგლებშიც უფრო
 ხშირად გვხვდება ვით:
 ფატმან ხათუნს მოსლვა მისი, შე-ვით-ვატყევე, არ ეწყინა, ვ. ტ.
 1076,4
 ვით მან მიუწყო ბოროტი, მიეწყო საწყაულობა, თმრზ. 41,4
 ასე უნდა იტკივნებდეს, ვით დედა შესწუხებია, არჩ. 50,26
 ვით დაგვიწერია, ისრე უსამართლეთ, სმრთლ. 61,7
 ხელმწიფე უნდა მართალი, ვით ბრძენთა დაუწერია, გურ. 24,10
 ვით ვყოფილვარ მიწა-მტვერი, ისრევე ისე გაჰმტვერდები, გურ-
 65,9...
 ვითა ზმნიზედა იშვიათად ნაწილაკდართულია:
 ვითაც საქართველო ღარიბი და უსაქონლო ქვეყანა არის, აგრე
 რიგად არც კელმწიფის შემოსავალი არის, სმრთლ. 93,13
 გვეწადა, რომ თავის საქონლით უმაღლეს კარს გამოგვეგზავნა,
 ვითაც აღვასრულეთ და გამოგვგზავნეთცა, ერეკლე, 52,26
 ვითა(ც), ვითა ზმნიზედის მნიშვნელობაა „როგორც“, მაგრამ,
 თუ ვითა-ს ერთვის -მც(ა) ნაწილაკი, ზმნიზედის მნიშვნელობა
 სხვაა—„თითქოს“:
 ვითამც მშობელი ხარ ჩემი, ეგრე დაგიპირო, დრჯ. 6,31
 საწუთრო ესრე ამშფოთებია, ვითამცა ეტლად შებმულ ვიყავ,
 ვისრ. 174,17
 არავე დაეძინა, ვითამცა საგებელი მისი ქუეშე ეკალი და ბირკი
 ყოფილ იყო, ვისრ. 181,147
 იშვიათად ვითა-ს უჩანს მნიშვნელობა „როცა, როდესაც“:
 ვითა ნადიმი გაიყარა, ამირან დარეჯანის ძემან ბრძანა მის
 კაცისა მოყვანა, დრჯ. 81,6

¹ თუ მხედველობაში არ მივიღებთ იშვიათ შემთხვევებს:
 ნეტარება მიიღე, ვითარცა იტკვის... დაეთი, კჳნდ. 28,6
 ვითარცაღა წესი იყოს, იქნას, გარ. 2,26

ვითა ხშირად გვაქვს „ცნობიერება წრის“ ზმნებიან კონსტრუქციაში (აქ ვითა←ვითარმედ):

ეგრე მოვაქსენე, ვითა: დასტურ წამოგყვები მეთქი, დრჯ. 68,23
არქუეს შაპროს, ვითა: სულისა დაღება ქალისაგან ნდომისა
ნიშანი არისო, ვისრ. 144,37

თანამედროვე ხალიტერატურო ქართულში ვით
თითქმის სავესებით განდევნა როგორც ზმნიზედამ. ვით იშვიათად-
ლა შეგვხვდება, მეტწილად პოეზიაში:

სხვისა შვილი არა შვილობს, ვით ნაცარი არა ფქვილობს,
ანდ. 475

ვით მეტი იყო წელან ძაგება, ისე მეტია ეხლა ეგ ქება, ი. ქ. I,
176,13

ისევე სჯობს ასე მოვიქცე, ავეყე მიშოსა მცნებათა, ვით იგი
აპყეა თიანეთს ბურუსში ძაღლის ყეფასა, ი. ქ. I, 121,29

სამაგიეროდ -მც(ა) ნაწილაკიანი ვითა („თითქოს“ ზმნიზედის
მნიშვნელობით) თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში
შემოგვრჩა: ვითამ(→ვითამც) სხვადასხვაგვარი ფონეტიკური სახე-
ცვლილებებით—ვითომც || ვითომ || მითამ-და:

უთხრა მოსესა ისე, ვითამ აქ არაფერი ამბავია, ი. ქ. II,
187,34

იკითხა კირილემ, ვითომც აქ არაფერიაო, კლდ. I, 143,20

თავის ვარცხნას მოაპყეა, ვითომ აქ არაფერი ამბავი არისო, ა. წ.
184,12

ლუარსაბმა დააკრაქუნა კიდევ თავისებურად კბილები სიამოვნების
ნიშნად..., მითამ-და სამაცდუროდ გაიღიმა, ი. ქ. II, 144,24

ვითა || ვით მიმართებითი ზმნიზედა აღარც დიალექტებში ჩანს
ცოცხალი...

გ) ვინა, ვინაჲ-იგი, ვინაჲ-ქარაქომცა, ვინაჲცა, ვინაჲცა,
ვინაჲცა-იგი, ვინაჲთ, ვინაჲთცა-იგი, ვინაჲთგან,
ვინაჲღგან, ვინაჲთგან, ვინაიღან

ძველ ქართულში მიმართებით ზმნიზედებად და კავშირებად
ვინაჲ-ს ვარიანტთაგან ძირითადია თვით ვინაჲ:

მივაქციოა ძმ შენი ქუეყანასა მას, ვინაჲ გამოხუედ შენ? დაბ.
24,5

იცნა ადგილი იგი, ვინაჲ-იგი აღიტაცა, კიმ. I, 20,30

ვიდრემდის ვაკესა ზედა მდგომარე არნ წყალი, უძრავ არნ,
რამეთუ არა აქუნ მას ადგილი, ვინაჲქერაქომცა შთაედინა, ექუს.
42,10

ვერ პოვეს, ვინაჲმცა შეიღეს იგი ერისა მისგან, ლ. 5,19
აღმაღლდა ზეცად, ვინაჲცა გარდამოჲდა, ჰაბო. 59,36
ოჯწყოლი, რ მისლვაჲ ჩემი და თაყოჯანის-ცემაჲ ადგილთა წ'თა,
ვინაჲცა-იგი დასთხიე პატიოსანი სისხლი შენი ჩ'ნთჲს, კიმ. I, 3,21
წინაჲსწარმეტყუელმან ამბაკო გიწოდა მთით ჩრდილოეთ მალ-
ნართათ, სძალო წმიდაო, ვინაჲთ გამოვიდა ღმერთი, სსლ. ობ, 89
მივიქცე სახიდ ჩეჲდა, ვინაჲთცა-იგი გამოვეღ, მ. 12,44 C
ესე ოცი წელი არს, ვინაჲთგან ვარ მე შენ თანა, დაბ. 31,38

როგორც ჩანს, თითოეული ფორმისათვის ამოსავალია ფუძე
ვინა. ამისი მოქმედებითი ბრუნვის ფორმაა (დაწყებითის ფუნქციით
ხმარებული) ვინაჲთ¹. ამავე ბრუნვის ფორმაზე -გან თანდებულის
დართვით მიღებულია ვინაჲთგან.

ვინაჲ მოქმედებითი ბრუნვის ფორმის გამარტივებული ვარიანტი
უნდა იყოს: ვინაჲთ→ვინაჲ². როგორ უნდა იყოს მომხდარი ეს
გამარტივება?

ვინაჲთ ფორმას ერთვოდა ნაწილაკი -ცა: ვინაჲთცა (შდრ. ვი-
ნაჲთცა-იგი, მ. 12,44 C) ცა-ს გვერდით წინამავალი თ იკარგვოდა
(თც!). ამ გამარტივების შედეგს უნდა წარმოადგენდეს ვინაჲცა³,
რომელიც ხშირად გვხვდება (წინააღმდეგ ვინა-ჲთ-ცა ფორმისა,
რომელიც საერთოდ იშვიათად არის ხმარებაში). ვინაჲცა ფორმაში,
ცხადია, -ცა ნაწილაკად ესმოდათ, ვინაჲ კი იღებდა გააზრებას
მთლიანი ფორმისას, რომელსაც თითქოს უშუალოდ ერთვის -ცა
ნაწილაკი (ვინაჲ+ცა). ვინაჲცა კავშირია. კითხვით წინადადებაში
ნაწილაკი აღარ იყო საჭირო. უნაწილაკო ფორმა იძლეოდა ვინაჲ-ს,
რომელიც კითხვად უნდა ხმარებულყო და იხმარებოდა კიდევც.

¹ ნ. მარის მიხედვით: „от вйна образуется, точно от чистого основы, т. надсж на -ით: ვინა-ჲთ в значении откуда“, Грамматика др. лит. груз. языка, გვ. 109—10; ოლონდ მას თვით ვინა ვინ ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ემფატიკურ ფორმად მიაჩნდა: ვინა, იქვე, გვ. 102.

² ა. ჩიქობავა ფიქრობს, რომ ვინაჲ←ვინაჲნ, რომელშიც ნ მოკვეცილი უნდა იყოს: „ვინაჲ... იმავე მნიშვნელობისაა, როგორისაც ვინაჲთ. ამიტომ სავა-
რაუდებელია, რომ ეს იყოს ფონეტიკურად გამარტივებული, ბოლომოკვეცილი
ვარიანტი. რისა? ვინაჲთ-ისაო, ვიტყვით, რომ ბოლოკიდური თ ძვ. ქართულ-
ში საერთოდ იკვეცებოდა. უნდა ვაფიქროთ, რომ აქ ნ არის მოკვეცილი;
ვინაჲ←ვინაჲნ („შდრ. ვინაჲთ←ვინა-იდ). თეორიულად ასეთი წარმოება სავსე-
ბით გამართლებულია მორფოლოგიური თვალსაზრისით“. ზოგი სიტყვის მნიშვნე-
ლობის განვითარებისათვის ძველს ქართულში, ფსიქოლოგია, ტ. III,
1945, გვ. 486.

³ ვინაჲცა←ვინაჲთცა: „მოქმედებითი ბრუნვის თ-ს დაკარგვას ალბათ -ცა
ნაწილაკის მეზობლობამ შეუწყო ხელი“: ქ. ძოწენიძე, -გან თანდებულისანი
მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური
ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 199.

მერე, სხვა კითხვითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების ანალოგიით, ვინაჲ უკვე ნაწილაკის გარეშეც შეიძლებაოდა ყოფილიყო გამოყენებული კაეშირადაც. ასე, რომ, ჩვენი ვარაუდით ი (ვინა-ჲ ფორმაში) მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის ნაშთია. წმინდა ფუძეა ვინა.

ვინაჲ კითხვით წინადადებაში კითხვითი სიტყვაა და ნიშნავს „საიდან“. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ვინა ფუძე შინაარსით „საიდან“ ახლოს დგას ვინ ფუძესთან სხვა მნიშვნელობით „ვინ“ (кто). ვინ ფუძე ამ უკანასკნელი მნიშვნელობით იშვიათად, მაგრამ მაინც იჩენს თავს გავრცობილი ფორმით: ვინა¹. ორი სემანტიკურად განსხვავებული ოდენობა ფორმის მიხედვით ერთმანეთს ემთხვევა.

შემთხვევითია ეს შეხვედრა?

ოთხთავის პარალელურ რედაქციებში ერთი ადგილი ასეთი მცირე განსხვავებით იკითხება:

იოვანეს მე თავი მოვჰკუთეთ, იოვანეს მე თავი მოვჰკუთეთ,
ხოლო ესე ვინაჲ არს, C ხოლო ესე ვინ არს, DE

ლ. 9,9

ბერძნულსა და სომხურთან შედარება გვიჩვენებს, რომ DE ზუსტ თარგმანს იძლევა:

Ἰωάννου ἐγὼ καὶ Παναρέθλα τῆς ἐξ ἑστ:υ ὀνότις...

ՋՅՈՒԿԱՆԱՆԷՏ ևս գլխասոսիւ, իսկ սա մի իւն...

ქართული ოთხთავის რედაქციული ჩვენების მიხედვით კი გამოდის, რომ ერთგან სადაურობით არიან დაინტერესებული, მეორეგან (DE) კი ვინაობით.

მაგრამ ვინაობისა² და სადაურობის ცნებათა აბსოლუტური გამიჯვნა მოუხერხებელიც არის და არც საჭიროა. ისევე როგორც ახლა ვინაობის ცნება მეტია მოცულობით, ვიდრე ეს ვინ ფუძის

¹ ვინა კითხვითად:

აწ ვინა არიან, ესე ად მამანი, იალტ. 16,2 (Так кто это тако, еси не отпх?) ... მრავლობითი რიცხვის ფორმაში: ვინა-ნ-ი (ვინანი ხართ... ვესტ. 163,28).

მიმართებითად:

ვინაცა წუართის თენიერ ყოკლისა მიზეზისა... ცხრ. 68,11

ისტორიული თვალსაზრისით ხომ მითუჰუეს: ვინ კითხვითი ნაცვალსახელის სრულ ფუძედ ვინა ივარაუდება—ვი-ნა (ა. ჩიქობავა).

² სიტყვა „ვინაობა“ ძველსავე ქართულში გვაქვს:

მივლინებული იგი ჰკითხვიდა ვინაობასა ანუ რაჲმე არიან საქმენი მათნი, ზარზმ. 154,33.

სემანტიკაზე დამყარებით იყო მოსალოდნელი, ოდესღაც ვინა ფუძე თავისთავად უნდა ყოფილიყო სადაურობის შინაარსის შემცველიც. ამ თვალსაზრისით საყურადღებო ფაქტთან გვაქვს საქმე ვინა-ნი-ს სახით:

ვინანი ხართ, ანუ რომელი რჩული გიპყრიეს, ვესტ. 166,18

არა გიცნი თქუენ, ვინანი ხართ, ლ. 13,25

Ὅτι οὐκ ἴσθης ἡμᾶς, πὶ ϑ ε ν ἕ τ ρ ἔ

იქ ფისოსი ოღსი ილასოი ჭე

ვინანი¹-ს მნიშვნელობაა „საიდან“. იგი კითხვით წინადადებაში გვხვდება და მხოლოდ ზაშინ, როდესაც შემასმენელი მრავლობითშია. ცხადია, რომ ვინანი ფორმაში ნ მრავლობითისაა (ვინა-ნი-ი). მნიშვნელობა „საიდან“ ვინა ფუძესთან არის დაკავშირებული. რადგან ბერძნულ-სომხურის *πῶθεν* და *ილასოი* (=ვინაჲთ=საიდან) ქართულში ვინა-ნი-ი ფორმით არის გადმოღებული, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ვინა ფუძეს ადგილის (resp. წარმომავლობის) შინაარსიც შეიძლებოდა ჰქონოდა.

ერთი სიტყვის ორი თანმხლები შინაარსისაგან ერთის (ადგილის) განშტოებაზე ჩანს აღმოცენებული ვინაჲ (საიდან), ამიტომ ფუძე იგივე უნდა იყოს, რაც ვინა კითხვით-მიმართებითი ნაცვალსახელისა. შესაძლებელია ამ თანმხლები შინაარსების სადიფერენციაციოდ არის, რომ ვინა ფუძე², კითხვით-მიმართებითი მნიშვნელობით, თითქმის განდევნილი ჩანს. საამისოდ ვი³ ფუძეა გამოყენებული...

ასეა თუ ისე, ვინაჲ გვხვდება მიმართებით ზმნიხედად მნიშვნელობით „საიდანაც“:

მივაქციოა ძქ შენი ქუეყანასა მას, ვინაჲ გამოხუედ შენ, დაბ. 24,5

ἀπαστρέψα τὸν σῆν σὸς εἰς τῆν γῆν ὅθεν ἐξῆλθες ἐξ εἰσθεν

ჟარბიყეჲ ფირყი ღი ქრქერს ილასოი სქსრ

რამეთუ არს ადგილი ვეცხლისაჲ, ვინაჲ იქმნების იგი, და ადგილი ოქროსაჲ, ვინაჲ გამოვალს, იობ. 28,1 (შმენ... მშენ; ილასოი... ილიოი).

¹ ვინა (სადაური; იხმარება მრავლ. რიცხვში). ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმუონია-ლექსიკონი, გვ. 201.

² ააალ ქართულში ვინ (ინო) გავრცობილი სახითაც გვხვდება: ვინა. შდრ.: ვინა თქვა... საბას მიხედვით: „ვინა იგივე ვინ (და უფროსად გვარიანი)“!

³ ვი—ფუძისაგანაც. ერთი მხრით, ნაცვალსახელი გვაქვს: ვი-ნი, მეორე მხრით, ადგილის ზმნიხედა ვი-დ-რე.

უდაბნოთა ამათ და მათათა აღვიხილენით თუალნი ჩუენნი, ვინაჲ მოხუედ შეწვენად ჩუენდა, ჭანძთ. ი, 34 (=...повели мы очи наши па пустыни сии и горы, откуда пришел Ты па помощь нам).

საკავშირებელ სიტყვებად ადგილის სახელები გვაქვს: ქუეყანა-სა... ადგილი... უდაბნოთა ამათ და მათათა...

როდესაც საკავშირებელ სიტყვად ადგილის ზმნიზედა (მუნ) ივარაუდება, იგი შეიძლება გამოტოვებული იყოს:

მაცადე მე და განეისუენო მცირედ ვიდრე მისლვად ჩემდამდე, ვინაჲ არლა მოქცევად ვარ, იობ. 10,21

თუ საკავშირებელ სიტყვებად ადგილის სახელები და ზმნიზედები არა გვაქვს (და არც ივარაუდება), ვინაჲ ზმნიზედის მნიშვნელობაა „რის გამოც→ამიტომ“:

წარმოუთხრა... ყოველივე, რაეცა იქმნა შემდგომითი-შემდგომად, ვინაჲ განიხარა წმიდამან მან, ზარზმ. 168,35

„...არავინ წინააღმდეგომ ჩუენდა არს ადგილთა ამათ, რომელთა გეგულვების დაპყრობად, ხოლო შემდგომად სამისა დლისა კუალად გიხილნე, უფალსა თუ ენებოს“. ვინაჲ წმიდათა მათ განიხარეს ფრიად... ზარზმ. 158,30

როდესაც ვინაჲ-ს -იგი ნაწილაკი ერთვის, მას ერთი მნიშვნელობა აქვს—„საიდანაც“:

არამედ ქუეყანით ჩემით, ვინაჲ-იგი ვიყავ მე, მუნ წარხუდე... დაბ. 24,4

მივიდოდა იგი მათათა მათ ლავდიკიაჲსათა, ვინაჲ-იგი მოსრულ იყო, კიმ. I, 305,26

ანუთუ რაჲ არს საუნჯე, ვინაჲ-იგი წარმოეცემის, ექუსთ. 43,8

ერთხელ შეგვხვდა თანდებულ-ნაწილაკიანი ფორმა ვინაჲ ზმნიზედისა: ვინაჲკერძო მცა:

ვიდრემდის ვაკესა ზედა მდგომარე არნ წყალი, უძრავ არნ, რამეთუ არა აქუნ მას ადგილი, ვინაჲკერძომცა შთაეღინა, ექუსთ. 42,10

მ. კახაძე ბერძნულის შესატყვისით (ზნოს) მას „საღმე“-დ განმარტავს. მაგრამ ამ კონტექსტში ვინაჲკერძომცა-ს მნიშვნელობა უნდა იყოს: „რომ საიდანმე“, „რომ საითკენმე“.

იშვიათად გვხვდება -მცა ნაწილაკიანი ვინაჲ—ვინაჲმცა¹:

და ვერ პოვეს, ვინაჲმცა შეიღეს იგი ერისა მისგან, ლ. 5,19

¹ რამდენიმე მაგალითით ვინაჲმცა-ს მნიშვნელობა ზუსტად ვერ დგინდება.

სამაგიეროდ საკმაოდ ხშირად არის ხმარებაში ცა ნაწილაკიანი ვინაჲ—ვინაჲცა.

მნიშვნელობით „საიდანაც“:

მივიქცე სახიდ ჩემდა, ვინაჲცა გამოვედ, მ. 12,44 (=ზმევ, *πλυσσι*)

წარგზავნა ქუეყანად თუსად აფხაზეთად, ვინაჲცა მოეყვანა იგი, ხანძთ. ნწ, 5

აღმალლა ზეცად, ვინაჲცა გარდამოქდა, ჰაბო. 59,36

უბრძანა, რა მიიქცეს ადგილადვე თუსა, ვინაჲცა იგი მოსრულ იყო, საბა. 19,36

საკავშირებელი სიტყვები: სახიდ, აფხაზეთად, ზეცად, ადგილადვე...

საკავშირებელ სიტყვად მოსალოდნელი ადგილის ზმნიზედა მუნ შეიძლება გამოტოვებულ იქნეს:

აღუთქუა ცოდვისა მის განტევებაჲ და დედაკაცისა მის წარგზავნაჲ... ვინაჲცა მოეყვანა იგი, ხანძთ. ნვ, 13 (Тот дал слово оставить грех и отпустить женщину туда, откуда он ее привел).

და მოვიდა.., ვინაჲცა წარსრულ იყო უდაბნოჲთ, დაბ. 13,3

მნიშვნელობით „რის გამოც → ამიტომ“:

არა იპოვა რაგთურთით ქვაჲ და ჭირით და შრომით მდინარისა მისგან მოიღებდეს. ვინაჲცა კუალად მოვიდა მუნ ღმრთის-მსახური იგი გიორგი და განიცადა ყოველი საქმე, ზარზმ. 167,11

ხოლო დაღაცათუ უძნდა წმიდასა მას კაცსა შფოთი და ზრუნვაჲ, არა ინება ურჩებაჲ ბრძანებისა მათისაჲ. ვინაჲცა აღაშენა მონასტერი შუენიერი და ძმანი მრავალნი შეკრიბნა, ცხრ. 51,5

და ესე ყოველი თუთ წმიდისა მამისა ეფთჳემეს კელთა ნუსხისაგან დაგვწერია, ვინაჲცა ჭეშმარიტ არს და უტყუველ, ცხრ. 31,7

და კუალად ბუნებაჲ მაღალთა ადგილთაჲ ცასა დაუპყრიეს, ხოლო მდაბალი ესე—ქუეყანასა, ვინაჲცა სუბუქნი იგი ზეცად აღმალლდებიან, ხოლო მძიმენი ქუეყანად მიდრკებიან, ექუსთ. 9,30

ამ მნიშვნელობის ვინაჲცა-ს საკავშირებელი სიტყვები არ მოეპოვება¹.

-იგი ნაწილაკიანი ვინაჲცა (ვინაჲცა-იგი) მხოლოდ აქა-იქ თუ შეგვხვდება:

¹ ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში ვინაჲცა-ს მნიშვნელობად შეიძლება გვესპოდეს—„საიდანაც“ და „რის გამოც→ამიტომ“-აც:

მივიწიეთ ქვესა რასმე ღრმასა და უღალსა, რომელსა გოდერძისა ეწოდების, და ფრიად ძლით შევედით მას შინა, ვინაჲცა სიკვამლასა მისგან მყოვარჯამ ვერლარა ვიხილეთ ცაჲ... ზარზმ. 159,31.

და შეჰვედრებდა ნეშტთა მათ ძულთა მისთასა და უბრძანებდა დასხმად ადგილსა მას, ვინაჲცა-იგი პირველად გამოათრიეს, შუშ. XVIII, 5 (= „საიდანაც“)

იშვითად გვხვდება აგრეთვე ვინაჲთ მნიშვნელობით „საიდანაც“¹:

წინაჲსწარმეტყუელმან ამბაკო გიწოდა მთით ჩრდილოთ ზღ-ნართათ, სძალო წმიდაო, ვინაჲთ გამოვიდა ღმერთი, სსლ. ობ, 89 მნიშვნელობით „მას შემდეგ, რაც“:

და ვინაჲთ არსენი და იოვანე შეისუენეს, მრავალ გზის მას ჰკითხვენ სულიერად მამამ ჩუენი, ცხრ. 111,4 (BD ვინაჲთვან)

ზოგჯერ ვინაჲთ ფორმა დროის სახელების მსაზღვრელია:

არამედ მოაწიოს შენ ზედა და ერსა ამას შენსა ზედა და სახლსა მამისა შენისასა დღენი, რომელ არღა მოწიენულ არიან, ვინაჲთ დღითვან მოულოს ეფრემი იუდაჲსგან, ესაია. 7,17

ვინაჲთ უამითვან იწყო სოფლის ამის დამტკიცებამან, შესაძლებელ არს შენ მიერ ცნობაჲ, ექუსთ. 7,23...

ვინაჲთ ფორმაზე -გან თანდებულის დართვით არის მიღებული ვინაჲთვან. იგი გვხვდება მნიშვნელობით „მას შემდეგ რაც, რა დროიდანაც“:

ეგვეთარი არა ყოფილ იყოს [სეტყუაჲ] ეგვპტეს, ვინაჲთვან დაებადა, ვიდრე აქამომდე, გამოსლვ. 9,18

ხოლო თქუენ გეტსენენ კრძალულებაჲ ჩემი მოთმინებით მონაზონებისა მიმართ, რომელიცა იხილეთ, ვინაჲთვან დაეემკვდრე თქუენ შორის ვიდრე აქამომდე, ხანძთ. ოც, 45 (...которое наблюдали вы с тех пор, как я поселился среди вас, до сегодня).

ხოლო იყვნეს ოპიზას ძმანი მცირედნი შეკრებულ ქრისტეს სიყუარულისათჳს, ვინაჲთვან პოვნილ იყო წმიდაჲ იგი, ხანძთ. 3,23 (В Опизе же было немного братьев, собравшихся из-за любви Христа с тех пор, как обретева была святая церковь).

როდესაც მთავარ წინადადებაში საკავშირებელ სიტყვებად დროის აღმნიშვნელი სახელები იჩენენ თავს, ვინაჲთვან კავშირის მნიშვნელობა „მარტივდება“ (= „რაც“):

ესე ოცი წელი არს, ვინაჲთვან ვარ მე შენ თანა, დაბ. 31,38

აჰა ესერა არს სამი წელი, ვინაჲთვან მოვალ და ვეძიებ, ლ. 13,7

დაეყო მას უმრაველეს ორმეოცისა წლისა, ვინაჲთვან სართულსა ქუეშე არა შესრულ იყო, საბა. 16,33

¹ რა თქმა უნდა, თუ მაგალითს სწორად ვკითხულობთ.

ორი წელი მაქუს ჩნ, ვინაჲთგან გამოსრულ ვართ ქცნით ჩნით, კიმ. I, 334,3

იქადოდა და იტყოდა: აჰა ესერა რაედენი წელი მაქუს, ვინაჲთგან მოესრავ მე ქნეთა და არასადა ისარი გინა სხუაჲ საწყლველი მეცა მე, კიმ. I, 307,6

და ამას ყოველსა თანა ესე მესაშე დღე მოვალს, ვინაჲთგან ესე იქმნა, ლ. 24,21

არა უმრავლეს არს ჩემი ათორმეტისა დღისა, ვინაჲთგან აღვედ მე თაყუნის-ცემად იერუსალშმდ, მცქლ. 24,11

ჯერეთ სამი დღე არლა არს, ვინაჲთგან მონაზონად იკურთხა, მრხეთ. 339,10

დიდი სარწმუნოებაჲ აქნდა მისა მიმართ და ყლთა მიმართ მამათა ლაერისათა მიერ დღითგან, ვინაჲთგან ღირს ეიქმნენით შე-მოსლვასა წისა საბაჲსსა სახედ ჩნდა, კიმ. I, 25,7

ჩემი მრავალი ჟამი არს, ვინაჲთგან დავემკვდრე რაითს, კიმ. I, 31,24

არა ყოფილ არს ეგევეითარი დასაბამითგან, ვინაჲთგან დაჰბადა-ღმერთმან, მრკ. 13,19 C

როგორც ჩანს, საკავშირებელ სიტყვებად გვაქვს დროის აღმნიშვნელი სახელები: წელი, დღე, ჟამი, დასაბამი...

მნიშვნელობით „გინაიდან, რადგან“:

ვინაჲთგან ჰყავ ესე სიტყუაჲ..., კურთხევით გაკურთხო შენ, დაბ. 22, 16—17

ვინაჲთგან გიყუარს ქე, ჯერ-არს შენდა მწყსაჲ პირმეტყუელთა-ცხოვართა მისთაჲ, საბა. 16,4

ხოლო იგი, ვინაჲთგან საჩინოჲ კაცი იყო..., მრავალი ერი შე-მოკრბა, ცხრ. 51,3

და ვინაჲთგან ფრიადი სიყუარული აქუნდა მისსა მიმართ, მას მოჰმართა, ცხრ. 13

ვინაჲთგან, შეილო, არას მითხრობთ, მე გლახაკსა თანა-მაც, რათა მევე ვიტყოდი, ზარზმ. 175,36

აწ მე ვინაჲთგან ვერ ძალ-მიც მოუკლებელად ლოცვაჲ და სულელთა ყოველთა უდარსს ვარ, ნაკლულევანებაჲ ჩემი არა მი-ფლობს დუმილად, ხანძთ. ა, 16

აწ უკუე ვინაჲთგან სიკუდილი და ცხორებაჲ ენისაგან იქმნე-ბის, აღურ-ვასხნეთ მას, მრხეთ. 11,14

ამ მნიშვნელობის მქონე ვინაჲთგან-ს მთავარ წინადადებაში საკავშირებელ სიტყვად ზოგჯერ აქვს ამისთვის (=ამიტომ):

ვინააფთვან ახალსა ამას მოსეს ებრძანა ახლისა ისრაელისა წინამძღურობაჲ, ამისთჳს უკმდეს თანაშემწედ საქმესა მის... ზარზმ. 166,28

და ვინააფთვან ეამიერი არს დასაბამი, ამისთჳს ნუ იკუეულ ხარ აღსასრულსაჲ, ექუსთ. 4,22

ხოლო ვინააფთვან არა ვზამთ, ამისთჳს დაიწერა პირისპირ ჩუენსა ლოცვაჲ იგი, მრხეთ. 44,6

აქამდე ჩვენ მოგვეყავდა მაგალითები, რომლებშიც ვინააფთვან კავშირის ორი ძირითადი მნიშვნელობისაგან თითოეული ასე თუ ისე გამოჩნკვთული იყო. მაგრამ ყოველთვის ეს ასე არ არის. ხშირად შინაარსის მიხედვით ვინააფთვან კავშირში მიზეზისა და დროის მნიშვნელობანი ერთმანეთისაგან ძნელი გასათიშავია. ვინააფთვან ნიშნავს „მას შემდეგ, რაც“ || „ვინაიდან; რადგან“:

არღარა იყო მონაზონთა პატივი, ვინააფთვან იქმნეს ლაზარე და ანასტასი მთავარმამასახლის, კიმ. II, 161,2

ხოლო იგი ბოროტადვე მიიქცევიან უფროხსლა, ვინააფთვან მოკუდა მარიამ, ცოლი მისი, კიმ. I, 17,4

ხოლო ვინააფთვან იწყო განცხადებად საქმემან მისმან, ნეტართა მათ მამათა ლოცვაჲ მიიღო და საბერძნეთისა ქუეყანად მიჰმართა, ცხრ. 9

მთავარ წინადადებაში საკავშირებელ სიტყვებად დროის აღმნიშვნელი სახელები არა გვაქვს. ამიტომ შეიძლება გვეფიქრა, რომ ასეთ შემთხვევებში ვინააფთვან მიზეზის შინაარსის მატარებელიაო, მაგრამ ხომ გვაქვს ვინააფთვან დროის შინაარსით, რომელსაც საკავშირებელ სიტყვად დროის აღმნიშვნელი სახელი არა აქვს (ესე არიან ალაპნი მონასტრისა ჩუენისანი, ვინააფთვან აღშენებულ არს ვიდრე აქამომდე, ალაპ. 216,3)?

ახლა თუ დამოკიდებული წინადადების ადგილს გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ, როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავარს წინ უსწრებს, ვინააფთვან კავშირის მნიშვნელობაა „ვინაიდან, რადგანაც“, ხოლო როდესაც მოსდევს—„მას შემდეგ, რაც“, „რა დროიდანაც“¹.

ამ წესის განზოგადება მაინც არ შეიძლება. გვაქვს მაგალითები, რომელთა მიხედვით დამოკიდებული წინადადება მთავარს წინ უსწრებს და მისი მნიშვნელობაა „მას შემდეგ, რაც“ (ხოლო ესე ვინააფთვან შემოვიდა, არა დაჰსცხრების ამბორის-ყოფითა, ლ. 7,45), ან მოსდევს — და მისი მნიშვნელობაა „ვინაიდან“ (კაცთა მათ

¹ ვინააფთვან კავშირისანი დამოკიდებული წინადადება შეიძლება მთავარში იყოს ჩართული. ასეთი მაგალითები იშვიათად გვხვდება.

ნურას უყოფთ ბოროტსა, ვინაჲთგან შემოვიდეს ქუეშე სართულსა სახლისა ჩემისასა, დაბ. 19,8), მაგრამ ფაქტების უმეტესობა ზემოხსენებულ მოსაზრებას უჭერს მხარს.

ამიტომ მოყვანილი მაგალითები, რომლებშიც ვინაჲთგან კავშირი ორივე მნიშვნელობით შეიძლება იქნეს ამოკითხული, ამ დებულების შესაბამისად ერთ-ერთისათვის შეიძლებოდა განგვეკუთვნებინა...

შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ვინაჲ-ს (და მისი ვარიანტების) სხვა მნიშვნელობანი. ამათი აქ მოყვანა საჭიროდ მიგვაჩნია:

ვინაჲ, ვინა-იგი, ვინაჲცა უდრის „სადაც“:

არა ოპწყოდეს, თოჯ ვინაჲ აღაშწნონ ტაძარი ორისათჳს, არიმათ. 45,3

ესე ღირსი დედაკაცი ერითურთ თჳსით კოსტანტინეპოლედ წარიყვანეს, ვინა-იგი დაყვეს ათორმეტი წელი, მთწმ. 291,1

წარვედ, კეთილო ბერო, მონასტრადვე შენდა, ვინა-იგი ყოფილ ხარ პირველ, და შენი ეგე ობოლნი მუნ აღზარდენ, მთწმ. 333,24

ბ მე აღვედ წსა გოლგოთასა, ვინაჲცა დანერგოულ იყო ჯრბი ქსი, არიმათ. 16,2 (=Я же поднялся на священную Голгофу, где был водружен крест спасителя)

მამანი ესრეთ იტყუან: ვინაჲცა არა იყოს ბნებითი საქმე ოცვალებელი და შეოკრყეველი, მოჯნ არსებაჲ ყდვე არა არს, კიმ. I, 76,25

ვინაჲ მნიშვნელობით „როგორ“, „საიდან“:

და ვინაჲ იქენა ესე ამათი მამასახლისობაჲ, მცირედითა სიტყუთა ვთქუა, კიმ. II, 160,27

შდრ. ზმნიზედად გამოყენებული ვინაჲ: ვინ ოკოჯე თანა-ეყოქუნასა ქწლსა და შვა ადამი? და კდ რითა საწოლითა იშვა. ევა, ანოჯ ვინაჲ შეოკძლო კოკერთხმან განწმელმან გამოღებად ნაყოფი, ანოჯ კლდისაგან კმელისა ვინაჲ გამოჯდა მდინარს, კიმ. I, 184, 19—21 (ვინაჲ=„საიდან“→„როგორ“).

ვინაჲ უკვე საშუალ ქართულში აღიკვეთა, თუ არ გაეითვალისწინებთ ანტონ კათალიკოსის ენას (კიდური თჳსი ა ესპობის ჩუშულებისაებრ, ვინაჲცა ყოველი სახელი საზოგადო უ, ა მექონი კიდურად ესთა იბრუნეს, ღრმტ. 135,30).

სამაგიეროდ საშუალ ქართულს შემოარჩა ვინაჲთ ფუძის თანდებულიანი ფორმები — ვინაჲთგან || ვინაჲდგან || ვინათგან:

...ვინაჲთგან მამამან ჩემმან დვალთა ესეოდენი მოაწია...ერისთ. 356,10

ვინაჲდგან მეფეს სოლომონს... საკმარნი საქმენი შემოხდომოდნენ,... ამისთვის რაედენთამე დროთა დაეყოვნა, ერეკლე 6,17 (იქვე: ვინაჲთგან 6,31)

ვართა და ნეხვთა ვინაჲთგან მზე სწორად მოეფინების, დიდთა, და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეუყინების, ვ. ტ. 49,1
აწ ვინაჲთგან დაუწერია, აწვიოს საწოლის მწიგნობარმან, გარ. 13,293.

თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ქ ა რ თ უ ლ შ ი ვინაიდან კავშირი დამკვიდრდა:

მწერალს... საკუთარი „ენა“ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ენა სახეა მწერლისა, ვაჟა. 340, ა, 9

სახელმძღვანელოების გამოცემა თითქმის ყოველწლიურად დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ერთი და იგივე სახელმძღვანელო ყოველწლიურად იბეჭდება, „კომ“. 207,3

ვინაიდან ის განათლებულ, მომზადებულ კაცად იყო ცნობილი, ეკლესიის შეთაურად აურჩევიათ, ქ. კეკ. 105,24

დამოკიდებული წინადადების ადგილი საერთოდ შეზღუდული უკვე აღარ არის. საშუალებად და თანაზედროვე ქართულშიც ვინაი-
თგან || ვინაიდან || ვინაჲთგან || ვინაიდან კავშირების მნიშვნელობა ერთია— „რადგან, ვინაიდან“ და დამოკიდებული წინადადებაც, რომელიც მთავარს აღნიშნული სიტყვებით უკავშირდება, მიზეზის გარემოებითია.

დ) თუ, უკუთუ, თუგცა, უკუთუგცა, ლათუ, ლალათუ,
ღალათუგცა, ღალაცათუ, ღალაცათუგცა, კამათუ,
თუ არა, თუცა, თუცაღა, თულა, უკათუ, თუ
რუმ, თუ კი, თუ გინდ, თუ ვინიცობაა

თუ კავშირი ძველ ქართულში ძირითადად პირობითობის გამოხატველ ოდენობად არის ცნობილი. იგი შეიძლება შეგვხვდეს: დამოკიდებული წინადადების დასაწყისში:

თუ გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ, მ. 17,4

თუ ვინმე თავი მოიკლის ქრისტეს მათისათჳს, მოიპარიან გუამი მისი, ჰაბო. 74,9

თუ შეიწიროს ნელსაცხებელი ესე დასხმად თავსა მისსა..., ვიცო და მრწამს, რამეთუ შეიწყალოს და შეიწყნაროს სული ჩემი, ბოლნ. 12,27

დამოკიდებული წინადადების რომელიმე წევრის მომდევნოდ:
ძმა თუ ჩუენი უმრწემესი შთამოავლინო ჩუენ თანა, შთაეიდეთ
დაბ. 44,26

შენ თუ ხარ ქრისტე, იჲსენ თავი შენი და ჩუენცა, ლ. 23,39
უფალსა თუ უნდეს, ესცა მოწაფე იყოს მისი ჩუენ თანა, ხანძთ.
კპ, 12

თუ კავშირის შემცველი დამოკიდებული წინადადება შეიძლება
შეგვხვდეს მთავარი წინადადების მომდევნოდ:

რამე სარგებელ იყოს კაცსა, სოფელი თუ შეიძინოს და სული
თჲსი წარიწყმიდოს, მ. 16,26

კმა არს მოწაფისა, იყოს თუ ვითარცა მოძღუარი თჲსი, მ. 10,25
ხოლო შემდგომად სამისა დღისა კუალად გიხილნე, უფალსა
თუ ენებოს, ზარზმ. 158,29

იშვიათად თუ საერთოდ ქვეწყობილი წინადადების ბოლოშია
გადანაცვლებული:

გითხრა თქუენ, ისმენდეთ თუ, იობ. 13,17

პირობითობის თუ კავშირი ზოგჯერ ზმნაშია ჩართული (ზმნის-
წინის მომდევნოდ):

და აწ მი-თუ-უტევებ ცოდვათა მათთა, მიუტევენ, გამოსლვ.
32,32

გან-თუ-გუასხამ ჩუენ, გზბრძანე ჩუენ მისლვად კოლტსა იმას,
მ. 8,31 C

და წარ-თუ-უტევენ იგინი უზმით სახიდ თჲსა, შეჰგუენს მათ
გზას, მრკ. 8,3 C

იშვიათად თუ აღწერიითი ზმნის შუაშიც გვხვდება:

ლალად-თუ-ყოს ჩემდამო, ვისმინო მისი, გამოსლვ. 22,27

ჯერ-თუ-არს, თანა-წარმჲედინ მე, უფალო, ეამი ესე, მრკ. 14,35

ზოგჯერ კი სხვა ნაცვალსახელთან ან ნაწილაკთან ერთად არის
ჩართული ზმნაში:

აღ-თუ-ვინმე-იაროს იგი ქრისტედ, კრებულისაგან განჲადონ
აგი, ი. 9,22

მი-თუ რახ-უგებდე კაცსა მას, ვითარცა ურცხუნოა შემრაცხოს,
მრვლთ. 263,38

აღ-თუ-ლა-დგეს, ნუეე პრწამნ ცხოვრება თჲსი, იობ. 24,22

პირობითობის უარყოფითი შინაარსის საწარმოებლად თუ კავ-
შირს ერთეის არა ნაწილაკი, რომელიც შეიძლება მოსდევდეს ან
უსწრებდეს კავშირს:

აქა ნუ დაიძინებ, თუ არა, მძიმედ გაგკანონებ, ცხრ. 94,2

სიკუდილისა მას ურჩებისასა ვეშიშვოდე, ამისთჲს მორჩილე-
ბად (sic) მოვედ ბრძანებისა შენისა წმიდისა, თუ არა აღმწერელი

ცხოვრებისა და მოქალაქეობისა მისისა მისივე პირი ჯერ-იყო და არა მე, გლახაკი ესე სიტყვათა და გონებითა, მთწმ. 349,26

არა თუ ვინ იშვეს ზეგარდამო, ვერ შევიდეს სასუფეველსა ღმრთისასა, ი. 3,3

ცეცხლი და სატანჯველი აწვე განგკმზადებებს შენტოს, არა თუ მოიქცე ჩუენდავე, ჰაბო. 70,24

და არცა ჯელ-ვის-ეწითების შესლვად სახლსა ძლიერისასა და ქურპერი მისი გამოტყუენვად, არა თუ პირველად შეკრას ძლიერი იგი, მრკ. 3,27

თუ კავშირზე უკუე ნაწილაკის მირთვით მიღებულია უკუეთუ: უკუეთუ კავშირის შემცველი დამოკიდებული წინადადება შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს მთავარ წინადადებას. უფრო ხშირად უსწრებს:

უკუეთუ თული შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოილე იგი, მრკ. 9,47

უკუეთუ ვისმე ჰსწყუროდის, მოვედინ ჩემდა, ი. 7,37

უკუეთუ გნებაეს გულითად..., ისმინეთ ჩემი, დაბ. 23,28

უკუეთუ ეშვილები, ეშვილე, რუთ. 4,4

ესე ყოველი მიგცე შენ, უკუეთუ დაქვარდე... მ. 4,9

რამე სარგებელ არს კაცისა, უკუეთუ შეიძინოს სოფელი ყოველი და სული თვისი წარიწყმიდოს. მრკ. 8,36

და ვამხილო მის წინაშე, უკუეთუ ინებოს, იობ. 13,3

პირობითობის თუ და უკუეთუ კავშირების შემცველი დამოკიდებული წინადადების შემასმენელი შესაძლებელია შევვებდეს კავშირებითის (I ან II), აწმყოს, ხოლმეობითის მწკრივთა ფორმებში. არ ჩანს წარსული დროის (წყვეტილი, უწყვეტელი, თურმეობითი) მწკრივები. როდესაც დამოკიდებულ წინადადებაში ასეთები თავს მაინც იჩენენ, პირობითობის შინაარსს „მეტოქე“ უჩნდება „რაკი, რადგან“ მნიშვნელობათა სახით:

და თუ განუხუნა კარნი იგი და შევიდა, იგიცა დიდ საშინელე-ბავე იყო, მრვლთ. 262,34

უკუეთუ ვპოე მადლი წინაშე თქუენსა, ნუ თანა-წარმვალთ მონასა თქუენსა, დაბ. 18,3

რომ აღნიშნული შინაარსი („რაკი, რადგან“) მხოლოდ ვარაუდი კი არ არის, არამედ ძველსავე ქართულში არსებობდა თუ და უკუეთუ კავშირების ამგვარად გააზრების შესაძლებლობა, ეს შემდეგი მაგალითიდან ჩანს:

უკუეთუ ესვიდა ღმერთსა, რამეთუ ესვიდა ღმერთსა, აწ იქსენინ ეგე, DE
იქსენინ, C•

1) B — რედაქციის უკუეთუ-ს ნაცვლად C რამეთუ-ს („რადგან“). აჩვენებს. დამოკიდებული წინადადების შემასმენელი უწყვეტლის მწკრივის ზმნაა...

თუ კავშირზე -მცა ნაწილაკის დართვით არის მიღებული თუმცა: უწყოდა თუმცა მამასახლისმან, რომელსა ეამსა მპარაეი მო-ვიდოდა, არამცა უფლო დათხრად სახლისა თჯისა, მ. 24,43

ესე თუმცა იყო წინაწარმეტყუელი, უწყოდამცა, რაბამი დედა-კაცი შეეხების მას, ლ. 7,39

უფალო, აქა თუმცა იყავ, ძმაჲ იგი ჩემი არამცა მოკუდა, ი. 11,21
...თუმცა ვინ ახოვანი წარვიდა და სხოჯასა მეფესა ოჯხო-თესლსა შეეწყნარა, არამცა გოჯლი გიწყრებოდაა... კიმ. I, 44,31

თუმცა მითხარ მე, წარმო-მცა-გგზავნე შენ სინარულითა, დაბ. 31,27

თუმცა კავშირს უარყოფითი ნაწილაკი არა ხან წინ ერთვის ხოლმე, ხან—მომდევნოდ:

არა თუმცა ღმერთი მამისა ჩემისა აბრაჰამისა იყო ჩემ თანა და შიში ისაკისი, აწ ცალიერმცა გამომავლინე, დაბ. 31,42

არა თუმცა გუაფუტე ჩნ, არამცა განგიტევე შენ, კიმ. I, 55,29

არა თუმცა ძჯრის მოქმედ იყო კაცი იგი, არამცა მიგეცით შენ, ი. 18,30 C

თუმცა არა შეამოკლნა დღენი იგი, ვერმცა განერა ყოველი კორციელი, მრკ. 13,20

თუმცა არა იყო ღმრთისა მიერ, ვერმცა შემძლებელ იყო ყოფად რაჲსმე, ი. 9,33

როგორც ეს მაგალითებიდან ჩანს, თუმცა კავშირის -მცა ნაწი-ლაკს თავისი „ორეული“ აქვს მთავარ წინადადებაში, ოღონდ ამ ნაწილაკის ადგილი განსაზღვრული არ არის.

თუმცა კავშირის მნიშვნელობაა „რომ“, მაგრამ ეს განმარტება სრული ვერ იქნება. ეს წინადადება, მაგალითად:

ესე თუმცა იყო წინაწარმეტყუელი, უწყოდამცა...

ახალ ქართულზე რომ „ვთარგმნოთ“, მხოლოდ თუმცა კავშირი წაეიკითხოთ მნიშვნელობით „რომ“ და კონსტრუქცია უცვლელი დავტოვოთ, მივიღებთ:

ეს რომ წინასწარმეტყველი იყო, იცოდა...

ცხადია, შეუძლებელია.

ახლა ცნობილია, რომ -მცა ნაწილაკი, რომელიც კავშირებს მიერთვის, შემასმენელთა (ზმნების) კავშირებითი კილოს ფორმებს ვერ იგუებს¹. ზემოთმოყვანილ მაგალითებში როგორც მთავარი,

¹ ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, გვ. 314.

ისე დამოკიდებული წინადადებების შემასმენლები წარსული დროის (წყვეტილის ან უწყვეტლის მწკრივით) ზნებია. მთელი კონსტრუქციის „თარგმანი“ მოგვცემს:

ეს რომ წინასწარმეტყველი ყოფილიყო, ეცოდინებოდა... (свѣдѣнъ ои свѣдѣнъ пророкѣ, тѣ знаеа свѣдѣнъ...)

დამოკიდებული წინადადების შემასმენელი II თურმეობითის მწკრივის ზნად გადმოდის¹, მთავარისა—სოლმეობითისად (რას იზამდა?). მხოლოდ ამ კონსტრუქციული ცვლილებით შეიძლება ითქვას, რომ თუმცა კავშირის მნიშვნელობაა „რომ“.

თუმცა კავშირიანი დამოკიდებული წინადადება ზოგჯერ გამოგვივლენს კიდევ შემასმენლის II თურმეობითის მწკრივის, რომელთანაც თუმცა კავშირის მნიშვნელობა „რომ“ არის:

ესელა თუმცა მეცნა, არამცა შემოგიტევე შენ, შუშ. X, 14
ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ექამა პური, შუშ. VI, 12

ხოლო რომელმან აცთუნოს ამათ მცირეთავანი ერთი, რომელთა ვჭრწამ მე, უმჯობე არს მისა, დამო-თუმცა-ეკიდა მას ფქვლი ვირით საფტეელი ყელსა მისსა, მ. 18,6 C

ნუ იყოფინ, თუმცა ჩემ ძლით რაჲ შეჰმთხუეოდა ძმასა ამას, ზარზმ. 171,1

უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი, მ. 26,24
არამცა გაქუნდა კვლმწიფებაჲ ჩემ ზედა არცა ერთ, არა თუმცა მოცემულ იყო შენდა ზეგარდამო, ი. 19,11

უფალო, თუმცა აქა ყოფილ იყავ, არამცა მოკუდა ძმამ იგი ჩემი, ი. 11,32

ნუ ვინ ჰგონებს, თუმცა სხვაჲ რაჲმე მიზეზი ყოფილ იყო, მთწმ. 313,15

მოყვანილი მაგალითებიდან ზოგიერთში მთავარი წინადადება -მცა ნაწილაკს არ აჩვენებს და, ცხადია, ასეთ შემთხვევებში შემასმენლის (ზნის) მწკრივი არ შეიძლება თანამედროვე ქართულში ხოლმეობითისად (რას იზამდა?) გვესმოდეს (მდრ.: ნუ ვინ ჰგონებხ, თუმცა სხუაჲ რაჲმე მიზეზი ყოფილ იყო...).

თუ მთავარი წინადადების შემასმენელი აწმყოს მწკრივის ზნაა, თუმცა² კავშირიანი დამოკიდებული წინადადების ზნას II კავშირებითის მწკრივის შინაარსი აქვს:

¹ ზოგჯერ იგი II კავშირებითისად შეიძლება გვესმოდეს.

² შეიძლება ვიფიქროთ, რომ თუმცა-ს გამარტივების შედეგია თუცა კავშირი ასეთი მაგალითების მიხედვით:

ნუ ჰგონებთ, მთავარნო და ერნო, თუცა ჩუენითა რაჲთმე ძალითა ქმნილ იყუნეს სასწაულნი ესე, ზარზმ. 165,24

თუცა ვინ დაჰთომილ იყო, მრავლითაჲ (წი) ჰირითა ცხოვნდებოდეს, მთწმ.

შიშსა ბნელისასა მოოკცავს გონებაჲ ჩემი და არაჲ ოკწყვი, ვერ
კელ-მეწიფების, თოჯმცა შეგრააცხე სხოჯათა თანა დელათა, კიმ. I,
183,37

ვერ ძალ-ოკც, ოკოკეთოკ ესმეს ჯჲ ჩემი, თოჯმცა არა გარე
შიაქცია რისხვაჲ მისი, ბოლნ. 37,3

უკუეთუ კავშირზე მცა ნაწილაკის დართვით მიღებულია პირო-
ბითობის კავშირების ერთი სახეობაც—უკუეთუმცა¹, რომელიც
თუმცა კავშირის სინონიმს წარმოადგენს:

უკუეთუმცა არა დაგუეყოვნა, აწმცა მოქცეულ ვართ სამ გზის,
დაბ. 43,10

უკუეთუმცა გაცნა... არამცა დასაჯენით უბრალონი, მ. 12,7

უკუეთუმცა სიტყუაჲ რაჲმე კემშარიტ ყოფილ იყო თქუმულთა
შინა შერთა, არამცა რაჲ ბოროტი შემთხუეულ იყო შენდა, იობ.
4,12

მოყენილ მაგალითებში დამოკიდებული წინადადების შემასმენ-
ლები II თურმეობითის მწკრივის ზმნებია. კავშირის მნიშვნელო-
ბაა „რომ“.

მაგრამ უკუეთუმცა კავშირიანი დამოკიდებული წინადადება
ზმნის წყვეტილის ან უწყვეტლის მწკრივის ფორმებსაც ავლენს²:

უკუეთუმცა ვინმე წონით აღწონნა რისხვანი ჩემნი.., ქვშისამცა
ზღუს კიდისა უმძიმს იპოვნეს, იობ. 6,2

უკუეთუმცა არა უფალმან შეამოკლნა დღენი იგი, არამცა
ცხოვნდა ყოველი ჯორციელი, მრკ. 13,20

უკუეთუმცა არა იყო ესე ღმრთისაგან, ვერმცა რას შემძლებელ
იყო საქმედ, ი. 9,33

ოკოკეთოკმცა წნწლი იყო, ესე იცოდამცა, რამეთოკ არა წჲ
არს, ბოლნ. 13,22

ოკუეთუმცა სიტყუასა წერილთასა იკითხევდ, განგიმარტემცა
და, უკუეთუმცა ჩუენ გუკითხევდ, მოგიგეთმცა, ცხრ. 54,4

თუმცა და უკუეთუმცა კავშირებიანი დამოკიდებული წინადა-
დება შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს მთავარს.

¹ უკუეთუმცა მამაჲ ესუა მას და განძო იგი გარე, არამცა დაემორჩილა
მრხეთ. 52,2 (შდრ. თუცა)

² შეპარიპირებისათვის შდრ. აგრეთვე:

უკუეთუმცა არა მოვედ და ვეტყო.. უკუეთუმცა მე არა მოხრულ ვიყავ
დე მათ, ცოდვამცა არა აქენდა, DE და ვეტყოდე მათ, ბრალმცა არა იყო
მათდა, C

თუ კავშირზე -და ნაწილაკის დართვით არის წარმოებული კავშირი ლათუ:

ვიყო ლათუ მართალ, არავე ისმინოს ჩემი, იობ. 9,15

და ჰოუნდა ლათუ მისი მოკლეაჲ, პეშინოდა, ჰმტ. 368, 10

ყოველნი ლათუ დაბრკოლდენ, ხოლო მე არა, მრკ. 14,29

რომელსა პრწმენეს ჩემი, მო-ლათუ-კუდეს, ცხონდესვე, ი. 11.25

და შე-ლათუ-წუხნა მეფე იგი, არამედ ფიცისა მისთჳს... ბრძანა მიცემად იგი მას, მ. 14,9

ლათუ კავშირს ამ მაგალითებში დამოკიდებული წინადადების რომელიმე წევრი უძღვის წინ, ან არ უძღვის, მაგრამ იგი შემასმენლის (ზმნის) პრევერბისა და ფუძეს შორის არის ჩართული და ტმესს ქმნის. ყოველ შემთხვევაში ლათუ კავშირით დამოკიდებული წინადადება არ იწყება.

სპეციალურ გამოკვლევაში ს. ყაუხჩიშვილს ყურადღება აქვს მიქცეული ერთი უცნობი სინტაქსური მოვლენისათვის ძველ ქართულში: „თუ დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს მთავარს, მაშინ მთავარი წინადადება იწყება ხოლმე კავშირით „და“, „ხოლო“ ან ზოგჯერ სხვა რომელიმე კავშირით“¹. ავტორის მოსაზრების თანახმად, ეს კანონზომიერება „ქართული ენის განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე ძალაში იყო“².

ხოლო კავშირი და, მითუმეტეს, და ძველ ქართულში ხშირად გვხვდება დამოკიდებული წინადადების დასაწყისშიც. აქ ჩვენ გვინტერესებს შემთხვევა, როდესაც დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს მთავარს. და კავშირი დამოკიდებული წინადადების თავშია, მას უშუალოდ მოსდევენ დამოკიდებული წინადადების კავშირები:

და ვითარცა წარვიდეს ივინი... მ. 2,13; და ვითარცა.. მ. 2,22; 5,1; 8,16; 8,28; 8,34; 9,18; 9,28...

და რაჟამს მოკულა პეროდე... მ. 2,19; და რაჟამს.. მ. 3,16; 6,5; 6,16; 8,1; 9,25; 18,13; 21,1..

და რომელმან პრქუას... მ. 5,22; და რომელმან.. მ. 5,32; 5,40; 5,41; 5,42; 10,33; 10,38; 10,42..

და უკუეთუ მარჯუენც... გაცთუნებდეს, მ. 5,30; და უკუეთუ.. მ. 5,47, 10,13; 10,14; 12,26; 12,27...

და თუ გნებავს შეწყნარებად... მ. 11,14 C; და თუ.. მ. 12,26; 18,9; 21,3 მ და ა. შ.

¹ ს. ყაუხჩიშვილი, ერთი უცნობი სინტაქსური მოვლენისათვის ძველ ქართულში, ქეთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები IX, 1949, გვ. 112.

² იქვე.

ღათუ კავშირიც დამოკიდებული წინადადების კავშირია. როდესაც იგი დამოკიდებული წინადადების დასაწყისში ექცევა (ღათუ კავშირის შემცველი დამოკიდებული წინადადება კი ყოველთვის მთავარს წინ უსწრებს), ცხადია, მასაც შეიძლება დაერთოს კავშირი და და მივიღოთ დაღათუ, რომელშიც და მოგვიანო ძეგლების მიხედვით გაანსრებულია როგორც ღათუ კავშირის შემადგენელი ნაწილი¹.

და ღათუ ვცოდე, და-ვე-მიცევე მე, იობ. 10,14

და ღათუ შუდ გზის შეგცოდოს შენ..., მიუტევე მას, ლ. 16,3

დაღათუ განვაგრძევი სიტყუაჲ ესე, არამედ გლოცავ თქუენ, რადთა არა გეწყინებოდის, მრვლთ. 270,5

დაღათუ კავშირს შეიძლება დაერთოს -მცა ნაწილაკი:

დაღათუნცა არა ვისა თხოილ ვიყავ, ვითარმცა თავს ვიდევ კაცისაჲ ამის უცხოჲსაჲ?! მრვლთ. 163,16

და კავშირიან ღა- ნაწილაკსა და თუ კავშირს შორის -ცა ნაწილაკის ჩართვის შედეგად არის მიღებული დაღაცათუ კავშირი:

დაღაცათუ დღითა უმრწემეს ხარ, საქმით კულა უხუცეს ხარ ჩემსა, ხანძთ. ზ, 27

შედარებით იშვიათად გვხვდება -მცა ნაწილაკდართული დაღაცათუ კავშირის ფორმები:

დაღაცათუმცა ძლიერად ყოუილიყო ყრმაჲ იგი, ვერვე მიაგებდა ვინაჲ-იგი გამოსრულ იყენეს, საბა. 10,8

ღათუ კავშირი და მისი ნაწილაკებიანი ვარიანტები ძირითადად ორ მნიშვნელობას აჩვენებენ: „თუმცალა“-ს და „კიდევ რომ; თუნდაც“-ს.

თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი თხრობითი კილოს ზმნაა, მაშინ ღათუ, დაღათუ, დაღაცათუ კავშირების მნიშვნელობაა „თუმცალა“:

და პოუნდა ღათუ მისი მოკლვაჲ, ჰეშინოდა, ჰმტ. 368,10

და ღათოჲ შეწუხნა მეუწ იგი, ად ფიცისა მისთჲს... ბრძანა მიცემად იგი მას, ამტ. 368,24

დაღათუ განვაგრძევი სიტყუაჲ ესე, არამედ გლოცავ თქუენ, რადთა არა გეწყინებოდის, მრვლთ. 270,5

¹ შდრ.: „ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენს „ღათუ“ კავშირის ორთოგრაფია. სახარების ენაში ჯერ კიდევ არ არის ის დართული „და“-ზე, რასაც ნათლად აჩენა ტმესი: „და შე-ღათუ-წენა“ (მ. 14,9) და ზოგიერთი სხვა შემთხვევით... ამიტომ, როცა ის უშუალოდ მოადედა „და“ კავშირს, ვყოფილი მისგან... მერაინდელ ძეგლებში „ღათუ“ უკვე შერწყმულია „და“-სთან: დაღათუ“. ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, 1945, გვ. 051.

დალათუ მიჟარნი იგი სამარესა მას ისხნეს, და შაშუელ არა
ყო, იპლტ. 25,76

დალათოჯ სიტყოჯად არა მიჟლიეს მე არა წ'დებისა ჩემისათჳს,
ა'დ შევიდე და დავდგე ფერჯით კერძო მისა, ბოლნ. 12,10

დალათუ ოპოლ და შეუწვენელ ვარ, ცოლად მისა არავე მეგუ-
ლების, რამეთუ უპოარ ვარ. დალათუ ქმნულ-კეთილ ვარ, ხოლო
სიმდიდრჳ არაჲ მაქუს, მრვლთ. 263, 19

დალათუ ქუესკენელთა ჯოჯოხეთისათა შთაწვენულ ხარ ცოდვი-
თა, იგი შემძლებელ არს შენდა მიერ აღმოყვანებად, მრხვთ. 7,11

დალათუ უძნდა საქმე ესე იოვანეს, გარნა ქართველთა განსუ-
ენებისათჳს... თავს-იღვა ამისი ჳელ-ყოფაჲ, ცხრ. 23,2

დალაცათუ ყოველსა საქმესა მეცნიერ იყო სამ გზის სანატრელი
მამაჲ ჩუენი ეუთჳმე, გარნა დიდითა მით სიმდაბლითა თჳსითა
თჳნიერ კითხვისა არა რას იქმოდა, ცხრ. 74,3

ჩუენ, საყუარელნო, დალაცათუ ცოდვილნი ვართ, კაცი ვართ
ქრისტეანენი და გურწამს ქრისტე ღმერთი, ზარზმ. 155,33

დალაცათუ განგეშორე შენ ჳორციითა, ა'დ სულითა შენ თანა
ვარ, კიმ. I, 23,15

ხოლო ამას ნეტარსა დალაცათუ აქუნდა სიყუარული მღღელო-
ბისაჲ, შეზრუნდა სიტყუასა მათსა ზედა, ხანძთ. დ, 11

დალაცათუ არა-მცირედი შესაწირავი მიეცა მონასტრისადა,
არამედ არარას თავს-იღებდეს აღებად გარეშე საჳიროჲსა, ცხრ.
104,3

ხოლო აწ შენ დალაცათუ ხარ მსგავსი მჳეცთაჲ და პირუტყუ-
თაჲ და გნებავს განსწავლაჲ მოყუსისა შენისაჲ ბოროტისა მიგე-
ბითა, შეუნდვე მას, მრხვთ. 49,21

თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი კავშირებითი
კილოს ზმნაჲ, მაშინ ლათუ კავშირისა და მისი ვარიანტების მნიშე-
ნელობაჲ „კიდეც რომ“, „თუნდაც“:

რომელსა ჳრწმენეს ჩემი, მო-ლათუ-კუდეს, ცხონდესევე, ი. 11,25

და ლათუ შჳდ გზის შევცოდოს შენ..., მიუტევე მას, ლ. 16,3

და ლათუ იყოს შენ თანა სიკუდილი ჩემი, არასადა უვარ-გყო
შენ, მ. 26,35

დალათუ ვილოდი მე შორის აჩრდილთა სიკუდილისათა, არა
მეშინის მე ბოროტისაგან, ჳაბო. 72

უკუეთუ ისმინოს ჩემი უფალმან, ანუ თუ განსაჯნეს სიტყუანი
ჩემნი, ვიყო ლათუ მართალ, არავე ისმინოს ჩემი, იობ. 9,15

.. რამეთუ დაღათუ ყოველი გუამი ჩემი მრთელ იყოს და ერთი ხოლო ასოა მტკიოდის, ყოველი გუამი ჩემი სნეულ არს, მრხეთ. 131,19

დაღათუ ბევრეული ოქროსაჲ და ვეცხლისაჲ მომცენ მე..., ვერ განმაშორონ მე სიყუარულსა უფლისა ჩემისასა, ჰაბო. 67,12

დაღაცათუ ვეცხლითა და ტანჯვითა აღმასროვლოთ მე, არაჲ ოჯარ ვყო სამებაჲ წმიდაჲ, სსლ. ზ, 14

ხოლო დაღაცათუ ფიცხელ იყოს, დაღაცათუ ველურ გონებითა ქმარი იგი, საქირო არს ტვრთვად მისი ცოლისაგან, ექუსთ. 87,32

დაღაცათუ წინდი იგი არა მომელო იოსებისაგან, ვითარმცა სიტყუად დაედევ კაცისა ამის თანა უცხოჲსა, რომელი არა ვინ ვიცი... მრვლთ. 263,17

ოდეს ესენი იხილნე, დაღაცათუ გული შენი ქვისაჲ იყოს, მოვე-ლბეს იგი და დამდაბლდეს ხილვითა მათ სატანჯველთაჲთა, მრხეთ. 64,12

რომ აღნიშნული კავშირების ზემოთ დასახელებული მნიშვნელობანი ნამდვილად შეპირობებული უნდა ყოფილიყო დამოკიდებული წინადადების შემასმენლის (ზმნის) კილოთი, ეს კარგად ჩანს ერთ მაგალითზე:

გეტყვ თქუნ: და ლათუ ვერ ეძლოს აღდგომად და მიცემად [პური], რამეთუ არს იგი მეგობარ მისა..., აღდგეს და მოსცეს, DE	გეტყვ თქუნ: და ლათუ ვერ ძალ-უც აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარი მისი..., აღდგეს და მისცეს, C
--	--

ლ. 11,8

DE რედაქციაში დამოკიდებული წინადადების შემასმენელი კავშირებითი კილოს ზმნაა და კავშირის მნიშვნელობაა „კიდევ რომ“; C-ში შემასმენლის თხრობითი კილოს ზმნად მოქცევას სხვა მნიშვნელობა მოაქვს: „თუმცადა“.

რაც შეეხება აღნიშნული კავშირების -მცა ნაწილაკიან ვარიანტებს, ამათი შემცველი დამოკიდებული წინადადების ზმნა თხრობითი კილოსია, რომელიც კავშირებითის ფარდად არის ნახპარი. ამიტომ კავშირების მნიშვნელობაც ერთია: „კიდევ რომ“, „თუნდაც“:

დაღათუმცა არა ვისა თხოილ ვიყავ, ვითარმცა თავს-ვიდევ კაცისაჲ ამის უცხოჲსაჲ, მრვლთ. 163,16

დაღათუმცა არა პირველვე მებრძანა შენდა, ჯერ-იყო შენდა მორჩილებაჲ ღმრთისა შენისაჲ, მრხეთ. 43,12

დაღაცათუმცა ძლიერად ყოფილ იყო ყრმაჲ იგი, ვერვე მიაგებდა, ვინაჲ-იგი გამოსრულ იყვნეს, საბა. 10,8

დალაცათუმცა უნდა ღმერთსა შენდობაჲ ცოდვათა შენთაჲ, შენ აყენებ და არა უტევებ, რაჲთამცა მოგიტევნა, მრხეთ. 49,19

დალაცათუმცა ვინმე დაჯდა საყდართა სამეუფოთა, არა განეძების მწუხარებაჲ, ვიდრემდის ცოდვანი თჳსნი ექსენენ, მრხეთ. 98,23

ცხადია, რომ ლათუ კავშირისა და მისი ვარიანტების საწარმოებლად ამოსავალია თუ კავშირი¹. გვაქვს თუ არა მაგალითები, რომელთა მიხედვით ლათუ || დალათუ-ს შემონახული აქვს თუ-ს ბირობითი შინაარსი? ასეთები გვხვდება, მაგრამ იშვიათად:

დალათუ სხუაჲ საკირო რაჲ ვის უქმს, ჩუენ ვითარ არა მეცნიერ ვართ? ზარზმ. 154,25

დალათუ რაჲმე აქუნდა თავისა თჳსისაჲ, მისცა იგი ქელთა მამასახლისისათა, კიმ. II, 145,2

ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, რომ ლათუ კავშირისა და მისი ვარიანტების შემცველი დამოკიდებული წინადადება მთავარს ყოველთვის წინ უსწრებს. იშვიათი გამონაკლისის სახით თუ იჩენს თავს ასეთი მაგალითი:

ქეშმარიტთა ქრისტიანეთა შეილთა მწველებელი მღვდელი ვერ მოჰნათლავს, დალაცათუ უნათლავი მოკუდებოლის, ხანძთ. ოდ, 20 (Священник из еретиков не может крестить детей истинных христиан, хотя бы некрещеными умирали).

თუ კავშირი გვაქვს რაჲმეთუ კავშირის შემადგენლობაში („რაჲმე ყთო-ლიბი в соединении с союзом თუ... რაჲმეთუ (пузыг. რაჲმეთუ) ყთო“)². რაჲმეთუ კავშირი ძველ ქართულში ორი მნიშვნელობით იხმარება. ეს არის „რომ“ და „რადგანაც“, მნიშვნელობით „რომ“ რაჲმეთუ შედარებით იშვიათად გვხვდება.

გაცილებით უფრო ხშირად იხმარება რაჲმეთუ კავშირი მნიშვნელობით „რადგანაც“. რაჲმეთუ კავშირის ეს მნიშვნელობა მაშინ გვაქვს, როდესაც მთავარი წინადადების შემასმენელი „ცნობიერება წრის“ ზმნა არ არის. კავშირი, რომელიც ყოველთვის წინ უძღვის დამოკიდებულ წინადადებას, დამოკიდებული წინადადებითურთ მთავარს მოსდევს:

¹ მნიშვნელობა „კიდევ რომ, თუნდაც“ თუ კავშირს, ჩანს, -ღა ნაწილაკის გარეშეც შეიძლებოდა ჰქონოდა:

და თუ მრავალი ტანჯვაჲ მთაწით ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა, შუშ. IV, 27—28

და ლათუ სამოსელსა ოდენ მისსა || სამოსელსა ხოლო თუ მისსა შევახო, ვცხოვნდე, მრკ. 5,28 || შევახო, ვცხოვნდე, С

² Н. М а р р, Древнегрузинско-русский словарь..., 18.

განმეშორე ჩემგან, რამეთუ ცუდად არს ცხორებაჲ ჩემი, იობ. 7,16

და ვერ იტევდა მათ ქუეყანაჲ იგი დამკვდრებად ერთბამად, რამეთუ იყო მონაგები მათი ფრიად, დაბ. 13,6

უფალო, მიქსნენ ჩუენ, რამეთუ წარვწყმდებით, მ. 8,25
წარვიდა მწუხარედ, რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიად, მ. 19,22

შემეწიე მე, რამეთუ ბოროტად ვიგუემები, ევსტ. 171,23
დაეემორჩილნეთ კაცსა ამას, რამეთუ არღარა არს ქამი სლვისაჲ, ზარზმ. 162,30

ვერ ძალ-მიც გემოჲს ხილვად, რამეთუ ყბანი და ზოგნი კბილნი შთამუსრვილ არიან, შუშ. VII, 23

და ვერვინ იკადრა თავსა მისსა დაბურვად, რამეთუ პიტიახში იგი მკედრ შეუდგა უკუანა, შუშ. IX, 11

შრომითა დიდითა ქმნეს ადგილი იგი, რამეთუ არა აქუნდა მათ ცული და წერაქვ, ხანძთ. ია, 39

შემინდვე, რამეთუ დაგაბრკოლე, ხანძთ. მშ, 112
დაატკბო ენაჲ ჩუენი და ეკლესიაჲ, რამეთუ თარგმნნა წიგნნი საღმრთონი, ცხრ. 48,3

რამეთუ კავშირის წინ არაიშვიათად თავს იჩენს მიზეზის ზმნი-ზედის ფუნქციით ხმარებული ნაცვალსახელი ამისთჳს || მისთჳს (= „ამიტომ, ამის გამო“, „იმიტომ, იმის გამო“). ასეთ შემთხვევებში რამეთუ კავშირის მნიშვნელობაა „რომ“. ორივე ერთად კი შედგენილ კავშირს იძლევა ამისთჳს¹ რამეთუ (= „ამიტომ რომ, იმიტომ რომ“):

და იკურთხეოდინან შენდა მომართ და ნათესავეისა შენისა მიმართ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი, ამისთჳს რამეთუ ისმინე კმისა ჩემისაჲ, დაბ. 22,18

აწ წარვედით, ასულნო ჩემნო, ამისთჳს რამეთუ დავბერდი, რჳთ. 1,12

და იყო შენ დადუმებულ და ვერ შემძლებელ სიტყუად ვიდრე დღედმდე ყოფად ამისა, ამისთჳს, რამეთუ არა გრწმენეს სიტყუანი ჩემნი, ლ. 1,20

ნუ ჰგონებ, ვითარმცა იხილე პირი ჩემი გინა მომიკითხე მე, ამისთჳს, რამეთუ მე დაწინდებულ ვარ ქრისტეს, ღმრთისა ჩემისაჲ, კიმ. II, 82,35

¹ ძველი ქართულის ტექსტების ზოგი გამომცემელი მძიმეს (,) ამისთჳს სიტყვის მომდევნოდ ხმარობს, ზოგი — წინ, ზოგიერთი გამომცემელი კი, როგორც ჩანს, გარკვეული მოსაზრებით, — ორივენაირად.

მაშინ ეტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი, ამისთჳს რამეთუ მიეცემოდინან ყოველნი ბრალეულნი გუემათა და საარებათა, ხანძთ. ი, 9

უწუერულთა მუშათა ნუ შეიწყნარებ, ამისთჳს რამეთუ მავნებელნი არიან ძმათანი, ცხრ. 91,1

არათუ სხვთ ვინაჲ იყო მათა შემთხუევაჲ იგი, არამედ მისთჳს, რამეთუ მიყვენეს ჳელნი მათნი მართლისა მის ზედა წადიერებით, კიმ. 11, 100,11

ამისთჳს რამეთუ შედგენილ კავშირში ამისთჳს ნაცვლად თითო-თითოჯერ შეგვხვდა ამით და ამის გამო:

მერმე კულად ცეცხლი არა ღმერთ არს ამით, რამეთუ ცეცხლი კაცმან აღაგზის, ეესტ. 174, 26

ამისთჳსცა გარქუ თქუენ მონად და მეგობრად ქრისტჳსა. მონად ამის გამო, რამეთუ „პატიოსნითა სისხლითა მისითა სყიდულ ხართ“ თქუენ, პაბო. 57,9

შედგენილი კავშირის პირველ კომპონენტად იზვიათად გვხვდება აგრეთვე ამის პირისათჳს:

ნუ მაიძულებთ ამის პირისათჳს, რამეთუ უკუეთუ წაეიდე, ამის სოფლისავე შფოთთა შთამავლებენ, ცხრ. 17,2

თუ კავშირი ქართული სალიტერატურო ენის არსებობის მთელ მანძილზე იხმარება. რა თქმა უნდა, გვხვდება იგი საშუალ ქართულშიც და პირობითობის გამომხატველ საშუალებათა შორის ძირითად კავშირად გვევლინება:

არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა, ვ. ტ. 902,3

არ დააჩნდეს მიჯნურობა, სჯობს, თუ კაცსა ეახლებს, ვ. ტ. 31,4
თუ ვით შეხუალ, არა გამელავნდები, დრჯ. 69,7

თუ ხელს მოვჳკიდებ, უცილოდ ზედ დავეხევი დანასა, თმრზ. 14,2
თუ დასწვია, მტყუანი იქნების, სმრთლ. 51,12

თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი, გურ. 21,5
ზოგჯერ თუ-ს რუმ კავშირის მნიშვნელობა აქვს, თუმცა დამოკიდებული წინადადება ისევ პირობითია:

თუ იქ ამისაგან უდიდესი ბმოდა, თავს გამიჳყლეტდაო, სიბრძნ. 28,4

თუ ზაფხული იყოს, დიდი ანეული მოიხენის, სიბრძნ. 69,4

თუ ზაფხული ყოფილიყო, თავიანთთვის მომშველებელს უმეტესს იშოვნინდნენ, ერეკლე. 97,27

როდესაც თუ კავშირსა და დამოკიდებული წინადადების შემასმენელს შორის უარყოფითი ნაწილაკი არა ჩაისმის, ხდება ხოლმე,

რომ დამოკიდებულ წინადადებაში შემასმენელი გამოიტოვება, მაშინ დამოკიდებულში წინადადების ნაცვლობას მთლიანად თუ არა კავშირი ეწევა:

თუ იგი თავადი კაცი მოვკლათ, ყუელა განქარდების, თუ არა, სხუა ღონე არა არსო, დრჯ. 10,45 (=თუ არა მოვკლათ)

თუ მეძებო, მპოვებ აღრე, თუ არა და შენვე ინანდღო, სიბრძნ-
მ,14 (=თუ არა მპოვებ)

ოლონდ საქიროა აღინიშნოს, რომ უარყოფითი პირობითობა შესაძლებელია მაშინ, როცა ასეთი შინაარსი „დადებით პირობითობას“ უპირისპირდება, როცა თუ არა „კავშირიან“ წინადადებას წინ უძღვის დადებითი პირობითობის შემცველი წინადადება. როდესაც ასეთი შეპირისპირება არ გვაქვს, მაშინ თუ არა¹ მაპირისპირებელი კავშირის მნიშვნელობას იძენს:

გაუწირავართ ღმერთსა, თუ არა ესდენ კარგი ჭაბუკი ვითა იჯაბანა ესრეო, დრჯ. 61,36

ნუ ვაბრძოლებთ, თუ არა მოვაკვლევინებთ იმას კაცსა სასიძოსა თქუენსა, დრჯ. 13,7

თუ კავშირი ხშირად გვხვდება „ცნობიერება წრის“ ზმნების შემცველ წინადადებათა ქვეწყობაში:

უთხრა, თუ: „ძმანო, ვარ ვინმე ღარიბი უადგილოსა“, ვ. ტ. 212,1
თქვეს, თუ: რა უმძიმს შეფესა, ანუ რად ფერი ჰკრთომია, ვ. ტ. 57,4

არავინ ჰკითხის, თუ ვინ ხართ, დრჯ. 5,27

ცნეს, თუ: სეფედავლეს სიარული დაუწყიაო, დრჯ. 66,9
უნდა მოსამართლემ იცოდეს, თუ ფიცი რომლისა არის, სმრთლ-
52,11

ნუ ჰგონებ, თუ ჰეშმარიტი აღსარება არა გაქვს, ჰყნდ. 7,3

-მცა ნაწილაკიანი თუ კავშირი (თუმცა) საშუალ ქართულში იშვიათადლა ჩანს:

თუმცა პნახე, სახელისა ცოდნასაცა ინატრიდე, ვ. ტ. 460,4

მე თუმცა ერთსა წამსა შენგან ასეთი შეგული მენახა, სიხარულითა ცამდის აფთრინდებოდი, ვისრ. 171,10

ხამს, თუმცა სხვათა მიჯნური შენს სიტურფესა წარეგდეს, თმრზ. 12,18

¹ თუ არა-ს სხვადასხვაგვარი ფონეტიკური სახეცვლილებებით შევხვდებით: თვარა (კეთილი ხე კეთილსა მოიბამს, თვარა თავით თვისით ხილი უნერგი კარგი არ იქნება, სიბრძნ. 77,14); თვარე (...თვარე გყო ცრემლთა მდინარე, თმრზ. 6,14); თორე (...თორე სტყუით ორნივ სწორად. არჩ. 19,12); თარ (...თორ უამისოდ. ცუღია, არჩ. 13,22); თვარემ (...თვარემ წახდა საქმე, სიძვ. 39,9).

თუმც უნდოდით გასაყრელად, პირველ ერთად არ შეგყრიდა,
ვ. ტ. 914,4

-მცა ნაწილაკის სინტაქსური ძალა შესუსტებულია, -მცა ნაწი-
ლაკიან კონსტრუქციაში კავშირებითი კილოს ზმნებიც შეიძლება
შეგვხვდეს.

-ცა ნაწილაკი უშუალოდ შეიძლება ერთვოდეს თუ კავშირს
(თუცა), თუცა-ს მნიშვნელობაა „რომ“:

ესე არა ეგების, თუცა არა გნახა მეფობამან ჩემმან, დრჯ. 6,24

თუცა ღმრთისაგან არა მეშინოდეს, თავსა მოგკუთეთ, დრჯ. 8,6

თუცა გენახა, მოგეწონებოდა, დრჯ. 9,30

ბედი ყოველსა კაცსა აქვს, თუცა პატრონი არა რისხავდეს,
სიბრძნ. 35,21

თუცა სამეფო წესი და ქაბუკთ ზენი ესწავლებინა, თავის სა-
მეფოს მისცემდაო, სიბრძნ. 72,19

თუცა-ს შეიძლება -ლა ნაწილაკიც მიეკედლოს (ეგ საუბარი
მაშინ ხამს, თუცალა ვიყო ცნობასა, ვ. ტ. 886,2) ან თუ-ს -ლა
ნაწილაკი დაერთოს (თულა):

თულა დავრჩე, შენთვის მოგკვდე, თავი ჩემი დაგამონო, ვ. ტ.
722,3

თულა ოდეს შე-ლა-გცოდო, მაშინ მომკალ მეცა განა, ვ. ტ. 472,3
ორსავე შემთხვევაში თუცალა და თულა კავშირები ისევე პირო-
ბითობის მნიშვნელობით არის ნახმარი.

ძველი ქართულის უკუეთუმცა თითქმის განდევნილია, ასეთივე
ბედი უჩანს ლათუ კავშირს, აქა-იქ გვხვდება უკეთუ (←უკუეთუ):

უკეთუ ნოტია გადიდდეს..., მაშინ აიღე სპეტი, სმკრნ. 37,26

მომავალს წელს უკეთუ დამციარდეს, ერთსა სამ-ოთხად გავცი-
დიო, სიბრძნ. 12,3

იშვიათად გვხვდება მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინა-
დადების კავშირად რამეთუ:

ალარ სდევნეს, რამეთუ თქუეს, ერისთ. 352,21

ნუ გინდა მისვლა სიახლეს, რამეთუ ყველა ცრუ იყოს მის ქვეშნი,
არჩ. 39,22

სა უშუალ ქართულში თუ-ს ზოგჯერ ერთვის რომ კავშირი:

თუ რომ სხვა რამ გამოვიდეს, ჩვენის ხელით თქვენი შემმატე-
ბელიც ვიყვნეთ, სიძვ. 73,4

თუ რომ მთხრობლის დარი ყმა ყვანდეს, ჯმალში გაჰყვეს,
სმრთლ. 59,27

თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ში პირობითობის ძირითად კავშირად ისევ თუ გვევლინება:

უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდან ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ, ი. ჭ. III, 12,19

თუ ურემმა შემა ვერ მოიტანა, თითონ შემა უნდა იყოსო, ანდ. 456

თუ მკითხველს რამე მოეწონება, შენდობა გაუგზავნოს განსვენებულს, ნ. ლორთქ. I, 273,15

თუ ღმერთი მართლა გაწყრა და სიკვდილი თავს წამომადგა, თქვენ მაშინ უყურეთ ბათას, დ. შენგ. 14,12

თუ კავშირთან გვხვდება ნაწილაკები კი, არ(ა) და კავშირი რომ: თუ კი ჯოხი ხელში მექნებოდა, აღარაფრის აღარ მეშინოდა, ა. წ. 38,19

თუ კი ქალს ხმა გაეცი, უსათუოდ რამე უნდა შეგწამონ, კლდ. I, 24,34

ქვეიანი თუ არ შესცდა, რეგვენი კლდეზე უნდა გადავარდესო, ანდ. 491

თუ ჩემ სურვილს შეასრულებ, გაგამდიდრებ, თუ არა და—ამ ხანჯალზე აგაგებ ახლავეო, ა. წ. 114,24

პლემჩევეი ბევრად უკეთეს ლექსებს დასწერდა, თავ პოეტთა შორის დაიჭერდა ადგილს, თუ რომ მისს სწავლა-აღზრდაში რუსულს ენას სჭეროდა ადგილი დედა-ენისაო, გოგ. II, 221,35

ძილს მიეცემოდა, თუ რომ ამ დროს ჭისკრის ჭრიალს არ გამოეთხიზლებინა, ე. ნინოშვ. 29,12

თუ კავშირს შეიძლება დაერთოს გინდ, ვინიცობაა¹ (თუ გინდ, თუ ვინიცობაა):

ვერ მოშორდებოდა ამ ადგილებს, თუ გინდ ნუნუს უარიც ეთქვა, ყაზ. I, 181,14

მე კი ჩემს ადათს არ გადავალ, თუ გინდ შანთით დამწვან, ნ. ლორთქ. I, 114,35

ამაში ინახავდა ფოსტის ფულსა და საბეგროსას, თუ ვინიცობაა სოფელი ოდესმე შეაწერდა, ი. ჭ. II, 258,28

თუ ვინიცობაა აქეთ შემომიტევდა, უკან დასახევე ადგილს აქედანვე ვათვალთვალეზდი, დ. შნგ. 19,5

თანამედროვე სალიტერატურო ქართულს აგრეთვე შემორჩა არა ნაწილაკიანი თუ კავშირი (თუ არა), მაგრამ არა პირობითობა

¹ თუმცა საჭიროა აღინიშნოს, რომ გინდ, ვინიცობაა და რომ კავშირებზე თუ-ს გარეშეც შეიძლება შეგვხვდეს პირობითობის შინაარსით.

ბის ან მაპირისპირებელ¹ კავშირად, არამედ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მთავართან დამაკავშირებელ საშუალებად.

ადამის შვილი გაჩნდება თუ არა ქვეყნად, მისი ბედის ვარსკვლავი მაშინვე ცაზე იბეჭდება, ა. წ. 10,5

შენათვალი ვუთხარი თუ არა, ის ვეება დედაკაცი კინალამ თავზე არ წამომექცაო, ი. ჭ. II, 306,14

სენაში ჩაიხედა თუ არა, იმას დაუწყო გულმა ძგერა, ყაზ. I, 180,28

დაბრუნდებოდა თუ არა სოფელში კოტე, გაბრიელა ჩამწარდაძის სტუმარი იყო, ე. ნინოშე. 203,29

დარეკდნენ თუ არა ეკლესიაში და ქრისტიანი ბავშვები გაემართებოდნენ თუ არა ეკლესიისაკენ, ეს წარმართებიც უკან მისდევდნენ, კ. კეკ. 95,2

დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების წინ არის მოქცეული, კავშირი—დამოკიდებული წინადადების შემასმენლის მომდევნოდ. კორელატებად შეიძლება შეგვხვდეს: მაშინვე, იმ წამსვე, ფიცხლავ...

თავს იჩენს თუ არა სადმე მივარდნილ მთის კალთაზე, მაშინვე იწყებს ჟონვას ნელ-ნელა, ა. წ. 9,5

მოაპკრა თვალი თუ არა აივანზე უცხო კაცს, იმ წამსვე ოდის უკან მიიშალა, კლდ. I, 171,4

ქალს თვალი მოგვარ თუ არა, ფიცხლავ ელდა მეცა, ი. ჭ. II, 115,11

კორელატს მთავარი წინადადების თავში აქვს მიჩენილი ადგილი.

თუ იხმარება რომ კავშირის მნიშვნელობითაც, მაგრამ ისე, რომ დამოკიდებული წინადადება ისევ პირობითი შინაარსისაა:

ისინი კიდევ დიდხანს დარჩებოდნენ ასე, თუ კობას არ მოსწყენოდა იმათი ყურება, ყაზ. I, 270,4

თუ დედაჩემი არ ყოფილიყო, ოჯახში ყოველიფერი არეულდარეული იქნებოდა, ა. წ. 23,39

¹ მაპირისპირებლობის ფუნქციას თუ არა კავშირში საფუძვლად ისევ პირობითი შინაარსი უნდა ჰქონდეს, შდრ.:

გაჩუმდი თუ არა, კვერნასავით გადმოგაგდებ ამ ხიდგან, ე. ნინოშე. 45,17. ეს თუ არა იგივეა, რაც სალიტერატურო ქართულის თორემ.

როდესაც [თუ არა || თორემ] მაპირისპირებელი კავშირის ფუნქციით არის ნახმარი, იგი ბრძანებითი კილოს ზმნებთან ჩანს დაკავშირებულნი. შდრ.: გაჩუმდი თორემ... || გაჩუმდეს თორემ...

თუ არა თხრობითი კილოს ზმნებთან ჩვეულებრივ დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას გვაძლევს.

[ჩვენი ბავშვები] ერთი სამად და ოთხად ნაკლებს შეიძენენ, ვიდრე შეიძენდნენ მაშინ, თუ ცალკე ესწავლათ, გოგ. II, 324,27

ამგვარი თუ კავშირიანი კონსტრუქცია უახლეს სალიტერატურო ქართულში აღარ იხმარება (დამოკიდებული წინადადების შემასმენელი II თურმეობითის მწკრივის ზმნაა, მთავარისა — ხოლმეობითის მწკრივისა), ხმარებიდან გამოსულია აგრეთვე კონსტრუქცია, სადაც დამოკიდებული წინადადების II თურმეობითის ნაცვლად შეიძლება ბოდა გექონოდა კავშირებითის მწკრივის ზმნა (თუ შენ კაი კაცი იყო, მზეს არ დაემალე ბოდი, ი. ქ. II, 90,10; თუ ამ პატარა ქვეყანას მაგისტანა რაინდები არა ჰყავდეს, აქამდის იმ დიდის მტრებისაგან ასჯერ და ათასჯერ ჩაყლაპული იქნებოდა, ა. წ. 171,30).

ე) ოდეს, ოდეს-იგი, ოდეს-და, ოდესცა, ოდესმცა, ოდესაც

მნიშვნელობა „როცა, როდესაც“ აქვს ძველ ქართულში მიმართებით ზმნიზედას — ოდეს. დამოკიდებული წინადადება, რომლის შემადგენლობაში შედის ოდეს ზმნიზედა, შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს მთავარს:

ოდეს განთენა, მოუწოდა მოწათფეთა თვსთა, ლ. 6,13

ოდეს მოვიდეს იგი, მითხრას ჩუენ ყოველი, ი. 4,25

ოდეს გნებავს, ჩემსა გონებასა ზეცად აღიყვანებ, და ოდეს გნებავს, ქუეყანად გარდამოიყვანებ, მრვლთ. 257, 21—22

და ოდეს წუენის ჰამაჲ გულმან უთქვს, ნაცვალად წუენისა მიილის მარილისა ხოშორი, საბა. 5,16

ოდეს გვნებნ, აღვაგზნით, და ოდეს გვნებნ, დავშრიტით, ევსტ. 174,35

უგულებელს-ვყავთ ჰირი სულისა მისისაჲ, ოდეს გუევედრებოდა ჩუენ, დაბ. 42,21

არა დაიბანნიან კელნი, ოდეს პურსა ჰამედ, მ. 15,12

და აწ რაჲ ვყოთ, მეფე, ოდეს ვპოვეთ ღმერთი, კიმ. II, 83,5

გვხვდება ოდეს კავშირის -იგი, -და, -ცა ნაწილაკიანი ფორმები: ოდეს-იგი ხუთი პური განვტეხე ხუთ ათასთათვს, რაოდენი გოდორი საესწ ნამუსრევი აღიღეთ? მრკ. 8,19

ოდეს-იგი წერნ წა მამაჲ ჩნი გრიგოლი გინა თუ სწავლასა გინა თუ თარგმანებასა წერილთასა, ვხედვედ განცხადებულად ტრედსა სპეტაკსა, კიმ. I, 132,3

ოდეს-ლა ჰგონებდეს დასრულებასა, მაშინ იქირვოდის, იობ.
20,22

ოდეს-ლა ესე ამათი არა გესმა, შეგიგვანდა, ოკოვეთოვცა
სიტყოვად იგი ო-ღ ხ-შცა გესმინა, ბოლნ. 69,22

ოდესცა მოვიდის ხილვად მამათა, მახლობელად სენაკსა გაბ-
რიელისსა აქუნდა სენაკი და მუნ დაყენის დღენი იგი, ცხრ. 52,1

ოდესცა საქსენებელი ვისიმე ძმათაგანისაჲ იყოს, სერობად
სამ-საში კრასოველი ხუდების ძმათა, აღაპ. 217,9

საკავშირებელ სიტყვებად მთავარ წინადადებაში შეიძლება
შეგვხვდეს დროის სახელები (დღე, ჟამი):

იყო ღღჳ მარჯუჳ, ოდეს ჰეროდე ეამსა შობისა მისისასა მზა-
უყო პური მთავართა მისთა, მრკ. 6,21

კაცმან მან დაისწავა ჟამი იგი, ოდესცა ულოცა უფალსა მისსა,
ხანძთ. ნთ, 46

წარმოვემართენით მას ჟამსა, ოდეს მართა უფლის წული
სძლად თჳსად კოსტანტინე დუქიწმან მოიყვანა დედოფლად, მთწმ.
330,29

ასეთ შემთხვევებში დამოკიდებული წინადადება მთავარის მომ-
დევნოდ არის მოქცეული. წინადადებათა ასეთივე წყობაა დაცული,
როდესაც მთავარ წინადადებაში საკავშირებელ სიტყვად გვაქვს
ზმნიზედა (მაშინ):

ოდეს სამართალმან დაგასამართლოს, მაშინ იხილო თავი შენი
ცნობამიღებულ, ხანძთ. მზ, 102

ოდეს წარიტყოჴნა წ-ღ ქლაქი იშ-ღმი სპარსთაგან, მაშინვე
წარიტყოჴნა პ-ტსნი ძელი ჯ-ღ, ბოლნ. 4,1

და ოდეს წუერითა შეიმოსნიან, მაშინ შემოიყვანნის მონასტრად,
ცხრ. 92,3

ოდეს-იგი მამაჲ მისი ჯორცთაგან განვიდა და დაუტევა საწუ-
თოჲ ესე, მაშინ დაუტევა ამანცა სოფელი, კიმ. I, 48,15

ოდეს ნ. მარს შედგენილად მიაჩნდა: „ო-დეს когда, дѣнь. „
какой день“¹. „დღე სხვა შემთხვევაშიც არის ნაწილაკად ქცეული:
მიცემათის ფორმით ის ო-დეს-შია შესული (ო-დღეს)“². თუ ეს
მოსაზრება სწორია, მაშინ შესაძლებელია ო-დეს-ში ო რომელიღაც
მსაზღვრელი სიტყვის ნაშთი იყოს, ისევე, როგორც ეს გვაქვს რა-
ჟამს კავშირში, რომელშიც რა მსაზღვრელი ნაცვალსახელია.

¹ Н. Марр, Грамматика древневост. грузинского языка, გვ. 103.

² ა. შანიძე, -მდე თანდებულის გენეზისისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა
აკადემიის მოამბე, III, № 34.

ოდეს კავშირი „შესული ჩანს შედგენილ კავშირში (resp. კითხვით ზმნისართში) როდესა-(ცა) <რა+ოდესა-(ცა)“¹. ასალი ქართულის კითხვითი ზმნიზედა როდის ასეთივე შედგენილობისა უნდა იყოს: რა+ოდის. ოდეს ზმნიზედის პარალელური ფორმა ოდის ძველსავე ქართულში გვაქვს:

ზორს უკუე არს დღე იგი სინანულისა შენისაჲ, ვიდრემდის უკუე მოველოდით ანუ ოდის ვესვიდეთ მოსლვასა მისსა, მრხვთ. 320,6 (ოდისა C).

ს ა შ უ ა ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი ო დ ე ს შე ი ძ ლ ე ბ ა შე გ ე ხ ვ დ ე ს უ ნ ა წ ი ლ ა კ ო დ ა ც და ნ ა წ ი ლ ა კ დ ა რ თ უ ლ ი ც :

ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი, ვ. ტ. 773,4

ოდეს შეველ, ტახტსა ზედა პერანგითა ჯდა, დრჯ. 68,3

დღე დამეღევის მაშინვე, ოდეს დაიწყებ ლევასა, თმრზ. 13,29

მაშინ იხარებს მწიღნავი, ოდეს მოისთვლის მტევნებსა, გურ. 20,19

ოდესცა ესე ფიცი გავტეხო, ღმერთი უარ ექმნაო, ვისრ. 160,1.

ვერ გაუმაგრდნენ, ოდესაც მტერთა დაუწყეს ბრძოლანი, გურ. 38,21

გეხვდება -მცა ნაწილაკიანი ოდეს, ოლონდ -მცა-ს ანგარიში ყოველთვის აღარ ეწევა:

ოდესმცა ნახე, ამას იტყოდი, დრჯ. 77,16

ოდესმცა გენახა სეფედავლე, ამას იტყოდი, დრჯ. 77,16

დამოკიდებული წინადადების ადგილი აგრეთვე თავისუფალია, მიმართებითი ზმნიზედა დამოკიდებული წინადადების თავშია. „ვეფხისტყაოსანში“ ერთი მაგალითი შეგვხვდა, სადაც ოდეს დამოკიდებული წინადადების ბოლოშია გადაადგილებული (რითმის საკითროებისათვის):

იქით და აქათ მომიხდეს, ერთგნით ვერ მომერეოდეს, არ მომწურვოდეს წინანი, ზურგით მესროდეს მე ოდეს, ვ. ტ. 606,3

ა ს ა ლ ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ქ ა რ თ უ ლ შ ი ო დ ე ს ზ მ ნ ი ზ ე დ ა აღარ იხმარება, მეტად იშვიათად და ისიც სტილისტიკური მიზნისათვის თუ მიმართავენ ხოლმე მას (მეტწილად პოეზიაში):

...მაშ რაღადა ვგმობთ,

ოდეს ჩვენ ვცდილობთ

ერთმანეთობით მილიონობას? ი. ქ. I, 95,20

¹ გ. როგაეა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, VIII, 1948 გვ. 366

ვ) რაჭამს, რაჭამს-იგი, რაჭამსა, რასჯამს,
რაძჯამს, რაჭამითგან

დამოკიდებულ წინადადებას, რომელიც რაჭამს კავშირს შეიცავს, ძველ ქართულში განსაზღვრული ადგილი არა აქვს. გვხვდება მთავარი წინადადების წინა და მომდევნოდაც:

რაჭამს მიეახლა ეგვბტედ, ჰრკუა აბრაჰამ ცოლსა თუსსა სარას, დაბ. 12,11

რაჭამს სიტყუად ვიწყი, დამწერტედ მე, იობ. 6,4

რაჭამს დაიბანაკეს წმიდათა მათ..., ქმნეს ტალაეარ, ზარზმ. 154,18

რაჭამს იტყუნ, ბრძნად აღაღის პირი თუსი, ხანძთ. გ, 49

აბრაჰამ იყო ოთხმეოც და ექუსის წლის, რაჭამს უშვა აგარ ისმაელი, დაბ. 16,16

და არა იყოს თქუენდა გუემად იგი შესამუსრველი, რაჭამს დავსცე მე ქუეყანასა ეგვბტისასა, გამოსლვ. 12,13

მივედ და ამხილე მას, რაჭამს შენ და იგი ხოლო ორნი იყენეთ, მ. 18,15

გამომეცხადა მე, იოსებს, პრვლდ, რჯეს ვიყავ საპყრობილესა შინა, არიმათ, 4,5

გვხვდება -იგი ნაწილაკიანი რაჭამს კავშირის ფორმები:

რაჭამს-იგი განტიცხნა თარაო არა გამოვლინებად ჩუენდა, მოწყვდა ყოველი პირმშოდ, გამოსლვ. 13,15

არასადა აღმოიკითხეთა, რაჯ-იგი ყო დავით, რაჭამს-იგი უქმდა და შეემშია მას, მრკ. 2,25

მაქსოვს გუშინდელი იგი, რაჭამს-იგი უბრძანებდით კაცსა მას, ზარზმ. 164,8

რაჭამს კავშირის შედგენილობა მარტივია: რა ნაცვალსახელი ერთვის სახელს ჟამი. საზღვრული სიტყვა მიცემითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი (რა-ჯამს). იშვიათად მსაზღვრელი ნაცვალსახელი (რა) ბრუნვაში შეთანხმებულია საზღვრულთან:

რასჯამს რტონი მისნი დაჩჩუნიან და ფურკელი გამოვალნ, ხუწყოდეთ, რამეთუ ახლოს არნ ზაფხული, ხნმტ. 063,50

და რასჯამს დაასრულეს ბასრობაჲ იგი მის ზედა, განჰძარკუეს ძოწეული იგი, მრკ. 15,20

მსაზღვრელი ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ნიშნის -ს-ს. მაგივრად ზოგჯერ თავს იჩენს ჯ:

ღირს იქმენ მადლისა ოჯეშთაესსა პოენად, იაკობ..., რაჯჯამს ცისკარსა სახელ გდვა შენ ისრაელ, სსლ. ნა, 142

ღმრთეებზე ოუხილავმან მიილო დასაბამი განკაცებისაჲ ჳსნისათჳს
კაცთა ნათესავისა, რაჲჟამს შეეზავა აგებოვლებასა ნიეთიერსა მიწი-
საგანსა მოწყალეებით აოკვებელი არსებაჲ ღმრთეებისაჲ, სსლ. პღ, 225

რაჲჟამს, რაჲჟამს, რაჲჟამს ფორმების შესახებ ა. შანიძე ასეთ
განმარტებას იძლევა: „[რაჲჟამს] ხშირად გვხვდება გახსნილად C-ში,
მაგრამ ასეთი სახით: რაჲჟამს... მაგრამ საექოა, რომ ჯ ოდესმე
წაკითხულიყო, რადგანაც „ჲჟამს“ მიც. ბრუნვის ფორმაჲ, „რა“-ც
ამავე ბრუნვაში უნდა იდგეს და დგას კიდევ: რაჲჟამს... ეს „რაჲ-
ჲჟამს“, ცხადია „რაჲჟამს“ ფორმას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვე-
ცეძდა, თუ სწორი იქნებოდა ვარაუდი, რომ ს-მ მომდევნო ჟ-ს წინ
რედუქციის გზით ჯ მოგვეცაო. მაგრამ ასეთი რამ უფრო ნაკლებ
არის მოსალოდნელი, ვიდრე მისი ჟ-სთან დამსგავსება და შემდეგ
სრული დაკარგვა. „ი“-ს წერა კი გრაფიკულ ნიადაგზე უნდა იყოს
წარმომდგარი, ა-ზე დაბოლოებულ სახელთა ანალოგიით“¹.

ერთხელ შეგვხვდა რაჲჟამს კავშირის ემფატიკურიანი ფორმა
რაჲჟამსა და ერთხელაც—რაჲჟამითგან:

ხოლო რაჲჟამსა ვცოდოთ და არა მოვიდოთ ბექედი ქეწი, მაშინ
ვიყენეთ ჩუენ სასჯელსა ქუეშე, კიმ. I, 54,18

ხ კრებოვლი მწუთთაჲ, რჲჟამითგან მიეცა ოწლი, დაიმაღნეს,
არიმათ. 6,1

იშვიათად თავს იჩენს რაჲჟამს კავშირის საკავშირებელი სიტყვა
მთავარ წინადადებაში—მაშინ:

რაჲჟამს მოვიდეს ძმ კაცისაჲ..., მაშინ დაჯდეს საყდართა დი-
დებისა თჳსისათა, მ. 25,31

რჲჟს შთაასხიან თხიერთა ღუნოჲ თუნიერ ზომისა, მაშინ მანცა
იწყის აღმობოყინებად და აღმოთხევეად, ბოლნ. 84,7

რაჲჟამს იგი საშინელებათა ზარი და საყურისა ოხრაჲ შეაძრწუ-
ნებდეს დაბადებულთა ყოველთა..., მაშინ ეტყებდენ ყოველნი ტომნი
ქუეყანისანი, ხანძთ. ი, 5

ყველა შემთხვევაში რაჲჟამს კავშირის მნიშვნელობაა „როცა,
როდესაც“, ხოლო კავშირისა რაჲჟამითგან—„რა დროიდანაც“; „მას
შემდეგ, რაც“ (ზღრ. ვინაჲთგან).

რაჲჟამს უკვე საშუალო ქართულიდან უთმობს ადგილს
სხვა დროის ზმნიზედებს, თითო-ოროლა მაგალითში მაინც გვხვდება:
და რაჲჟამს სძესა განეყენა, სწავლად წძიდათა წერილთა მისცეს,
ერისთ. 355,17

რაჲჟამსცა ჲამი იყოს, თუთ მივა, გარ. 3,54

¹ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გამოსცა ა. შანიძემ, 1946, გვ. 045.

ზ) რამ(რა), რამთა, რამთაჟცა, რამთგან, რა რომ,
რათა, რათაჟცა, რათგან, რაღგან(ას) რომ,
რაჰი, რაჰი რომ, რაც, რაც (ჰი), რაილა,
რაღანი, რა რომ, რის ვამომ, რის ვამონისაღ,
რისთჳნისაც

რამ კავშირიანი დამოკიდებული წინადადება ძველ ქართულში შეიძლება შეგვხვდეს როგორც მთავარი წინადადების წინ, ისე მის მომდევნოდ. კავშირის მნიშვნელობაა „როცა, როდესაც“.

ჰესმა რამ ესე მოწაფეთა, დავარდეს პირსა ზა მათსა, ამტ.
370,2

კაცმან რამ დაითმინა, არღარა აღდგეს, იობ. 14,12
და ვიდოდეს რამ იგინი, მიიწინნეს აღვილსა ერთსა კლდესა,
კიმ. II, 155,34

ესე რამ აღმოაკითხეს, მათცა გაესუენა და მეორესა ხოლო
წელსა ჩამოვიდეს, ცხრ. 37,1

ხოლო რებეკას ესმოდა, ეტყოდა რამ ისაჲ ძესა თჳსსა, დაბ.
27,5

და განიხარეს მოწაფეთა, იხილეს რამ უფალი, ი. 20,20
და შეძრწუნდა ზაქარია, იხილა რამ იგი, ლ. 1,12
გუელმან ვნებაჲ თუალთაჲ განკურნის, ძოვის რამ კამაჲ, ექუს.
106,27

დამოკიდებული წინადადების შემადგენლობაში რამ კავშირი
ყოველთვის შემასმენლის უშუალო „მეზობლობაშია“ (წინ ან მომ-
დევნოდ), ხშირად ჩართულია ზმნაში:

შე-რამ-მწუხრდა, მარტოჲ იყო მუნ, მ. 14,23
აღ-რამ-ესრულნეს ღღენი იგი, შეემშია, ლ. 4,2
მი-რამ-იწია პალატად, მოვეგბნეს ძენი კურაპალატისანი, ხანძთ.
ივ, 16

და ერთი იგი წარწყმდა, გან-რამ-ვიდა ჩემგან, დაბ. 44,28
და ჰხედვედ, მი-რამ-ვალნ მოსე, გამოსღვ. 33,8
იშვიათად გვხვდება რამ კავშირი წრფელობითის ფორმით:
სულელთა მათ რა აღიხუნეს სანთელნი მათნი, არა აღიღეს მათ
თანა ზეთი, მ. 25,3 C

თუმცა იგი „ხანმეტ ლექციონარში“ ექვსჯერაა და ყველა შემ-
თხვევაში წრფელობითის ფორმით:

ესე რა თქუა, გარე მიხიქცა, 0,61,36
იშვიათად რამ კავშირი დამოკიდებული წინადადების ბოლოს.
არის გადანაცვლებული:

ხოლო ჩუენ ვიხილენით რა, განვიხარეთ, ზარზმ. 163,21
მოწაფეთა თვსთა უპოვარებაჲ იხილა რაჲ, მიიწია ნებიტა
ღმრთისაჲთა სახლსა გაბრიელ დაჟანჩულისასა, ხანძთ. იგ, 12

ერთხელ დადასტურდა რაჲ კავშირი -იგი ნაწილაკით:
ანუ მავათ თვთ თქუედ, რაჲ აოვეს ჩემ თანა ბრალი, ვდეგ რაჲ-
იგი კრებულსა შორის. ანუ ერთისა მის სიტყუსათჳს, რომელ დაღად-
ვეყავ მათ შორის, რაჲ-იგი ვდეგ, ვითარმედ... მკქლ. 24,20

უნდა აღინიშნოს, რომ რაჲ კავშირი ქართულ ორიგინალურ
ძეგლებში გვხვდება, მაგრამ იშვიათად. ზოგიერთი ტექსტი კი ამ
კავშირის ხმარებას საერთოდ გაუოხის (შუშ., ევსტ...).

რაჲ კავშირი „გვხვდება ზმნის ფორმებთან აორისტიში (რაჲ ესმა),
კავშირებითში (რაჲ პოვოს), ხოლმეობითში (რაჲ დასთესის, რაჲ
ვალნ), ნამყო უსრულში (რაჲ ზრახვიდა), ნამყო უსრულისაგან ნა-
წარმოებ კავშირებითში (გამო-რაჲ-ხვდოდით). აწწყოსა და III სე-
რისის ფორმებთან იგი არ გვხვდება“¹.

კავშირებითი მწკრივის ფორმებთან რაჲ მეტად იშვიათია და
გვხვდება მაშინ, როდესაც მთავარი წინადადების შემასმენელი
ბრძანებითი კილოს ზმნაა:

შე-რაჲ-ხვდეთ სახლსა მას, მოიკითხეთ იგი, მ. 10,12

მი-რაჲ-ხვდოდი შენ და მიიქცე ევკუბტედ, იხილე, გამოსლგ. 4,21

მი-რაჲ-ხვდეთ, ქადაგებდით, მ. 10,7

მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენელთა კავ-
შირებითი მწკრივის ფორმები მხოლოდ აქა-იქ თუ იჩენს თავს:

და პოვოს რაჲ იგი, დაისუას მჭართა ზედა, ლ. 15,5

და მო-რაჲ-კუდეს, მესამესა დღესა აღდგეს, მრკ. 9,31

რაჲთა კავშირი იხმარება მნიშვნელობით „რათა, რომ“; დამო-
კიდებული წინადადება, რომელიც ამ კავშირს შეიცავს მიზნის გა-
რემოებითია და მთავარი წინადადების მომდევნოდ აქვს ადგილი
მიჩენილი:

მომიდრბქე სარწყული შენი, რაჲთა ვსუა, დაბ. 24,14

ესე ყოველი იქმნა, რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი, მ. 21,4

ნუ იქმნები იუდაესებრ, რა არა დასწუხნე, იპლტ. 2,137

დასხენ კელნი შენნი ჩემ ზა, რა განვიკოვრნო, არიმათ. 68,8

განუტევე საბა, რაჲთა მმსახუროს მე უდაბნოსა, კიმ. II, 143,29

და ჩნ გოვასწავა მარხვაჲ წთა ამათ ორმეოცთა დღეთა, რა
ლოცვითა და მარხვითა ვერეოდით ყლსა საბრკესა მტერისასა,
ბოლნ. 17,8

¹ ი. ქობაღაძე, რა || რაჲ კავშირი ძველ ქართულში, სტუდენტთა სამეც-
ნიერო კონფერენციის (15) მოხსენებათა თეზისები, 1953, გვ. 183.

მიავლინა კაცი, რაჯთა არღარა მკიდენ, ხანძთ. ნა, 10

და მიავლინა ყოველთა მღდელთა ვედრებით, რაჯთა ლოცვა
ყონ მისთჳს, პაბო, 71,5

ოთხთავის რედაქციული ჩვენება მოწმობს, რომ ამ ტიპის დამო-
კიდებული წინადადების მაგივრობა შეიძლება გასწიოს ვითარებითში
დასმულმა საწყისმა:

და წარიყვანეს იგი, რაჯთა და მიიყვანეს იგი ჯუარ-ცუ-
ჯუარს-აცუან, მ. 27,31 მად, C

და უბრძანა მათ, რაჯთა მის- და უბრძანა მათ ცემაღ მისა-
ცენ მას ჰამადი, მრკ. 5,43 პური, C

და ევედრებოდეს მას, რაჯთა და იწყეს ვედრებაღ მისა
წარვიდეს საზღვართაგან მათთა, წარსლვად საზღვრით მათით, C
მრკ. 5,17

ან მიმღეობამ, აგრეთვე ვითარებითში დასმულმა:

და შეკართ ძნეულად, რაჯთა დაკართ იგი ძნეულად დასა-
დაიწუეს, მ. 13,30 წუჳველად, C

ძველ ქართულში რაჯთა გვხვდება არა მხოლოდ კავშირად.
კითხვით წინადადებაში იგი ინსტრუმენტალისის ფუნქციით იხმა-
რება (რაჯთა=რით):

უკუეთუ მარილი იგი წბილ იყოს, რაჯთა დაიმარილოს? მრკ.
9,50 (=..ἐν τῷ αὐτῷ ἀρῆσθε.. *ჩა ზამისჩიუჩი..*)

რაჯთა ვცნა ესე, რამეთუ მე მოხუცებულ ვარ..? ლ. 1,18
(=..κατὰ τὴν γυνάμομα τῶντο,.. *ჩა ეჩითაყიყ ყაყი..*)

უფალო, რაჯთა უწყოდი, რამეთუ დაეიმკჯდრო იგი? დაბ. 15,8
(=Κύριε, κατὰ τὴν γυνά μομα.. *ჩა ეჩითაყიყ*).

ნ. მარს კითხვითად ხმარებული რაჯთა ჰქონდა მხედველობაში,
როდესაც წერდა: „... чем же мы обезчестили?“ (რ^ა უკუე შე-
ურაცხვყავთ) этой фразой ясно доказывается, что грузинский
союз რ^ათა чтобы, стоящий обыкновенно под титлом, есть твор.
падеж, и полностью его следует писать რაჯთა: в данной фразе
слово употреблено, очевидно, в значении твор. падежа место-
имення (რაჯთა—чем), а под титлом стоит в таком же виде, как
რ^ათა...“¹.

ქარაგმინი რაჯთა-სათვის ყურადღება მიუქცევია ა. შანიძეს:
„კავშირი (რაჯთა) გახსნილი სახით იშვიათად გვხვდება: რაჯთა
(ი. 16,4), რაჯთაზცა (მ. 126,4), ჩვეულებრივ კი ქარაგმის ქვეშ დგას

¹ Н. М а р р. Физиолог. Тексты и размышля, VI, 1934, გვ. XLIV.

(რ^ა). საყურადღებოა, რომ, როცა რა სახელთნაცვალის მოქმ. ბრუნვაში დგას, ისიც ამგვარადვეა შემოკლებული (რ^ა): „ძენი თქუენნი რაათა განასხმენ“... გახსნისათვის საბუთს, ასე თუ ისე, „რაქსა“-ც გვაძლევდა“¹.

ძველ ქართულში აქა-იქ გვხვდება რა ნაცვალსახელი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით, მაგრამ იგი უემფატიკურია (რაათ) და მნიშვნელობაც განუსაზღვრელობითი აქვს (=რამით):

არა თუ სხუთ რაათ განსუენებულ იქმნებოდეს, ად ქ^მს მიერ, იპლტ. 27,25

...რაათამცა, ვინათგან მონასტერი ვერ წაგვლეს, ბარემცა დიდი ეკლესიაჲ რაათ მიგვლეს, ცხრ. 118,22 (რაათ=რითმე, როგორმე, ცხრ. ლექსკ.).

თუ მას -ცა ნაწილაკი დაერთვის და მთელი ფორმა პრეპოზიციულ მსაზღვრელად იჩენს თავს, მაშინ ემფატიკური ა აღდგება:

უკუეთუ ვინმე გამოჩნდეს ნათესაჲისა ჩუენისაგან კაცი... და რაათაცა ღონითა ანუ მანქანებითა... ანუ სხუთა რაათმე ზაკუეითა ეორგულოს ამას წმიდასა ადგილსა..., კრულმცა არს და წყეულ და შეჩუენებულ, ცხრ. 118,29

და ვინცა რაათაცა მიზეზითა შეცვალოს, ღ^ა მან გასცეს პასუხი, ალაპ. 231,24 (=რაც უნდა იყოს, რომელიც უნდა იყოს...)

რაათა კავშირი მართლაც რა ნაცვალსახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმა ჩანს, როგორც ნ. მარი ფიქრობდა... გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ აქაც ინსტრუმენტალისის ფუნქცია იყოს ამოსავალი...

რაათა კავშირის შემცველი დამოკიდებული წინადადების შემასმენელი ყოველთვის კავშირებითი (უპირატესად II კავშირებითის მწკრივის) კილოს ზმნაა.

საკავშირებელი სიტყვები მეტად იშვიათად გვხვდება და, როცა გვხვდება, მაშინაც მიზეზის გარემოებისაა:

და ამის პირისათჳს წარვიდა ვიდრე ავიდოსამდე, რაათა მიერ პოვოს ნავი, ცხრ. 33,2

ხოლო ეს მორწმუნისა და კეთილად-მსახურისა ქუეყანისაგან გამოიყვანა ამის მიზეზისათჳს, რაათა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ეს დაუესებელი, ხანძთ. ე, 7

¹ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გამოსცა ა. შანიძემ, 1945, გვ. 045.

რა კარავმა ზოგიერთ ძველში რათა-ს სახით არის გახსნილი: წარტყ. იერ-ზარხმ., მთქმ...

ამიტომ მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი ქვეწყობილი წინადადებისათვის ისინი საეციალურ საკავშირებელ სიტყვებად ვერ ჩათვლებიან.

-მცა ნაწილაკიან რაჯთა კავშირს (რაჯთამცა) ის თავისებურება მოაქვს, რომ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი თხრობითი კილოს ზმნად იქცევა (უპირატესად წყვეტილის მწკრივისად):

და მიმოიხედვიდა იესუ, რაჯთა იხილოს, რომელმან-იგი ესე ყო, მრკ. 5,32

და მიმოდაისტუანვიდა იესუ, რაჯთამცა იხილა, რომელმან ესე ყო, C

და ჰრისხვიდეს მას მრავალნი, რაჯთა დაღუმნეს, მრკ. 10,48
ევედრებოდეს მას, რაჯთა წარვიდეს საზღვართაგან მათთა, მ. 8,34

ჰრისხვიდეს მას მრავალნი, რაჯთამცა დაღუმნა, C
ევედრებოდეს მას, რაჯთამცა წარვიდა საზღვრით მათით, C

თხარეს ყოველთა ეგვპტელთა გარემო მდინარესა მას, რაჯთამცა სუეს წყალი, გამოსლვ. 7,24

და უნდა მათ, რაჯთამცა შეიყვანეს იგი ნავსა მას, ი. 6,21

და არა უნდა, რაჯთამცა აგრძნა ვინმე, მრკ. 7,24

არა ჯერ-იყოა შენდაცა, რაჯთამცა შეიწყალე მოყუასი იგი შენი, მ. 18,33

მრავალი კურნებანი ყვნა ქრისტემან მათ შორის, რაჯთამცა ჰრწმენა ჰურიათა, ევსტ. 170,10

და აღალო პირი თსი, რამცა შთანთქა წჯ საბა, საბა. 8,9

და შეაჯერებდეს მას, რაჯთამცა მიჰრიდა და დაემალა, ჰაბო. 69,7

და მივედ ცისკარსა, რამცა განვალჯდენ იგინი, კიმ. I, 147,15

და უნდა, რამცა აწოვა ყრმასა მას, კიმ. I, 218,19

დაწინდებული იგი ბასილიაჟსი ფრიად აიძულებდა, რაჯთამცა წარჰყვა, კიმ. II, 83,12

შექმნა ნათესავი კაცთაჲ, რამცა აღავსო დაკლებული იგი აღგილი ცათა შინა, ბოლნ. 27,18

ფრიადითა შრომითა აწყინეს, რაჯთამცა დაემორჩილა, ხანძთ. მ, 2

ფრიად ევედრა დედოფალსა, რაჯთამცა განათავისუფლა, ცხრ. 19,2 და ა. შ.

შევადაროთ ორი ასეთი მაგალითი:

გუეც ჩუენ წყალი, რაჯთა ესუათ, გამოსლვ. 17,2

არა იყო წყალი, რაჯთამცა სუეს ერმან მან, გამოსლვ. 17,1

დამოკიდებული წინადადება პირველ შემთხვევაშიც მიზნისაა და მეორეშიც. პირველი მაგალითის ახალ ქართულზე „თარგმანი“ მოგვეცემს: „მოგვეცი ჩვენი წყალი, რომ დავლიოთ“, მეორისა კი: „არ იყო წყალი, რომ დაეღია ხალხს“.

ზემოთმოყვანილ მაგალითებში რაჯთამცა კავშირის შემცველი დამოკიდებული წინადადებების შემასმენლებს თუ თანამედროვე ქართულის II თურმეობითის მწკრივის ფორმებში წარმოვადგენთ, ასეთ სურათს მივიღებთ: რომ დაელიათ (ესვათ) წყალი... რომ ეგრძნო ვინმეს... შეგეწყალებინა... შთაენთქა... შორიდებოდა და დაჰმალვოდა... გამელვიძიებინა... ეწოვებინა... წაჰყოლოდა... აეესო... დამორჩილებოდა... გაეთავისუფლებინა...

ამიტომ ვფიქრობთ, რომ რაჯთამცა კავშირიანი კონსტრუქცია იმ კონსტრუქციის ფარდი უნდა ყოფილიყო, რომელიც ახალ ქართულში „რომ“ კავშირითა და მეორე თურმეობითის მწკრივის ზმნებით გადმოიცემა („წავიდა, რომ წიგნი მოეტანა“).

ამ დაშვების საწინააღმდეგოდაც არა ერთი და ორი მაგალითი შეიძლება დაიძებნოს:

აწცა გნებავსა, რ^ამცა განაშორე იგი წიალთა აბრაჰამისთა, ბოლნ. 73,25

შეუძლებელ არს ჩემგან, რაჯთამცა არა მივედით ადგილსა მას განჩინებულსა, ზარზმ. 162,25

აქ დამოკიდებული წინადადების შემასმენლები თხრობითი კილოს ზმნებია და II კავშირებითის ფარდად არიან ნახმარი, მაგრამ ასეთი დაშვებისათვის საფუძველს გვაძლევენ სხვა ფაქტებიც, რომელთა სპეციალური შესწავლაა საჭირო.

რაჯთამცა კავშირიან ქვეწყობილ წინადადებაში საკავშირებელი სიტყვები არ ჩანს, თუ გამონაკლისებს არ გავითვალისწინებთ და, თუ ამ მაგალითებში მათ საკავშირებელ სიტყვებად მივიჩნევთ:

ზრახვა-ყვეს მისთჳს, რაჯთამცა დაუდგეს მას მახე სიტყჳთა, მ. 22,15

ამისთჳს ჯორცნი შეისხნა, რაჯთამცა ისრაჲლი მო-ვითარ-აქცია ღმრთისა ცხოველისა, ეესტ. 169,30

-მცა ნაწილაკი ძველ ქართულში „შეიძლება დაერთოს სახელსაც, სახელის ნაცვალსაც, ზმნასაც, ზმნისზედასაც, კავშირსაც. მაგრამ რა გინდ სიტყვის ნაწილსაც უნდა დაერთოს, სულ ერთია, იმავე წინადადებაში ნატვრითი კილოს ველარ ოხმართ, არამედ ყოველთვის მოთხრობითი უნდა იყოს. ზოგი კავშირი (მაგალ., რაჯთა, რათა), ჩვეულებრივ, ნატვრითს მოითხოვს, მაგრამ თუ -მცა სუფიქსს მიაშველებთ (მაგალ., რაჯთამცა, რათამცა), მაშინვე ზმნის

ნატვრითი კილო მოთხრობითად უნდა მოაქციოთ, ან აწმყოში, ან სრულ ნამყოში, იმისდა მიხედვით, თუ რომლის ნატვრითი კილოა ჩვეულებრივ, უამ-მცა-სუთეიქსოდ მოსალოდნელი“¹.

მოყვანილია მაგალითები: რაჯთა მოკლან იგი; რაჯთამცა მოკლეს იგი... არა-რაჯ აქუს, რაჯ ჭამონ; არა-რაჯ აქუს, რაჯმცა ჭამეს.

„ზემორე მოყვანილ მაგალითებში აზრი ერთი და იგივეა გამოთქმული, სიტყვები ერთი და იგივეა ნახმარი, მაგრამ ზმნა სხვა და სხვა კილოშია დაყენებული. ამის მიზეზია -მცა ნაწილაკი, რომელსაც არ შეუძლია, რომ ნატვრითი კილო შეიწყნაროს“².

კანონზომიერია დაისვას საკითხი: თუ -მცა ნაწილაკიანი ფორმები თხრობითი კილოს ზმნებთან იმავე შინაარსს გადმოგვცემენ, რასაც უ-მცა-ნაწილაკონი კავშირებითი კილოს ზმნებთან, მაშინ რა საჭიროება იყო, რომ ენას -მცა ნაწილაკისათვის მიემართა (მაგ.: რაჯთამცა მოკლეს), როდესაც მას ზმნის კავშირებითი კილოს ფორმები ჰქონდა და ნაწილაკის გარეშე შეეძლო დაუბრკოლებლად გადმოეცა იგივე შინაარსი (რაჯთა მოკლან)? ხომ ცხადია, რომ -მცა ნაწილაკიანი ფორმები არ შეიძლებოდა თავისთავად იმ დანიშნულებით შექმნილიყო, რომ შემასმენელი თხრობითი კილოს ზმნად ექცია?

შეიძლება ამავე რაჯთა || რაჯთამცა კავშირებით დავიწყოთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რაჯთა კავშირი მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას იწყებს და დამოკიდებული წინადადების შემასმენელი მართლაც ყოველთვის კავშირებითი კილოს ზმნაა.

მთავარი წინადადების შემასმენელი შეიძლება იყოს კავშირებითი კილოს ზმნა:

მკლავითა მათითა აღგიპურან შენ, რაჯთა არა წარსცე ქვასა ფერტი შენი, მ. 4,6

ან ბრძანებითისა:

არკუ ქვათა ამათ, რაჯთა პურ იქმნენ, მ. 4,3

ორსავე შემთხვევაში როგორც მთავარი, ისე დამოკიდებული წინადადებებით გადმოცემული ფაქტი მომავალშია შესასრულებელი (ეს ეხება მთავარ წინადადებაში ზმნის ბრძანებითის ფორმებსაც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წყვეტილის ფუძეებს იმეორებენ).

მაგრამ შესაძლებელია მთავარი წინადადების შემასმენელი თხრობითი კილოს ზმნა (წარსული დროისა: წყვეტილში, უწყვეტელში) იყოს:

¹ ა. შანიძე, „მცა“ ნაწილაკი ძველ ქართულში, პრობლემა, № 1, 1918, გვ. 79.

² იქვე, გვ. 80.

და წაიყვანეს იგი, რაჟთა ჯუარს-აცუან, მ. 27,31

და უბრძანა მათ, რაჟთა მისცენ მას ჭამადი, მრკ. 5,43

დამოკიდებული წინადადება, ცხადია, ისევ მიზნისაა. მთავარი წინადადების შემასმენელი წარსული დროის ზმნაა. მთელი ქვეწყობილი წინადადებით გადმოცემული შინაარსის ახალ ქართულზე „თარგმანი“ მოგვეცემს:

და წაიყვანეს ის, რომ ჯვარს-ეცვათ.

და უბრძანა მათ, რომ მიეცათ მისთვის საჭმელი...

ხომ შეიძლება დამოკიდებული წინადადების შემასმენელი ისევ კავშირებითის ფორმით გადმოვიტანოთ ახალ ქართულში?

და წაიყვანეს ის, რომ ჯვარს-აცვან...

შეიძლება, მაგრამ ასეთი თარგმანი არა ლოგიკურია: მთავარი წინადადებით გადმოცემული შინაარსი წარსულში უკვე მომხდარ ფაქტზე გვანიშნებს (წაიყვანეს), დამოკიდებული წინადადებით გამოხატული მიზანი კი მომავალს გულისხმობს (რომ ჯვარს-აცვან). ასეთი შეუსაბამობა ძველ ქართულშიც საგრძნობი იქნებოდა. როდესაც მთავარი წინადადების შემასმენელი წარსული დროის ზმნა იყო, დამოკიდებული წინადადებისათვისაც რომელიმე წარსული დროის (მწკრივის) ზმნა უნდა შერჩეულიყო (იმის მსგავსი, ვთქვათ, II თურმეობითის მწკრივის სახით რომ გვაქვს: რომ ჯვარს-ეცვათ). II თურმეობითი კი, როგორც ეს ცნობილია, შედარებით გვიანდელი ფორმაციისაა, ისევე როგორც III სერიის თითოეული მწკრივთაგანი¹. ამიტომ, II თურმეობითის უქონლობის პირობებში, ენამ მიმართა წარსული დროის თხრობით კილოს, მაგრამ „წარსულ-მიზნიანი“ შინაარსის შემცველ წინადადებათა ქვეწყობაში მას არც ჩვეულებრივი თხრობითი კილოს მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა (მაგ.: თხარეს ყოველთა ეგვბტელთა გარემო მდინარესა მას, რაჟთა სუეს წყალი... გვექნებოდა: ყველა ეგვიპტელმა თხარა იმ მდინარის ირგვლივ, რომ (რათა) დალიეს წყალი). ენამ -მცა ნაწილაკს მიმართა, კავშირს დაურთო და ის, რაც შედარებით გვიან და მერე II თურმეობითის მწკრივით გადმოიცემოდა და გადმოიცემა, სინტაქსური საშუალებით ასახა: კავშირი + -მცა ნაწილაკი + თხრობითი კილოს ზმნა (= თხარეს ყოველთა ეგვბტელთა გარემო მდინარესა მას, რაჟთამცა სუეს წყალი, გამოსლვ. 7,24, რაც ნიშნავს: ყველა ეგვიპტელმა თხარა იმ მდინარის ირგვლივ, რომ წყალი დაელიათ).

¹ ა. ჩიქობავა, პერმანსივის („ხლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 1, 1943, გვ. 91—96.

დამახასიათებელია, რომ ოთხთავის პარალელურ ჩედაქციათაგან რაფთაშცა კავშირს DE ჩედაქცია ხშვითად აჩვენებს. იქ ჩეულებრივ რაფთა გვაქვს. ამ რაფთა-ს შესაბამის კავშირად C-ში ზოგჯერ გვხვდება რაფთაშცა და მეტწილად მაშინ, როდესაც მთავარი წინადადების შემასმენელი წარსული დროის ზმნაა:

ზრახვა-ყვეს მისთჳს, რაფთა წარწყმიდონ იგი, მრკ. 3,6

ზრახვიდეს მისთჳს, რაფთამცა წარწყმიდეს იგი, C

ზრახვა-ყვეს, რაფთა იესუ ზაკუვით შეიპყრან, მ. 26,4

ზრახვა-ყვეს, რაფთამცა იესუ ზაკუვით შეიპყრეს, C

წარვიდა მლდელთ-მოდლუართა მათ, რაფთა მიჰსცეს იგი მათ, მრკ. 14,10

მივიდა მლდელთ-მოდლუართა, რაფთამცა მისცა იგი, C

მიმოიხედვიდა იესუ, რაფთა იხილოს, რომელმან-იგი ესე ყო, მრკ. 5,32

მიმოდაიხტუნვიდა იესუ, რაფთამცა იხილა, რომელმან ესე ყო, C

და ჰრისხვიდეს მას მრავალნი, რაფთა დადუმნეს, მრკ. 10,48

ჰრისხვიდეს მას მრავალნი, რაფთამცა დადუმნა, C

ვევდრებოდეს მას, რაფთა წარვიდეს საზღვართაგან მათთა, მ. 8,34

ვევდრებოდეს მას, რაფთამცა წარვიდა საზღვრით მათით, C

თვით რაფთაშცა კავშირიანი ტიპის ქვეწყობაში მთავარი წინადადების შემასმენელი ხშირად სწორედ წარსული დროის ზმნაა:

ყვეს ეგრევე გრძნეულთაცა მათ ეგვპტისაფთა, რაფთაშცა გამოიყუანეს მუმლი, გამოსლგ. 8,18

და არა უნდა, რაფთაშცა აგრძნა ვინმე, მრკ. 7,24

საბრქენი დაუდგნეს ფარულად, რამცა მოკლეს იგი, კიმ. I, 195,15

-შცა ნაწილაკი ერთვის მიმართებით ნაცვალსახელებსაც. როდესაც მთავარი წინადადებების შემასმენელი წარსული დროის ზმნაა, დამოკიდებული წინადადების შემასმენელს თანამედროვე ქართულის II თურმეობითის შინაარსი უჩანს:

არა იცოდა, რაფთაშცა მიუგო, მრკ. 9,6

ხოლო მარიამ, რაფთაშცა ყო, განიზრახვიდა, მრვლთ. 258,18

დამეცა ჩნ ზა შიში დიდი, არა ოჯწყოდეთ, რაფთაშცა-იგი ვყავთ, კიმ. I, 36,23

არარაჲ პოვა, რაფთაშცა მიუგო მას, კიმ. II, 83,34

და წილ-იგდეს მას ზედა, ვისმცა რაჲ ხუდა, მრკ. 15,24

ვეძიებდ აღვილსა, საღამცა დავიმაღლე, კიმ. I, 39,15

არა იყო სახლი, რომელსაცა შინა არა იყო მკუდარი, გამოსლგ-
12,30

მაშასადამე, ამ მაგალითების მიხედვით თითქოს შეიძლებოდა გვეთქვა: ქვეწყობილ წინადადებაში, რომელშიც მიმართებით ნაცვალსახელებსა და კავშირებს -მცა ნაწილაკი ერთვით, იგი (-მცა) დამოკიდებული წინადადების თხრობითი კილოს ზმნასთან ერთად II თურმეობითის მწკრივის ფარდად არის ნახმარიო¹.

¹ ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლებოდა პირობითობის კავშირებიანი წინადადებათა ქვეწყობაც გაგვეხსენებინა.

შენ თუ ხარ ქაისტე, იკსენ თავი შენი და ჩუენცა. ლ. 23,39

ესე თუმცა იყო წინაწარმეტყუელი, უწყოდამცა, ლ. 7,39

ორსავე ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადება პირობითია. პირველ მაგალითში დამოკიდებული წინადადებით გამოხატული პირობა აწმყოს განეკუთვნება, მეორეში—წარსულს (ეს რომ წინაწარმეტყუელი ყოფილიყო...). პირობა წარსულს იმ შემთხვევაში შეიძლება განეკუთვნებოდეს, თუ მთავარი წინადადებით გამოხატული შინაარსიც წარსული დროის ამბავს გადმოგვცემს. ასეთ შემთხვევებში მთავარი წინადადების შემასმენელიც წარსული დროის რომელიმე მწკრივის ზმნაა (წყვეტილისა, უწყვეტილისა).

წარსული დროის პირობითობის შინაარსის გადმოსაცემად ძველი ქართულში მიმართავს წარსული დროის ზმნებს მთავარ წინადადებაშიც და დამოკიდებულშიც, ოღონდ, როგორც მთავარში, ისე დამოკიდებულში ჩვეულებრივ გვაქვს -მცა ნაწილაკი:

თუმცა მითხარ მე, წარმო-მცა-გგზაენე შენ სიხარულითა, დაბ. 31,27

ოკოვეთოვმცა წწწლი იყო, ესე იცოდამცა, ბოლნ. 13,22

დამოკიდებული წინადადების შემასმენელი ყოველთვის II თურმეობითის მწკრივის ფარდად არის ნახმარი. ზოგჯერ კი თავს იჩენს თვით II თურმეობითის მწკრივის ზმნა:

ესელა თუმცა მეცნა, არამცა შემოგიტევე, შუშ. X, 14

უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი, მ. 26,14

II თურმეობითის მწკრივის ზმნებს აჩვენებენ დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც დალათუმცა, დალაცათუმცა კავშირებს (მნიშვნელობით უკიდვეც, რომ. თუმცა) შეიცავენ:

დალათუმცა არა პირველვე მებრძანა შენდა, ჯერ იყო შენდა მორჩილება ღმრთისა შენისაჲ, მრხეთ. 43,12

დალაცათუმცა ძლიერად ყოფილ იყო ყრმაჲ იგი, ვერვე მიაგებდა, ვინაჲ-იგი გამოსრულ იყენეს, საბა. 10,8

რათამცა, თუმცა, უკუეთუმცა, დალათუმცა, დალაცათუმცა კავშირებიანი და ზოგიერთ სხვა მიმართებით ნაცვალსახელებსა და ზმნიხედებზე მირთული -მცა ნაწილაკიანი ქვეწყობილი წინადადებების მიხედვით, ვფიქრობთ, რომ II თურმეობითის მწკრივის უწონლობის პირობებში, -მცა ნაწილაკი და წარსული დროის (წყვეტილის, უწყვეტილის) მწკრივის ზმნა დამოკიდებულ წინადადებაში II თურმეობითის ნაცვალად უნდა ხმარებულყო. საამისოდ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ის, რომ მთავარი წინადადების შემასმენელიც წარსულ დროის რომელიმე მწკრივის ზმნა (წყვეტილი, უწყვეტილი) ყოფილიყო.

იშვიათად გვხვდება რა ნაცვალსახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმაზე მირთული -გან თანდებულიანი კავშირი რაჟთგან:

და ყვეს ეგრე მსახურთა მისთა და დაეყუდა მუნ და დაყო, რაჟთგან მივიდა სახლსა მამისა თჳსისასა, ათმზღმეტი წელი, კიმ. I, 163,13

მესამშ მამაჲ იყო ოპიზისაჲ, რაჟთგან სამოელ და ანდრშ გარდაცვალებულ იყვნეს, ხანძთ. 3,26 (= Он был третий настоятель Ошизы, так как Самуил и Андрей преставились)

ყავ მოტევებაჲ ცოდვათა ჩემთაჲ და განარინე მეტჲ ესე ურვათაგან, რ^ათაგან¹ იტანჯების, კიმ. I, 141,30

ბ. მარის მიხედვით რაჟთგან-ის მნიშვნელობაა „так как“, „რადგანაც“. პირველ მაგალითში ამავე მნიშვნელობით უნდა იყოს ხმარებული, თუმცა ის ასეც შეიძლება წავიკითხოთ: „მას შემდეგ, რაც...“ (შდრ. ვინაჟთგან).

რაჲ კავშირს საშუალ ქართულში ბოლოკიდური ი ჩამოეკვეცა, მაგრამ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირად დარჩა:

რა გაიზარდა, გაიესო, მზე მისგან საწუნარია, ვ. ტ. 34,2

რა ერთსა გცემდენ ათასნი, ეგრეცა მოგერევიან, ვ. ტ. 435,4

რა იღულოს, გარდმოდგი, სმკრნ. 78,2

რა ბეჭედი აიღეს, გაცსნეს წიგნი, ვისრ. 145,35

რა მისისა დაჯდომისა ეამი მოვიდეს, ვმალი კარგს მებაჯრეს მისცეს, გარ. 2,30

რა წყალზე ჩამოვიდა, იგი ახალი ნაქორწილენი ბებერი დახედა, სიბრძნ. 69,19...

თუ იშვიათ შემთხვევებს არ მივიღებთ მხედველობაში, რა კავშირიანი დამოკიდებული წინადადება წინ უძღვის მთავარს (შდრ.: კელა დაიწყო თქმა ამბისა მან, რა ხანი მოიტირა, ვ. ტ. 340,1), თვით კავშირი დამოკიდებული წინადადების თავშია. ლექსში რა

II თურმობითის მწკრივის ჩამოყალიბების დაწყებასთან დაკავშირებით უნდა იყოს მომხდარი აღრევა... ძველი ვითარება კარგად აქვთ დაცული თუმცა და უკუთუშვცა კავშირებიან ქვეწყობილ წინადადებებს.

ამავე კავშირებიან წინადადებათა ქვეწყობაში მთავარი წინადადების შემასმენელი წყვეტილის ან უწყვეტელის მწკრივით და -მცა ნაწილაკით თანამედროვე ქართულის ხოლმეობითის ფარდად (პირობითი კილოს ნნიშვნელობით) უნდა იყოს ხმარებული. აქა-იქ მთავარი წინადადების შემასმენელი ამ მწკრივის ფორმითაც ვლინდება:

უკუთუშვცა არა იყო ღმრთისა მიერ, გან-მცა-ქარდებოდა, კიმ. II, 71,6

¹ თუ, რა თქმა უნდა, ქარაგმა აქ ხელნაწერიდან სწორად არის გადმოღებული. შეიძლებაჲ ყოფილიყო—რ^ალოგან, და, მამასაღამე, არა — რაჟთგან, არამედ: რომელთაგან.

კავშირმა შეიძლება წინადადების ბოლოს გადაინაცვლოს (ისევ რითმის საჭიროებისათვის):

დედოფალი წამოვიდა, შეეყარა მწუხრსა ღღე რა,
ძილ-პირამდის სიხარულსა სიხარული ჰგვანდა ვერა, ვ. ტ.
488,3

აგრეთვე:

მაშინვე იცნა ლეილმან, ხმა მისი გაიგონა რა, თმრზ. 33,26
ოსმალთ თიფლის შევიდა, კარები დახვდა ღია რა, გურ. 92,16
რა-ს მომდევნოდ იშვიათად გვხვდება რომ კავშირი:
რა რომ დაპირდაპირდენ, გაუშვან და შეუტიონ, სმრთლ. 50,24
აწ მეორედ მეფე ვახტანგ რა რომ ყენს შეასპინეს, თითქმის
ისე განარისხეს, ჭკუვისაგან შეაცდინეს, გურ. 62,16

ძველი ქართულის რაჟთა იშვიათადლა ჩანს (რაჟ გნებაეს, რაჟთა
ვყოთ შენთვის, ერისთ. 345,4), საშუალი ქართულისათვის უფრო
დამახასიათებელია რათა:

უბრძანე სნეულსა, რათა დაიბანოს თავი, სმკრნ. 36,28
ეკრძალე, რათა არა შენცა განიცადო, ჭყნდ. 19,13

რაჟთამცა კავშირმა მოგვცა რათამცა, მაგრამ -მცა ნაწილაკი
თავის დანიშნულებას ველარც აქ ასრულებს:

მყის წარიგზავნა ჩუშნგან კნიაზი ერთი, რათამცა კეთილ მგზავ-
რობითა მიიყუანოს მეფის სოლომონისადა, ერეკლე. 6,13

მიიღეთ კეთილი აღსარება და სინანული, რათამცა განქარდენ
ცოდვანი თქუშნნი, ჭყნდ. 13,10

სამაგიეროდ რაჟთგან კავშირი, რომელიც ძველ ქართულში
იშვიათად გვხვდება, საშუალ ქართულში მკვიდრად იკიდებს ფეხს,
ოღონდ ფუძისეულ დ-ს კარგავს:

აწ გაიბზობ, რათგან თავი გინდა ჩემდა ამხანაგად, ვ. ტ. 631,4
რათგან დამომე, მეცა დაგთმობ... ვ. ტ. 526,4
რათგან უმისობას ვერ დასთმობ, იყავ მისი ოდენ, ვისრ.
169,20

უფრო ხშირად კი რადგან გვხვდება (←რათგან):
აღარც მე მინდა სიცოცხლე, რადგან შენ აგრე გსურია, თმრზ,
22,6

რადგან ასრე ჯერი უყოს, აღარას ემართლების, სმრთლ. 103,32
რადგან იმას მოსვლა უთქვამს, ჩვენცა გემართებს მოუწოდოთ,
გურ. 71,17

რადგან ამათ მოუნდომებიათ ჩვენს სამართალში ლაპარაკი,
ალაპარაკე, სიძვ. 151,15

რადგანაც ეს საქმენი ასე გვეგულებოდა, ამისთვის მოვედით ქალაქად, ერეკლე. 30,13

რადგან-ის მომდევნოდ ზოგჯერ თავს იჩენს რომ კავშირი:

იმისი სიმტყუნისა თქვენი ნებაა, რადგან რომ იმდენი ნამსახური მიუძღვის თქვენ ზედა, სიძე. 158,20

ღრადი რადგანაც რომ სამტეროდ იყო აღძრული, ამისთვის შოგლუკოვის ბარგის საიდუმლოდ წამოღება მივწერე, ერეკლე. 52,33

თანამედროვე სალიტერატურო ქართულს დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირად რა შემორჩა: და, რა თქვა ესა, მოხდენით ცხენი მოსხლიტა უცებ ლაზათიანმა, ი. ჯ. I, 160,11

მამალმა დაინახა რა ჩხიკვი, უნდოდა მისი დასჯა, ვაჟა. 298, ბ, 13

რა დაინახა მიმავალი შვილი, გადასძახა, კლდ. I, 128,8

ენგელსი, აკრიტიკებს რა კანტისა და სხვა იდეალისტების თეორიას ქვეყნის შეუცნობადობის შესახებ, წერს..., კ. ბაქრ. 38,1

დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ მთავარი წინადადების წინ არის მოქცეული. კავშირი რა შემასმენლის მეზობლობაშია (წინ ან მომდევნოდ).

მაგრამ რა კავშირი თანამედროვე ქართულში, მართალია იშვიათად, მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირადაც გვევლინება:

ზოგიერთებს პგონიათ: რა კაცი გლეხკაცად გაჩენილა, იმათ არა აქვთ იმგვარი გონებითი მუშაობა, როგორიც სხვა წოდების ხალხს, ყაზ. I, 266,22

როდესაც რა კავშირს კი ნაწილაკი ერთვის (რაკი), იგი ჩვეულებრივ მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აკავშირებს მთავართან:

რაკი მე გიბარებდით, კდდეც უნდა ამოსულიყავით, ყაზ. I, 108,32

რაკი საწადელი არ აუსრულდათ, ყველას თავი მიანებეს, ვაჟა. 307,20

რაკი ზამთარი დაიწყო, ნინოს ნახვის საშუალება სრულიად დაეკარგა სონიას, კლდ. I, 276,3

რაკი ფსიქიკა ტვინის პროდუქტს წარმოადგენს, თითქო უღაო ხდება... დ. უზნ. 11,23

ერთი მაგალითის მიხედვით რაკი კავშირს, რომ კავშირი ერთვის: ესტირ და გირჩევ თავგანწირვას, რაკი რომ ეს ღლე გვეწოა, ი. ჯ. I, 188,2

რაკი კავშირი შეიძლება შეგვეხედეს დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირადაც, მნიშვნელობით „როცა, როდესაც“:

რაკი ჩაუთქრდებოდა ტუქსეას, მაშინვე გულს დააჯერებდა, ი. ჯ. II, 264,9

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული, ჰოი მამულო, გამიკრთა მე ძილი და შეება, ი. ჯ. I, 74,1

საქმე გადაწყვეტილად იმ წამიდან მიაჩნდა, რაკი პლატონს ამ ეზოში ფეხი შემოადგმევინა, კლდ. I, 167,37

მსგავს მაგალითებში გადაწყვეტი უნდა იყოს კორელატივად დროის ზმნიშედებისა თუ გარემოებების მქონებლობა (მაშინვე, მას აქეთ, იმ წამიდან...). ზემოთმოყვანილ მაგალითებში კი, სადაც რაკი მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადების კავშირად მივიჩნიეთ, მართალია, სათანადო კორელატივი არ მოგვეპოვება, მაგრამ თუ ასეთებს აღვადგენთ, აღმოჩნდება, რომ ისინი მიზეზისა და არა დროისა (შდრ.: რაკი მე გიბარებდით, [ამიტომ] კიდევ უნდა ამოსულიყავით, ყაზ. I, 108,32 და: რაკი მე გიბარებდით, [მაშინ] კიდევ უნდა ამოსულიყავით..).

ზოგჯერ კი მიზეზისა და დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებათა ტიპების გათიშვა ჰქრს.

-ც ნაწილაკდართული რა კავშირი (რაც) დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აკავშირებს მთავართან. ასეთ შემთხვევებში მთავარ წინადადებაში გვაქვს დროის აღმნიშვნელი ან დროზე მიმთითებელი სიტყვები:

სულ ნახევარი საათი არ იქნება, რაც ჰოშპიტალში ყაზბეგი გარდაიცვალა, ა. წ. 79,30

ეს ორი დღეა, რაც ჩემი დობილი სასუტელაც აღმოჩნდა, ვაჟა-244, ბ, 17

ჯერ სულ ერთი კვირაა, რაც მე წუთისოფელს ვხედავ, ვაჟა-240, ბ, 11

აი, მითამ რვა თვეც არის. რაც დარეჯანი დაორსულდა, ი. ჯ. II, 201,10

ხუთი წელიწადი იქნება, რაც სამუდამოდ დამაკარგვინეს ჩემი მიწა-წყალთ, ი. ჯ. II, 36,16

მახიამაც კარვა ხანი იყო, რაც თავი დაანება იმასთან ჩხუმს, ყაზ. I, 207,3

მას შემდეგ, რაც ილია დაიღუპა, მას შემდეგ, რაც მამამთილმა. სამუშაოზე გული აიყარა, იონა ლაცაბიძის საესე ოჯახი რძლის. ანაბარა დარჩა, მრვლ. 21,30

მას უკან, რაც ელზასი წაართვა საფრანგეთმა გერმანიას, შეიერთა და იქ გაამეფა თავისი ფრანგული ენა, ველარც ერთი მსოფლიო ნიჭის პატრონი ველარ აჩუქა ელზასმა კაცობრიობას, გოგ. II, 213,15

მას აქეთ, რაც ის ხიფათი შეემთხვა, ხელი აიღო მეურნეობაზედ, ი. ჯ. II, 229,9

როგორც ჩანს, დროის აღმნიშვნელი სახელები, რომლებიც შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილებად გვევლინება (საათი, დღე, კვირა, თვე, წელიწადი, ხანი...) და დროის გარემოებანი (მას შემდეგ, მას უკან, მას აქეთ) რაც¹ კავშირს წინ უძღვის. თუ მთავარ წინადადებაში ასეთები არ მოიპოვება, მაშინ დროის გარემოებანი იგულისხმება (მას შემდეგ, მას აქეთ, მას უკან):

„რაც ეს რალაც წყეული განათლება შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში..., ჩვენი ძველი ჩვეულებაც დაჩაგრა“, ი. ჯ. II, 143,8

რაც კი ოდიშში მომიყვანეს, არ გამისარია, ნ. ლორთქ. 1, 294,29

რაც ის საშინელი ამბავი დაგვატყდა თავს, ისევ ჩავარდა ლოგინში, ნ. ლორთქ. I, 294,29

ასეთ შემთხვევებში დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების წინ ექცევა (თუმცა არა ყოველთვის).

სამაგიეროდ -ღა ნაწილაკართული რა (რაილა, რალაი) უკვე მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადების კავშირია:

რაილა ღმერთმა შენი თავი ძმად, მეგობრად თუ ბატონად მომცა, უნდა სულ ეგრე დაგაბრძანო, ვაჟა. 296, ბ, 24.

რალაი შეგვატყო,... სულ სხვა რამეებზე გვესაუბრებოდა, ა. წ. 51,42

რალაი საქმეზე მოესულვართ, ხელცარიელი უკან წასვლა სირცხვილია, ე. ნინოშე. 15,2

რალაი-ს შეიძლება კი ნაწილაკიც დაერთოს:

რალაი კი სოფლის ამბავი მომაცოლეს, მზად ვიყავი, რომ საღამომდის მეტიტინა, ა. წ. 17,19

-მც ნაწილაკიანი რალა (რალამც) აგრეთვე მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირად გვევლინება:

რალამც აღარ მოგიშლიათ, მაინც გეტყვით, ა. წ. 148,27

¹ რაც კავშირის ნაცვლად მხატვრული ლიტერატურის ენაში შეიძლება შეგვხვდეს რაი, რომელიც ამ მნიშვნელობით უფრო მეტად დასავლურ კილოებში იხმარება:

ტყვილა ფხზილი არ წამოსტკივებია, რაი აქ არი, კლდ. I, 324,20

რაი მევიდა, სულ იმას იძახის, კლდ. I, 171,18..

რალამც გავებდე და საქმე თავზე ვიდევი, ჩემი ნარჩევიც უნდა დაიჯეროთ, ე. ნინოშე. 41,35

რაილა, რალაი, რალაი კი, რალამც—კავშირები მხატვრული ლიტერატურის ენაში გვხვდება და სხვადასხვა დიალექტებიდან არის შემოსული,

თუ რა-ს ერთვის მიცემითში დასმული არსებითი სახელი—წამი, ვიღებთ რაწამს-ს ვარიანტებით—რა წამხაც, რამწამ:

რა წამს ლიტონი სიტყვების ბრახა-ბრუხი დასტოვა..., მკილავს მაშინვე ქაობში ჩაუვარდა ფეხი, გოგ. II, 55,13

რა წამს ამ უცხო ხმას გაიგონებდა დედაჩემი, ზე წამოვარდებოდა, ვაჟა. 240, ა. 15

რა წამს მივიდა, მაშინათვე გაჩუმდა, ყაზ. I, 3,13

რა წამხაც ეს გავიგონე, გაბოროტებული გამოეტრიალდი, ი. ქ. II, 89,11

რამწამ ნიეთიერს ღონისძიებას ვიგდებ ხელში, მაშინვე გიმნაზიის კლასებსაც გაეხსნითო, გოგ. II, 291,23

დამოკიდებული წინადადება დროის გარემოებითა, კორელატებად გვხვდება მაშინვე, მაშინათვე.

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირია აგრეთვე რთული კავშირი რა რომ, რომელთაგან თითოეული ცალ-ცალკე შეიძლება ამ ფუნქციის მატარებელი იყოს:

რა რომ ეს მოულოდნელი ქომაგები დაინახეს, გირგოლას მომხრე ყაზახებმა პირი გაიბრუნეს საჩქაროდ, ყაზ. I, 279,21

რა რომ ბავშვი შვილი წლისა შეიქნა, ის მოსტაცეს დედას ყაჩაღებმა, ე. ნინოშე. 61,3

თქვა გიორგიმ, რა რომ დაასრულა კითხვა, ე. ნინოშე. 18,1

რა და რომ შეიძლება გათიშული იყოს:

რა ეს ამბები რომ შევიტყვე, მე მაშინვე გადავედი იმ სახლიდან, ა. წ. 146,29

ნათესაობითში დასმული რა ნაცვალსახელი, რომელსაც -ჯამო (რის გამო), ან -თვის (რისთვისაც) თანდებულები ერთვის, შედგობითი გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირებად გვევლინებიან:

საქართველოს ეკლესიის საკეთმპყრობელს გამოუმეღავნებია კათოლიკობისადმი მიდრეკილება, რის გამო ის მხილებულ იქნა და გადაყენებული, კ. კეკ. 467,20

სონია კი გარეტიანებულივით იჯდა, ვერც ოტია გრძნობდა თავისუფლად თავს, რის გამოც პორფირი დასცინოდათ, კლდ. I, 240,1

გამო თანდებული ზოგჯერ თითქოს ნანათესაობითარი ვითარე-
ბითის ფორმით წარმოგვიდგება: გრძელი აღწერა დიდებისათვისაც
კი ძნელია ხშირად წასაკითხველად, რის გამოისად ამ გვარის აღწე-
რას არა ერთი მკითხველი გადაახტება ხოლმე, გოგ. II, 18,15 რის
გამოისად ამჟამად აღარ იხმარება.

გულადობა და ვაჟკაცობა გამოუჩენია, რისთვისაც იუნკრის
ჩინითაც ყოფილა დაჯილდოებული, კლდ. I, 341,7

საშუალ ქართულის რათა თანამედროვე სალიტერატურო
ქართულშიც გადმოვიდა და დამკვიდრდა მიზნის
გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირად:

შთაბერე ყრმასა ძლიერი სული, რათა შეიქმნეს თავის ერისა
მოდმე, ერთგული და მოყვარული, ი. ჯ. I, 76,7

რათა ტაატით არ იაროს საქართველოს ეროვნობის ეტლმა, ან
არ გაჩერდეს ერთს ადგილას, საჭიროა მასში შევებათ ძირში ქარ-
თული ენა და ყვერად მოვუბათ რუსული ენა და სხვა ენები,
ი. გოგ. II, 224,5

ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმო-
ადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა, ვაჟა. 337, ა, 16

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმარო, რათა მტკიცდებოდეს ურთიერ-
ობა ხალხთა შორის, „კომ“. 207,4

კორელატებად რათა კავშირიან დამოკიდებულ წინადადებას
მთავარში შეიძლება ჰქონდეს იმისთვის || იმისათვის || მისთვის,
იშვითად იმის გულისათვის. კორელატები კავშირთან ან უშუალო
მეზობლობაშია, ან მათ შორის მთავარი წინადადების შემასმენე-
ლია ჩართული (როცა დამოკიდებული წინადადება მთავარს მოს-
დევს, და ჩვეულებრივად ეს რიგი არის კიდევ დაცული). როდესაც
დამოკიდებული წინადადება მთავარს წინ უსწრებს, კორელატი
შეიძლება მთლიანად ქვეწყობილი წინადადების თავში და კავშირის
უშუალო მეზობლობაში მოექცეს:

იმისათვის, რათა დაჩაგრულ სემინარიელებს შიშის თავზარი დას-
ცეს, სემინარიის დირექცია არ კმაყოფილდება დამნაშავეის სანიმუშო
დასჯით, ი. გოგ. II, 83,7

საშუალო ქართულიდან გვაქვს აგრეთვე კავშირი რადგან || რად-
განაც, რომელიც მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას
აერთებს მთავართან.

აღარ დავდექი სასუფეველში, რადგან ეგეც იქ ბრძანდებოდა,
ა. წ. 164,29

ეგსტათი ღამით დადიოდა ტაძარში, რადგან ეშინოდა... კ. კეკ. 82,4

არაარსებითი ც შეიძლება გახდეს არსებითი, რადგან იგი არსების გამოვლენაა, კ. ბაქრ. 89,1

უფრო ხშირად გვხვდება რადგანაც:

მეტ შენებრ მიწას დავუყურებ თვალით, რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით, ი. ჯ. I, 14,10

შესვენებულ ადგილზე დაიწყეს სიარული, რადგანაც ამ ახალი გზით ერთობ ემარჯვებოდათ სიარული, კლდ. I, 3,38

თაფლადისას არ დაწოლილიყენენ, რადგანაც სტუმარი ჰყავდათ, ე. ნინოშე. 231,37

ხ აქ იკარგება აუცილებლად, რადგანაც ამ შემთხვევაში მისი გამოთქმა ძალიან ძნელია, ა. შან. 26,8

ამ კავშირების შემცველ დამოკიდებულ წინადადებას აქვს კორელატები—ამიტომ, ამის გამო. დამოკიდებული წინადადება შეიძლება შეგვხვდეს მთავარი წინადადების წინაც და მომდევნოდაც. კორელატები დასტურდება მაშინ, როდესაც დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს მთავარს.

რადგანაც ჯერ პატარა იყო, ამის გამო მწყემსობის მეტი არა შეეძლო რა, ა. წ. 311,11

რადგანაც II თურმეობითის წარმოება ვრცლად არის მოთხრობილი, ამიტომ აქ მოკლედ მოვჭრით, ა. შან. 451,20...

თ) სადა, სადა-მგე, სადა-იგი, სადაცა, სადაცა-იგი, სადამცა, სადაჟუხს, სადალა, სადამთ, სადამთ-ესე, სადამთ-იგი, სადაც, სად, სადამდისცა, საცა, საცა რომ, საიღამაც, საიღამანაც, საიღანაც, საითაც, სით, სითაც, საითქმანაც, სადამდინაც, სადამდინაც, სადაც კი

ხედვიდა ადგილსა მას წმიდასა, სადა აწ ხანძთას წმიდაჲ ეკლესიაჲ შინ არს, ხანძთ. ზ, 3

იხილე მაგიერ ადგილით, სადა-ეგე ხარ შენ აწ, დაბ. 13,14
საზოჯერს იგი არს ადგილი, სადა-იგი ბაესა ოჯყოფედ, ბოლნ. 9,32

სადაცა იყოს მძორი, მუნცა შეკრბეს ორბები, მ. 24,28

და შესძინეს წყობად ბრძოლისა ადგილსავე მას, სადაცა-იგი ეწყვნეს ღლესა მას პირველსა, მსაჯ. 20,22

ეძიებდა ადგილსა კრძალულსა, სადამცა მოილო ნათელი ქრისტესი, ჰაბო. 64,26

სიმრავლემან წყალთამან ადგილი იგი ნაოხარი მოასწორა და
ვაკე იქმნა, და არავინ ცნა, სადაქუეს¹ იყო ადგილი იგი, კიმ. II,
198,27

კაცმან მან ადვილად მიგიყვანნეს ადგილსა მას, სადაჲთ იქმნა
წიალსღვაჲ თქუენი განთიად, ზარზმ. 161,28

შეაჩვენეს და აღაყუავეს ენაჲ ჩუენი და ქუეყანაჲ თარგმანებითა
წმიდათა წერილთაჲთა, სადაჲთ-ესე ქეშმარიტად, ვითარცა სიონით,
გამოვიდა შჯული და სიტყუაჲ უფლისაჲ, ცხრ. 4,6

ითქუმის კუალად დასაბამად, სადაჲთ-იგი იქმნის რაჲმე მის
ქუეშე მყოფისა მის დასაბამ. ექუს. 7,12

სადა-ს და მისი ნაწილაკებიანი ვარიანტების მნიშვნელობა
ძველ ქართულში არის „სადაც“, სადაჲთ-ისა — „საიდანაც“.
სინტაქსური იდიომების რიგში ჩადგება ლა ნაწილაკიანი სადა
ზმნიზედა ასეთი კონტექსტის მიხედვით:

სადაღა შემიწყნარა მე ქრისტემან და განმაშორა ჩემგან ბნელი
იგი პირველისა მის უმეტრებისა ჩემისაჲ..., არასადა უვარ ვყო მე
სახელი მისი, ჰაბო, 67,10 (= „რაკი, რადგან, როცა“)

სადა მიმართებითი ზმნიზედის საკავშირებელ სიტყუებად მთა-
ვარ წინადადებაში გვხვდება;

ა) ადგილის საზოგადო და საკუთარი სახელები;

მოუწორდა ლიას და რაქელს ველად, სადა-იგი იყო სამწყსოჲ,
დაბ. 31,4

და მერმე წარიღეს მონასტრად, სადა-იგი სავანე იყო, ცხრ.
112,11

შოვრის ორთა მათ ეკლესიათა ქმნა ეზოჲ, სადაცა-იგი პირველად
იხილა სუეტი ცეცხლისაჲ, კიმ. II, 162,19

და მიიწია სოფელსა მას, სადაცა იყო ყრმაჲ იგი ვნებული,
ხანძთ. ნა, 6

მოვიდა ბეთანიად, სადა იყო ლაზარე მომკუდარ, ი. 12,1

მოვიდა ნაზარეთა, სადაცა აღზრდილ იყო, ლ. 4,16

აღესრულების დღესასწაული წმიდისა სტეჟანძსი იერუსალმს,
სადაცა-იგი ატიოსანნი ნაწილნი მისნი სხენან, მრვლთ. 290,14

ბ) არსებითი სახელი „ადგილი“:

ხოლო წმიდამან მან ვითარცა თითითა უჩუენა ადგილი იგი,
სადა ეგულეებოდა აღშენებაჲ მონასტრისაჲ, ზარზმ. 153,1

¹ სადაქუეს ერთზედ შეგვხვდა. კ. კეკელიძეს ეს კავშირი ლექსიკონში ასე
აქვს განმარტებული: „სად, რა ადგილაჲ“. მასვე მოჰყავს შენქუეს ფორმა, რო-
მელიც სადა-ქუეს ზმნიზედის -ქუეს ნაწილას იმეორებს (კიმ. II, 223).

იყო ადგილსა მას, სადა ჯუარს-ეცუა, მტილი, ი. 19,41
და აღმაღლდა ღმერთი მიერ ადგილით, სადა იგი ეტყოდა მას,
დაბ. 35,13

ღ) ადგილის ზმნიზედა მუნ, იშვიათად აქა:

სადაცა არს საფასჲ თქუენი, მუნცა იყვნენ გულნი თქუენნი,
მ. 6,21

სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემი იყოს, ი. 12,26

რამე მადლ არს ყოფიად ჩემი აქა, სადა არა არს შიში, არცა
სიკუდილი ქრისტესითჲს? ჰაბო. 67,16

საკავშირებელი სიტყვა მთავარ წინადადებაში შეიძლება გამო-
ტოვებული იყოს:

მოვიძიე [მუნ], სადა არა დავსთესი, და შევიკრიბი (მუნ), სადა
არა განმიბნევედ, მ. 25,26

სადა მე ვიყო, [მუნ] თქუენ ვერ ჯელ-გეწიფების მოსლვად, ი.
7,36

და არა პოოს [ადგილი], სადამცა დაადგრა, მრვლთ. 296,9

მისამართი სიტყვის გამოტოვება სადა ზმნიზედიან ქვეწყობილ
წინადადებაში შედარებით მარტივად ხდება. სადა თავისთავად
ადგილის ზმნიზედაა და მხოლოდ ადგილის სახელების ნაცვლობას
ეწევა (როგორც საბა შენიშნავს: ადგილსა ცხად ჰყოფს). ამიტომ,
თუ მისამართ სიტყვად ადგილის საკუთარი ან საზოგადო სახელი
არ ივარაუდება, ის შეიძლება გამოტოვებულ იქნეს. ასეთ შემთხ-
ვევაში მისამართ სიტყვად ზმნიზედა მუნ ან არსებითი სახელი
„ადგილი“ იგულისხმება¹.

სადა ზმნიზედიანი დამოკიდებული წინადადება ადგილის მიხედ-
ვით შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს მთავარ წინადადებას.
ორსავე შემთხვევაში სადა ზმნიზედა დამოკიდებული წინადადების
თავშია:

სადა მეცნიერებით იფქლე არა იშრომებინ, მოჯნ შიმშილი
ძლიერი არნ. ბოლნ. 35,6

და მიიწია სოფელსა მას, სადაცა იყო ყრმაჲ იგი ვნებული,
ხანძთ. ნა, 6

როდესაც საკავშირებელ სიტყვებად არსებითი სახელები გვაქვს,
დამოკიდებული წინადადება მთავარს მოსდევს (მაგალითები იხ.

¹ შდრ. ეს ვითარება მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველ წინადადე-
ბათა ქვეწყობას, სადაც მისამართი სიტყვა შეიძლება გამოვტოვოთ, როდესაც
ეს უკანასკნელი ნაცვალსახელით არის წარმოდგენილი.

ზემოთ¹). ასეთ შემთხვევებში საკავშირებელი სიტყვა მთავარი წინადადების ბოლოს, და, მაშასადამე, სალა მიმართებითი ზმნიზედის უშუალო მეზობლობაშია ხოლმე:

აღესრულების დღესასწაული წმიდისა სტეფანოსი იერუსალმის, სადაცა-იგი პატიოსანნი ნაწილნი მისნი სსენან, მრკლო. 290,14

შოვრის ორთა მათ ეკლესიათა ქმნა ეზოჲ, სადაცა-იგი პირველად იხილა სუეტი ცეცხლისაჲ, კიმ. II, 162,19

და აღმალდა ღმერთი მიერ ადგილით, სადა-იგი ეტყოდა მას, დაბ. 35,13

ზოგჯერ საკავშირებელი სიტყვის მსაზღვრელი საკავშირებელი სიტყვისა და სალა ზმნიზედის უშუალო მეზობლობას არღვევს:

დავადგინოთ ჩნ თანა ადგილსა მას, სალა მეფენი დადგებიან, კიმ. I, 83,20

დადვა იგი საფლავსა გამოკოდილსა, სალა არავინ დადებულ იყო, ლ. 23,53

ხედვიდა ადგილსა მას წმიდასა, სალა აწ ხანძთას წმიდაჲ ეკლესიაჲ შშნ არს, ხანძთ. ზ, 3

როდესაც საკავშირებელ სიტყვებად ადგილის ზმნიზედა (მუნ) გვაქვს, დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების წინ ექცევა. ასეთ შემთხვევებში საკავშირებელი სიტყვით ჩვეულებრივ იწყება მთავარი წინადადება:

სალა ოჯრჩოვლოებაჲ ფრიად არს, მუნ სიკეთჲ არად სარგებელ არნ, ბოლნ. 35,9

სალა მამაჲ გრიგოლ იყოს, მე მუნ არა ვიკადრებ სიტყუად, ხანძთ. 71

სალაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი, ლ. 12,34

სალაცა იყოს მძორი, მუნცა შეკრბეს ორბები, მ. 24,28

სალაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემი იყოს, ი. 12,26

ოთხთავის ჯრუჟ-პარხლისეული სალა ზმნიზედის ნაცვლად ადი-შისაში ზოგჯერ თავს იჩენს რომელი:

დადვა იგი საფლავსა გამო- დადვა იგი გამოკუეთილსა
კოდილსა, სალა არავინ დად- მას სამარესა, რომელსა არავინ
ბულ იყო, ლ. 23,53 დადებულ იყო, C

¹ ასეთი წინადადებები იშვიათად გვხვდება:

და მოვიდა მუნვე, სალა პირველ იყოფოდა, კიმ. I, 195, 20

რამ მადლ არს ყოფაჲ ჩემი აჟა, სალა არა არს შიში... ჰაბო. 67,16

აღსძარცუეს სართული სახ-
ლისაჲ მის, სადა იყო იგი, მრკ.
2,4

იყო ადგილსა მას, სადაცა
მიეგებებოდა მას მართა, ი. 11,30
იყო ადგილსა მას, სადა ჯუ-
არს-ეცუა, მტილი¹, ი. 19,41

გარდაარღვეს სართული სახ-
ლისაჲ მის, რომელსა შინა იყო, C

იყო მუნვე ადგილსა მას, რომ-
ელსა მიეგებებოდა მართა, C
იყო ადგილსა მას, რომელსა
ჯუარს-აცუეს, მტილი, C

ასეთი მონაცვლეობა კი მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც
საკავშირებელ სიტყვებად არსებითი სახელები გვაქვს.

ს ა შ უ ა ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი სადა გვხვდება უნაწილაკოდაც და
-ც(ა) ნაწილაკდართულიც²:

ნადირნი ტყესა შეესწრნეს, სადა ვერა რბის ცხენია, ვ. ტ. 78,3
მივედით მას კუნძულსა, სადა იყო ზღუათა მეფისა... დრჯ. 11,4
სადა დიდებულთა ვაჟართა საკრებულო იყო, მუნ შევიდა,
სიბრძნ. 84,26

მისწერეთ წიგნი, სადაცა ვერა მისწვდეთ, ვერ მიხვიდეთა,
ვ. ტ. 115,4

სადაცა მივა, მივიდეს, ვ. ტ. 217,3
მოიწინეს, სადაცა იყო საფლავი და კილობანი იგი, სიბრძნ.
6,6

ბოლოკიდური ხმოვანი სადა ზმნიზედას ზოგჯერ მოკვეცილი
აქვს (ლექსებში, ჩანს, მარცვალთა რაოდენობის დაცვის მიზნით):

სად ასმაჲ პირველ მენახა, მუნვე ჩნდა მდგომიარეო, ვ. ტ.
407,3

თქვა: „მიირბინეთ სამყოფსა, სად ჩემი მზე ზის მზეულად,
თმრზ. 50,1

სად მალალი არცად იყოს, მუნ დაბალი გამაღლდების, გურ.
5,17

გვხვდება სადა ზმნიზედის თანდებულიანი ფორმებიც:

სადამდისცა დღენი მესხნენ, ველარამან გამახარნეს, ვ. ტ. 112,4

შენი ვიყო, სადამდისცა დამიყოფდეს მიწა პირსა, ვ. ტ. 416,4

ადულე მანამდი, სადამდი ნახევარ მიიყაროს, სმკრნ. 7,39

სადამდის უსირატესად დროის გარემოებით დამოკიდებულ
წინადადებას აკავშირებს მთავართან, ერთგან არჩილს სადამ

¹ ამ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადება მთავარშია
ჩართული, ასეთი მაგალითები სადა ზმნიზედიან ქვეწყობაში გამონაკლისების
სახით თუ შეგვხვდება.

² სხვა ნაწილაკები უკვე აღარ იხმარება. აი ერთი მაგალითი: მუნითცა
გამოვიდეთ, სადა-იგი ვეშაპნი დავკოცენით, დრჯ. 20,6

ზმნიზედა აქვს ნახმარი სანამ-ის ნაცვლად, აგრეთვე ღროის მნიშვნელობით (საღამ ცოცხალ ვარ, ვსწავლულობ, არჩ. 12,24).

იშვიათად ჩანს საცა, რომელიც საღაცა ზმნიზედის ფონეტიკურად გამარტივებული ვარიანტი უნდა იყოს (საღაცა→საღცა→სა-ცა), თუ. რა თქმა უნდა, სა თავისთავად არ არის ადგილის აღმნიშვნელი ზმნიზედა (ფუძე). შდრ.: საით, სით. (მარტო იქით ნუ მოუელი. საითაც რომ კარგი რამ ჩნდეს, არჩ. 9,34: აწ სით წამოსულხარ, მუნვე წაედ, ვისრ. 147,7; სითაც ვიყვი, გამექციან, ვ. ტ. 448,4).

ერთი მაგალითის მიხედვით ამ საცა-ს ერთვის რომ კავშირი:

საცა რომ კაცსა შემოხედის, მედგრად იხმარის მტერობა, გურ. 41,11

გვხვდება—საიღამაც:

საიღამაც ეგ გვირგვინი მოვიდა, მეც მუნებური ვარო, სიბრძნ. 123,10

დამოკიდებული წინადადება შეიძლება იყოს მთავარი წინადადების წინაც და მომდევნოდაც.

თ ა ნ ა მ ე ღ რ ო ვ ე ქ ა რ თ უ ლ შ ი საღა მიმართებათი ზმნიზედა ნაწილაკდართული გვხვდება:

საღაც ძალი შევა, სამართალი ბანიდამ ავაო, ანდ. 471

საღაც ცული ვერ გამოდგება, იქ პატარა ხერხს გააქვს და გამოაქვს ხოლმე, ა. წ. 103,8

გასწია იქით, საღაც ცხენები ეგულებოდა, კლდ. I, 173,6

სალექსო სტრიქონში მარცვალთა თანაბარი რაოდენობის დაცვის საჭიროება საღაც ზმნიზედას ზოგჯერ -ც ნაწილაკისა და ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეციით წარმოგვიდგენს:

სად გაგონება არ არის, კარგვაა სიმართლისაო, ანდ. 470

იქიღამ ვკნავით, სად თქვენის მაღლით ხაფანგებ ქვეშე დამწყვედული ვართ, ი. ჭ. I, 94,5

ადგილის მიმართებით ზმნიზედებად გვაქვს აგრეთვე საიდგანაც || საიდანაც || საიღამაც, საითაც, საითკენაც, საღამდინაც || საღამდისაც:

საჩქაროდ გამობრუნდა ამ ერდოსთან, საიდგანაც იმედი ჰქონდა თავის სატრფო დაენახა, ყაზ. I, 180,26

იქითკენ დაიწყო ყურება, საიდანაც მოპირდაპირე უნდა შემოსულიყო, ა. წ. 108,23

გაიხედა იქით, საიდანაც ეძახოდნენ, კლდ. I, 205,5

იმ მხრივ, საიღამაც გიორგი მოდიოდა, არჩილს წინ ურემი ეფარა, ი. ჭ. II, 301,12

მეკოთნე ქოთანს, საითაც უნდა, ყურს იქით გამოაბამსო, ანდ. 464

გასწია იქითკენ, საითაც მამლის ყვილი ესმოდა, ვაჟა. 299, ა, 15

მივეშურები იქით, საითკენაც ჩემი ვალი მიმიწოდებს, ა. წ. 181,1

თავიდან იქამდი, სადამდინაც მე წავიკითხე ეს „შეშლილი“, სულ ამისთანა შეცდომებია, ი. ჭ. III, 25,8

დასახელებულ ზმნიზედათაგან საიდანაც, საითაც, საითკენაც, სადამდისაც თანამედროვე სალიტერატურო ენის ფაქტებია, დანარჩენი ფორმები დიალექტებიდან არის მოხვედრილი მხატვრული ლიტერატურის ენაში.

ადგილის მიმართებით ზმნიზედებს მთავარ წინადადებაში საკავშირებელ სიტყვებად შეიძლება აქონდეს, ისევე როგორც ძველ ქართულში, საკუთარი და საზოგადო არსებითი სახელები. ადგილის ზმნიზედები კი ძველი ქართულისაგან განსხვავებულია: იქ, იქით, იქითკენ, იქიდან (იქიდან), იქამდე, ყველგან:

სად მილამდება, იქ მითენდება, ი. ჭ. 1, 162,10

საცა კაი ყვავილია, ფუტკარიც იქით მიაშურებს, ანდ. 472

გადააპარებს ხოლმე თვალსა იქითკენ, საცა ძალღი განცხრო-მითა წევს, ი. ჭ. II, 150,27

იქიდან ვკნავით, სად თქვენის მადლით ხათანგებ ქვეშე დამწყვდელი ვართ, ი. ჭ. I, 94,5

თავიდან იქამდი, სადამდინაც მე წავიკითხე ეს „შეშლილი“... ი. ჭ. III, 25,8

სადაც კი დაადგა არტანელმა ფეხი, ყველგან ხედასელის თვალეები დახვდა, მრვლ. 78,21

ზოგჯერ მიმართებითი ზმნიზედა ადგილისაა, მაგრამ იგი დროზე გეანიზნებს (სადამდისაც შეიძლო, იბრძოლა მარტოდ-მარტომ, ა. წ. 214,1).

კი ნაწილაკდართული მიმართებითი ზმნიზედა „გამოურციხავ ადგილზე“ მიუთითებს, მას მთავარ წინადადებაში საკავშირებელ სიტყვად აქვს ხოლმე, ან იგულისხმება ყველგან:

ბულბული სადაც კი ნახავს ამოსულ ვარდს, ყველგან გოგიას საფლავე ჰგონია, ა. წ. 184,23

აბღუშაპილისათვის ყველგან ბაღდადი იყო, სადაც კი მისი სატრფო იქნებოდა, ა. წ. 129,39

სადაც კი საქართველოში სკოლაა, სოფელი იხდის ორმოცამდე თუმანს წელიწადში, გოგ. II, 262,20

მოპოვებული მასალების მიხედვით, ქვეწყობილი წინადადების მიმართებითი ზმნიხედები, კავშირები და მათი სახეობანი, რომლებსაც ძველ ქართულში აქვთ დასაბამი, ზემოთგანხილულებით ამოიწურება (როგორ-ის გარდა, რომელიც საშუალ ქართულში იჩენს თავს).

ქვეწყობილი წინადადების ცნობილი კავშირების გარდა მაქვემდებარებელი კავშირების ფუნქციით ძველ ქართულში შეიძლება შეგვხვდეს

ა) კავშირი და მნიშვნელობით „რომ“-¹:

ვინ ვარ მე, და მივიდე ფარაოჲსა, გამოსლვ. 3,11

Τίς εἰμι ἐγὼ ὅτι πορεύσομαι πρὸς Φαραῶν

ჩიქ სამ ხა ჟი სრქაჲყესამ ააი ფარაოჲს

მომართეთ მე დრაჰკანი, და ვიხილო მრკ. 12,15

მომართეთ მე დრაჰკანი, რაჲთა ვიხილო, C

Φέρετέ μοι ὀνηῶριον, Ἰνα ἴδω

ჩირქჲ ქნაჲ ფანსიკანს იჲი ჟი თხსიყ

ვიდრე-ზე ეგულებს ამას წარსლვად, და ჩუენ არა ვპოვოთ იგი, .
ო. 7,35

Πὼς οὐτως μέλλει πορεύεσθαι, ὅτι ἡμεῖς οὐχ ἐνρήσομεν αὐτόν

იო^ა სრქაჲყეს ყა, ჟი ძსჲ იჲ ფთანსიყესამჲ ყყა

რაჲთა მოხვდე და დაასხნე ჯელნი მას, და განერეს და ცხოვნდეს, მრკ. 5,23

რაჲთა მოხვდე და ჯელი დასდვა მას, რაჲთა განერეს და ცხოვნდეს, C

Ἰνα ἐλθῶν ἐπιθῆς αὐτῇ τὰς χεῖρας, ὅπως σαμῆ, καὶ ζήσεται

ჟი ხიქსაჲ ფნჩიყჲ ზამაჲ ძსიჲ, იოყჲჲჲ ჟი საყრესიყჲ სიქსიყჲ

ზოგჯერ, როდესაც ქართულში გვაქვს და (მნიშვნელობით „რომ“) და სომხურში *ჟი*, ბერძნული მარტივ წინადადებას აჩვენებს:

სადა ვნებავს, და მოვიმზადოთ? ლ. 22,9

Πὼς θῆλεις ἐτοιμάσωμεν

იო^აჲ ღამჩჲ) ჟი აჲთორაჲთხსიყილჲ

რაჲ ვნებავს, და გიყო შენ. ლ. 18,41

Τί σοι θῆλεις ποιήσω

ჲქრჲჲ ღამჩჲჲ იოლ ჟი არარჩიყჲჲჲ

¹ შლრ. ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი.

ენ გნებაეს ორთაგანი, და მიგიტევო თქუნ... მ. 27,17

Τὴνα μὲν εἶπε ἀπολάσῃ ἡμῖν

პირ ღამიქ ქერცილე ასითქ იქ სარდასკიყე ძსე და ა. შ.

ბ) ნაწილაკი -ლა მნიშვნელობით „როცა, როდესაც“:

ხოლო იესუსა-ლა მოვიდეს და იხილეს იგი, რამეთუ მომკუ-
დარ იყო, არა განუტეხნეს წვენი მისნი, ი. 19,33

ხოლო ვითარცა მოვიდეს იესუსა და იხილეს, რამეთუ მუნ-
ქუეს ოდენ მომკუდარ იყო, არა დაუმუსრნეს წვენი მისნი, C

და ჩუენ ლა ამას განვიზრახვედით, მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა, შუშ. VII

ხ ჩნ წარვიდეთ ნებითა ლთისაჲთა და მოვილოცნეთ წნი ადგილნი და ოკმო-ლა-ვიდოდით, მოვიდეთ თქნდა, კიმ. 1, 4,7

დღისი მამაჲ ჩემი მოგუებასა მასწავებნ და ლამე-ლა ქრისტე-ანეთა დაპრეკიან, ეკლესიად მივიდი და ვისმენდი ჟამობასა მას მათსა, ეესტ. 166,32

ლა მნიშვნელობით „თუ“:

ესე მოყუასნი ჩემნი არიან, ამათგან-ლა შევიზინო, მერმე დიდთა მთავართა წინაშე ვითარ წარვდგე, ეესტ. 162,16

კაკი უფალ არს ცეცხლისა, ამისთჳს არა ღმერთ არს ცეცხლი. თუ ვისმე განერის და წარვიდის, რასაცა მიჰმართის, გინა ტყესა; გინა ველსა, გინა სახლსა, თუ კაკი დახუდის, და-ვე-წჳს. ხოლო ცეცხლსა-ლა წყალი მიეახლის, ეგოდენი იგი ძალი ცეცხლისაჲ დაშრიტის... ეესტ. 174,30

ამ უკანასკნელ მაგალითში ლა შეიძლებოდა გაგვეგო მნიშვნე-ლობით „როცა“, „როგორც კი“, მაგრამ წინა წინადადებები პირო-ბითია: თუ ვისმე განერის... ამიტომ აქ -ლა თუ-ს ფარდი უნდა იყოს...

ი) რომელ, რომე, რომ

რომელ—საკავშირებელი სიტყვა შესაძლებელია მიზანშეწონილი იყო გაგვეხილა მიმართებით ნაცვალსახელებში, მითუმეტეს, რომ ძველსავე ქართულში გვხვდება იგი ფუძის სახით, მაგრამ საშუალ ქართულში რომელ საკავშირებელი სიტყვა იშვიათადლა მიე-მართება სახელს და ამიტომ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინა-დადებებს ისე ხშირად აღარ აერთებს მთავარ წინადადებებთან, იგი უბრუნველობის ტენდენციას იჩენს და რიცხვშიც აღარ უთანხმდება მისამართ სიტყვას:

იგი ქაბუკნი, რომელ დგეს, გაგუექცნეს, დრჯ. 72,30 (=იგი ქაბუკნი, რომელნი დგეს...)

მე შენი ასული შემირთავს, რომელ მეოცდაათესა წელსა გი-
შობია, ვისრ. 146,2 (=.. ასული..., რომელი... გიშობია)

მათი შეტევება ჰგუნდა შემოდგომათა ქართა, რომელ ხეთაგან
ფურცელთა ჩამოჰყრის, ვისრ. 149,21

მისამართ სიტყვასთან კავშირი თანდათან ბუნდოვანი ხდება,
ამიტომ დამოკიდებული წინადადების ტიპიც, რომელსაც კორელატი
არ მოეპოვება, სხვადასხვაგვარად გაგების შესაძლებლობას ქმნის.
მაგ.:

მკურნალი ძებნე, რომელ გარგოს რაო, ვისრ. 174,26

მთლიანად ქვეწყობილი წინადადება შეიძლება წავიკითხოთ ასე:

მკურნალი ძებნე, რომელმან გარგოს რაო... და დამოკიდებული
წინადადება განსაზღვრებითი იქნება; ეგევე წინადადება შეიძლება
გავიგოთ ასე: მკურნალი ძებნე, რომ გარგოს რაო... და დამოკი-
დებული წინადადება მიზნის გარემოებითი აღმოჩნდება (შდრ.:
მოედ, ნახენ ჩემნი მოწამენი, რომელ შეგაჯერონ ჩემი საქმე, ვისრ.
184,35).

როცა მისამართ სიტყვას ჩვენებითი ნაცვალსახელები ახლავს,
დამოკიდებული წინადადების ტიპი ორაზროვნებისაგან დაზღვეულია
ხოლმე:

ეგეთი ღონე ვასწავლო, რომელ დღე დაბადებისა მანცა დასწ-
ყიოს, დრჯ. 7,35

კაცისა სირეგუნე აგეთი არის, რომელ ქირსა და ლხინსა აღრე
დაივიწყებს, ვისრ. 173,14

თუ რომელ საკავშირებელ სიტყვიანი დამოკიდებული წინადა-
დება მიემართება მთავარი წინადადების შემასმენელს, იგი სხვადა-
სხვა ტიპის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება შეიძლება
იყოს, საშუალ ქართულში — მეტწილად მიზეზისა და მიზნის გარე-
მოებითი:

სწრაფით წამოდი წინაშე ჩუენსა, რომელ გავიხარნეთ ნახვითა
შენითა, დრჯ. 6,6

პირსა შეაბერა, რომელ თვალი არ ეცესო, ვისრ. 144,18

ესე ამისთუის თქუა, რომელ პირველ შევედრებულ იყო, დრჯ. 5,7
სიმართლისებრი ქუეყანასა ზედა არა არის, მით რომელ სი-
მართლისა მატებასა დაკლება არა აქუს, ვისრ. 145,43

ესრე გაამდიდრა, რომელ საქონელი შვილი-შვილთამდე ეყო-
ფოდა, ვისრ. 144,9

რომელ საკავშირებელი სიტყვა თანამედროვე სალიტე-
რატურ ქართულში აღარ გვხვდება.

ძველი ქართულის რომელ მიმართებითი ნაცვალსახელი საშუალ ქართულში გამარტივდა და რომე მოგვცა. ამ ფონეტიკურ გამარტივებას თავისებური კონსტრუქციული ცვლილებაც მოჰყვა. რომე-ს შემცველი დამოკიდებული წინადადება მხოლოდ ბრუნებად სიტყვას აღარ მიემართება და დამოკიდებული წინადადებაც მხოლოდ განსაზღვრებითი აღარ არის. რომე-ს საშუალებით მთავარ წინადადებას დაუკავშირდა გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებიც.

გ ა ნ ს ა ზ ღ რ ე ბ ი თ ი დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა :

იგი წვიმა და-რე-ნელდა, რომე პირველ ვარდი აზრა, ვ. ტ. 536,2

იგი ვარდი შემეყვარდა, რომე თოვლსა არ ეხეწა, ვ. ტ. 627,2 ჩიფი, რომე ეკალსა ამოიღებენ, ჩაყავ და იმითი ამოიღე, სმკრნ. 81,3

ქელისუფალნი ესე, რომე ზემოთ დამიწერია... დასხდებიან პირისპირ, გარ. 18,410

ხის ძირს ქათამი ნახა, რომე საკენკთა კენკდა, ქილ. 363,9

რომე აღარც ბრუნვაშია მართული, მისამართი სიტყვის რიცხვსაც ველარ ასახავს და შეიძლება დამოკიდებულ წინადადებას არ იწყებდეს (ერთსა კაცსა. ეყოფოდეს, დიდებანი რომე მკირდეს, ვ. ტ. 454,1).

გ ა რ ე მ ო ბ ი თ ი დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ე ბ ი

ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა : ასრე წვა, რომე არ ჰგვანდა მკედარი სამარის კარისა, ვ. ტ. 498,1

საქართველოს მეფენი ბევრჯელ... ჯამთა და დროთა ცვლებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევია, სმრთლ. 48,1

აწ ხელ-მკმნა, რომე საახლოდ მხეტთაცა მოვეწყინები, ვ. ტ. 389,4

მ ი ზ ე ზ ი ს ა : ავს იმისთვინ ვერ იცნობდი, რომე შენში არ ერია, არჩ. 24,17

დაიწუნა ამაღ, რომე არ, ჰფერობდა გვარად, თავად, თმრზ. 78,31

ჩუენ მოკლედ მისთუის დავწერეთ, რომე ერთობ გაგრძელდებოდა, სმკრნ. 5,10

დაღონდა, ამისთვის რომე მისა შემდგომად მისი სიმდიდრე გაიბნეოდა, ქილ. 346,16

მ ი ზ ნ ი ს ა : რომე დამხსნა შეჭირვება, ეშმა ბილწი ასაპყარე, ვ. ტ. 131,2

პირი ზედან დაიქიროს, რომე ორთქლი შიგან შეუეიდეს, სმკრნ. 83,4

წყალი სხვა უნდა მოიყვანოს, რომე ღურმიშხანის წისქვილი არ დასცთეს, სიძვ. 70,17

სხვა ტიპის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები ჩვენს მასალებში არ აღმოჩნდა.

დამატებითი: ვიცი, რომე გაუწყვეტლად თვალთა ცრემლი გისეტყვია, ვ. ტ. 129,3

ვხედავთ, რომე ცეცხლი რამე მოგდებია დანაკვესად, თმრზ. 76,14

რომე თანამედროვე სალიტერატურო ქართულში საერთოდ აღიკვეთა. ერთი მაგალითი დასტურდება ილიას ენაში (აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი, რომე აჩეოს მარტო მიწანი..), შემორჩა კი დასავლურ დიალექტებს:

არ გასულა ხუთი წელიწადი, რომე დეიწყო ისოვლე ჩხუბი-დავიდარაბა (ქვემო იმერ.)

იმისთვის მოვედი, რომე ჩემთან ერთი სტუმარი არი (იერხ.)

მუუტანე მამას, რომე დააჯეროს დაის ნამდვილათ სიკტილში (გურ.)

მე იმფერი ქსოვა ვიცი, რომე ქოყანას გავაკვირეფ (აქარ.)¹.

სალიტერატურო ქართულში რონე-ს კვლავ გამარტივებულმა ვარიანტმა—რომ კაეშირმა საბოლოოდ განდევნა რომე.

რომ კაეშირმა საშუალ ქართულშივე ფართო გავრცელება პოვა. მისი საშუალებით თითქმის ყველა ტიპის დამოკიდებული წინადადება უკაეშირდება მთავარ წინადადებას.

გ ა ნ ს ა ზ ლ ვ რ ე ბ ი თ ი :

მე რომ თქვენგან მოვისმინენ წყალობანი, შედიდა. ვ. ტ. 135,3 (=შედიდა წყალობანი, მე რომ თქვენგან მოვისმინენ.)

ჩემისა შიშისა მიზეზი ესე ხმა არის, რომ გვესმისო, ქილ. 362,35 (=ესე ხმა არის, რომელი გვესმისო.)

ღურმიშხანს ალგეთზე რომ წისქვილი ექირა, ის წისქვილი მისის გარეშემოთი დაგვინებებია, სიძვ. 74,1 (=ალგეთზე რომელი წისქვილიც ექირა...)

¹ მაგალითები მოგვეყვას შ. ძიძიგურის წიგნის მიხედვით — ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 63—106

დროის გარემოებითი:

ტბაში ძელი მრუდელ ჰსჩანს, რომ ამოვიღებთ, მრთელად ჰსჩანს, ჰუნდ. 26,1

ოსმალოს დროს რომ საქმე გასქირებოდა, ოთარი საათაბაგოში გადავარდნილიყო, სიძე. 74,1

მიზეზის გარემოებითი:

მეფეთ უხმს შიში ყოვლს კაცთა, უფროსი ლეთისა ცხოვლისა, მით რომ ის არის ძეუფე მალალ-მდაბლისა ყოვლისა, არჩ. 50,14
არ მხამს მიღება ქართლისა, ამაღ რომ მტერთგან დამდნარნი ვართ, გურ. 64,15

მიზნის გარემოებითი:

აქ ტფილისს მოუწოდეთ, რომ იმ ჯარის სურსათისათვის გვე-ზრუნა, ერეკლე. 26,7

ღირსმყავ ცოდვილი მე ესე, რომ მათქმევიწო ენითა, თმრზ. 126,24

ვითარების გარემოებითი:

არ მოეშვების, რომ არ დაიურვოს, გარ. 3,56

პირობითი:

აწ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო, გურ. 43,23
ცულს კაცს რომ კარგი ჩააცვა, მას კი ვინ მიეკარება, არჩ. 54,12

დამატებითი:

ასე მოგახსენე, რომ ჩემს ცოლ-შვილს წავასხაო ქიზიყს, სიძე. 160,26

მაგრამ ეგ შენი ნარჩევი, ვიცით, რომ უარესია, არჩ. 160,26
და ა. შ.

რომ კავშირი საშუალ ქართულში ჯერ კიდევ ვერ არის მკვიდ-რად ფესვოკიდებული, მის გვერდით ხშირად შეეხვდებით რომელ და რომე ფუძეებს, რომლებიც აგრეთვე კავშირებად ქცევას ლა-მობენ; გარდა ამისა რომ კავშირთან მეტოქეობენ სხვადასხვა კავ-შირები და ზმნიხედები, რომლებიც საციფიკურ სიტყვებად გვევ-ლინებიან ამა თუ იმ ტიპის დამოკიდებული წინადადების მთავარ-თან დასაკავშირებლად.

რომ კავშირის ფუნქციებს უფრო ჩამოყალიბებული სახე აქვს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. ამიტომ მათზე აქ შედარებით დაწვრილებით შევჩერდებით.

რომ კავშირი განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას აკავშირებს მთავართან:

ძნელად იბოვება იმისთანა კაცი, რომ მართლს სიტყვას გონება გაუსწოროს, ი. ჯ. II, 222,23

ასეთი გოდორი დასწანიო, რომ თქვენს შვილებსაც გამოადგესო, ანდ. 442

მე ის დედაბოძი ვარ, ზედ ქართული დარბაზი თავივებისაგან შეკრულ გვირგვინით მტკიცედ რომ დაყრდნობილა, დ. შნგ. 11,5
ზოგიერთ გრამატიკულ ფაქტს იმდენი თავისებურება ახლავს, რომ ძნელია ყველა მაუგანის ერთბაშად გათვალისწინება, ა. შან. 016,3

დამოკიდებული წინადადება უფრო ხშირად მთავარს მოსდევს. მთავარი წინადადების წინ ან მთავარში ჩართული დამოკიდებული წინადადება იშვიათად შეგვხვდება:

ქეჩის ქვეშ რომ ნაბარათეფია, ჩამომიტანე, ი. ჯ. II, 146,32

იმ ჩემ ნათლიმამის სოფლის სათავეში, ორლობეები რომ იწყებოდა... , იდგა ერთი ძველი საბძელი, ი. ჯ. II, 33,19

რომ კავშირიანი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ მიემართება არსებით სახელს მთავარ წინადადებაში:

ახლად ამომავალი ბალახი, ახლად დამდნარი ყინულისათვის რომ უჯობნია, უცოდველად, უვნებლად ამოუჩენია თავი, ვაჟა. 266, ა, 4

ძლივს ერთი კაცი არა ვნახე სოფელში, რომ მომიწონა ნაკეთები, ი. ჯ. II, 289,16

მე მომაგონდა ძველებური ფანდი, ქიდაობაში რომ იციან, ა. წ. 143,17

არ იყო კუთხე, რომ მისი თვალი არ მოჰხვედროდა, მრვლ. 61,21

პეპელასავით რომ ჰფრინავ, შენ გეკითხები, ქალაო, ვაჟა. 8,19

შეიძლება შეგვხვდეს მაგალითები, რომლებშიც დამოკიდებული წინადადება ნაცვალსახელებს მიემართება:

სიცოცხლეში ხშირად არ მოგვევლინება იმისთანა რამ, რომ ქვეა გვასწავლოს, ი. ჯ. II, 318,18

ისეთი რამე მიუძღვნით, რომ მართლა გასაკვირველი და საარაკოც იყოს, ა. წ. 111,1

მისამართ სიტყვას შეიძლება ახლდეს ჩვენებითი ნაცვალსახელები: ეს, ის, იმისთანა, მისთანა, იმნაირი, ისეთი, ასეთი, ეგეთი, იმდენი.

ეს ორი ოჯახი იყო, რომ მამხნევებდა, ა. წ. 70,25

ის თამასუქი დაუბრუნა, სუტ-კნენინას რომ წაართო, ი. ჯ. II, 191,34

წამალი იცის იმისთანა, რომ სამ დღეში მოურჩენს ზურგს, კლდ. I, 235,36

ჩემ ბედად მისთანა გარემოებას შეესწრო, რომ ხელი მოემართა, ა. წ. 51,1

იმნაირ გუნებაზე დადგა, რომ მზად იყო ხელი აეღო თავის განზრახვაზე, კლდ. I, 125,25

ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ზალაში ბუზის გაფრენასაც გაიგონებდა კაცი, გოგ. II, 191,18

ასეთმა ფურმა უნდა დაგვწიხლოს, რომ ჩვენზედ ბევრსა თვით იწველდესა. ი. ქ. I, 99,4

აქეთკენ ვგეთი კლდეა, რომ კაცს გადახედვა შეეზარება, ყაზ. I, 24,16

იმდენი რამ მიაგმო ნადირობაზე, რომ ასი თაბახი ცოტაა იმის ჩასაწერად, ვაჟა. 263, ა, 4

რომ კავშირი ხან დამოკიდებული წინადადების თავშია, ხან დამოკიდებული წინადადების შემასმენელის წინ არის გადანაცვლებული. ზოგიერთი წინადადება რომ კავშირს ორივეგან იგუებს (წამალი იცის იმისთანა, რომ სამ დღეში მოურჩენს ზურგს, კლდ. I, 235,36; შდრ.: წამალი იცის იმისთანა, სამ დღეში რომ მოურჩენს ზურგს). ზოგიერთი წინადადება—არა (მე მომაგონდა ძველებური ფანდი, ჭიდაობაში რომ იციან, ა. წ. 143,17; შდრ.: მე მომაგონდა ძველებური ფანდი, რომ ჭიდაობაში იციან).

ზოგჯერ მისამართი სიტყვა (არსებითი სახელი) დამოკიდებულ წინადადებაშია გადანაცვლებული, მაშინ მისამართი სიტყვის როლს მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელი ასრულებს (ან გამოტოვებულია, მაგრამ იგულისხმება):

ჩამჩიაშვილს რომ ძაღლმა შვილი დაუცოფა, იმისთვის ერთი აქიმი დედაკაცი მოუყვანიათ, ი. ქ. II, 207,26 (=ერთი აქიმი მოუყვანიათ ჩამჩიაშვილის შვილისათვის, რომელიც ძაღლმა დაუცოფა).

ქეჩის ქვეშ რომ ნაბარათეგია, [ის] ჩამომიტანე, ი. ქ. II, 146,32 (=ჩამომიტანე ნაბარათევი, ქეჩის ქვეშ რომ არის).

რომ კავშირიანი დამოკიდებული წინადადებით ისაზღვრება არსებითი სახელი ან ნაცვალსახელი, ერთი სიტყვით, ბრუნებადი სიტყვა მთავარ წინადადებაში. რომ კავშირის ნაცვლად ჩვენ რომ რომელ—მიმართებითი ნაცვალსახელი ან სხვა მიმართებითი ნაცვალსახელი გვექონოდა, და ასეთი მონაცვლეობა კი საერთოდ შესაძლებელია (ძნელად იპოვება იმისთანა კაცი, რომ მართალს სიტყვას გონება გაუსწოროს, ი. ქ. II, 222,23; შდრ.: ძნელად იპოვება იმისთანა კაცი, რომელმაც მართალს სიტყვას გონება გაუსწოროს..).

მაშინ იგი ბრუნვაშიც იქნებოდა მართული დამოკიდებული წინადადების შემასმენლისაგან და რიცხვშიც იქნებოდა შეთანხმებული მისამართ სიტყვასთან გარკვეული წესების მიხედვით... რომ კავშირი არც ბრუნვაში იმართვის და არც მისამართი სიტყვის რიცხვს უწევს ანგარიშს. მრავლობით რიცხვში მისამართი სიტყვა იწვინათად გვხვდება, როდესაც ის მრავლობითშია, დამოკიდებული წინადადების შემასმენელი მას უშუალოდ უთანხმდება რიცხვში:

მათი შთამომავალნი იყვნენ, ქიათურიდან რომ პირველ ქარავნად წამოვიდენ შავი ქვით დატვირთულნი, ნ. ლორთქ. I, 186,20

თუ რომ კავშირიანი დამოკიდებული წინადადებით მთავარ წინადადებაში ისახლვრება არა ბრუნებადი, არაპედ ულლებადი სიტყვა (ზმნა, მაშინ ამა თუ იმ ტიპის გარემოებით (განსახლვრებით) დამოკიდებულ წინადადებასთან გვაქვს საქმე.

რომ კავშირი დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აკავშირებს მთავართან:

ღმერთი რომ კაცს გაუწყრება, პირველად ჰკუხას გამოუღვესო, ანდ. 481

კაცი რომ დაჰბერდება, შვილდი ძირს უნდა დასდოს. ი. ჭ. II, 302,21

გულში რომ შური შევა, მაშინ სულიც დასნეულდება, ა. წ. 101,6

არაგვს რომ გამოვდიოდით, გაღმა ნაპირიდან იხვების გუნდი აფრინდა, ვაჟა. 259, ა, 6

სადილი რომ გაათავეს, უეცრად მოესმათ რაღაც ყვირილი, კლდ. I, 276,26

თავს სამწვიდობოს რომ დავიგულებდი, ერთს თავისუფლად ამოვისუნთქავდი, დ. შნგ. 77,15

დამოკიდებული წინადადება მეტწილად წინ უსწრებს მთავარს, მაგრამ შეიძლება მოსდევდეს:

არ გასულა ამის შემდეგ რამდენიმე წუთი, რომ კარი ისევ გაიღო, ი. ჭ. II, 13,4

სამხრობის ჯამი თითქმის მოახლოებული იყო, რომ კიდევ გამოჩნდა მინდვრისაკენ მომავალი ერთი გროვა ქალი და კაცი, ე. ნინოშე. 226,32

ფეფენა ის იყო ვიწრო ორღობიდან ფართო გზაზე გამოვიდა, რომ რაღაც ხმა მოესმა, კლდ. I, 23,1

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების დაკავშირება მთავართან რომ კავშირით ძალიან იშვიათია.

და იქამდინა მიუშვი მტერი, რომ აცემინე მამა ბებერი, ი. ქ. I, 174,13

ვაჟაკობა ზვიადურისა იქიდანა სჩანს, რომ ის არ დალაჩრდა, ვაჟა. 356, ა, 6

რომ კავშირი ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აკავშირებს მთავართან:

[დედამიწა] ისე არ გაძუნწდება, რომ მიბარებული ერთი-ორად არ დაგვიბრუნოს, ი. ქ. II, 50,9

ისე აღზარდე შენ შეილის სული, რომ წინ გაუძღვეს ქეშმარიტება, ი. ქ. I, 31,7

კაცი ისე უნდა იყოს დაჩვეული ბავშობიდანვე, რომ ცხოვრებაში ყოველიფერი აიტანოს, ა. წ. 34,42

ისე დაგბუნო, რომ ღობემდისაც ვერ მოგყვეს შენი დამშეული სული, კლდ. I, 295,6

კრებები ისე უნდა მოეწყოს, რომ ამან ხელი შეუწყოს ნაკლოვანებათა მსილებას, აკომ. 232,1

როგორც მაგალითებიდან ჩანს, დამოკიდებული წინადადება მთავარს მოსდევს, რომ კავშირი დამოკიდებული წინადადების თავშია, კორელატია ისე. რომელსაც ჩვეულებრივ მთავარი წინადადების შემასმენლის წინ აქვს მიჩენილი ადგილი. ამ ზმნიზედამ შესაძლებელია მთავარი წინადადების ბოლოს გადაინაცვლოს:

იყო თავისთვის სოფელში ისე, რომ თითქმის მისი ხსენებაც კი გადაავიწყდათ, ა. წ. 174,14

ნახევარზე მეტი გზა გაიარა პლატონმა თავისუფლად ისე, რომ მიმავალ-მომავალი კაცი არავინ შეხვედრია, კლდ. I, 124,1

კორელატებად, ისე ზმნიზედის გარდა, შეიძლება შეგვხვდეს — ასე, ისე რიგად, ისეთნაირად, იმგვარად, იმნაირად, იმდენად, ეგრე, ესოდენ. იქამდე || იქამდის (იქამდინ, იქამდისინ):

წამოიცვა რქებზე და ასე გახადა, რომ სიკვდილზე მიაყენა, ა. წ. 256,13

ზმნიზედისა და კავშირის ერთმანეთის მეზობლობაში ხმარება ისე რომ რთულ კავშირს გვაძლევს¹:

¹ ასეთ შემთხვევებში დამოკიდებული წინადადების ტიპს ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებად აღარ მიიჩნევენ..

ბიძაჩემი ადრე გაპარულიყო სანადიროდ, ისე რომ ჩვენებს ვერავის ვერ გაეგო იმისი წასვლა, ვაჟა. 264, ბ, 13

ამ ადგილში გზა ცოტა ხვეულად მიდიოდა, ისე რომ მარტია აღარ უჩანდათ გაგის და იმის ამხანაგებს, ყაზ. I, 29,30

მეორე მხრივ ასე ზმნიზედა ჩვეულებრივ რომ კავშირის უშუალო მეზობლობაშია და რთულ კავშირს ქმნის.

ფარაჯაში გახვეულს გახადეს ფარაჯა, გადააცვეს თეთრი პერანგი თავიდან ფეხებამდე, ასე რომ პირის-სახე აღარ უჩანდა, ი. ქ. II, 234,5

ეს ნაწილაკები სიტყვას მხოლოდ ბრუნვის ნიშნების შემდეგ დაერთვის, ასე რომ სახელი სხვადასხვა ბრუნვანი... იცვლება, ა. შან. 104,4

ისე რიგად დასუსტდა, რომ მუსლებშოქრილი დაეცა და იქვე დაეძინა, ყაზ. I, 265,11

ისეთნაირად მოვილხინე, რომ მეტი აღარ მოხერხდებოდა, ა. წ. 204,40

პროფილი შეცვლილია იმგვარად, რომ ჰუმანიტარულ დისციპლინათა მოცულობის შემცირების საფუძველზე შემოგველო პოლიტიქნიკური საგნების სწავლება, „კომ.“ 207,3

ის ხეები იმნაირად დაზრდილან, რომ ერთი პირის ხეების შტოები მეორე პირის ხეების შტოებში გაყრილ-გამოყრილან. ა. წ. 136,21

ქართველთა რიცხვი აქ იმდენად გადიდდა, რომ შეუძლებელი შეიქმნა მათი ათანასეს ლავრაში მოთავსება, კ. კეკ. 44,14

ეგრე მოვაშორებ ონისეს იქაურობას, რომ აქაური ღურბელიც ვეღარ დაინახოს, ყაზ. I, 211,1

და ის ადგილი, ის არე-მარე ეხოლენ წმინდად სწამს დღესაც ერსა, რომ ნასროლს ნადირს, მუნ შეფარებულს, მონადირეც კი ვერ ახლებს ხელსა, ი. ქ. I, 206,15

იქამდე, იქამდის ადგილის ზმნიზედებს წარმოადგენენ, რომლებიც, როგორც ჩანს, ვითარების ზმნიზედების შინაარსს იძენენ გარკვეულ კონტექსტში:

ეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენელი იქამდე ძლიერდებოდა, რომ ამა თუ იმ ადგილას ის შემამულე-ერისთავის ფუნქციებსაც კი ითვისებდა, კ. კეკ. 15,16

იქამდის შემადრწუნებელი იყო იმათი მდგომარეობა, რომ ზოგს ზედ დასახური საბანი და ქვეშ გასაშლელი ნაბადიც კი არ გააჟოლიათ მებატონისაგან, ყაზ. I, 10,1

ვითარების ზმნიზედის ნაცვლად ზოგჯერ ჩვენებითი ნაცვალსახელი შეიძლება შეგვხვდეს:

ის ბერიკაცი ასეთი გამორბოდა, რომ ოცი წლის ბიჭი გეგონე-
ბოდათ, ი. ჭ. II, 107,30

ასეთი შემთხვევები იშვიათია.

რომ კავშირი მიზეზის გარემოებით დამოკიდე-
ბულ წინადადებას აკავშირებს მთავართან:

მართლა-და ძალიან დაუსუსხავს ჩემს კრიტიკას, რომ მარტო
თვალი დაუკვირვებია ჩემს ლექსისათვის, ი. ჭ. III, 42,12

სოფლელები ძლიერ გაბრაზებულან თავის მასწავლებელზედ,
რომ ექიმი იმან გამოაგზავნა, გოგ. II, 48,15

ეკლამეს ბრაზი მოუვიდოდა ხოლმე, რომ საბუთს არაფერს
ვაძლევდი გაროზგვისას, ვაჟა. 261, ა, 25

ძატუს გული დაწყდა, რომ დასაპატივებელი ვერაეინ დაინახა,
ნ. ლორთქ. I, 223,29

იშვიათია შემთხვევები, როდესაც დამოკიდებული წინადადება
მთავარს მოსდევდეს და რომ კავშირით აო იწყებოდეს:

გუნებაში მეცინებოდა, ის საცოდავი ეგეთ შავ ღღეში რომ
მყავდა ჩაყენებული, დ. 'ზნგ. 79,29

სამაგიეროდ, თუ დამოკიდებული წინადადება მთავარის წინ
არის მოქცეული, რაც შედარებით იშვიათად ხდება, რომ კავშირს
წინ უძღვის დამოკიდებული წინადადების რომელიმე წევრი, რომ
კავშირით დამოკიდებული წინადადება უკვე აღარ იწყება:

ღღეს რომ შენ სიკვდილს გადამარჩინე, მეც მინდა ეხლავ სამა-
გიერო გადაგიხადო, ა. წ. 119,4

მახარობელას რომ ბზული დაეწყო, იმას გული უწუხდა, ა. წ.
51,25

რომ კავშირიანი მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინა-
დადების კორელატებად გვხვდება: იმიტომ, იმის გამო, იმისათ-
ვის || იმისთვის || მისთვის...

იმიტომ არ ვაქე, რომ არ იყო საქებელი, ი. ჭ. III, 35,33

აღბათ ცოდვად იმიტომ არ გითვლისთ კაცი, რომ სისხლს ხორცს
თან ჩააყოლებთ ხოლმე, ვაჟა. 279,39

ჩვეულებრივ იმიტომ ზმნიზედა კავშირთან უშუალო მესობლო-
ბაშია და რთულ კავშირს ქმნის:

გულუტკივრად ვეთხოვები მე ამ ქვეყანას, იმიტომ რომ მე იმისი
არა მემადლება რა, ი. ჭ. II, 120,8

პასუხი არ მიუცია მასზე, იმიტომ რომ ეზოში შემოჯირითდა...
კირილე, კლდ. I, 130,2

ჩვენ ასე ვფიქრობთ იმის გამო, რომ ამ წერილებშიაც კი ეტყობა ავტორს საზოგადო გახსნილობა და გონების გაწვეთარება, გოგ. II, 20,37

[სახალხო სასამართლომ] იმის გამო, რომ ბრალდებულები წინათ არ ყოფილან პასუხისგებაში მიცემულნი, სასჯელი შეუმცირა, „კომ.- 232,2

კვამლი ფრიად. სასიამოვნოა, პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლქვრეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალიდამ ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე, ი. ჯ. II, 7,12

იმას უდუღდა გული და უდუღდა იმისთვის, რომ თავის ახლეულელები არც კი ჰკითხავდნენ იმას, მოსწონდა ნინია თუ არა, ყაზ. I, 177,14

უახლეს სალიტერატურო ქართულში იმისათვის || იმისთვის || მისთვის მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ქვეწყობაში კორელატებად აღარ იხმარება.

კორელატებად (მეტწილად მხატვრული ლიტერატურის ენაში) გვხვდება აგრეთვე იმაზედ. იმად, მით, იმიზა, ამიზა:

ელგუჯას გული იმაზედ მოსდიოდა, რომ გავი შესდგა აქა და კვალს დაუწყო სინჯვა, ყაზ. I, 25,4

მე შენთან იშობა იმად არ მინდა, რომ ელგუჯასთან ვარ ნაფიცი, ყაზ. I, 88,34

ვართ უღონონი უგზო-უყვლონი მით, რომ თქვენ ჰყრისართ უქმად ჩვენშია, ი. ჯ. I, 95,27

აგი აზრი იმიზა დათესა იმ ურჯულო გიორგიმ, რომ უნდა რამენაირათ ჩვენში განხეთქილება მოახთინოს, ე. ნინოშვ. 44,5

სოფლების ან მოსახლეობის აოხრება კაცმა არ იფიქროს, ამიზა რომ აოხრება ფირალური წესია, ე. ნინოშვ. 49,39

ასეთები თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მიმართ დიალექტიზმებად მიიჩნევა.

რომ კავშირი მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აკავშირებს მთავართან:

წყალ-გალმა გაედავე, რომ წყალ-გამოღმა შენ დაგრჩეს, ანდ. 490 წინათვე ყველაფერი გაემზადებინა, რომ მე სამართალში მივცემოდი, ი. ჯ. II, 102,30

მონადირე მიეშურებოდა ჯიხვებისათვის გზა შეეკრა, რომ სინაგრეში არ შეესწროთ, ვაჟა. 277, ბ, 15

ბევრ რამეს მოჰკიდა ხელი საშოვრის საძებნელად, რომ რამე ოჯახში შემოეტანა, კლდ. I, 301,22

ფრთხილად შეარხია [ვაზი]. რომ ნამი მოსცლოდა აკიდობედ
დამძიმებულ ვაზის ტოტებს, მრვლ. 58,17

მწვავე სიტყვებს განზრახ ვეძებდი, რომ მისთვის კიდევ უფრო
შემმებრალეზინა თავი, დ. შნგ. 60,24

კორელატებად გვხვდება — იმისთვის || იმისათვის || მისთვის,
იმის გულისთვის:

შეუბრალეზლობის გზას დაადგა იმისათვის, რომ ოჯახი ამო-
წყვეტისაგან ეხსნა, კლდ. I, 330,14

რომ კავშირიანი მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადა-
დება იშვიათად გვხვდება მთავარი წინადადების წინაც და შუაშიც:

რომ გადაეხადა რითიმე სიკეთე, მის საგანს საუცხოოდ სწავ-
ლობდა, ა. წ. 359,12

ლამის თევის დროს, რომ ძილი არავის შემოგვპაროდა, მორი-
გად ზღაპრებს ამბობდნენ ბიჭები, ა. წ. 37,22

რომ კავშირი პირობით დამოკიდებულ წინადადე-
ბას აკავშირებს მთავართან:

ქვეყანაზე რომ ქირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა,
დ. ქ. II, 282,33

მთვარე რომ ჩემკენ იყოს, ვარსკვლავს რას შევეპუები, ანდ. 464

ქართველი კაცი რომ ტყვედ ჩავარდება მტრის ხელში, ის შერ-
ცხენილია და იმასთან პურიც აღარ იქმებაო, ა. წ. 173,28

ისტორიასაც რომ არ გამოვეკიდოთ და ახლანდელს ჩვენ მდგო-
მარეობას დაეაკვირდეთ, დავინახავთ..., გოგ. II, 5,15

ახლო-მახლო რომ შენისთანა ბრიყვი და გამოუცდელი ნუკრი
შეხედეს. ბანს მისცემს, ვაჟა. 241, ა, 7

გაპირდება რომ არ მადგეს, ღმერთმანი, არც კი შეგაწუხებდი,
კლდ. I, 48,6

ცოცხალ განქრეტას ასეთი ცოდნის მოცემა რომ შეეძლოს, მაშინ
სრულიად ზედმეტი გახდებოდა ყოველივე მეცნიერება, კ. ბაქრ. 18,3

დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს მთავარს, იშვიათად
გვხვდება მაგალითები, რომელთა მიხედვით დამოკიდებული წინა-

დადება მთავარს მოსდევს (შეისრულებდა კიდევ ამ სურვილს
ნატო, რომ შემთხვევით კოლმეურნეთა სარაიონო ყრილობაზე

გიორგი არ გაეცნო, მრვლ. 118,22). კავშირის წინ ჩვეულებრივ
დამოკიდებული წინადადების სხვა წევრია ხოლმე მოთავსებული.

გამონაკლისის სახით შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი:

რომ სანთელი წინა სდგომიყო, გააქრობდა. ი. ქ. II, 141,31
რომ || რომ კავშირის ასეთი „პოლისემანტიზმი“, მისი უნარი—
დააკავშიროს მთავარ წინადადებასთან სხვადასხვა ტიპის დამოკი-

დებული წინადადებები, განსაკუთრებით დამახასიათებელია ქართული დიალექტებისათვის¹:

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება:

შენ რომ ვაშლი გაქ, მაჩვენეიო (ქართლ.)

ქიანჭველას რომ ყურს უგდებდა, იმ კაცმა დაადო მიწაზე ყერო (კახ.)

რო ძნასაც მოსჯდის, მოღგლეჯს (ხევს.)

ცრცს ცუტუნაყ თუჯის ყუთ რომ გაქვისავე, ცრცს ყუთ მომეციე (თუშ.)

იი ხორცი, შენ რომ დამიტე, კატამ შემეძინაო (გურ.)

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება:

დედამ რომ ეს გუთანი დაინახა, იმ სააჩივე იცნო (ქართლ.)

რო შეატყო როსტომა, რომ წითელ არაბმა დააძალა, ამოხტა როსტომი ორმოდან (კახ.)

მზე რომ გორისპირს მისულ იყვ, მაშინ წამოვედით შატილის ქვეით (ხევს.)

ქემწიფე რომ დაბერდ, აღარ შეწყდლრ მეფობაჲ (თუშ.)

ბზეი რომ დაბნელებულა, მაშინ ერი წლის ვყოფილიყაი (გურ.)

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება:

ისე დაუკრა სალამური, რომ სუ აატირა იქაურობა (ქართლ.)

ისე მაგრა გაიცინა, რომ სახლმა ზანზარი დაიწყო (კახ.)

მიფანტ-მოფანტა პოლკები, ეგრ რომ ფარები ცხერისაო (ხევს.)

ცრცსთაყ ხიდს გაეაკეთებავ, რომ ზედავ სუ ბალიჩაყ-ფარდავ იყოსავე გაფენილივ (თუშ.)

გამვეიღენ საჯირითოთ ისთე, რომ არავინ არ ელოდა (გურ.)

¹ მაგალითები დიალექტებიდან მოკეყავს შემდეგი გამოცემებისა და მასალების მიხედვით: გურ. (= გურული) ს. ყ დ ე ნ ტ ი, ათული კილო, გამოკვლევა, ტექსტები. ლექსიკონი, 1936; თუშ. (= ჩალმა-თუშური) ნ. უ თ უ რ ჯ ა ი ძ ი ს მიერ ჩაწერილი თუშური ტექსტები (ხელნაწერი), ჩაწერილია 1951 წ.: კახ. (= კახური) ივ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს მიერ 1940 წ. თელავის რაიონში ჩაწერილი ტექსტები (ხელნაწერი); ქართლ. (= ქართლური) აღ. ლ ლ ო ნ ტ ი, ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, 1948; ხევს. (= ხევსურული —ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931; გ. დ ო ლ ი ძ ი ს მიერ 1945—46 წ. წ. ჩაწერილი ხევსურული ტექსტები (ხელნაწერი).

² რომ დიალექტებში სხვადასხვაგვარი ფონეტიკური სახეცვლილებებით წარმოგვიდგება—რომ, რომა, რომა, რომ, ომ, მუმჷ... შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 72.

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადა-
დება:

ეს არ იქნება ქრიტიანი, რა ამ დროს ასეთ უდაბურ ტყეში
დაეხეტებაო (ქართლ.)

მაგით ორ დასანანები, ხანს რა არ მძღვეთ ცდისასა (ხევს.)
მე შენ გამწირე იმიზა, რა ამირანთან შევცთი (გურ.)

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადა-
დება:

წავიდნენ მღვეთან საომრათ, რა თავიანთი დაი წამეყვანათ
(ქართლ.)

ერთი გამოცდილი ვინმე გამამაყოლეთ, რა გზა მაწაელოსო
(კახ.)

ზოგ საქონს მოვაბრუნებ, საბოსლოსკენ რა არ წავიდას (ხევს.)
ჩემფერაჲ საწყალ კაცს ვიკვლევაჲ, რა შვილ მოანათვლიოვ
(თუშ.)

ეთერმა წვისუა პირზე ნახშირი, რა მის დედ-მამას ვერ ეცნო
(გურ.)

პირობითი დამოკიდებული წინადადება:

რა მკოდნიყო ასეთი კარგი ხორცი გქონდა, იქვე შეგქამდიო
(ქართლ.)

მე რა არ მოვსულიყავიო, კლავდნენო (კახ.)

ის ძალღ რა არ დამწველებიყო, ბეჯითა მამკლევდეს (ხევს.)

ეგ რა ჩიხკეტოსაჲ, ერთ თვეს დამეძინებაჲ (თუშ.)

ქვედა ბახეს ორი საზოგადოება რა მოსულიყო, ბულთს ვერ
წაართუმდა (გურ.)

დამატებითი დამოკიდებული წინადადება:

დაინახა, რა ერთი ადამიანი აობრებს ტყესა (ქართლ.)

არ უნდოდა, რა დასქიდებიყო (კახ.)

გაიგ მამამაც, რა შვილ მამიკლესაჲ (ხევს.)

არ შეგიძლიან, რა წუხტანოვ? (თუშ.)

გადაწყვიტა დედინაცვალმა, რა ძროხა საბალახოთ მისი ულა-
მაზო გოგონა გეეტანებია (გურ.)

როგორც ეს ზემოთ უკვე აღინიშნა, რა კავშირის საშუალებით
თანამედროვე ქართულში მთავარ წინადადებას თითქმის ყველა
ტიპის დამოკიდებული წინადადება უკავშირდება. რა კავშირს
იზოლირებულად არა აქვს რაიმე გარკვეული შინაარსი – მნიშვნე-
ლობა, მას მხოლოდ მაკავშირებელი ფუნქცია მოეპოვება და, მიუ-

ხედავად ამისა, იგი „პოლისემანტიკურია“. ამ „პოლისემანტიზმს“ იგი წინადადებაში იძენს იმის მიხედვით, თუ რა ტიპის დამოკიდებულ წინადადებას აერთებს მთავართან.

* * *

იმის მიხედვით, თუ რომელი სიტყვა ისაზღვრება დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით — ბ რ უ ნ ე ბ ა დ ი თ უ უ ლ ლ ე ბ ა დ ი, რომ კავშირიანი დამოკიდებული წინადადების ორ დიდ ჯგუფს ვიღებთ — გ ა ნ ს ა ზ ლ ე რ ე ბ ი თ ს და გ ა რ ე მ ო ე ბ ი თ ს.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით ისაზღვრება მთავარ წინადადებაში ბრუნებადი სიტყვა (არსებითი სახელი, ნაცვალსახელი, საწყისი).

დღიეს ერთი კაცი არა ვნახე, რომ მოძიწონა ნაკეთები? ი. ქ. II, 289,16

გარემოებითი დამოკიდებული წინადადებით ისაზღვრება მთავარ წინადადებაში ულლებადი სიტყვა (ზმნა—შემასმენელი) სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, შესაბამისად გვაქვს გარემოებითი დამოკიდებული წინადადების სხვადასხვა ტიპები:

ღ რ ო ი ს ა: ღმერთი რომ კაცს გაუწყრება, პირველად ჰკუხს გამოუღვესო, ანდ. 481

ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა: ისე აღზარდე შენ შეილის სული, რომ წინ გაუძღვეს ჰეშმარიტება, ი. ქ. I, 31,7

მ ი ზ ე ზ ი ს ა: იმიტომ არ ვაქე, რომ არ იყო საქებელი, ი. ქ. III, 35,53

მ ი ზ ნ ი ს ა: შეუბრალებლობის გზას დაადგა იმისათვის, რომ ოჯახი ამოწყვეტისაგან ეხსნა, კლდ. I, 330,14

პ ი რ ო ბ ი თ ი: ქვეყანაზე რომ ჰიერი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა, ი. ქ. II, 283,33

ჩვენ გვაქვს არა ერთი მაგალითი, რომელთა მიხედვით დამოკიდებული წინადადების ტიპზე უკვე საკავშირებელი სიტყვა მიუთითებს (როდესაც, სადაც, თუ...); აქ კავშირი ერთია—რომ, დამოკიდებულ წინადადებათა ტიპები კი სხვადასხვაგვარია. გარემოებით დამოკიდებული წინადადებით ისაზღვრება მთავარი წინადადების შემასმენელი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით და შესაბამისად ინაკეთება დამოკიდებული წინადადების ტიპები. როგორ ხდება დამოკიდებულ წინადადებათა ასეთი დანაწევრება? წინადადებათა მხოლოდ აზრობრივი მიმართება შეაპირობებს ამას, თუ სხვა ფაქტორებიც მოქმედებს?

ა) ერთი ასეთი ფაქტორთაგანია კორელატი სიტყვების არსებობა მთავარ წინადადებაში: მაშინ, ისე, იმიტომ, იმიხათვის...

მართალია, ასეთები ყოველთვის არ მოიპოვება მთავარში, მაგრამ ისინი ყოველთვის იგულისხმებიან და დამოკიდებული წინადადების ტიპს ზოგჯერ ამ კორელატების აღდგენით ვაკვლევთ ხოლმე.

ბ) მეორე და მნიშვნელოვანი ფაქტორთაგანი ჩანს კანონზომიერი სიტყვათმეხამება ქვეწყობილი წინადადების ფარგლებში მთლიანად. ამ საკითხზე შედარებით ვრცლად მოგვიწევს შეჩერება.

ავიღოთ, მაგალითად, რომ კავშირიანი მიზნის გარემოებით დამოკიდებული წინადადების შემცველი ქვეწყობილი წინადადება. აშგვარ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი და დამოკიდებული წინადადების შემასმენლები შემდეგი წესით არიან დაკავშირებული:

1. თუ მთავარი წინადადების შემასმენელი აწმყოს, მომავლის ან ბრძანებითის მწკრივის ფორმით არის წარმოდგენილი, მას დამოკიდებული წინადადების შემასმენელი II კავშირებითის მწკრივის ფორმით ეწყობა:

ღმერთთან მისთვის ვლამარაკობ, რომ წარუჟღღვე წინა ერსა, ი. ჭ. I, 61,8

ხალსიცი, საომრად მომზადებული, დახვედრას უპირებს, რომ სამშობლო გადაარჩინოს, ა. წ. 284,5

მე აქედანვე შევუდგები თადარიგს, რომ თქვენდა საკადრისად დაგიხვდეთ, კლდ. I, 359,20

ყოველივეს გააკეთებენ იმისათვის, რომ იყვნენ დედა-სამშობლოს ღირსეული ვაჟები და ქალიშვილები, „კომ.“ 207,1

შენს საქმეზედ იყავ ბეჯითი, გულმოდგინე. ერთგული, რომ ღმერთიც მადლობელი იყოს და კაციც, ი. ჭ. II, 54,20

აქ გამომგვარე ჩემი ხითხითა ბიჭუნა, რომ მეზობლებმა ნახონ¹, ა. წ. 10,33

თუ მთავარი წინადადების შემასმენელის გვერდით აღმოჩნდება უნდა, საჭიროა, ცდილობს, მიზანია ზმნები (შემასმენლები), რომლებიც დამხმარე ზმნების ფუნქციას ასრულებენ, ასეთ შემთხვევებში მთავარი წინადადების შემასმენელიც და დამოკიდებულისაც კავშირებითი მწკრივის ფორმით მოგვევლინება:

კაქის გული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ არ გაუცყდეს უბედურებაში, ა. წ. 324,42

.. რომ ეს შეთვისება იყოს ჩვენთვის სარგო და სასარგებლო, ხაჭიროა იგი ემორჩილებოდეს ბუნებისა და პედაგოგის კანონს, გოგ. II, 224,5

¹ აქ შემოვა ე. წ. მოწოდებითი ბრძანებითობიც:

ერთი კაი წითელი ღვინო ავახდევინათ, რომ შეილის სადღეგრძელო დავლიათ, ი. ჭ. II, 217,5

2. თუ მთავარი წინადადების შემასმენელი წარსული დროის (წყვეტილის ან უწყვეტლის) მწკრივთა ფორმებით არის წარმოდგენილი, მას დამოკიდებული წინადადების შემასმენელი II თურმეობითის მწკრივის ფორმით უხამდება:

ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისათვის იცხვრეს, რომ ოთხი დიქის ფიტარი ეშოვნათ და სამ-სანი აღლი მიწა, ი. ქ. II, 221,8

გვიცნო და გაეჩანა, რომ ჩვენებისათვის ეხარებინა, ვაჟა. 259, ბ, 5

ერთგან კლდოვან კიდეს გაზეტებით ეხლებოდა, რომ ახალი გზა გაეკვლია, ა. წ. 87,3

მწვავე სიტყვებს განზრახ ვეძებდი, რომ მისთვის კიდევ უფრო შემეზრალეზინა თავი, დ. შნგ. 60,24

როდესაც მთავარი წინადადების შემასმენლის გვერდით ნახმარი დამხმარე ზმნა წარსული დროის რომელიმე მწკრივშია (წყვეტილია ან უწყვეტელია), მაშინ მთავარი წინადადების შემასმენელიც II თურმეობითშია და დამოკიდებულისაც:

[კანტს] სურდა შემოეფარგლა ადამიანის შემეცნების უნარი, რათა რელიგიისათვის ადგილი დაეტოვებია, კ. ბაქრ. 37,10

ჩემი უფროსი ძმა გვიჩვენდა ვენახები სრულიად აგვეჭრა, რომ ხარჯებს გადავრჩენოდით, ნ. ლორთქ. I, 24,13

წარსული დროის ზმნათაგან მთავარი წინადადების შემასმენლად იშვიათად გვხვდება I თურმეობითიც და II თურმეობითიც. ასეთ შემთხვევებშიც დამოკიდებული წინადადების შემასმენელი ისევ II თურმეობითშია:

შენ მიგიგრებსა სიმები ერთმანეთზე, რომ მით შუა ძაფა გაგედიდებია, ა. წ. 300,13

ნეტავი მეც იმათთან ვყოფილიყავი, რომ მათთან ერთად დამელია მეც სული, ვაჟა. 291, ბ, 16

მთავარი და დამოკიდებული წინადადების შემასმენელთა შეხამების აღნიშნული წესები ზოგჯერ „ირღვევა“:

დარეჯანმაც ურთან ლეჩაქი გადაეცა, რომ კარგად გაიგოს, ი. ქ. II, 156,4

შუამთის უდაბურ ტყეში დადიოდა აბლუშაძილი, რომ ეგებ ბაში-აჩუკს... წავაწყდეთ, ა. წ. 115,25

აქ დამოკიდებულ წინადადებებში მოსალოდნელი გავგონა და წასწყდოლოდა-ს ნაცვლად II კავშირებითის მწკრივის ფორმები გვაქვს, მაგრამ ასეთი გადახვევები ყოველთვის დარღვევად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული...

მაშასადამე, რომ კავშირიანი მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი

და დამოკიდებული წინადადების შემასმენელთა შეხამება მწკრივების მიხედვით ნებისმიერი არ არის: აწმყოს, მომავლის (და ბრძანებითის) მწკრივის ზმნებს მთავარ წინადადებაში, დამოკიდებული წინადადების ზმნა II კავშირებითში უხამდება, ხოლო მთავარი წინადადების წარსული დროის ზმნები უწყვეტელში, წყვეტილში (I და II თურმეობითში) დამოკიდებული წინადადების შემასმენელს II თურმეობითში იგუებენ. ასეა ეს საერთოდ¹.

სხვა მაგალითი.

იგივე რომ კავშირიანი, მაგრამ პირობითი დამოკიდებული წინადადების შემცველი ქვეწყობილი წინადადება მთავარი და დამოკიდებული წინადადების შემასმენელთა ასეთ შეფარდებას გვიჩვენებს:

როდესაც დამოკიდებული წინადადების შემასმენელი კავშირებითი კილოს (I ან II კავშირებითის მწკრივის) ზმნაა, მთავარ წინადადებაში მას შემასმენელი შეიძლება შეეწყოს აწმყოს, მომავლის, კავშირებითის (I, II) და ხოლმეობითის მწკრივთა ფორმებით:

მელოგინეს რომ მოშივდეს, ცხრა სოფელი დაიმშვეაო, ანდ. 464
„მგზავრის წერილები“, რომ შიგა და შიგ დალაღვა არ ეტყობოდეს, ერთი უკეთეს თხზულებათაგანია, ა. წ. 75,37

რომ გაგეცალო, ვისღა მივმართო. ი. ჭ. I, 172,2

სწავლება რომ მშობლიურ... ენაზე მიმდინარეობდეს, მაშინაც კი მძიმე იქნებოდა მოსწავლეებისათვის ასეთი რთული კურსის დაძლევა, გოგ. II, 153,3

მაგრამ საკმარისია დამოკიდებული წინადადების შემასმენელი II თურმეობითის ფორმით წარმოგვიდგეს, რომ მთავარი წინადადების შემასმენლად ხოლმეობითის მწკრივის ფორმებმა იჩინონ თავი:

შენ რომ ჩემი დღენი გამოგველო, ჩემს ტათაში დამწვარიყავ, შენც ეგრე ილაპარაკებდი, ი. ჭ. II, 283,30

ეს სტატია რომ დაბეჭდილიყო, მე შენ რედაქციაში არ დაგაყენებდი, ა. წ. 248,6

ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ჩემი ბინა-ბუდე ეხლა დანგრეული იქნებოდა, ვაჟა. 312, ა, 1

შეისრულებდა კიდევ ამ სურვილს ნატო, რომ შემთხვევით კოლმეურნეთა სარაიონო ყრილობაზე გიორგი არ გაეცნო, მრვლ. 118,22

¹ არაუბოთად ეგვე წესები მოქმედებს რათა კავშირიანი მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ქვეწყობაში.

როგორც ჩანს, მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენელთა შეფარდება არც აქ არის შემთხვევითი და ნებისმიერი. ეს ვითარება ზოგან ხელშესახებია და მარტივი, ზოგან რთული და საძებნელი.

რომ კავშირიან (და ყოველგვარ კავშირიან) მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ქვეწყობაში მთავარი და დამოკიდებული წინადადების შემასმენელთა შეფარდების უფრო ზოგადი წესი შეიმჩნევა: მთავარი წინადადების თხრობითი კილოს ზმნებს დამოკიდებულ წინადადებაში თხრობითი კილოს ზმნები შეეფარდება, ზოგჯერ შეიძლება ბრძანებითი კილოს ფორმებიც გამოვლინდეს. ამ წესის ფარგლებში მწკრივთა არჩევანის თვალსაზრისით, ვარიანტები მრავალნაირია, მაგრამ მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ქვეწყობაში არ ჩანს კავშირებითი კილოს ფორმები, თუ არ გავითვალისწინებთ გამონაკლისებს, რომლებიც თავის მხრივ გარკვეული წესის ფარგლებში მოქმედებენ.

მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადების შემცველ ქვეწყობაში კავშირებითი კილოს ზმნები გვხვდება მაშინ, თუ:

ა. მთავარი ან დამოკიდებული წინადადებების შემადგენლობაში თავი იჩინა ე. წ. რთულმა შემასმენელმა:

შენ იმიზე აკიცხავ სივას, რომ საქმე შენს ჰკუაზე წეიჟვანო გინდა, ე. ნინოშვი. 21,6

ბ. მთავარი წინადადება წყველა-დალოცვის ფორმულას წარმოადგენს:

თვალი დაუდგეს სიბერეს, რომ ხორცსაც აკლებს და ფერსაც უკარგავს ყოველიფერს, ა. წ. 258,4

ღმერთო, დაილოცოს¹ შენი სამართალი, რომ მაგ ერთ ბეწო ჩიტს იმოდენა უნარი მიეცი, ვაჟა. 313, ა, 18

მაგრამ საჭიროა შევნიშნოთ, რომ კავშირებითის ფორმები აქ ბრძანებითის ფუნქციით არის განოყენებული.

აქედან გამომდინარეობს, რომ მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი ქვეწყობა ზმნის კავშირებითი კილოს ფორმებს თავს არიდებს, ეს ფაქტი ანგარიშგასაწევეია კავშირებითი კილოს ფორმების გენეზისისა თუ განვითარების საკითხზე მსჯელობის დროს... მეორე ეხრივ, ქვეწყობილი წინადადების ანალიზისას, მიუხედავად იმისა, რომ კავშირი და კორელატი სიტყვა შეიძლება ჩიზეზისა იყოს, თუ დამოკიდებულ წინადადებაში კავში-

¹ მაკოამ შდრ.:

დაილოცა ღვთის სამართალი. რომ მე და შენიათანა თავმინებებულ კაცს მაგისტანა პატრონა გაუჩენს ხოლმე, ი. ჰ. II. 47,34

რებითი კილოს ზმნა გაერია, დამოკიდებული წინადადება მიზნისად იქნება მისაჩნვეი და არა მიზეზისად:

ბენიავ, წირპლიანს თვალში იმიტომ გააკოცებ, დიდი კვერი დამიკრაო, ანდ. 444

[გტოვებ] სწორედ იმიტომ, რომ სიტყვა საქმედ იქცეს, ნ. ლორთქ. I, 125,13

ამ მოგონებას არც იმიტომ ვწერ, რომ გაგართოთ, დ. შნგ. 7,23 მთავარი და დამოკიდებული წინადადების შემასმენელთა შეფარდების თვალსაზრისით საკითხი საერთოდ შესწავლილია.

გ) მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენელთა შეფარდება, ე. ი. ორი სიტყვის გარკვეული წესების მიხედვით შეხამება ქვეწყობილი წინადადების ფარგლებში, თავის მხრივ შეაპირობებს ქვეწყობილი წინადადების სინტაქსურ კონსტრუქციას მთლიანად.

ავიღოთ მაგალითად ორი ასეთი მარტივი წინადადება:

1) ხალხიც დახვედრას უპირებს [მას]

2) სამშობლო გადაარჩინოს [მან].

პირველი წინადადების ზმნა სამიერიანია (უპირებს). ამ ზმნის ფორმით არის გამოწვეული, რომ სუბიექტი სახელობითშია (ხალხი) და პირდაპირი და ირიბი ობიექტები (დახვედრას, მას)—მიცემითში. მეორე წინადადების ზმნა ორპირიანია (გადაარჩინოს), ამ ზმნის ფორმით არის გამოწვეული, რომ სუბიექტი მოთხოვითშია (მან) და ობიექტი სახელობითში (სამშობლო).

ეს ორი წინადადება შეიძლება ერთ რთულ, მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ქვეწყობილ წინადადებად წარმოვიდგინოთ:

ხალხიც დახვედრას უპირებს [მას], რომ სამშობლო გადაარჩინოს [მან] ა. წ. 284,5

მარტივ წინადადებათა ფარგლებში ცალ-ცალკე წინადადების კონსტრუქციას შემასმენელი-ზმნა შეაპირობებდა. ასეა ეს რთულ ქვეწყობილ წინადადებაშიც. მთავარი წინადადების შემასმენელი თავის სუბიექტ-ობიექტებს განაგებს ბრუნვაში. დამოკიდებულისა—თავისას, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ქვეწყობილ წინადადებაში მთლიანად მოქმედებს შემასმენელთა გარკვეული ფორმებით შეხამების წესი. კერძოდ ამ შემთხვევისათვის კი წესი ასეთია: მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ქვეწყობაში თუ მთავარი წინადადების შემასმენელი აწმყოს მწკრივის ზმნაა, მას დამოკიდებული წინადადების შემასმენელი II კავშირებითის მწკრივის ფორმით უხამდება.

აქედან გამომდინარეობს, რომ მთავარი წინადადების შემასმენელი (უპირებს) მხოლოდ თავის სუბიექტს და ობიექტებს კი არ მართავს ბრუნვაში, არამედ მისი სინტაქსური „ზემოქმედების“ ძალა იმავდროულად დამოკიდებული წინადადების შემასმენელზედაც ვრცელდება და მას უპირატესად II კავშირებითი მწკრივის ფორმით იგუბებს. ეს კი ცნობილია, თუ რაგვარ სინტაქსურ კონსტრუქციას მოითხოვს II კავშირებითში დასმული ზმნა. მაშასადამე, მთავარი წინადადების შემასმენელი მოითხოვს ბრუნვაში არა მხოლოდ მასთან შეწყობილ პირებს, არამედ გარკვეულ მწკრივში — დამოკიდებული წინადადების შემასმენელსაც და ამ უკანასკნელის საშუალებით კი დამოკიდებული წინადადების შემასმენელთან დაკავშირებულ პირებსაც.

როგორც განხილული მაგალითის მიხედვით ჩანს, სიტყვათა შორის თანმიმდევრული სინტაქსური დამოკიდებულების ხლართს მთელი ქვეწყობილი წინადადების ფარგლებში მთავარი წინადადების შემასმენელი კვანძავს და განაგებს...

სხვა მაგალითი.

რამ კავშირიანი პირობითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ქვეწყობაში როდესაც მთავარი წინადადების შემასმენელი ხოლმეობითი მწკრივის ზმნაა, მას დამოკიდებული წინადადების შემასმენელი II თურმეობითი მწკრივის ფორმით ეწყობა.

შენ რომ ჩემი დღენი გამოგველო..., შენც ეგრე ილაპარაკებდი, ი. ჭ. II, 283,30

მთავარი წინადადების შემასმენელი ბრუნვაში მართავს არა მხოლოდ მასთან დაკავშირებულ პირებს, არამედ დამოკიდებული წინადადების შემასმენელსაც მწკრივში (II თურმეობითში) და, მაშასადამე, მეორე თურმეობითთან დაკავშირებულ კონსტრუქციასაც მთლიანად...

ამ მიმართულებით საკითხი აგრეთვე ნესასწავლია. ერთი კი ნათელია, რომ ზემოთმოყვანილის ანალოგიური კანონზომიერებანი ყველა შემთხვევისათვის არ იძებნება ან იმიტომ, რომ სათანადო კანონები ენაში არ არის შემუშავებული თითოეული კერძო შემთხვევისათვის, ან იმიტომ, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენ ვერ ვაკვლევთ მათ.

საერთოდ, როცა რამ კავშირიანი გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები „ასერხებენ“ ტიპების მიხედვით გაემიჯნონ ერთმანეთს, ამ ვითარებას. როგორც ჩანს, შეაპირობებს მთავარი და დამოკიდებული წინადადებების არა მხოლოდ აზრობრივი ურთიერთმიმართება, არამედ აგრეთვე სიტყვათშეხამების გარკვეული წესები, რომლებიც მთლიანად ქვეწყობილი წინადადების ფარგლებში მოქმედებენ.

კ) როდესაც, როდისაც, როდეს, როდესაცა,
როს, როსცა, როცა, როცა რომ

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მთავართან დამაკავშირებელ მიმართებით ზმნიზედად საშუალო ქართულიდან გვხვდება როდესაც¹:

როდესაც მსაჯულმან ჰკითხოს,... მართალი უნდა თქვას, სმრთლ. 50,2

როდესაც ადამ ჰსცოდა, ღმერთმან ჯმა უყო, ქყნდ. 6,8; აგრეთვე: ერეკლე, 27,22; 27,26 და ა. შ.

პარალელურად, მაგრამ შედარებით იშვიათად იხმარება როდისაც:

როდისაც მობრძანდეთ..., თქვენც ისრე გიმსახუროთ, სიძვ. 36,15

ამრიგად მოსული, როდისაც უნდა, მამულს დაუგდებს და წავა, სმრთლ. 118,8

როდესაც ზმნიზედა შეიძლება უნაწილაკო იყოს, მაშინ მას -ც ნაწილაკის წინა ხმოვანიც ეკვეცება:

მას ჟამსა, როდეს მოგვდევით..., ვისმინეთ აჯა, სიძვ. 108,25

როდეს მთუარე საესედ იყოს, მაშინ მარჯუენა კაკალი სტკივის, სმკრნ. 59,37

მაშინ უნდა შეველა-რგება, როდეს კაცსა დაეჭირა, თმრზ. 31,16 -ცა ნაწილაკის წინ ხმოვანი მოკვეცილია მაშინაც, როდესაც -ცა სრული სახით ერთვის ზმნიზედის ფუძეს:

თმა გაირყუნების და იკლებს ზრდისაგან, როდესცა დააკლდეს ნოტიოსა ღარიზისასა, სმკრნ. 31,38

თქვა: ნეტარ მომკლა, როდესცა მაჯა ვერ მცემდეს და მარა, თმრზ. 10,25

აქა-იქ იჩენს თავს როს, ზოგჯერ მას ნაწილაკიც ერთვის:

როს შემომყრი დიდს ლაშქარსა, თავსა დიად მომაწონებ, არჩ. 32,19

როს ადამ შექმნა უფალმან -უთქვამს—იქ მიიყვანაო, თმრზ. 58,29

როსცა ან ბევრი ან ცოტა წყალი მოდიოდეს, ღურმიშხან და მოძღვრისშვილმა შუა უნდა გაიყონ წყალი, სიძვ. 70,8

...როსცა გაუყრელი ყოფილა ციციშვილი, სმრთლ. 59,6

¹ თუ ეს კორექტურული ან კალმის შეცდომა არ არის, ერთგან შეგვხვდა— როდესაც: ათი პოლკი გაზაფხულზე, რადესაც დროსა და საქმესა ეშესაბამებოდეს, მაშინ გვიბოძეთ. ერეკლე. 14,21

დროის მიმართებით ზმნიხედად გვხვდება აგრეთვე როცა:
ორსავე სამკროსა თუთო იქნების, როცა ასსა თეთრსა ჩაელასა
გაუგზავნის მეფე, გარ. 15.351

თვითონაც როცა მოუნდის, ურმის ხარებიდამ გლხეკაცს ართ-
მევედა..., ერეკლე. 27,35

როს ფუცესა და -ც ნაწილას შორის ზოგჯერ ა ხმოვანი აღდ-
გება:

როსაც ხილვა მოინდომე, თვალი მაწინ დაგიდგების, არჩ. 24,28
როცა ზმნიხედას შეიძლება დაერთოს კავშირი რომ:

როცა რომ მყავდა, მივლიდა მეტს მამაჩემი არაო, გურ. 138,9
რა შედგენილობისაა აღნიშნული ზმნიხედები?

კითხვითი ზმნიხედა როდის←რა-ოდის. რა კითხვითი ნაცვალ-
სახელია, ძველ ქართულში ოდეს ზმნიხედის პარალელურად იწვია-
თად იხმარებოდა ოდის(ა). რა-ოდის(ა)→როდის(ა)→როდისაც.

როდესაც←როდეს(ა)←რა-ოდეს(ა). მუალედური ფორმა—როდეს
კითხვითად არ გვხვდება (შდრ.: როდის ზმნიხედა), სამაგიეროდ
იგი მიმართებითად არის გამოყენებული. როდეს ფორმაზე -ცა ნა-
წილაკის დართვით არის მიღებული როდესცა. როს გამარტივე-
ბული ფორმაა როდეს(აც), როდის(აც) ზმნიხედებისა, მასზე -ცა
ნაწილაკის მიმატებით მიღებულია როსცა. ამ უკანასკნელში ფუძი-
სეული ს თანხმოვნის დაკარგვა კი გვაძლევს როცა-ს.

აღნიშნულ ზმნიხედათაგან თანამედროვე სალიტერატურ
ქართულში შემოგვრჩა—როდესაც, როცა:

საყვარელი სანახავი იყო მამაჩემი, როდესაც გუნებაზე იყო,
ა. წ. 23,36

ბალახის ნამსა ვსუტავ დილით და საღამოთი, როდესაც ნამია,
ვაჟა. 239,16

ბავშვი მხოლოდ მაშინ შეიყვარებს თავის სამშობლოს, როდე-
საც კარგად ექნება იგი გაცნობილი, გოგ. I, 19,6

როდესაც გრიგოლი მოსულა, აქ ერთადერთი მონასტერი ყო-
ფილა, კ. კეკ. 42,45

როცა სული ქლექდება, ხორცის დღეობა მაშინ არის, ი. ჭ. II,
128,32

როცა მე აღარ გეყოლები, მაშინ სიფრთხილე გმართებს, ვაჟა.
241,46

სიყვარულს სკოლა მოიპოვებს მხოლოდ მაშინ, როცა ის დგას
წმინდა პედაგოგიურ ნიადაგზე, გოგ. II, 327,3

როცა ვნახავ ალოსა, მაშინ გავლევ კალოსა, ანდ. 470

როდესაც და როცა ზმნიზედებით იწყება ყოველთვის დამოკიდებული წინადადება, რომელიც შეიძლება იყოს მთავარი წინადადების წინაც და მომდევნოდაც. კორელატად გვაქვს მაშინ, რომელიც ზოგჯერ გამოტოვებულია ხოლმე.

აქა-იქ გვხვდება რის კავშირიც:

როს შიხარ სოცელს კამარა ცის ზედ გარდეშლება, სამხრეთის ლამევ, მაშინ მიყვარს ყურება შენი, ი. ჭ. 1, 72,3

როს გხედავ, მწყდება მუსლები, ვაჟა. 8,23

თანამედროვე სალიტერატურო ქართულიათვის ბუნებრივი აღარ არის რომ კავშირის ხნარება როცა ზმნიზედის მომდევნოდ (ვნახოთ, რა ძაძას ჩაიკმენ, როცა რომ მნახვენ მკვდარსაო, ი. ჭ. 118,22).

ლ) რაგუარაცა, რაგვარადცა, რაგვარადც, როგორადც, როგორათაც, როგორაც, როგორც(ა), როგორც კი

სა შუალ ქართულში ნიმართებითი ზმნიზედა რაგუარაცა ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აკავშირებს მთავართან:

რაგუარაცა ზემო სწერია, იმ წესითა შეუწყევით, სმკრნ. 13,5
დაგიმტკიცეთ თქუენ..., თქუენთა ზეილთა და ძმათა, რა გუარაცა ამა სასისხლოსა სიგელსა და განაჩენსა ჰმართებს, სიძვ. 6,27
ეს მიმართებითი ზმნიზედა გვხვდება დროის მნიშვნელობითაც, მაგრამ შედარებით იშვიათად:

მერმე რაგუარაცა ორი დღე გამოვიდეს, ჯუნდი ბედასტარი დაზილოს, სმკრნ. 10,13

რაგუარადცა → რაგუარაცა. მეორე მხრივ, რაგუარადცა → რაგვარადცა:

ნახეს, იცნეს, რაგვარადცა ჰმართებს, აგრე გაეხარნეს, ვ. ტ. 673,2

თუ რაგვარად—ფორმას მხოლოდ -ც (ბოლოკიდური ხმოვნის გარეშე) ნაწილაკი ერთის, მის წინ აღდგება -ა ხმოვანი:

მისსა გზასა იგივე აჩვენებს, რაგვარადცა არაკთა შინა უთქვამსთ, ქილ. 359,7

როდესაც რაგვარადცა ფორმაში ვა→ო, ვიღებთ როგორადცა ზმნიზედას:

როგორადცა გამოვიდა აზარმანაკ შეკამული... თავმან თქუენმან, საზაროდ კმა იყო, დრჯ. 13,42

როგორადცა ამა ჩუენსა ნაწყალობევსა ფარვანში ეწეროს, თქუენცა ასრე გაუთავეთ, სიძვ. 109,1

ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დაყრუებით როგორადაც → როგორათაც:

როგორათაც იბაშერის წიგნში ეწეროს, იმ რიგათ თქვენთვის მოვეციცემია, სიძვ. 129,2; აგრეთვე, ქილ. 345,24

დასტურდება აგრეთვე როგორაც ზმნიზედა:

მას ეგრე მოუვა, როგორაც ერთს მელს მოუვიდაო, ქილ. 363,3
როგორაც კაცი დაესახლოს, როგორაც თვითოს, სხვასა ბეგარა ემართოს, აგრეთვე ის გამოიღებდეს, სიძვ. 21,25

როგორაც გვაძლევს როგორც ფორმას:

როგორც ქადაგა ეს მართლა, ისეც უცხონდა სულები, თმრზ. 58,8

როგორც ბატონ-ყმობაში რიგი იყოს, ისე გემსახუროთ, სიძვ. 100,18

როგორც ყმათ სდომებიათ, ისრე უსამართლებიათ და ურიგე-ბიათ, სმრთლ. 48,2

როგორც სარგებელი დაგვიწერია, იმ რიგად უნდა მისცეს, სმრთლ. 83,26

მაგალითებიდან ჩანს, რომ როგორც ზმნიზედას და მის ვარიანტებს მთავარ წინადადებაში შეიძლება აქონდეთ კორელატები — აგრე ეგრე, აგრევე, ასრე, იმა წესითა, იმ რიგად, ისრე, ისე, ისეც...

მთავარი წინადადების მიმათ დამოკიდებული წინადადების ადგილი შეზღუდული არ არის, ჩვეულებრივ კი დამოკიდებული წინადადება მთავარს წინ უსწრებს.

თანამედროვე ხალიტერატურო ქართულში აღნიშნულ მიმართებით ზმნიზედათაგან დამკვიდრდა როგორც(ა) და როგორადაც:

როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო, ანდ. 470

როგორც შემედლო, ისე დაგეხმარე, ი. ქ. 223,12

როგორც თევზს არ შეუძლია მშრალზედ ნადირობა, ისე თხუნელას ზევით მიწაზე ამოსვლაო, გოგ. II. 69,38

როგორც ხორცს სჭირია საკმელი, ისევე სულსაც უნდა თავისი საზრდო, დ. შნგ. 74,6

როგორადაც ეხერხებოდა, მოაწყო სახლი, კლდ. I, 241,17

დამოკიდებული წინადადება შეიძლება მოსდევდეს მთავარს:

ისე არა წვიმს, როგორცა ჰქუხს, ი. ქ. II, 92,20

ყოველთვის ყორითელი ისე დამხვთომია. როგორც დამიტოვებია კლდ. I, 144,36

ქართულს არ მოეპოვება თანაბრობითი ხარისხის ფორმები..., როგორც ეს არის მეგრულში, ა. შან. 143,10

კორელატებად ჩვეულებრივ გვაქვს ისე, შედარებით იშვიათად იმ რიგად (ბოლოს შევეუდგებით ამ ყვავილის სახელის ანალიზსა იმ რიგად. როგორც ეს მოუხდენია გაკვეთილის ავტორს, გოგ. II, 33,31).

როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავარს მოსდევს, კორელატი სიტყვა შეიძლება მიმართებითი ზმნიზედის უშუალო მეზობლობაში მოექცეს:

იშვიათი თხზულება უთარგმნია მას ისე, როგორც ის დედანშია წარმოდგენილი, კ. კეკ. 123,23

არავითარი ფორმალური კეშმარიტება არ არსებობს ისევე, როგორც არ არსებობს კეშმარიტების ფორმალური საზომი, კ. ბაქრ. 54,8

როგორც ზმნიზედის დიალექტური ფორმები—რავარც, რავარცხა. რავაც მხატვრული ლიტერატურის ენაში შეიძლება შეგვხვდეს (აერსონაჟთა მეტყველებაში):

ვიცხოვრებთ ისე. რავარც გვიცხოვრია, კლდ. I, 120,19

რავარცხა იქნას, მონახე და დაბიჭირე, კლდ. I. 171,32

რავაც მე მინდა, ისე შეიქეციოთ, ნ. ლორთქ. I, 289,38

თანამედროვე ქართულის ყველა ზემოთმოყვანილ მაგალითებში როგორც ზმნიზედა ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აკავშირებს მთავართან.

როგორც და როგორც კი შეიძლება დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აკავშირებდეს მთავართან:

როგორც ბარგს გადმოვიტან, იმ დღესვე მოგცემ დანაშთენ ოთხ თუმანსაც, ა. წ. 136,8

როგორც ევილებ სამაშვლოს, იმწამსვე შენთან გამოვწევ. კლდ. I, 49,34

როგორც დროს დაისელთებდა, დადგებოდა ხიდზე, ნ. ლორთქ. I, 335,10

როგორც კი ინათლა, მამალმა... ჩამოფრენა დააპირა, ვაჟა. 297, ბ, 10

როგორც კი ვცდით, ქცევას ამ განცდის გარეშე შევხედოთ, იგი იმწამსვე ცალკეულ მოძრაობათა თანმიმდევრობად მოგვევლინება, დ. უზნ. 6,41

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ტიპზე აქ გვანიშნებს დროის აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებიც შეიძლება დაჰოკიდებულ წინადადებაშიც გვექონდეს (როგორც კი შეიქნებოდა შუადღე..., მამაჩემი მაშინვე სადილად დაჯდებოდა, ა. წ. 22,25)

და მთავარშიც (როგორც ბარგს გადმოვიტან, იმ დღესვე მოგცემ დანაშთენ ოთხ თუმანსაც, ა. წ. 136.8).

კორელატებად შეიძლება შეგვხვდეს მაშინვე, იმწამსვე...

მ) რახან, რახანც

რახან მიმართებითი ზმნიზება საშუალქართულში იჩენს თავს:

რახან სცდეს, გემო იხილოს მის სინწარისა მოდისა, არჩ. 25,3
რახან ის კაცი მოვიდეს, ველარც მოვალედა წაედაოს, სმრთლ. 84,25

იგი გვხვდება -ც(ა) ნაწილაკდართულიც:

რახანც ჩემს ვალს ველარ აუდეგ, ჩემი კერძიც თქუენ მოგყიდე, სიძვ. 71,7

რახანცა კეთილგონებიანი კაცი მოინებებს და მას მორეცს განვლის, მას ლომსა აიხვამს დაამას მთასა ზედა აღმოიტანს, ქილ. 358,16

ამ ზმნიზედის შედგენილობა მარტივია: რა-ხან. ხან აქ „ხან“-ს, „დროს“- ნიშნავს; მაშასადამე, თავდაპირველად რახან ზმნიზება დროის აღმნიშვნელი ყოფილა, მას „როცა, როდესაც“ ზმნიზედის სინონიმური მნიშვნელობა ჰქონია¹. ამ წინადადებაში, მაგალითად, — რახან ის კაცი მოვიდეს, ველარცა წაედაოს, სმრთლ. 84,25, — რახან ზმნიზედის მნიშვნელობაა „როცა, როდესაც“ („როცა ის კაცი მოვა, ველარც მოვალე წაედავება“). საშუალ ქართულშივე იძენს ის მიზეზის ზმნიზედის მნიშვნელობას, ზოგჯერ კი ძნელი გასარჩევიც არის რა ფუნქციითაა ის ნახმარი წინადადებაში — დროისა თუ მიზეზის ფუნქციით.

თანამედროვე სალიტერატურულ ქართულში რახან უფრო მიზეზის მნიშვნელობის მატარებელია:

ახლა რახან ნამდვილი და გამოვიჩნდა, ჩვენი დაძმობილება აღარაფერი საჭიროაო, ა. წ. 123,22

¹ ხევსურულში ახლაც შემონახულია ამ ზმნიზედის პირველადი ფორმაც და მნიშვნელობაც:

ერეკლე ბატონიშვილი გმირია წინის უმისაო... რახანა ოში შევიდეს, მეტისმეტ მამაციოა, 22

რახან მავიდას ზაფხული, გაბერტყა იცი ნამისა, 57

ქალი არ ვარგა ქურდ-ბოზვი, ვაჟი სოფელ-კართ მკეხბარი, რახან გაკიროდას, დადგების, როგორც უღელში მკლე ქარი, 126: აქ რახანსა || რახან = „როცა“, მაგრამ ქვემოთ მოყვანილ მაგალითში უკვე მიზეზისაა — „რადგან“:

ბრძანებას მალედ გისარულეებ, რახანც თქვენ მიგიქარავთა, 231

მაგალითები მოგვეყვას ა. შანიძის „ხევსურული პოეზიის“ მიხედვით.

ჩახან ჩვენ მართლა შენი შეილება ეყოფილვართ, მოდი ყური დაგვიგდე, დ. შნგ. 28,23

ნ) სანამ, სანამდის, სანამღი

სანამ მიმართებით ზმნიზედასაც საშუალქართულში აქვს დასაბამი, იგი დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აკავშირებს მთავართან:

მოვისვენებ სანამდის ვერ, სანამ ლეკზე ჯავრს არ ვიყრი, გურ. 65,16

სანამდის მოგართმევდით, ის კაცი ჩვენს ხელში მოკლა (sic), სიძვ. 76,22

სანამდის ის სიბრძნეს იწურთიდა..., მანამდის მის მღუღელობაც მტკიცედ იყო, ჰყნდ. 17,14

თანამედროვე ქართულში სანამ ზმნიზედიანი ქვეწყობილი წინადადებები უფრო მოხშირდა:

სანამ ზეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო, ანდ. 471

სანამ ვაქეცობის დრო იყო, ქართველებისთანა სახელი ძვირად ვისმე უნახავს, ა. წ. 266,22

სანამ სმალი მოვიდოდა, ენამ სისხლი დაღვარაო, ანდ. 471

ორივე ჩაჩუმდა, სანამ ახალ სალაპარაკო საგანს მიაგნებდნენ, კლდ. I, 157,4

სანამ დანიშნულს ალავს მივიდოდა, ოცამდინ ბიჭი შეიყარნენ, ყაზ. I, 104,26

სანამ უფროსი მე ვარ, ვერ დავანგრევე ოჯახს, ნ. ლორთქ. I, 142,1

სანამ დაკვირვების წარმოების დაწყებას მოვასწრებდეთ, ფსიქიკურ ფაქტს თავისი განვითარების განსაზღვრული გზა უკვე აქვს განვლილი, დ. უზნ. 14,2

სანამღი სოფელში ვიზრდებოდი, სრულიად ბედნიერიც ვიყავი, ა. წ. 14,29

სანამღი ჩვენ ცოცხალი ვიქნებით, არ შეიძლება იგი რამემ მოკლას, ე. ნინოშვ. 5,37

სანამდის არ აგრილდება, კარში არ გაგიშვებთ, ა. წ. 19,35

დამოკიდებული წინადადების ადგილი თითქოს თავისუფალია, ჩვეულებრივ კი იგი მთავარი წინადადების მომდევნოდ გვხვდება. კორელატებად სანამ ზმნიზედას შეიძლება ჰქონდეს მანამ || მანამ-დე || მანამდის || აქამღი...

ჩოხის კალთაში ჩავაფრინდები და მანამ არ მოვეშვები, სანამ გვერდით არ მოვისვამ, დ. შნგ. 6,23

მანამ ვერ დაისვენა, სანამ ცრემლებად არ ჩამოედინა... სულის მღელვარება, ყაზ. I, 166,2

სანამ მოეკვდებოდე, მანამდე მაინც კიდევ ვეცდები, ა. წ. 105.1

სანამ გაგსაენილები სიმართლეს არ მოგვიტანენ, მანამდღის ჯარს ნურც კი ვაფუშვებთ, ყაზ. I, 111,1

აქამდე უნდა მოექრა კორინთელისათვის ენა, სანამ იტყოდა რასმე, ა. წ. 175,30

მე-19 საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსული მწერლების ენაში სისტემურად გვხვდება მანამ || მინამ მიწართებითი ზმნიწედის—სანამ-ის ნაცვლად:

მანამ დედა ცოცხალი მყვანდა, სულ ალერსში ვცვანდი, ვაჟა. 239, ა. 11

მანამ ეს მოსდებოდა, თთარაანთ ქვრივი თითქო ლონეზე მოვიდაო, ი. ქ. II, 307,5

ადამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, ი. ქ. II. 285,11

მინამ ბულბული არ გაათავებდა გალობას, საბრალო დედაშენი სმენად ცყო გადაქცეული, ვაჟა. 313, ა. 13

კორელატად შეიძლება ამავე ფუძის სიტყვა შეგვხვდეს: მანამ მწყურები ბულობენ, მინამდინ მონადირეს ხელთა ჰყავს მიმინო, ი. ქ. II, 78,9

თანამედროვე სალიტერატურო ქართულ მანამ || მინამ ზმნიწედებს მიმართებითი ფუნქციით ვერ იგუებს.

ო) რარიგადაცა, რარიგადაც

საშუალ ქართულში გვაქვს მიმართებითი ზმნიწედა -- რარიგადაცა, რომელიც ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აკავშირებს მთავართან:

რარიგადაცა გაენათის საყდრის ძველს იადგარსა და გვიჯარშიგან სწერია, ისრე დაეურეებოდეს, სიძე. 19.7

გვხვდება თანამედროვე ქართულშიც—რარიგადაც. ჩვენს მასალებში სათანადო მაგალითები არ აღმოჩნდა.

პ) ვინიცობა არის, ვინიცობაა

ვინიცობა არის... ჩვენს ქვეყანაში მტერი შემოვიდეს, ერთმანერთს მსწრაფლად ჯარით მივეშველნეთ, ერეკლე. 95,14

ვინიცობა არის, ვინიცობაა პირობითი დამოკიდებული წინადადების კავშირებია, გვხვდება თანამედროვე ქართულშიც:

წინა კაცს უკან მომდევარი იმისთვის უყურებს, რომ, ვინცობაა წინამ ფეხი წამოჰკრას..., უკანამ ნახოს, ი. ჯ. III, 12,16

ვინცობაა საჭირო შეიქნეს, მე უნდა მოვზორდე ჩემს მშობლებს და გავიდე ხალხში, ე. ნინოშე. 32,14

უფრო ხშირად კი „ვინცობაა“ თუ კავშირთან ერთად იხმარება:

თუ ვინცობაა, ჩემი სიტყვები გამართლდეს, ნუ დაგავიწყდები, ა. წ. 119,1

თუ ვინცობაა ვეკილობამ მისუსტა, უსათუოდ მაშვლად ვივლი, კლდ. I, 226,30

ე) თითქო, თითქოს

თანამედროვე ქართულში ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირის ფუნქციას კისრულობს ნაწილაკი თითქო || თითქო:

ის ცხონებული ისე შეეჭიდებოდა საქმეს, თითქო ღრეობასა და ლხინშიაო, ი. ჯ. II, 263,12

ისე წამოდგა, თითქო წუხელი სიზმარიც არ ენახოსო, ა. წ. 113,39

თავიდან ფეხებამდინ ისე დაუწყეს სინჯვა, თითქოს ადამიანს პირველად ჰხედავდნენ, ყაზ. I, 17,7

მოყვანილ მაგალითებში კორელატად გვაქვს ისე ზმნიზება. სხვა შემთხვევებში კორელატებად შეიძლება შეგვხვდეს: იმნაირად, ისეთნაირად, ისეთგვარად, ესოდენ.. :

[მასპინძელს] გული იმნაირად მოსდიოდა, თითქოს მართლაც სჯეროდა ყოველივე, დ. ნგ. 98,27

ისეთნაირად ქვითინებდნენ სიმები, თითქოს ქვეყნის ტანჯვა უნდოდათ ნემსის კუნწში გაეძვრინათ, ა. წ. 179,6

[მზე] თითქმის ჩაიშალა დასაეღეთში ისეთგვარად, თითქო ზღვაში ჩაიყვინთაო, ე. ნინოშე. 89,15

მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი, თითქო მათშიგან ჩასახლებულა თვით სათნოება, კდემით მოსილი, ი. ჯ. I, 208,13

კორელატები შეიძლება არ გვექონდეს:

იმისი თვალები მოუსვენრად დაჰყურებდნენ მტკვრის დენასა, თითქო უკანასკნელი საუნჯე იქ ელუებოაო, ი. ჯ. II, 69,24

მხოლოდ გულს კი გაჰქონდა ბაგა-ბუგი, თითქოს გულზე ბამბას მაპენტავდნენ, ა. წ. 201,40

კავშირი ყოველთვის დამოკიდებული წინადადების თავშია, დამოკიდებული წინადადება მთავარს მოსდევს.

რ) ჩამდენადაც, ჩამდენჯერაც

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ერთი მაკავშირებელი სიტყვათაგანია ჩამდენადაც:

ჩამდენადაც ჩემს ფიცსად ვფიქრობდი, იმდენად ვიტანჯებოდი, ი. ჭ. II, 113,24

ჩამდენადაც მოესერხებოდა, მისკენ ახლოს მიიწია, კლდ. I, 141,10

ისიც სარგებლობდა, ჩამდენადაც ენის უცოდნელობა ნებას აძლევდა, ყაზ. I, 18,23

აზროვნებას სწავლობს დიალექტიკაც, ჩამდენადაც ის არის მეცნიერება... აზროვნების განვითარების კანონების შესახებაც, კ. ბაქრ. 67,13

დამოკიდებული წინადადების ადგილი თავისუფალი ჩანს. იგი შეიძლება შეგვხვდეს მთავარი წინადადების წინაც და მომდევნოდაც. მიმართებითი ზმნიწედა ყოველთვის დამოკიდებული წინადადების თავშია. მთავარი წინადადების შემასმენელს შეიძლება ჰქონდეს მსაზღვრელად ზმნიწედა იმდენად, მით უფრო:

ჩამდენადაც გონიერული იქნება მისი შრომა, ჩამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის, ვაჟა. 337, ა, 28

ჯღუნამა და იმისმა ცოლმა დაამშვიდეს ნუნუ, ჩამდენადაც კი იმის დამშვიდება შეიძლებოდა, ყაზ. I, 289,16

იმდენად უსაქმელობა არ აწუხებდა, ჩამდენადაც უსმელ-უწყლობა, კლდ. I, 329,13

იმდენად სწამდა საქართველო მხოლოდ, ჩამდენადაც საქირო და გამოსადეგი იყო მისთვის და მისიანებისათვის, ა. წ. 80,7

ჩამდენადაც დიდი ნიქის პატრონია მწერალი, მით უფრო მჭიდროდ არის იგი დაკავშირებული ცხოვრებასთან, ვაჟა. 341, ა, 11

იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს მიმართებითი ზმნიწედა -ც ნაწილაკის გარეშე. ასეთ შემთხვევაში ვითარებითი ბრუნვის ფორმა უემფატიკურია:

ახლა სძულდა, ეზიზღებოდა იმდენად, ჩამდენად წინათ უყვარდა, კლდ. I, 99,24

ლექსის სტრიქონის ზომის დასაცავად ერთგან ილია ამ ემფატიკურ ა-ს აკლებს, ისე კი რომ -ც ნაწილაკი დაცულია:

მაგრამ ჩამდენადც მშვენიერი ხარ,

იმდენად უფრო მიყვდება გული, ი. ჭ. I, 110,3

რამდენადაც ზმნიხედის სახეობანი—რამოდენადაც, რავდენა-
დაც თანამედროვე ქართულში იშვიათად გვხვდება:

არა კაცი იმოდენა სიკეთეს არ მოგცემს, რამოდენადაც შენის
ვალის აღსრულება, ი. ქ. II, 54,24

რამოდენადაც სურათია კარგი, ორ იმოდენად საძაგელია ნამ-
დვილი, ი. ქ. II, 7,8

რამდენადაც უფრო მომეტებული რიცხვი ამ გვარი განათლე-
ბული პირებისა ურევია საზოგადოებაში, იმდენად ეს საზოგადოება
უფრო მეტს მოძრაობას... იჩენს, გოგ. II, 34,13

ზოგჯერ რამდენადაც ზმნიხედით გადმოცემული მნიშვნელობა
მიზეზისას უახლოვდება:

რამდენადაც ისინი გახდნენ ანტიკური ფილოსოფიის დამცვე-
ლად, მის გადასმეგლად და გამაერცელებლად ევროპულ ქვეყნებში,
რამდენადაც ისინი გვევლინებიან როგორც აქტიური მოქმედნი
მეცნიერებისა და ცოდნის სხვა დარგებში..., ამდენად მათთან
ურთიერთობას გარკვეული როლი უნდა ეთამაშნა ქართული კულ-
ტურის ისტორიაშიც, ქ. ქეკ. 30,1

რამდენადაც პ ბგერის წარმოთქმისას ხორხში ნაპრალი ღიაა
და შემდეგ პაერის ამომდინარეობას არსად დაბრკოლება არა აქვს,
მას ხმოვნის ნიშნები აქვს, ა. შან. 16,6

ქართულ მწერლობას თექვსმეტსაუკუნოვანი ისტორია მაინც
აქვს, რამდენადაც ლიტერატურული ძეგლები ჩვენ უკვე მეხუთე
საუკუნიდან მოგვეუბოვება, ქ. ქეკ. 9,14

მიმართებით ზმნიხედად გვხვდება აგრეთვე რამდენჯერაც:

რამდენჯერაც მის ახლო გავლა მომიხდება, ზედ მუდამ კოდა-
ლასა ვხედავ, ვაჟა. 267, ა, 3

ღედა ტრედი, რამდენჯერაც დაისვენებდნენ, ან რამდენჯერაც
გაემართებოდნენ [ღედა-შვილი], თავის ბუდეს იგონებდა, ვაჟა.
276, ბ, 16

კორელატად შეიძლება გვექონდეს იმდენჯერ, რომელიც ხშირად
გამოტოვებულია.

**„ცნობიერება წრის“ ზმნების შემცველი რთული
წინადადებები**

ძველ ქართულში შეიმჩნევა ერთი ჯგუფი ზმნებისა, რომლებიც ადამიანის ცნობიერების რომელიმე მხარეს „ასახავენ“. თუმცა მათი ზუსტი კლასიფიკაცია ფსიქიკურ რომელობათა მიხედვით ქირს (ეს არც შეადგენს ჩვენს მიზანს), მაგრამ მათი გამოყოფა სხვა ზმნათაგან საჭიროა, რადგან ამ ჯგუფის ზმნათა მონაწილეობა წინადადებაში სპეციფიკურ სინტაქსურ კონსტრუქციას იძლევა.

ამ ზმნებს პირობითად „ცნობიერება წრის“ ზმნები შეიძლება ვუწოდოთ. მათი ხშირი ხმარების გამო, ამ ჯგუფის ზმნათაგან ძირითადია ზმნები „მეტყველება წრისა“: ჰრკჟუა (ეტყვს), თქუა (იტყვს), აღუთქუა, უთხრა, მიუფო, ჰკითხა, ახარა, აღიარა, აუწყა, უბრძანა, წამა, შეუთუალა და ა. შ.

სხვა ზმნათაგან „ცნობიერება წრის“ ზმნებში ვაერთიანებთ: იცის, უწყის, ცნა, გულისჯმა-ყო, ესმა, იხილა (ხედავს), განიზრახა, ჰრწმენა, მოეცხენა... და შედარებით იშვიათად ხმარებულ¹ — აგრძნა, ჰგონებს, დამიჯერებინებს, ხუესავთ, ვისწავთ, მიკვრს, აღმოგიკითხავს, ვნებავს, დაგუაფიწყდა, ვიგონებ და ა. შ.— ზმნებს.

როდესაც ამ დასახელებული ჯგუფის ზმნათაგან რომელიმე მთავარი წინადადების შემადგენლობაშია, დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების მომდევნოდ ექცევა.

ეს დამოკიდებული წინადადება მთავარს შეიძლება დაუკავშირდეს კავშირებით:

ა) ვითარმედ (მნიშვნელობით „რომ“, „ასე“):

და ჰრკჟუეს მოსეს, ვითარმედ: არა იყო ეგვბატეს საფლავები... გამოსლე. 14,11

იტყვ ვ²დ: არა ვარ ცროვ და მზაკოვვარ, ბოლნ. 53,11

თქუან, ვითარმედ: ცოლი მისი არს ესე, დაბ. 12,12

რად არა მითხარ მე, ვითარმედ ცოლი შენი არს? დაბ. 12,18

¹ შედარებით იშვიათად ხმარებულ ზმნებს (კონსტრუქციაში, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი) ვაჩვენებთ იმავე პირობა თუ ნწყრივის ფორმებში, რომლებშიც ისინი ჩვეულებრივ გვხვდება.

დედოფალმან მიუგო, ვითარმედ: „წმიდაო მამაო... ლმერთმან მოაგოს სულსა შენსა“, ცხრ. 18,3

ჰკითხა მას მანცა, ვითარმედ რომელი არს პირველი მცნებაჲ, მრკ. 12,28

ჯდ ახარა ჰრამს მაგდანელსა მთაერ ანგლზმან, ვდ: „აღდგა ონი“, ბოლნ. 31,8

ალიარა, ვითარმედ: მე არა ვარ ქრისტე, ი. 1,20

და აუწყებდა ნათესავთა და მეცნიერთა თუსთა... ვდ: შობად უც მას ყრმაჲ წული, კიმ. I, 218,14

უბრძანა მანამან იოვანე შეილსა თუსსა ეფთჳმეს, ვითარმედ: წარიყვანენ ძმანი და წარვედით ეკლესიასა, ცხრ. 55,2

ზემოთმოყვანილ მაგალითებში მთავარი წინადადების შემასმენელთაგან თითოეული „მეტყველება წრის“ ზმნაა. როდესაც მთავარ წინადადებაში შემასმენლად „მეტყველება წრის“ ზმნა გვაქვს, დამოკიდებულ წინადადებაში არაიშვიათად თავს იჩენს სხვათა სიტყვის -თ, რომელიც ჩვეულებრივ დამოკიდებული წინადადების შემასმენელს ერთვის¹.

იტყუხ, ვითარმედ მე ქრისტიანი ვარო, ეესტ. 162,8

ამისთუს იტყუხ, ვდ „ვენახი ჩემი ვერ დავიცე“-თ, იპლტ. 5,21

მრავალნი იტყოდნცა, ვითარმედ მოკუდაო, მრკ. 9,26

იტყოდა, ვითარმედ... „შეუძლებელ არს ესე ჩემგანო“, მთწმ. 294.16

იტყოდეს, ვდ არა აღდგებიანო გუამნი ჩნნი მერმესა მას აღდგომასა, კიმ. I, 126,37

არა თქუა, ვითარმედ: დავასოვლე, არამედ დავბანეო, მრხეთ. 6,25

ჰურიანი ეგრე იტყოდეს, ვითარმედ: ქრისტე არა აღდგომილ არსო, არამედ მოწაფეთა მისთა წარიიარეს იგიო, მრხეთ. 111,10

მთავარი წინადადების შემასმენლად გვხვდება „ცნობიერება წრის“ სხვა ზმნებიც:

უწყოდა, ვითარმედ, შურით მისცეს იგი, მ. 27,18

ცნა, ვითარმედ მთაწმიდას არს, ცხრ. 13

¹ ძველ ქართულში ჯერ კიდევ იშვიათად იხმარება -მეთჳი და -თქუა (-თქო) ნაწილაკები: ჰ მონაო ბოროტო, ნუუჳე შენისა მონაგებისაგან მიუტეობდ რასა; ანუ არა რომელი ჩემი იყო შენ ზედა, მისგანი გიბრძანე, რაათა დანი-თუალო? გარქუ-მეთჳი, მიუტევე, და მე მოგიტევენე, მრხეთ 43,12

და უკუეთუ კუალად გრქუას შენ, ვითარმედ: მე გუამსა შეერთებულ ვარ და მმოსიან ვოროცნი და სოფელსა შინა მკვდრ ვარი და ქუეყანასა ზედა ვიქცევი, და ამის გამო ვერ შემძლებელ ვარი ძლევად მისა, მირუვე და არქუ მას: ესე ყოველი მიხეხი არს-თქუა, მრხეთ. 103,24

და გულისწყმა-ყო, ვ'ლ მოძღოჯარსა მისსა მოოჯკლავს იგი, საბა. 8,29

აგრძნა, ვითარმედ არა უტევებენ ნებისაებრ მისისა, ზარ. ზმ. 178,33

ესმა მათ ქუეყანასა მოაბისასა, ვითარმედ მოაბედა უფალმან ერსა თუსსა, რუთ. 1,6

იხილა, ვითარმედ განმწუნა სელომ, დაბ. 38,14

ხელავთ, ვითარმედ მრავალსა საფასესა წარუვაგებთ, მრხეთ. 48,10

გრწამსა, ვითარმედ ძალ-მიც ესე ყოფად? მ. 9,28

მეცა ქრისტემან მარწმუნა შენთუს, ვითარმედ მიილო გვრგვნი მოწამებისაჲ, კიმ. 11, 81,14

ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მე შეგასმინნე თქუენ მამასა, ი. 5,45

ჩუენ ზუესავთ, ვითარმედ იგია, რომელმან იქსნეს ისრაჲლი, ხნმტ. 060,23

მოჯუნა მოწაფეთა მისი, ვითარმედ ესე არს, რომელსა-იგი იტყოდა, ი. 2,22 C

განიზრახეს, ვითარმედ: „ჩუენი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არაეინ არს“, ცხრ. 16,1

მე დამიჯერებოეს, ვითარმედ ესრე სწავლის ღმერთმან, მრელთ. 298,21

არა-მე აღმოგიკითხავსა, ვითარმედ: პირითა ჩჩულთა მწოვართათა დაამტკიცე ქებაჲ? მ. 21,16 C და ა. შ.

ბ) ვითარმცა (მნიშვნელობით „რომ“):

არცა-ლა ვჰგონებ. ვითარმცა სოფელმან ამან დიტია აღწერილი წიგნები, ი. 21,25

ჰგონებდა იგი, ვითარმცა შიშითა სიკუდილისათა განმაშორა მე სიყუარულსა უფლისა ჩემისა, ჰაბო. 72,1

გ) რამეთუ (მნიშვნელობით „რომ“):

თქუა, რამეთუ: უფალმან ისმინა, დაბ. 29,33

ვიდრემდე გრჩუა შენ, რამეთუ ეგერა მოდიებად ვალს ჰეროდე, მ. 2,13

ხოლო ერთი ესე ვიცო, რამეთუ ბრმაჲ ვიყავ და აწ ვხედავ, ი. 9,25

უწყო, რამეთუ დედაკაცი პირშუენიერი ხარ, დაბ. 12,11

მაშინ სცნა, რამეთუ მოღუაწება არს შენდა სახლსა შენსა, იობ. 5,24

ესმა აბრაჰამს, რამეთუ წარიტყუნა ლოტ, დაბ. 14,14

ხოლო იესუ გულისწყმა-ყო სულითა, რამეთუ ესრე ზრახვენ გულთა მათთა, მრკ. 2,8

და იხილა, რამეთუ შეწუხნა იგი, ცხრ. 79,6
ვჰხედავ, რამეთუ სიტყუანნი შენნი საქმე არიან, ზარზმ. 164,7
არასადა აღმოგიკითხავსა, რამეთუ პირისაგან ჩხვლთა მწოვარ-
თაჲსა დაემტკიცოს ქებაჲ? მ. 21,16 და ა. შ.

დ) რ ო მ ე ლ (მნიშვნელობით „რომ“):

აწ უბრძანე, რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს, ხანძთ. 68,70
და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმაღლებია შენდა, ცხრ. 47,1
უწყობ უფალმან, რომელ სწორად სიკუდილისა მძიმე არს ესე
საქმე ჩემ ზედა, ცხრ. 19,2

ე) თ უ (მნიშვნელობით „რომ“) ¹

ნუ იტყუ, თუ კაცთა ვამსახურებ, ცხრ. 70,6
შევიანემცა და ვთქოვ, თოჯ ცთომით ვქმენ, კიმ. I, 73,34
და თუმცა უწყოდა, თუ მ'ვძღ და კრძალულ ვარ... მრელთ.
263,15

და ვჰვინებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს, ცხრ. 47,2
წმიდანო მამანო, ვინაგთვან გიხილენით თქუენ, დაგუავიწყდა
მებრ, თუ ქუეყინასა ზედა ვართ, ხანძთ. ლბ, 40

ვ) თ უ + კ ი თ ხ ვ ი თ ი ² ნაცვალსახელები და ზმნიზედები

თუ + რომელი:

გვთხარდა პირველად შენ პანსოფი, თუ რ'ლსა ღ'თსა ესავ,
კიმ. I, 50,3

და მყის წარმოუთხრა პირველითვან ვიდრე მუნ ეამადმდე, თუ
რომლისა მიზეზისთჳს მოიწინეს ადგილსა მას, ზარზმ. 155,9

მე ვიცი, თუ რომლისა პირისათჳს მივმოებენ, ცხრ. 17,2

ვერ გოვლის-ხმა ჰყოფდა, თოჯ რ'ლთა სიტყ'ა დაამტკიცოს,
კიმ. I, 63,3

ვიგონებ, თუ რ'ლსა ადგილსა წარვიდე, საბა. 15,31

თუ + რაოდენი:

აწ იხილეთ და, ძმანო, თოჯ რავდენი კეთილი მოიწევის ჩ'ნ ზ'ა,
ბოლნ. 50,3

გვთხრა, ვ'რ მოისრნეს მამანი... გინა თოჯ რავდენი მოისრა
მათგანი, კიმ. I, 31,21

თუ + ვინ:

გვთხრა შენ, თუ ვინ არიან სანატრელნი იგი, კიმ. I, 53,9

¹ რომელ და თუ კავშირები (მნიშვნელობით „რომ“) უფრო ნოვეიანო ძეგ-
ლებში და საკმაოდ იშვიათად გვხვდება.

² ამ კონსტრუქციაში აღნიშნულ ნაცვალსახელებს შეიძლება კითხვითი
შინაარსი ჰქონდეთ.

მესამესა დღესა იწყო დიდმან მიქელ და გამოჰკითხა წარმართებად და ვითარებად ადგილისა მის, ანუ თუ ვინ იყო თანა-შემწე და მოღუაწე მათდა, ზარზმ. 168,27

გულისტვა-ყავ, თუ ვინ არს, რომელმან-იგი დასაბამი მისცა მას, ექუს. 3,28

არა განვეშორო ამიერ ადგილით, ვე არა ვცნა, თუ ვიეთ მოინადირეს მეუღლე იგი ჩემი, კიმ. I, 162,25

თუ+რად:

ვიხილო, თუ რად მიზეზი არს, კიმ. I, 209,12

აწ არაა უწყი, თუ რად ვყო, სანბთ. ნე, 33

არა აღვდგე ამიერ ადგილით, ვე არა ვცნა, თუ რად შეემთხვა ძესა ჩემსა, კიმ. I, 162,23

მნებავს უკუე, რა მუწყო, თუ რამნ მოკლა ვეშაპი იგი საშინელი, საბა. 8,37

მიკვრს, თოვ რადხათვს მკითხავთ, კიმ. I, 78,33

და გუკითხვიდა კაცი იგი, თუ რად გკემს უგზოთა და უვალთა ადგილთა სლვაჲ, ზარზმ. 160,3

თუ+ხადა:

ოკკოვეთოვ ვინმე ოწყუოდით, თუ ხადა არს იგი, გვთხართ ჩნ, ბოლნ. 78,8

ორ, გამოგვცხადე კაცი იგი ღა, თუ ხადა არს, კიმ. I, 163,31

თუ+ვინაჲ:

და უკთუ გინებს, ვიტყვადი, თუ ვინაჲ გამოჩნდა საცთური იგი, კიმ. I, 50,23

მაუწყე სახლისა და ტომისა შენისაჲ, თუ ვინაჲ ხარ შენ, კიმ. I, 49,3

აჲა გაუწყე თქუენ დასაბამი ღთთა თქნთაჲ და თუ ვინაჲ გამოჩნდეს იგინი, კიმ. I, 52,12

უწყი, თუ ვინაჲ იყო, კიმ. I, 249,34

თუ+ვითარ:

და არა ოწყვი, თოვ ვრ ვყო, კიმ. I, 183,23

არა მიხილავს იგი, ვრმცა შეკითხა, თოვ ვრ იყო ესე, კიმ. I, 181,5

ნიკვრს უკუე, თუ ვითარ არა იელტიან თვთ იგინი, ექუს. 20,1

რათა ზედამიწვენით ცნას, თუ ვითარ იქმნა შენებაჲ ზეციით-უწყებულისა მის ადგილისაჲ, ზარზმ. 168,20

როგორც ზემოთნოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, თუ კავშირის მომდევნოდ შეიძლება შეგვხვდეს კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები. რომლებიც მიმართებითადაც იხმარებიან. მაგრამ თუ-ს

მომდევნოდ შეიძლება შეგვხვდეს ნაცვალსახელები, რომლებიც ძველ ქართულში მიმართებითად არ ჩანან:

თუ + რაბამი:

აწ გოჯლიხ-ხმა ვყოთ, მლდელთ-მოდლოჯარნო, თოჯ რაბამსა ბოროტსა მიიწვევის საქმს ესე, კიმ. I, 79,35

თუ + ვითარი:

დასასრულს თბრობისასა გულისხმა-ჰყოთ, თუ ვითარი ტკბილი და შუენიერი დამწიფდა ტვეანი მათისა მის მოძღურებისა ნამუ-შაქვეთაჲ. ზარზმ. 150,13

ამიერითგან მოვიჯსენოთ. თუ ვითარსა მადლსა ღირს ქმნილ იყო წინაჲსწარმეტყუელებისასა, ზარზმ. 177,34

უნდა აღინიშნოს, რომ თუ კითხვითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების წინ ძველ ტექსტებში შედარებით იშვიათად გვხვდება. იქ დამოკიდებული წინადადება მთავარს ჩვეულებრივ თუ-ს გარეშე უკავშირდება¹.

ზ) კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები — ძი:

ვ. თოფურიას გარკვეული აქვს, რომ „თავისი ადგილმდებარეობითა და ფუნქციით ძი სხვა არაფერია. თუ არ დამოკიდებული წინადადების კავშირი თუ. ამის შესაბამისად ვინძი გადმოითარგმნება, როგორც თუ ვინ, რაძი—თუ რა, ვითარძი—თუ ვითარ, თუ როგორ...“².

ამ მოსაზრების სასარგებლოდ ჩვენ მხოლოდ ის უნდა დავეშაუტოთ, რომ ძი თავს იჩენს ხშირად სწორედ იმ კონსტრუქციაში, რომელშიც თუ გვხვდება: ეს არის „ცნობიერება წრის“ ზმნების შემცველ წინადადებათა ქვეწყობა:

და ვხედვედ დანაკის-კოჯდისა მის რტოჯსა გამომართ, ოდესძი მოვიდენ, კიმ. I, 40,31.

და იწულჯიდეს, რომელსა-ძი ქუაბსა იყოფის რუბაჯსასა, კიმ. II, 148,10

წარვედ და იკითხენ ძმანი შენნი, ვითარ-ძი ცოცხლებით არიან, დაბ. 37,14

¹ თუ „ცნობიერება წრის“ ზმნათა სემანტიკასთან არის ორგანულ კავშირში. ეს თუნდაც იქიდან ჩანს. რომ მორფოლოგიურად ამავე ტიპის. მაგრამ სემანტიკურად არა „ცნობიერება წრის“ ზმნათა მომდევნოდ მისი ბმარება შეუძლებელია და ძველმა ქართულმა ასეთი შემთხვევები არც იცის: „... ალაშენა, თუ... მოკლა, თუ... და ა. შ. (შდრ.: თქუა, თუ... გულისკვა-ყო, თუ...)

² ვ. თოფურიას, ძი ნაწილაკი ქართულში, ენიმკის შოაქბე, ტ. XIV, 1944, გვ. 174—5

და ვიხილოთ, რაა-ძი იყოს ჩუენებად იგი მისი, დაბ. 37,20

და ახედვიდა დად მისი შორით, რაათა იხილოს. რაა-ძი შეემ-
თხვოს მას, გამოსლვ. 2,4

ზოგჯერ -ცნობიერება წრის“, ზმნა ვითარებითში (ან სასელო-
ბითნი) დასმულ საწყისად წარმოგვიდგება. მთავარ წინადადებას
ასეთ შემთხვევებში შენასმენლად სხვა პირიანი ზმნა აქვს:

გამოვიდეს ხილვად, რაა-ძი არს, მრკ. 5,14

და უნდა ხილვაჲ იესუსისი, ვინ-ძი არს, ლ. 19,3

დღესა ერთსა გულმან უთქუა ხილვად, ვ-რძი განოვალს სული
ჯორცთაგან, კიმ. 1, 23,23

და დაიდუმა გამოცხადებად, წარ-ძი-უმართაა ღმერთმან გზად
მისი; ანუ არა, დაბ. 24,21

ასეთ კონსტრუქციაში თუ-სთან შედარებით ძი ადგილის მიხედ-
ვით იხმარება განსხვავებულად: თუ წინ უსწრებს კითხვით ნაცვალ-
სახელებსა და ზმნიზედებს, ძი—მოსდევს.

ამავე კონსტრუქციაში ერთმანეთის გვერდით თავს იჩენენ ზოგ-
ჯერ ძი-ც და თუ-ც:

ბრძანა დამარსვაჲ მათი, ვიდრემდის იხილოს, თუ რაა-ძი
იქმნას, წარტყ. თ, 18

იხილონ თოჯ ვისი-ძი იყოს სასწაოვლი იგი, არიმათ. 95,10

აღვისწრაფდი ხილვად, თუ რაა-ძი იქმნა, ცხრ. 45,6

ეს ალბათ იმას უნდა მიეწეროს, რომ ძი-ს მნიშვნელობა ამ
დროისათვის (გადამწერისათვის?) ცოცხალი აღარ არის.

„ცნობიერება წრის“ ზმნებიან ქვეწყობილ წინადადებაში დამო-
კიდებული წინადადება მთავარს შეიძლება დაუკავშირდეს კავში-
რების გარეშეც:

არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა კელმწიფებითა ამას ვიქმ,
მრკ. 11,33

გულისჯმა-ყო გაბრიელ, რომლისა სახისათუხ მოივლინა ხარე-
ბად, მრვლთ. 261,17

არა გცმისა, რაოდენსა-ესე შეგწამებენ ზენ? მ. 27,13

ვთქოთ უკუე გუშინ, რაოდენისა თქუმად შეგვანლო ჩუენ ჟამმან
მან მწუხრისადან, ექუსა 92,35

და გეტყვ თქნ, საყოვარელნო, -იხილეთლა, რავდენსა მადლსა
მიემთხვა მეზოვერც იგი, ბოლნ. 55,22

ოჯწყით, რაოდენნი ახალნი და ოჯცხონი წესნი შემოვიდეს,
კიმ, I, 78,34

არა ვიცით, ვინ შთადვა ცეცხლი იგი ძაძათა ჩუენთა, დაბ. 43,22

არა უწყი, ვინ ყო საქმეც ეგე, დაბ. 21,26

- მოხვდენ და არწმუნო იოსებს, ვასი ძე არს ესე, მრვლთ. 259,28
 მასწავვე მე, ვინ არიან, იობ. 13,23
 თქუთ, რაჲცა ვნეავეს, ევსტ. 165,6
 არავეს უთხრან, რაჲ-იგი იხილეს, მრკ. 9,9
 აწ იხილუ, რაჲ-იგი უყო მე ფარაოს, გამოსლვ. 6,1
 ჰკითხვიდა მათ, რასა-იგი იცილობდეს განასა ზედა, მრკ. 9,33
 იხმინეთ აწ, რასა-იგი მსაჯული სიცრუვისაჲ იტყვს, ლ. 18,26
 და მან გოჯლიხვმა-ყოს, რაჲ-იგი სწადის სოჯლსა ჩემსა, ბოლნ. 12,17
 უფალმან იცას, რაჲსათუხ პბრძანე აქა, ხანძთ. ნზ, 66
 ეტყუნ მამამ, ვითა: „გრწმენინ, ძმანო“..., ცხრ. 83,3
 წარვიდეს და უთხრას, ვითარ (ვითარმედ, D!) ჯერ-არს შე-
 კანხეაჲ მისი, ცხრ. 112,4
 ჰხედავა, ვითარ ჰასაკითა მოკლე არს წმიდაჲ სუმეონ... კიმ. II, 77,9
 მასმეის, ვითარ-იგი ლალადებს და იტყვს, ბოლნ. 11,12
 მოიქსენეთ, ვრ-იგი გუასწავებს მოციქული და იტყვს, კიმ. I, 241,25
 ხოლო მან იძულებით წარმოუთხრა მას, ვინაჲ იყო და მშობ-
 ზელთა მისთათუხ, კიმ. I, 23,3
 არა უწყი, ვინაჲ მოვალს და ვიდრე ვალს, ი. 3,8
 ვიცო, ვინაჲ მოსრულ ვარ და ვიდრე ვალ, ი. 8,14
 და ჰკითხვიდეს, სადა დაჰსდებდეს მას, მრკ. 15,47
 და უთხრა რუთ დედამთილსა თუხსა, სადა-იგი კრიბა, რუთ. 2,19
 მაშინ ცნან, სადა არს მათი იგი სიმართლჲ, იობ. 19,29
 და იხილეს, სადა-იგი დგა მუნ ღმერთი, გამოსლვ. 24,10
 შითხარ ჩუენ, ოდეს ყოფად არს ესე. მრკ. 13,4
 ორნ ოჯწყის, ოდეს დაიწერა განწესებაჲ იგი, კიმ. I, 79,26
 არა იცით, ოდეს უფალი იგი სახლისაჲ მოვიდეს, მრკ. 13,35
 ხოლო ანიერითგან გაუწყო თქუენ..., რაბამი მწუხარებაჲ დაეცა
 შვილთა ღმრთისათა, წარტყ. მე, 2
 მოძღუარ, იხილუ, რაბამნი ქვანი არიან, მრკ. 13,1 და ა. შ.
 თუ აღნიშნულ კონსტრუქციაში დამოკიდებული წინადადება
 კითხვითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების შემცველია, მაშინ
 დამოკიდებული წინადადება ზოგჯერ მთავარი წინადადების წინ
 აღმოჩნდება:
 და თუ ვითა მოჰდა. არა უწყი, ცხრ. 33,7
 და რაოდენი-რაჲ ჯერ იყო, დაისწავა კეთილად, კიმ. I, 48,10
 რაოდენი-რაჲ ესმეს, იტყოდის, ი. 16,13

რამცა გაკლდესთ, გვაცნობებდი, მთწმ. 333,30

ხოლო აწ ვითარ ჰხედავს, ჩუენ არა უწყით, ი. 9,21

რამ არს სარწმუნოებაჲ შენი და ვ'რ აღიარებ, გოჯოჯწყე, კიმ. I, 87,25

მაგრამ ასეთი მაგალითები იშვიათად გვხვდება.

„ცნობიერება წრის“ ზმნათა შემცველ ქვეწყობაში, როგორც ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანთაგანი, შეიმჩნევა ის გარემოება, რომ მთავარი წინადადების შემასმენელ-ზმნას დამატების პირი ჩვეულებრივ არ მოეპოვება და, მაშასადამე, ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს, რომლებიც იწყებენ დამოკიდებულ წინადადებას, არა აქვთ მისამართი სიტყვა მთავარ წინადადებაში. მართალია, გვხვდება ასეთი წინადადებები:

ვისწაოთ ესეცა, თოჯ ვითარ გამოვიდა, ბოლნ. 80,24

და თუ რამ ზომნი ლოჯაწლნი გჯნახვან აზისსა თარგმანსა, იგი ღმერთმან იცის, ექუსთ. 115,1,

რომლებშიც ესეცა და იგი მთავარი წინადადების შემასმენელთა დამატების პირებია და შეიძლებოდა გვეთქვა, რომ აღნიშნული პირის ნაცვალსახელების სახით მისამართ სიტყვებთან გვაქვს საქმეო, მაგრამ მსგავს შემთხვევებში ეს ნაცვალსახელები სპეციალური მისამართი სიტყვების ნაცვლობას ვერ გასწევენ. ეს იქიდან ჩანს, რომ დამოკიდებული წინადადება შეიძლება იწყებოდეს სხვადასხვა ნაცვალსახელებითა და ზმნიზედებით, რომლებიც გვხვდება მიმართებით ნაცვალსახელებად:

ვისწაოთ ესეცა

- თუ რომლისა სახისათჳს მოივლინა ხარებად...
- თუ რათღენნი ახალნი და ოჯცხონი წესნი შემოვიდეს..
- თუ ვისი ძე არს ესე...
- თუ რამ მიზეზი არს..
- თუ სადა დაჰსდებდეს მას..
- თუ ვინაჲ მოვალს და ვიდრე ვალს..

ცხადია, თუ აქ აუცილებელ წევრს არ წარმოადგენს, დამოკიდებული წინადადება უამისოდ შეიძლება დაუკავშირდეს მთავარს და ესეცა ნაცვალსახელი ყველა შემთხვევაში უცვლელად დარჩეს:

ვისწაოთ ესეცა

- რომლისა სახისათჳს მოივლინა ხარებად..
- ვინაჲ მოვალს და ვიდრე ვალს...
- ვითარ გამოვიდა... და ა. შ.

ეს კი იმიტომ ხდება, რომ „ცნობიერება წრის“ ზმნის პირი (აქ პირდაპირი დამატება) არ არის მისამართი სიტყვა კერძოდ რომელიმე ნაცვალსახელისა თუ ზმნიზედისათვის.

მაგრამ, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, „ცნობიერება წრის“ ზმნათა შემცველი მთავარი წინადადება ზმნის დამატების პირს იშვიათად აჩვენებს და არ აჩვენებს იმიტომ, რომ, თუ არა სტილისტიკური საჭიროებისათვის, ამისი აუცილებლობა არ არსებობს. რატომ?

გადავხედოთ „ცნობიერება წრის“ ზმნებს.

„მეტყველება წრის“ ზმნათაგან თითოეული ორპირიანია (თქუა, აღიარა, წამა...) ან სამპირიანია (პრკუა, აღუთქუა. უთხრა, მიუგო, ჰკითხა, ახარა, აუწყა, უბრძანა, შეუთულა...) და ყველა ამათგანი გარდამავალია. ორპირიანი იქნება თუ სამპირიანი, ამ წრის ზმნებს სირდაპირი დამატება უნდა აქონდეთ:

იგივე სიტყუაჲ თქუა, მ. 26,44

მრკუათ სამე იგავი ესე, ლ. 4,23

მან გკთხრას ჩუენ ყოველი, ი. 4,25

არცალა სიტყუასა მიუგებ, მ. 26,62

გკითხო მეცა თქუენ სიტყუაჲ ერთი, მ. 21,24

გახარებ თქუენ სახარულსა დიდსა, ლ. 2,10

„მეტყველება წრის“ ზმნებიან წინადადებათა ქვეწყობაში კი ამ პირდაპირი დამატების შინაარსობრივ ნაცვლობას მთლიანად დამოკიდებული წინადადება ეწევა. მარტივ წინადადებაში ეს ზმნები პირდაპირ დამატებას იშვიათად აჩვენებენ (მართალია; ეს ყველა ზმნაზე ერთგვარად არ ითქმის). თითქოს ბუნებრივიც არის: ის, რაც თქვა ან უთხრა (მან მას) ერთ სიტყვაში ძნელად მოთავსდება და, თუ ასეთი შემთხვევები მაინც გვხვდება, ეს იმიტომ, რომ ენაში არსებობს მხოლოდ გარკვეული რაოდენობა ლექსიკური ერთეულებისა, რომლებიც „მეტყველება წრის“ ზმნებმა პირდაპირ დამატებად შეიძლება „შეიგუონ“ (სიტყუაჲ, იგავი, სახელი...). თქმულის კონკრეტული შინაარსი ჩვეულებრივ დამოკიდებული წინადადებით გამოიხატება ხოლმე.

ამიტომ უნდა იყოს, რომ აღნიშნული ზმნების პირდაპირი დამატების „გაუჩინარების“ ტენდენცია იგრძნობა.

ქართულში ცნობილია პირდაპირი დამატების დაკარგვის შემთხვევები:

„გარდამავლობის შინაარსისაგან დაცლა ზმნის პირდ. ობიექტის დაკარგვასთან დაკავშირებით ჩვეულებრივი მოვლენაა ქართველურ ენებში... პირდ. ობიექტთან შეწყობის უნარის დაკარგვასთან ერთად ზმნას პ. -ობ. პირი ეკარგება და სამპირიანი ზმნა ორპირიანი ხდება, ორპირიანი კი—ერთპირიანი. ორსავე შემთხვევაში ზმნას შეიძლება შერჩეს მორფოლოგიური და სინტაქსური ნიშნები, რომ-

ლებიც მათ წარმოშობაზე მიგვეთითებენ, კერძოდ სუბიექტის ბრუნვა-ცვალებადობა, ამის მაგალითებია: „მტკვარმან გარდამოხეთქა“... გულმა არ მოუთმინა... შუალამემ მოატანა... და მისთ. ერთ დროს კი ზმნას [შეჰხედნა] მეორე ობიექტიც უნდა ჰქონოდა, პირდაპირი, და მის მის როლში აქ მუდამ ერთი და იგივე სახელი უნდა ყოფილიყო: „თუალნი“ (მრავლ. ფორმით): შეჰხედავს თუალთა, შეახედნა თუალნი (შდრ. აღიხილნა თუალნი). დროთა განმავლობაში გამოვარდნილა პირდ. ობიექტი, რადგანაც ის ერთადერთი სიტყვით იყო წარმოდგენილი და დაუსახელებლადაც ადვილი იყო მისი გულისხმობა. ამას კი შედეგად სრული დაკარგვა მოჰყოლია¹.

ამ დამოწმებას ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ის დანიშნულება არა აქვს, რომ აქ მითითებულსა და ჩვენთვის საინტერესო მოვლენათა შორის სრული ანალოგია დავინახოთ. ეს ციტატი ჩვენ აქ იმიტომ დაგვჭირდა, რომ გავითვალისწინოთ შემდეგი:

პირდაპირი ობიექტის დაკარგვა ხდება, როდესაც ის ერთადერთი სიტყვით არის წარმოდგენილი და დაუსახელებლადაც ადვილად შეიძლება მისი გულისხმობა. მაშასადამე, გაუჩინარება პირდაპირი დამატებისა, რაც „მეტყველება წრის“ ზმნებთან შეინიშნება, არსებითად იმავე ფაქტს უნდა მიეწეროს, რომ დამატება მხოლოდ რამდენიმე-სიტყვით შეიძლება იყოს წარმოდგენილი (ამიტომევეა, რომ გვაქვს „გაუჩინარების“ ტენდენცია და არა სრული დაკარგვა).

არსებითად იგივე ითქმის „ცნობიერება წრის“ სხვა გარდამავალ ზმნებზე: იცის, უწყის, ცნა, გულსეგმა-ყო, იხილა, განიზრახა, აგრძნა..., რომელთაც მარტივ წინადადებაში შეიძლება ჰქონდეთ დამატება (ღმერთმან იცნის გულნი თქუენნი, ლ. 16,15; ცნა იესუ ზრახვაჲ იგი მათი, მ. 12,25; გულსეგმა-ყო იესუ ზაკულებაჲ იგი მათი, მ. 22,18), უფრო ხშირად კი ამ დამატების ნაცვლობას მთელი წინადადება ეწევა დამატებითი დამოკიდებული წინადადების სახით...

მიკვრს, გნებავს, დაგუავიწყდა... აგრეთვე ორპირიანი ზმნებია (წარმოშობით მაინც). ის, რაც მიკვრს, გნებავს, დაგუავიწყდა... და ა. შ., შეიძლება დამოკიდებული წინადადებით იქნეს გადმოცემული.

აქა-იქ გვხვდება წინადადებები, რომლებშიც მთავარი წინადადების შემასმენელი „ცნობიერება წრის“ ზმნაა, მაგრამ ერთპირიანია:

¹ ა. შანიძე, ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში, I, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 2, 1942, გვ. 187.

ითქუა პირველთა მათ მიმართ, ვითარმედ არა კაც ჰქლა, მ.
5,21 (შდრ.: თქუა, ვითარმედ)

და იცნობა, ვითარმედ მთაწმიდას არიან, ცხრ. 15,1 (შდრ.:
ცნა, ვითარმედ..)

ასეთები ძველ ქართულში იშვიათად გვხვდება და უნდა ვიფიქ-
როთ, რომ მოქმედებითი გვარის ზმნების ვნებითად მოქცევის შე-
დეგი უნდა იყოს¹.

— —

¹ რთულ წინადადებათა კავშირების ისტორია წარმოდგენილია შ. ძიძი-
გურის ვრცელ მონოგრაფიაში — „ქართული სალიტერატურო ენის ისტო-
რიისათვის“ (1959, გვ. 9—192), რომელშიც საკავშირებელ სიტყვათა ანალიზი
მოცემულია სხვაგვარი სტრუქტურული თანმიმდევრობით და ამიტომ მითითე-
ბები სქოლიოებში აუცილებლად არ ვცანით.

ახალი ქართულის რთულ წინადადებათა კორელატების ანალიზს იძლევა
ნ. ბასილაია გამოკვლევაში: მისათითებელი სიტყვები (კორელატები) რთულ
ქვეწყობილ წინადადებაში, სოხუმის პედიინსტ. შრ. ტ. VII, 1955, გვ. 175—203.

ქვეყნობილ წინადადებასთან დაკავშირებული საკითხები

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ა

ჰიპოტაქსის გენეზისის საკითხისათვის

ჰიპოტაქსის გენეზისის შესახებ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება:

„ყურადღებას იქცევს ჰიპოტაქსის გენეზისის საკითხი. გასული საუკუნის ცნობილი სლავისტების მიერ გარკვეულია, რომ კერძოდ რუსულ ენაში დამოკიდებული წინადადება წარმოშობილია კითხვითი წინადადების საფუძველზე. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შემავალი ერთი კომპონენტის — კითხვითი წინადადების (resp. დამოკიდებული წინადადების) კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნისართები გადაიქცნენ დამოკიდებული წინადადების კავშირებად, მიმართებით ნაცვალსახელად და მიმართებით ზმნისართად.

... ქართული ჰიპოტაქსიც ასეთივე აგებულებისაა. დამოკიდებული წინადადება აქაც კითხვითი წინადადებისაგან მომდინარეობს. ქვეწყობილი წინადადება სტრუქტურულად წარმოადგენს კითხვითი წინადადებისა და მისი საპასუხო წინადადების შეერთების შედეგს. ოღონდ, ამ შეერთების საფუძველზე კითხვით წინადადებას (resp. დამოკიდებულ წინადადებას) უკვე დაკარგული აქვს კითხვითი შინაარსი...

... მისი (რთული თანწყობილი წინადადების) კავშირებიც არსებითად განსხვავდება ქვეწყობილი წინადადების კავშირებისაგან, რომლებიც თავის მხრივ მომდინარეობენ კითხვით სიტყვათაგან¹.

... ირკვევა, რომ ყოველი სახის დამოკიდებული წინადადება ქართულში წარმოშობით წარმოადგენს კითხვით წინადადებას. შემაერთებელ კავშირად ასეთ წინადადებებს მხოლოდ კითხვითი წინადადების აღმნიშვნელი საშუალებანი აქვს გამოყენებული. განსაკუთრებით კი კითხვითი ნაცვალსახელები და კითხვითი ზმნისართები, რომელთაც შემდეგში დართვით სათანადო ნაწილაკები -ესე, -ეგე, -იგი, -ცა...

¹ გ. როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში, ქუთაისის პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1948, გვ. 365.

დამოკიდებული წინადადების კავშირების კითხვით ნაცვალსახელო და კითხვით ზმნისართული წარმომავლობა უფრო ნათლად ჩანს ძველს ქართულში¹.

„... ქართულში იხმარება ექვსი ძირითადი კითხვითი სიტყვანაცვალსახელი და ზმნისართი: ვინ, რა, რომელი, ხად, ოდეს, თუ. ზოგ ამათგანაა ნაწარმოები სხვა კითხვითი სიტყვები: სადაური, როდის, როდინდელი, რამდენი, როგორი და სხვ.

ზემოჩამოთვლილი ექვსი კითხვითი სიტყვა, მეტ შემთხვევაში ნაწილაკდართული, გამოყენებულია ქართული ქვეწყობილი წინადადების კავშირებად².

მაშასადამე:

დამოკიდებული წინადადება კითხვისაგან მომდინარეობს, რადგან ქვეწყობილი წინადადების წევრ-კავშირები და კავშირები იგივე კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიზედებია, რომლებიც კითხვით წინადადებაში გვხვდება. მიმართებით ნაცვალსახელებს და კავშირებს კითხვით ნაცვალსახელებთან და ზმნიზედებთან აქვთ სათავე. თუ მიმართებითი ნაცვალსახელები და წევრ-კავშირები კითხვითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედებისაგან მომდინარეობენ, აქედან ლოგიკურად მიიღება დასკვნა: დამოკიდებული წინადადებაც კითხვითისაგან მომდინარეობს.

ასეთია მსჯელობა.

გადავხედოთ ძველი ქართულის კითხვით ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს.

* * *

ვინ, რა ნაცვალსახელები კითხვითი ნაცვალსახელების ჯგუფშია მოქცეული. ამ ჯგუფისადმი განკუთვნიება თვით ნაცვალსახელობა ბუნებიდან მომდინარეობს: ისინი კითხვითობის შემცველი ნაცვალსახელებია, და ასეა ეს ძველი ქართულიდანვე მოკიდებული:

ვინ: შენ ვინ ხარ? ი. 1,19

ვინ უძლოს სმენად მაგის? ი. 6,60 C

ვის კელ-ეწიფების სმენად მისა? ი. 6,60

რა: რაა არს იგავი ესე? მრკ. 4,10

რას ძკრის საქმესა შესწამებთ კაცსა მაგას? ი. 18,29

რად გულ-მედგარ ხართ, მკირედ მორწმუნენო? მ. 8,26

მაგრამ ძველსავე ქართულში შეიმჩნევა, რომ ვინ, რა ნაცვალსახელებისათვის კითხვითობის გამოხატვა არ წარმოადგენს მათ

¹ გ. როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში, გვ. 366.

² იქვე, გვ. 367.

ერთადერთ ფუნქციას. ვინ და რა ნაცვალსახელები იხმარება აგრეთვე მნიშვნელობით „ვინმე“, „რაიმე“:

ვინ = ვინმე:

უკუეთუ ვინ სიტყუაჲ ჩემი დაიძარხოს, სიკუდილისა გემოჲ არა იხილოს უკუნისადმდე, ი. 8,52

Ἐὰν τις τὸν λόγον μου τηρήσῃ, οὐ μὴ γένηται θανάτου εἰς τὸν αἰῶνα

სქტ ნ ჟ ვრანს ჩა ყარსხუტ, ძი ღაჯაქხუტ ღმარ ქ კააქთხან
და არავის უფლობდა, ვითარმცა ვის შინა-განაქუნდა ქურჭელი სამღვდელოჲთ, მრკ. 11,16 C

Καὶ οὐκ ἤφιεν ἰνα τις διενέχη σκευὸς διὰ τοῦ ἱεροῦ
ხა „ი ზოიქიქ სქტ ნ ჟ ანოქ ჩნჯ ანგიუგანჩყტ ღნჯ თაანარს

ნუთუ მოართუა ვინ მაგას ქამად, ი. 4,33 C

Μήτις ἤνεχεν ἀτὰρ φαγεῖν

შქქტ ხრსრ ჩნჯ ნ ჟ ᦒამა ილთხი

რადგან იყოს იგი უმოლბინე და ნუ აყენებნ ვინ თვსთა მისთა მსახურებად მისა, მცკლთ. 24,23

არა სადა გვსწავიეს ჩუენ მამათა ჩუენთაგან პირველთა და არცა სადა გვპოვნიეს საღმრთოთა შინა წერილთა წიგნთა, ვითარმცა ვინ გონიერთაგანმან დაუტრევა ღმერთი.. კიმ. II, 55,25

რა = რადმე:

რამეთუ არა არს, რომელი დათარულად რახ ვინ იქმნ, ი. 7,4 C

Οὐδεις γὰρ ἐν ἁρπατῶ τὶ ποιεῖ

ღქ იჯ ნ ჟ ტ ირ ქ ბაბიქ ჩნჯ ყირბტ

ზრახვიდეს ურთიერთას, უკუეთუმცა უყვეს რაჲ იესუს, ლ. 6,11 C

οὐδεὶς αὖτε ἀλλήλους, τὶ ἄν ποιήσῃαι τῶ Ἰησοῦ
ჩათქჩნ ღნჯ ძქმხანაჲ სქტ ღქნჯ აანჩყხნ მჩითაჲ

და მოვიდა, უკუეთუმცა პოვა რაჲ მას შინა, მრკ. 11,13

ἤλθει ἐν ἄρα εἰρήσει τὶ ἐν ἀτῶ

ღ ხქნ სქტ ᦒათანჩყტ ჩნჯ ქ ზამა

მივალ იერუსალმად და მუნ რაჲ შემემთხვოს მე, არა ვიცო, მცკლ. 20,22

არა თუ სხვთ რაჲთ განსუენებულ იქმნებოდეს, ალ ქშს მიერ, თპლტ. 27,25 და ა. შ.

რომ აღნიშნული მოვლენა (ე. ი. რომ ვინ ნიშნავს ვინმე-ს და რაჲ—რაიმეს) მთარგმნელობას გადმოყოლილი მოვლენა არ არის, ეს წმინდა ქართული ძეგლების მონაცემების მიხედვითაც ჩანს¹:

ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუღარსა, ეგრე ხედვიდა თჳსსა მას გუამსა, ჰაბო. 62,18

გარნა თუ უცხოჲ ვინ მოვიდის და მცირელი რაჲმე სიტყუაჲ მიუგის მას, ცხრ. 29,6

და რომელიცა ვინ სათნოებაჲ გამოიძიოს, მის თანა პოოს მის მიერ აღსრულებულად კეთილად და შუენიერად, ცხრ. 108,7

არცა საკმელი რაჲ მიილის, შუშ. XIV, 12

შვილნი თჳსნი და ნათესაენი და, რაოდენიცა რაჲ არს ამის სოფლისაჲ, სრულიად მოიძულა, ცხრ. 8,1

შეიკრა ვითარცა რაჲ მფრინველი შეურაცხი, ხანძთ. 9, 37 და ა. შ.

რომ აღნიშნული მოვლენა მთარგმნელობითი საქმიანობის გავლენით ან ანალოგიით არ არის გაჩენილი ქართულ ძეგლებში, ეს დიალექტების ჩვენებით დასტურდება:

ხ ე ვ ს უ რ უ ლ შ ი ² :

თუ სოფლისა ვინ კარში გამავიდა წელიწად დილას და მეკვლეთ ჯვარშით ნახეს, მაშინავ შაარისხებენ, 144,7

მაშინ ერთ ვინ იტყჳს: „ხუთ მანათს ვაყენებავ“, 148,12

ამ იოსებას სრუ ყველა უცვარცვავ, სადაცა ვის შახვედრივ გზაზედა, 179,30

თუ კიდეჲ რა მაუჟდ თათრებს, საჩქაროდ დაგვიბარილი, მაშინ სათათრეშიაც აღარ დავაყენებთ, 164,18

სოფელში ან თემებში ვინაც ქურდობას იქამს, მაიპარავს რას, თუ ვერ გატეხეს ქურდი და ვეჲ კი აქვ, მაშინ შაუთელის ქურდს დამკარგავი, რომენსაც დაკარგული აქვ რაჲ, ეტყვის: „იგ კაციავ ქურდივ“, 138, 23—25

ვინაც არ დაიქერს ამ მგელთ უქმს; იმ წელს მგელნი მით რახ მაუკვლენ: ან ჯარს, ან ფურს, ან ცხვარს...

ჩ ა ლ მ ა-თუშურში ³:

ველარავინ ვერ იცოდ, დარჩ ვინა ხისოში თუ არ...

ავად რო ვინ გატდება, წახვიდივ ცრემ ავადმყოფთანავ...

¹ საამისო მაგალითები ძველ ქართულში საქმაოდ ხშირია.

² ხევსურულის მაგალითები მოყვანილია ბესარიონ გაბუურის კევსურული მასალებიდან, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული, 1923-24, გვ. 120 — 332.

³ ჩალმა-თუშურის მაგალითები მომავოდეს თ. უთურგაიძემ და ს. ბააქურიძემ.

გარმუნის ვინ ღუკუკართ, ქალბო!

წავიდეთ, იტყვიან რას, ახალს რას გავიგებთ..

ან რა თქვიედ, ან რაჲ..

წამალ რა შწყსმიეთ ე მაგ ბალსს...

აქედან კი გამომდინარეობს, რომ ეს მოვლენა, ე. ი. ვინ, რა ნაცვალსახელების განუსაზღვრელობითი („ვინმე“, „რაიმე“) მნიშვნელობით ხმარება ქართულისათვის თავისთავად უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

მაშასადამე, ქართული თარგმანი ხელოვნურად კი არ ქმნის ნაცვალსახელების განუსაზღვრელობით შინაარსს, არამედ უცხო ენისას ქართულ ენაში არსებულ გამომხატველობით შესაძლებლობას უგუებს.

ასეთივე ორმაგი შინაარსი უჩანს ზმნიზედას ხადა. ხადა კითხვითია:

ხადა არს ახლად შობილი იგი მეუფე ჰურიათა? მ. 2,2

ხადა შობად არს ქრისტე? მ. 2,4

მოდლუარ, ხადა იყოფი? ი. 1,38

ხადა = ხადმე:

არცალა შცირედ ხადა სცა ჯორცთა მისთა განსუენებაჲ, შუშ. XIV, 8.

ვრ შენ მარტოდ ცილსა სწამებ, გიხილაჲ ხადა ანოჲ მე შენ... კიმ. I, 69,23

ნუუკუე და-ვინ-იმკვდრა ხადა ქუეყანაჲ ესე საუკუნოდ? — არა სამე, მრხეთ. 3,21

ამიერთგანცა ოჯტოჲ ხადა დააკლდეს შოჲებაჲ და მთერალობაჲ, კლდ წარვალს სხოჲასა ქყსა, ხადა არა იცნობდენ, კიმ. I, 73, 24-25

ხ ე ვ ს უ რ უ ლ შ ი :

თუ ქირი არ ას სოფელში, მაშინ პირდაპირ ერთს ხად ალაგას შაიყრება სოფლის ქალ-ზალი და კაცები ხატში, 145,8

როსაც სალაშქროდ ხად გემმართვეოდ, წინ მასკვლავივით თუ გაუძღვებოდ სვეტი, ანუ შუქი, 159,16

ნანატრის გაცხადებითა, ნეტავინ ქვე ხად შახყარა, 249,17

ჩ ა ლ მ ა - თ უ შ უ რ შ ი :

ახლაჲ იყავ ხიდა შენ?

იქნებიან ხიდ წასულები..

შორს ხიდ იქნებოდ გადაკარგული..

მაშასადამე, არც სადა ზმნიზედისათვის არის კითხვითობის გამოხატვა მისი ერთადერთი ფუნქცია. სადა -მე ნაწილაკის გარეშე გადმოგვეცემს მნიშვნელობას „სადმე“ და, რა თქმა უნდა, განუსაზღვრელობითი შინაარსისაა.

აქამდე თქმულიდან გამომდინარეობს, რომ ვინ, რა, სადა სიტყვებს კითხვითობის პარალელურად პოზიტიური¹ შინაარსი მოეპოვებათ და მნიშვნელობით აბსოლუტურად იმეორებენ განუსაზღვრელი ნაცვალსახელების შინაარსს: ვინ = „ვინმე“-ს, რა = „რაიმე“-ს, სადა = „სადმე“-ს².

ამ დებულებას ადასტურებს აგრეთვე ვინ, რა, სადა სიტყვების ხმარება უარყოფით ნაცვალსახელებში.

გავრცელებული შეხედულების მიხედვით უარყოფითი ნაცვალსახელები მიიღება არ, ვერ, ნუ უარყოფით ნაწილაკებზე კითხვითი ნაცვალსახელების დართვით:

არა ვინ.	ვერა ვინ	ნუ ვინ
არა რაჲ	ვერა რაჲ	ნუ რაჲ
არა სადა	ვერა სადა	ნუ სადა ³

¹ ტერმინი „პოზიტიური“ ნახშირია კითხვითობა ცნების საპირისპიროდ.

² ეს მხოლოდ ქართულისათვის არ არის დამახასიათებელი. ძველ ბერძნულში კითხვითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები ერთი და იმავე სიტყვებით გადმოიცემა:

τις -ვინ	τις -ვინმე
τις -რა	τις -რაჲ
πιν-სადა	πιν-სადმე.

ძველი ბერძნულის კითხვითი ნაცვალსახელების შესახებ ა. მ. ვიე ვერს: „Основы вопросаптезного местоимения (гр. τις, лат. quis и т. д.) ничем не отличается от основы доопределенного местоимения; гр. τις *მე* „кто пришел?“ представляет выражение, которое повидимому первоначально значило „кто-то пришел?“... Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, Москва-Ленинград, 1938, გვ. 374-75.

ძვ. სომხურის *რე* (ვინ) მომდინარეობს წინარე ენის განუსაზღვრელი ნაცვალსახელისაგან, -*რ* სუფიქსითა. *რე* ძვ. სომხურში კითხვით-განუსაზღვრელობითი ფუნქციით იხმარება (V, 314-16).

ჩხე (რა) ნაცვალსახელში -*ხე* სუფიქსითა. *ჩ* ცალკე არ იხმარება. *ჩხე* ნიშნავს აგრეთვე „რამე“-ს (III, 87).

რე (სადა) კითხვით სიტყვაშიც -*რ* ნაწილაკია. *რე* ცალკე არ იხმარება, იგი ამ სახით თეორიულად არის შესაძლებელი და მნიშვნელობით განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს უდრის (III, 689-692), ჯ. Ա ճ ա ո ի ա ն, Հայերէն պրմատոկան դասարան..

³ მაგალითები კონტექსტში არ მოგვყავს, ცნობილია და მეტნაკლებად გავრცელებული, ოღონდ ძველ ქართულში არახადა = „არასოდეს“.

მაგრამ სწორედ ამ ფაქტიდან ჩანს, რომ ასეთ კომბინაციაში ვინ, რა, ხადა სიტყვები არ შეიძლება კითხვითი შინაარსის მატარებელი სიტყვები იყვნენ, რადგან უარყოფა შესაძლებელია მხოლოდ პოზიტიური შინაარსისა. კითხვითობა ვერ უარყოფა, რადგან კითხვითობა თვით საკიროებს ფაქტზე მითითებას, და, თუ ასეთი ფაქტი ენობრივი ნიშნით არ არის მოცემული, ცხადია, არც მისი უარყოფაა მოსახერხებელი.

კი, მაგრამ განა უარყოფითი ნაცვალსახელები არ იძლევიან ამის საბუთს? არა! უარყოფითი ნაცვალსახელების წარმოებაში კითხვითი ნაცვალსახელების მონაწილეობის დაშვება იმ ფაქტს ემყარება, რომ კითხვითი ნაცვალსახელების ერთადერთი ფუნქცია კითხვითობის გამოხატვაა, არ უწევს რა ანგარიშს მეორე ფაქტს, რომ უარყოფას ობიექტად პოზიტიური შინაარსი ესაქიროება.

როდესაც კითხვაზე „ვინ ნახე?“ ვუპასუხებთ: „არა ვინ“, პასუხი არ შეიძლება კითხვითი ვინ-ის მარტივ უარყოფას ემყარებოდეს. „არა ვინ“ არსებითად ნიშნავს: „არც ვინმე“ (შდრ. გამოთქმები: „არა ვინ არ მინახავს“ და „არა კაცი არ მინახავს“, სადაც „ვინ“ და „კაცი“ ერთმანეთის ეკვივალენტებია და ორივე განუსაზღვრელობითი შინაარსის ნაცვალსახელებია).

მაშასადამე, უარყოფითი ნაცვალსახელების შედგენილობაში ვინ, რა, სადა სიტყვები განუსაზღვრელობითი შინაარსის (მნიშვნელობით „ვინმე“, „რამე“, „სადმე“) ნაცვალსახელებია¹.

¹ ასევეა ძველ სომხურში: არა ვინ (არა ვინ), არა რა (არა რა), და ძველ ბერძნულში: οὐδείς (არა ვინ) $\leftarrow \text{οὐ} + \text{δ}$ (არა) $+ \text{εἷς}$ („ერთი“ შაბრ. სქესისა), οὐδὲν (არა რა) $\leftarrow \text{οὐ} + \text{δ}$ (არა) $+ \text{ἐν}$ („ერთი“ საშ. სქესისა).

არა-არა ქართულის ცა \rightarrow ც ნაწილაკის ფარდია. უარყოფით ნაცვალსახელთა წარმოებაში „ერთი“-ს მონაწილეობა (განუსაზღვრელი „ერთი“-სა) საესებით ბუნებრივია და ლოგიკური. თუ შევადარებთ ქართულის უარყოფითი ნაცვალსახელების წარმოებას, აქაც „ვინ“ და „რა“ განუსაზღვრელობითი შინაარსისაა.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ თ. შარაძენიძეს სვანურის უარყოფით ნაცვალსახელებში (ნაწილაკებში) შორე წვერის სახით მითითებითი (ჩვენებითი) ნაცვალსახელები აქვს დასახული, უარყოფითი ნაწილაკები სვანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1945, გვ. 310.

ამვე პრინციპით არის წარმოებული რუსულის უარყოფითი ნაცვალსახელები: **никто, никто, никто**. უარყოფითი ნაწილაკი + განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი (და არა კითხვითი). ამ ნაცვალსახელთა (**кто, что, куда**) განუსაზღვრელობითი შინაარსი კი თანამედროვე რუსულშიც ჩანს: **«Если кто придет, скажи что я на службе... Иногда что и скажется с горяча.. Если куда пойдете, скажите мне»**.

ეს ფაქტები ერთხელ კიდევ ადასტურებენ ზემოთქმულს: უარყოფას ობიექტად პოზიტიური შინაარსი ესაქიროება.

ამ ფაქტით კი შეზღვევებულია დებულება, რომ ვინ, რა, სადა სიტყვები კითხვითობის პარალელურად განუსაზღვრელობითი შინაარსის შემცველი სიტყვები უნდა ყოფილიყო.

ახლა თუ-ს კითხვითობას გადავხედოთ.

„თუ-ც კითხვას გამოხატავს“ — წერს გ. როგავა და ახალი ქართულის მაგალითი მოჰყავს: — „ხორციელები არ იყვნენ თუ? (ილია)“¹.

თანამედროვე ქართულში შეიძლება თუ კითხვით ოდენობად კიდევაც დაესახოთ, მაგრამ მისი კითხვითობის შესახებ ამოსავალში ასეთი საკითხი დაისმის: წინადადებას (ხორციელები არ იყვნენ თუ?) თუ კიდევაც რომ მოვაკლოთ, იგი შეიძლება ისევ კითხვითად დარჩეს (ხორციელები არ იყვნენ?). ამდენად, ამგვარ კითხვით წინადადებებში თუ-ს კითხვითობასთან პირდაპირი დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს, იგი წარმოშობით მაჯგუფებელი კავშირი უნდა იყოს, რომლის მომდევნოდ საპირისპირო წევრი გვაკლია² (ხორციელები არ იყვნენ თუ იყვნენ?), დამოწმებული წინადადება თავისთავად არის კითხვითი და არა თუ-ს მონაწილეობის მიზეზით.

ეს და მსგავსი კითხვითი წინადადებები თუ-ს კითხვითობის შინაარსის დასამტკიცებლად ალბათ ძნელად გამოგვადგება. კითხვითი წინადადება (და საერთოდ უველაფერი კითხვითი) არსებითად იმიტომ არის კითხვითი, რომ იგი პასუხს ხაჭირებს (შდრ.: ხორციელები არ იყვნენ? — არა!) ასეთი წინადადება კი (ხორციელები არ იყვნენ თუ?) მხოლოდ ინტონაციით ჰგავს კითხვითს, კითხვითობის არსებით მხარეს კი მოკლებულია და პასუხს თვით შეიცავს:

„ჩუმად რომ მოეხდინა, ვინ რას იტყოდა? — გააწყვეტინა ლუარსაბმა, განა უწინ კი არ იყო მაგისთანა ამბები, ხორციელები არ იყვნენ თუ?“ (=წინათაც იყო მაგისთანა ამბები, (წინათაც) ხორციელები იყვნენ).

გამოდის, რომ ასეთ წინადადებებში თუ-ს რიტორიკული მომენტი შეაქვს და არა კითხვითი შინაარსი.

მაგალითი: „მკვდარსა თუ ცოცხალს კბილით შესჭამდნენ (ილია)“ — გ. როგავას საფუძველს აძლევს იფიქროს, რომ „ახალ ქართულში ზოგჯერ შესუსტებულია თუ-ს კითხვითი შინაარსი, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ორ სახელს აერთებს“³.

¹ გ. როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის, გვ. 374.

² აქ ისევ ილია შეიძლება დავიმოწმოთ:

„ჩვენი ლუარსაბი პირაღმა წევს, აბოლებს ჩიბუხს და, მინამ თვალში ცრენ-ლი არ მოუვა, თვალს გულმოდგინებით ჩიბუხის ბოლს ადევნებს: — ვნახო, ღრუბლებამდინ ავა, თუ არაო“... საპირისპირო წევრი გამოტოვებულია.. ავა თუ არ ავაო.

³ გ. როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის, 374.

საევეკოა, რომ აღნიშნულ კონტექსტში თუ-ს კითხვითი შინა-
არსი (თუნდაც შესუსტებული) ოდნავ მაინც იგრძნობოდეს.

მაგრამ დაეუშვათ, რომ ამ ორი (!) წინადადებას მიხედვით თუ
მართლაც კითხვითია. ამ გზით მაინც ადვილი აო იქნებოდა ძივსუ-
ლიყავით იმ დასკვნამდე, რომ თუ კავშირის შემცველი და მოკი-
დებული წინადადება კითხვითისაგან მომდინარეობს.

რა შეიძლება დაეასკვნათ ზემოთქეულიდან?

ძველ ქართულში ვინ, რა ნაცვალსახელებისა და სადა ზმნიზე-
ლისათვის კითხვითობის გამოხატვა არ წარმოადგენს მათ ერთად-
ერთ ფუნქციას, ისინი პოზიტიური (განუსაზღვრელობითი) მნიშვნე-
ლობით ასევე ჩვეულებრივ იხმარებიან: ვინ = ვინმე-ს, რა = რამე-ს,
სადა = სადმე-ს.

ქირს თუ სპეციფიკურად კითხვითი ოდენობად მივიჩნიოთ.
თუნდაც გამოვლინდეს შემთხვევები, რომელთა მიხედვით ძველ
ქართულში თუ-ს კითხვითობა შეიძლება მიეწეროს, აქედან ვერ
გაკეთდება დასკვნა, რომ თუ კითხვით ოდენობას წარმოადგენდა
საერთოდ.

რაც შეეხება რომელ ნაცვალსახელს და ოდეს ზმნიზედას, ისინი
შედგენილი არიან. რომელ ← *რამელ (ნ. მარი, ა. ჩიქობავა),
ოდეს ← *ოდდეს (ნ. მარი, ა. შანიძე) და ამ თვალსაზრისით
მათი თავდაპირველი ბუნების გარკვევა ქირს. თუ სწორია, რომ
რომელ ← *რამელ, მასში რა ნაცვალსახელის მონაწილეობა ნათე-
ლია. ამ რა-ს კი კითხვითობის გარდა პოზიტიური (განუსაზღვრე-
ლობითი) შინაარსიც აქვს, როგორც ეს ზემოთ არის აღნიშნული.
თვით რომელი-ც აქა-იქ განუსაზღვრელობით შინაარსს ავლენს:

ხოლო ძმანი რომელნი წარვიდეს ტაძარსა წმიდათა მოცი-
ქულთასა ლოცვად და რომელნიმე შინა დაეშით, მთწმ. 336,14

და კაცად-კაცადი შესწირვიდა მსგავსად მონაგებთა მათთაებრ
რომელიმე ოქროსა, რომელიმე მარგალიტსა, რომელიმე ანთრაქსა
პატიოსანსა. ხოლო გლაბაკნი — რომელი შესწირვიდა თხისა თმასა,
რომელიმე ტყავსა, მრხეთ. 347,23

ამ მაგალითების მიხედვით რომელნი = „ზოგნი“, რომელი = „ზო-
გი“ და ორივე შემთხვევაში განუსაზღვრელობით-პოზიტიური ში-
ნაარსისანი არიან.

ოდეს-ში დეს-ს დღე — სიტყვას უკავშირებენ და იგი კითხვითი
სიტყვა, ცხადია, არ არის. საკვლეფია ო (ო-დეს). ოდეს ზმნიზედა
კი რომ განუსაზღვრელობითი მნიშვნელობითაც უნდა ხმარებული-
ყო, ეს ასეთი მაგალითის მიხედვით ჩანს:

ამან უცხო ყო თავი თუსი მონაგებთაგან თუსთა, რომელ-იგი
ოდეს მგელ, იქმნა იგი კრავ, მრხეთ. 111,1 (ოდეს = ოდესლაც).

გ. როგავას აღნიშნულ გამოკვლევაშივე¹ კავშირებისათვის: ვინაიშგან, ვიდრე, ვითარცა (ვითარ, ვითა), ვითარმედ — ამოსავალ ფორმად დასახულია ვი ფუძე (ვინ-ში რომ გვაქვს).

კავშირები: რაჲ, რაჲთა, რადგანაც ← რაჲთა - განა-(ცა) რანაცვალსახელზეა დაყვანილი. ეგევე რა გამოყოფილია კავშირებში: რა-ოდენი, რა-ეამს, რა-ზომცა... თუ კავშირი მიჩნეულია საფუძვლად კავშირთა სახეობათათვის: უკუეთუ, რამეთუ, თუმცა...

* * *

იშისათვის, რათა მოსაზრება, რომლის მიხედვით დამოკიდებული წინადადება კითხვითისაგან მომდინარეობს, გასაზიარებელი გაიდეს. საჭირო იქნებოდა ჩვენება, რომ:

ა) მიმართებითად სმარებული ნაცვალსახელები, ზმნიხედები თუ კავშირები ისტორიულად სწორედ კითხვითი შინაარსის მქონე ნაცვალსახელებია.

თუ ეს ვარაუდი მართებული აღმოჩნდებოდა, უნდა გარკვეულიყო:

ბ) რატომ და როგორ უნდა მოხვედრილიყო კითხვითი წინადადება მთავარი წინადადების გვერდით; როგორ მოხდა, რომ კითხვითი წინადადება განსაზღვრებით (დამოკიდებულ) წინადადებად იქცა.

გ) რა მონაცემების მიხედვით შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ „ქვეწყობილი წინადადება სტრუქტურულად² წარმოად-

¹ გ. როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის...

² სტრუქტურულად წინადადება შეიძლება კითხვითი იყოს, მაგრამ შინაარსობრივად იგი კითხვას არ გამოხატავდეს: მერე ვინ შეგარჩენდა? (= არავინ შეგარჩენდა); პატარა ბიკის ცემაზე ვინ დაიძრახება? (= არავინ დაიძრახება); აბა, რა კაცი საკადრისია ვე სახელი? (= საკადრისი არ არის); ფული რა სახანებელია? (= სახანებელი არ არის)... მაგალითები ი. კვეკეაძის „კაცია-ადამიანიდან“ მოგვყავს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიმართებითი ნაცვალსახელებისა და ზმნიხედების გენეზისის შესახებ მოსაზრება (მართალია. გაკვრით) გამოთქმული აქვს კ. დონდუასაც:

„კავშირებელ სიტყვათა მიმართებით ნაცვალსახელებად, resp. მიმართებით ზმნისართებად გარდაქმნას თავისი ისტორია აქვს, ასეთი ევოლუცია მიმართებითი სიტყვების კითხვით, resp. ჩვენებით ნაცვალსახელთაგან მკვეთრ გამოყოფასა და მათ მიერ საკუთარი სინტაქსური ფუნქციების გამოშუშავებას გულისხმობს. უკვე დიდი ხანია ცნობილია ის ფაქტი, რომ მიმართებითი სიტყვები კითხვითი (რასპ. ჩვენებითი) ნაცვალსახელებისაგან წარმოიშვა“, კ. დონდუა, დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში, ნვ. 201-2.

კ. დონდუას, ცხადია, გათვალისწინებული აქვს, რომ მიმართებითი ნაცვალსახელები და ზმნიხედები გარეგნულად შესატყვისა კითხვით სიტყვებს

გენს კითხვითი წინადადებისა და მისი საპასუხო წინადადებას შეერთების შედეგს“ და ა. შ.

ასეთ და მსგავს საკითხებზე პასუხი გაცემული არ არის. ზოგიერთ მათგანზე პასუხის გაცემა გაკვირდებოდა. ის გარემოება კი, რომ საკავშირებელ საშუალებებზე ხმარებული სიტყვები თითქოს კითხვითი სიტყვებია და ამიტომ შეიძლება დაეუშვათ დამოკიდებული წინადადების კითხვითისაგან მომდინარეობაო, სანდო საფუძველს ვერ იძლევა ზემოხსენებული მიზეზების გამო.

ეს ფაქტი და საკითხები, რომლებიც დამოკიდებული წინადადების კითხვითისაგან მომდინარეობის თეორიას ექვემდებარებიან, ცხადია, თავისთავად არაფერს გვეუბნებიან დამოკიდებული წინადადების გენეზისის შესახებ.

ამ საკითხზე ვარაუდი ჩვენ სხვაგვარად წარმოგვიდგება.

* * *

თუ შევადარებთ ერთმანეთს ორ ასეთ წყვილს: „კაცი კეთილი“ და „კაცი იგი“ (ან: „იგი კაცი“), როგორც ზედსართავი სახელი კეთილი, ასევე ნაცვალსახელი იგი საერთო სინტაქსურ კატეგორიაში — განსაზღვრებაში მოექცევა. ცხადია, განსაზღვრებები აქ ერთგვაროვანი არ არის. კეთილი მნიშვნელობის შემცველი ლექსიკური ერთეულია და გარკვეული ნიშნის მიხედვით განსაზღვრავს ლექსიკურსავე ერთეულს კაცი. ნაცვალსახელი იგი (წყვილში „იგი კაცი“) ლექსიკური შინაარსისაგან თავისუფალია. ის სასაზღვრ სიტყვას რომელიმე ნიშნის მიხედვით კი არ ახასიათებს, არამედ სასაზღვრ სიტყვაზე მიუთითებს, სიტყვაზე მითითებით განსაზღვრავს ამ უკანასკნელს. მითითება აქ საშუალებაა, რომლითაც სასაზღვრი სიტყვით აღნიშნული საგნების ჯგუფისაგან კერძო გამოცალკევდება, გამოირჩევა. ცხადია, ეს მანინ სდება, როდესაც ნაცვალსახელი წინადადებაში მსაზღვრელის როლში აღმოჩნდება.

როგორიღაა ვითარება, როდესაც ნაცვალსახელი სხვა სიტყვის მსაზღვრელი კი არ არის, არამედ შემასმენლის (ზმნის) რომელიმე პირია (მაგ.: „შებორკილა იგი და შესუა საპყრობილესა“)? აქ მითითებასა და ჩვენებითობაზე ლაპარაკი აღარ შეიძლება. ნაცვალსახელი პირზე მიუთითებს. ეს პირი კი გრამატიკული პირია. აქვს

იმეორებენ, მაგრამ იგი აქედან დასვენას არ აკეთებს, რომ მიმართებითი ნაცვალსახელები და ზმნიხედები ან ამათი შემცველი დამოკიდებული წინადადება კითხვითისაგან მომდინარეობსო, ან კიდევ, რომ ქვეწყობილი წინადადება სტრუქტურულად წარმოადგენს კითხვითი წინადადებისა და მისი საპასუხო წინადადების შეერთების შედეგსაო. მისთვის მიმართებითი სიტყვები კითხვითი რესპ. ჩვენებითი ნაცვალსახელებია.

თუ არა მას ამ კონტექსტში რაიმე სემანტიკა? არა. მაგრამ არა აქვს იმიტომ, რომ წინადადება საერთო კონტექსტიდან „ამოგლეჯილია“. აღვადგინოთ: ამან ჰეროდე მიავლინა და შეიპყრა იოვანე და შებორკილა იგი და შეტუა საპყრობილესა, მრკ. 6,17. ახლა ჩანს, რომ იგი ნაცვალსახელი იოვანე — სახელის ნაცვალია.

ასეთ შემთხვევებში ნაცვალსახელი რომელიმე სიტყვაზე კი არ მიუთითებს, არამედ უპირველეს ყოვლისა მის ნაცვლობას ეწევა. ნაცვალსახელი იმ სიტყვის სემანტიკით „იტვირთება“, რომლის ნაცვლობასაც იგი ეწევა.

პირის ნაცვალსახელების სახელებთან მონაცვლეობა არ არის ჩვეულებრივი მონაცვლეობა, რომელიც ამ ტერმინის მიხედვით შეიძლება იგულისხმებოდეს საერთოდ. უკვე იმ ფაქტიდან, რომ ნაცვალსახელები ლექსიკურ სამყაროს არიან გამოთიშული და გრამატიკულ ოდენობებად გვევლინებიან, გამომდინარეობს, რომ ნაცვალსახელები, ისევე როგორც ყოველივე გრამატიკული, აბსტრაქტული ბუნებისანი არიან და, რომ ნაცვალსახელების სახელებთან მონაცვლეობა იმავე რიგისა არ არის, როგორც ეს, მაგალითად, სრულმნიშვნელოვან ლექსიკურ ოდენობათა სინონიმური ხასიათის ურთიერთმონაცვლეობაში გვაქვს. ამიტომ არის, რომ III პირის ნაცვალსახელმა (იგი, ის) შეიძლება გასწიოს მაგივრობა თითოეული სახელისა, რომელიც კი ენაში მოიპოვება.

მიმართებითი ნაცვალსახელი არსებითად იმიტომ არის „მიმართებითი“, რომ მას ყოველთვის აქვს სიტყვა (მთავარ წინადადებაში), რომელსაც ის „მიეწარება“. ამ მისამართი სიტყვის გარეშე მიმართება (იგულისხმება სიტყვათა შორის მიმართება) არც გვექნებოდა. მიმართება კი ამ შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა მისამართ სიტყვაზე მითითება, მისამართი სიტყვის განსაზღვრა მითითების საშუალებით (შრდ.: კაცი იგი და კაცი რომელიც).

ზემოთ ორი მაგალითის შედარების საფუძველზე (იგი კაცი || კაცი იგი და შებორკილა იგი) აღნიშნულია, რომ ერთ შემთხვევაში (კაცი იგი ან იგი კაცი) ნაცვალსახელის ფუნქცია სახელზე მითითებაში მდგომარეობს, მეორეში — (შებორკილა იგი) ნაცვალსახელი სახელის მაგივრობას ეწევა. თითოეული ამ ფუნქციათაგანი ცალკეულ შემთხვევაში ვლინდება. მიმართებით ნაცვალსახელში ორივე ფუნქცია შეთავსებულია, მიმართებითი ნაცვალსახელი მისამართ სიტყვაზე მიმითებელი, ამ სიტყვის მსაზღვრელიც არის და ერთდროულად — მისი ნაცვალიც დამოკიდებულ წინადადებაში.

მიმართებითი ნაცვალსახელების გაჩენა ენაში, ცხადია, შემთხვევით ფაქტს არ შეიძლება მიეწეროს.

გავარჩიოთ რომელ ნაცვალსახელის შემცველი წინადადება, მაგალითად, ეს:

მონაგები მათი დაუტევეს ზენონს და დასა მისსა, რომელიცა იყო სახლსა შინა, ხანძთ. იბ, 10.

რთული წინადადებით გადმოცემული აზრი შეიძლება ორი მარტივით თქმულიყო:

მონაგები მათი დაუტევეს ზენონს და დასა მისსა. დაჲ ზენონისი იყო სახლსა შინა.

ამ შემთხვევაში ერთი და იგივე სიტყვები (დაჲ, ზენონ) მეორდება და თანაც ახლო მეზობლობაში, ენა ბუნებრივია, თუ გამეორებას თავს აარიდებდა.

ენას შეეძლო სხვა გამოსავალისთვის მიემართა, საამისოდ მას პირის ნაცვალსახელი შეეძლო გამოეყენებინა:

მონაგები მათი დაუტევეს ზენონს და დასა მისსა. იყო იგი სახლსა შინა.

რომელი სიტყვის სემანტიკით „იესება“ იგი ნაცვალსახელი? ვინ იყო სახლში — ზენონი თუ მისი და? მხოლოდ პირის ნაცვალსახელის გამოყენება აზრს აბუნდოვანებდა ან საერთოდ გაუგებარს ხდიდა. ამიტომ, ბუნებრივია, თუ მსგავს შემთხვევაში პირის ნაცვალსახელი აგრეთვე გამოუსადეგარი აღმოჩნდებოდა.

შეიძლებოდა მეორე წინადადებაში მხოლოდ არსებითი სახელი დაჲ გამეორებულიყო:

მონაგები მათი დაუტევეს ზენონს და დასა მისსა. დაჲ იყო სახლსა შინა.

ჯერ ერთი, რომ არსებითი სახელი ისევ მეორდება, მეორეც არის-და, აზრი საკირო სიზუსტეს მოკლებულია (რომელ დაზეა ლაპარაკი? იქნება ზენონს სხვა დაც კყავდა?).

და ბოლოს — შეიძლებოდა არსებითი სახელის გამეორება, მაგრამ აზრის სიზუსტისათვის არსებითი სახელი პირის ნაცვალსახელს უკვე ჩვენებითის ფუნქციით დაირთავდა:

მონაგები მათი დაუტევეს ზენონს და დასა მისსა. დაჲ იგი (მისი) იყო სახლსა შინა.

წინადადებათა ამგვარი „მეზობლობა“ ძველი ქართულისათვის ნორმაა (ოღონდ ორ მარტივ წინადადებას შორის ხშირად დაკავშირია მოქცეული). განსაზღვრებით ნაცვალსახელიანი არსებითის გამეორება მაინც ასატანი ჩანს, ენაში გამოსავალიც თითქოს

¹ ცხადია, ამ კონკრეტული წინადადებით გამოხატული აზრი არა გვაქვს აქ მხედველობაში, ცნობილი ფაქტია და ამიტომ გასაგებიც.

დაძებნილია... მიუხედავად ამისა, ჩნდება ტენდენცია—ეს ასატანი ვითარება დაიბრუნეს, გაჩნდეს სხვა თვისობრიობის მქონე ოდენობა, რომელიც მომდევნო წინადადებაში ნაწევრიან ნაცვალსახელს შეეცვლის და შედეგად ორ მარტივ წინადადებას ერთი რთულის სახით წარმოგვიდგენს.

რას უნდა გაეჩინა ეს ტენდენცია?

საქმე ისაა, რომ ორი ძარტივი წინადადების ფარგლებში კონკრეტული არსებობის გამეორების ასე თუ ისე შესაგუებელ ვითარებას გაბძულ მეტყველებაში (თუ ტექსტში) უკვე ამ პრინციპის გამეორება ერთვის: მეორდება არა მხოლოდ არსებითი სახელი მომდევნო წინადადებაში, არამედ მეორდება (მრავლდება) თვით ეს გამეორებაც...¹

ამ „ორსართულიან გამეორებათა“ მოშლის ტენდენცია² უნდა ჰქონდეს საფუძვლად იმ გარემოებას, რომ ჩნდება ახალი თვისობრიობის მქონე ნაცვალსახელი, რომელსაც შემდგომ „მიმართებით“ დაერქვა:

მონაგები მათი დაუტევეს ზენონს და დასამისსა, რომელიცა იყო სახლსა შინა..

¹ თუ რას ნიშნავს „პრინციპის გამეორება“, ეს შეიძლება ვნახოთ, მაგალითად, სერაპიონის ცხოვრების ერთი ნაწყვეტის მიხედვით. მიმართებითი ნაცვალსახელის უქონლობის პირობებში რთული წინადადებები ამ სახის მარტივებად იკნებოდა წარმოდგენილი:

იყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქუეყანასა ამას. ქუეყანაჲ ესე ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაჲთა. აგარაკთა მათ სიერცჳ საზღვართ-ერცელ და მრავალ იყო.. ესე კაცი იყოფოდა... და კარავთა იქცეოდა, კაცხა მას სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ ჩორჩანელი, ტაძარნი გიორგი ჩორჩანელიხნს შჳნ იყენეს სანახებსა ჩორჩანისასა...

როგორც ჩანს, არსებითი სახელები მომდევნო წინადადებაში მეორდება (ქუეყანასა მას, ქუეყანაჲ იგი... აგარაკთაჲთა, აგარაკთა მათ...), მაგრამ შეიძლება ეს ასატანი ყოფილიყო, რომ გამეორებას ადგილი არ ჰქონოდა თითოეული მომდევნო წინადადების შემთხვევაში. აღნიშნული ნაწყვეტი ტექსტში ასე გამოიყურება:

„იყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქუეყანასა ამას, რომელიც ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაჲთა, რომელთა სიერცჳ საზღვართ-ერცელ და მრავალ იყო... ესე კაცი იყოფოდა... და კარავთა იქცეოდა, რომელხა სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ ჩორჩანელი, რომელხა ტაძარნი შჳნ იყენეს სანახებსა ჩორჩანისასა...“

როგორც ვხედავთ, აქ არსებობის გამეორება თავიდან არის აცილებული, თუმცა აღნიშნული ნაწყვეტი მეორე უკიდურესობას წარმოგვიდგენს — რომელ ნაცვალსახელის ახლო მეზობლობაში ხშირი ხმარებით, ამიტომ რომელიც აქ თვით განიცდის „დისიმილაციის“ საჭიროებას.

² ზოგადად ამ საკითხის შესახებ იხ. გრ. კიკნაძე, ფიქსირებული ფორმის დარღვევის ტენდენცია, მეტყველების სტილის საკითხები, 1957, გვ. 83—110.

ამ ნაცვალსახელის „აბალი თვისობრიობა“ იმაში მდგომარეობს, რომ:

ა) არ მოითხოვს წინამდებარე (ნისამართი) სიტყვის (თავისი მსაზღვრელებითურთ) გამეორებას.

ბ) წინადადების წევრის როლს ისევე ასრულებს, როგორც არსებითი (რომ გამეორებულყო) ან პირის ნაცვალსახელი.

გ) კონკრეტული მნიშვნელობა, ცხადია, საერთოდ ამ ნაცვალსახელს არა აქვს, მაგრამ რამდენადაც იგი ჩვეულებრივ მნიშვნელობის შემცველ სიტყვებს მიემართება, ამდენად მისი მნიშვნელობა ყოველთვის გულისხმობს ამ მისამართი სიტყვების შინაარსს.

დ) მისამართ სიტყვას იგი განსაზღვრავს მასზე მითითების საშუალებით.

ე) მიმართებითი ნაცვალსახელი სიტყვათა გარკვეულ ჯგუფს მთლიანობაში იკავშირებს მისამართ სიტყვასთან, სიტყვათა ეს ჯგუფი მთლიანობაში (დამოკიდებული წინადადება) გარკვეულ აზრს შეიცავს, დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით ისაზღვრება, ზუსტდება მისამართი სიტყვის მნიშვნელობა.

ანალოგიურია ვითარება, როდესაც მიმართებით ნაცვალსახელებად გვაქვს ვინ და რა:

ხოლო ვაჲ არს კაცისა მის, ვის მიერ მიეცემის იგი, ლ. 22,22 და შემდგომად გამოლოცვისა მოერთუმოდის ძმათა ზილი, რაჲცა-რაჲ დახუდეს მის ჟამისაჲ, აღაპ. 262,26.

ვინ და რა ნაცვალსახელების ძირითადი ფუნქცია მისამართი სიტყვის მიმართ აგრეთვე განსაზღვრებაზე დაიყვანება, მაგრამ მათ რომელ-თან შედარებით ის თავისებურება აქვთ, რომ ვინ ყოველთვის ადამიანის აღმნიშვნელ სახელებს მიემართება, რა — არაადამიანთა სამყაროს, საგნების აღმნიშვნელ სახელებს.

როგორც ჩანს, რომელი, ვინ, რა ნაცვალსახელების მომდევნოდ ხმარებული სიტყვათა ჯგუფით (დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით) ისაზღვრება, ზუსტდება მისამართი სიტყვა. თვით მიმართებითი ნაცვალსახელების ფუნქცია კი იმაში მდგომარეობს, რომ მიუთითონ მისამართ სიტყვაზე, და, რამდენადაც მარტივ წინადადებაშიც ნაცვალსახელის ფუძით სახელზე მითითება განსაზღვრებად არის კვალიფიცირებული, ამდენად მიმართებითი ნაცვალსახელების ძირითად ფუნქციად (მისამართი სიტყვის მიმართ) აგრეთვე განსაზღვრება იქნება მისაჩნვეი.

ზემოთ არის აღნიშნული, რომ სადა ზმნიზედა მთავარ წინადადებაში შეიძლება მიემართებოდეს ადგილის საზოგადო და საკუთარ სახელებს, არსებით სახელს „ადგილი“ და ადგილის ზმნიზედებს (და მიიწია სოფელსა მას, სადაცა იყო ყრმაჲ იგი ვნებული, ხანძთ.

ნა, ნ; იყო ადგილსა მას, სადა ჯუარს-ეცუა, მტილი, ი. 19.41; მოვიმკი [მუნ], სადა არა დაგსთესი, მ 25,26). მიმართებით ნაც-
ვალსახელთაგან სადა მიმართებით ზნნიზედას არსებითად ის განა-
სხვავებს. რომ იგი უბრუნველია, გარკვეულ სიტყვაზე (ადგილის
აღნიშვნელ სიტყვაზე) მითითების პრინციპი კი უცვლელია და
აქაც განსაზღვრებასთან გვაქვს საქმე, ოღონდ ამ შემთხვევაში გან-
საზღვრების ცნება ადგილის აღნიშვნელ სიტყვებზე მითითებით
იფარგლება და დამოკიდებულ წინადადებაში განიხილული აზრი-
თაც ეს სიტყვები ზუსტდება და განისაზღვრება.

რა გამომდინარეობს?

თითოეული სიტყვის (რომელი, ვინ, რა, სადა) ფუნქცია იმაში
მდგომარეობს, რომ მითითების საშუალებით განსაზ-
ღვროს გარკვეული სიტყვა (მისამართი სიტყვა). რომლის მნიშვნე-
ლობა ზუსტდება და უფრო სრულად ხასიათდება დამოკიდებულ
წინადადებაში გამოხატული აზრით.

ახლა ბუნებრივია თუ ვკითხვავთ: რაღა კითხვითი ნაცვალსახე-
ლები და ზმნიზედები აირჩია ენამ მიმართებითობის გამოსახატა-
ვად? ეს გარემოება ხომ თავისთავად გვიბიძგებს მოსაზრებისაკენ,
რომლის მიხედვით, რაკი დამოკიდებული წინადადება მთავარს
მიმართებითი ნაცვალსახელების და ზმნიზედების საშუალებით
უკავშირდება და მიმართებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები
კი იგივე კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიზედებია, ამიტომ
დამოკიდებული წინადადებაც კითხვითისაგან მომდინარეობსო?

ამის შესახებ ჩვენ დასაწყისში გვექონდა მსჯელობა: კითხვითი
ნაცვალსახელებისათვის კითხვითობის გამოხატვა თავდაპირველად
არ ყოფილა მათი ერთადერთი ფუნქცია, კითხვითობის პარალელუ-
რად ეს ნაცვალსახელები და ზმნიზედები განუსაზღვრელობითი
შინაარსის შემცველი ნაცვალსახელები იყვნენ. მიმართებითად
კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები კი არ არის გამოყენე-
ბული, არამედ ნაცვალსახელები და ზმნიზედები, რომლებიც ერთ
შემთხვევაში შეიძლებოდა კითხვითი და მეორე შემთხვევაში განუ-
საზღვრელობითი შინაარსისანი ყოფილიყვნენ. ეს ფაქტია. მაგრამ
თავისთავად ამ ფაქტის აღნიშვნა არ გვეშელის საკითხის გადა-
წყვეტაში. არსებობს თუ არა რაიმე კავშირი მიმართებით ნაცვალ-
სახელებსა, ზმნიზედებსა და განუსაზღვრელობითი შინაარსის მქონე
ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს შორის?

ასეთი კავშირი არსებობს და დამოკიდებული წინადადების
გენეზისიც, ჩვენის ფიქრით, ამ მიმართულებით არის საძებნელი.

როგორც ეს ზემოთ არის აღნიშნული და სათანადო მაგალი-
თებიც მოყვანილი, — ძველ ქართულში ვინ შეიძლება უდრიდეს

მნიშვნელობით ვინმე-ს, რა — რაჟმე-ს, რომელი — ზოგ-ს (← რო-მელიმე-ს), სადა — სადმე-ს, მაგრამ ძველსავე ქართულში მნიშვნელობათა სადიფერენციაციოდ განუსაზღვრელობითი შინაარსის მქონე ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს მეტწილად უკვე -მე ნაწილაკი აქვთ დართული და კითხვითი შინაარსის ნაცვალსახელებსაგან ფორმალურადაც არიან გამიჯნულნი.

-მე ნაწილაკდართული განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები მარტივი წინადადების ფარგლებში ჩვეულებრივ სხვა სიტყვის მსაზღვრელებადაც გვხვდება. შეადარე:

თუ ვინმე წარგიძლუანებდეს შენ მილიონ ერთ, მ. 5,41

და:

მლდელი ვინმე შთაეიდოდა მასვე გზასა, ლ. 10,31

უკუეთუ ვინმე გრქუას რაჟმე, მ. 21.3

და:

ჩუენებაჟ რაჟმე იხილა, ლ. 1,22

რომელიმე დაეარდა გზასა ზედა, მ. 13,4

და:

იყო ადგილსა რომელსამე თავადი და ილოცვიდა, ლ. 11,1

ცხადია, რომ შესიტყვებებში—მლდელი ვინმე, ჩუენებაჟ რაჟმე, ადგილსა რომელსამე — სემანტიკურად განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები ფუნქციით განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია, და, რადგან ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ კითხვითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები ფორმალურად ოდესღაც ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ, ბუნებრივია, თუ განსაზღვრების ფუნქციით -მე ნაწილაკდართულ ნაცვალსახელებს აღვადგენთ:

მლდელი ვინ შთაეიდოდა მასვე გზასა...

ჩუენებაჟ რაჟმე იხილა...

იყო ადგილსა რომელსა თავადი და ილოცვიდა...

ეს მწოლოდ ვარაუდი არ არის, აი. ზოგიერთი მაგალითიც:

არცა ხაქმელი რაჟმე მიილის, შუშ. XIV, 2

ხოლო ძმანი რომელნი წარვიდეს ტაძარსა წმიდათა მოციქულთასა ლოცვად, და რომელნიმე შინა დაეშთით, მთწმ. 336,14.

მაშინ ერთს სად აღაგას შაიყრება სოფლის ქალ-ზალი და კაცები ხატში, ხევსურ. 145,8...

მაშ რა შეიძლება ჰქონდეთ საერთო განუსაზღვრელობითსა და მიმართებით ნაცვალსახელებს? ფუნქცია, რაც სხვა სიტყვის მიმართ

განსაზღვრებაში გამოიხატება; განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ მიმართებითი ნაცვალსახელები განუსაზღვრელობითი შინაარსისაგან დაცლილი არიან და ყველა ცალკეულ შემთხვევაში იძენენ კონკრეტულ მნიშვნელობას იმ სიტყვისას, რომელსაც ისინი მიემართებიან. გამონაკლისს შეადგენს სადა ზმნიზედა. რომელიც სხვა სიტყვასთან მიმართების გარეშეც გადმოგვცემს ადგილის მნიშვნელობას.

მაშასადამე, ძველსა და უფრო ადრინდელ ქართულშიც ვინ, რა, რომელი, სადა სიტყვები შეიძლება ხმარებულიყო კითხვითი, განუსაზღვრელობითი და მიმართებითის მნიშვნელობით. მიმართებითად ხმარების ფუნქცია მეორეული ჩანს და განუსაზღვრელობით (პოზიტიურ) შინაარსს უნდა ემყარებოდეს. აღნიშნულ მნიშვნელობათა ფორმალურად გამოიხატვის საშუალებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ მოგვიანო ქართულში კითხვითი შინაარსის მქონე ნაცვალსახელების ფუძეები ნაწილაკებს არ ირთავენ, განუსაზღვრელობითი შინაარსის მქონენი -შე ნაწილაკს იმატებენ და მიმართებითის შინაარსისანი კი ძველ ქართულში — -იგი, -ეგი, -ესე, -რაჲ, -შცა, -ცა ნაწილაკებს, ხოლო ახალ ქართულში — -ც(ა) ნაწილაკს.

ერთ საკითხს კიდევ ესაქიროება განმარტება. ზემოთ, მიმართებითი ნაცვალსახელების განხილვის დროს, ჩვენ ისეთი ტიპის ქვეწყობილი წინადადებები მოგვყავდა მაგალითებად, რომლებშიც დამოკიდებული წინადადება მთავარს მოსდევს. როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავარს წინ უსწრებს, მიმართებითი ნაცვალსახელები დამოკიდებული წინადადების თავში და მთელი ქვეწყობილი წინადადების წინ ექცევა:

ვინ არა გარდაიქდიდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი, ალაპ. 218,8
რაჲცა გრქუას, იგიცა ყავ, კიმ. II, 175,6.

რომელიმცა რჩული უწმიდე იყო, იგიმცა შევიყუარე, ევსტ. 167,8
სადა მეცნიერებით იფქლი არა იშრომებინ, მოჯნ შიმშილი ძლიერი არნ, ბოლნ. 35,7

იქნება ასეთი მაგალითები ლაპარაკობენ დამოკიდებული წინადადების კითხვითისაგან მომდინარეობის სასარგებლოდ? არა! თითოეულ მიმართებით ნაცვალსახელს ისევ აქვს მისამართი სიტყვა (ვინ... მან; რაჲცა... იგი; რომელიცა... იგიმცა; სადა... მოჯნ), რომელიც ისაზღვრება მათგან და დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით, განსაზღვრების პრინციპი აქაც დაცულია, ოღონდ სიტყვათა რიგი (ჯგუფურად) არის ადგილმონაცვლებული:

ვინ არა გარდაიქდიდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი..
=ღმერთსა გასცეს პასუხი მან, ვინ არა გარდაიქდიდეს..

რაატა გრქუას, იგიცა ყაე..
=ყაე იგიცა, რაატა გრქუას..

რამელიმცა რჩული უწმიდე იყო, იგიმცა შეეიყუარე..
=შეეიყუარე რჩული იგი (მცა), რამელიმცა (რჩული) უწმიდე
იყო..

ხადა მეცნიერებით იფქლი არა იშრომებინ, მოჯნ შიმშილი
ძლიერი არნ..
=შიმშილი ძლიერი არნ მოჯნ, ხადა მეცნიერებით იფქლი არა
იშრომებინ...

ახლა შეიძლება თუ კავშირის შემცველ ქვეწყობილ წინადადე-
ბასაც გადავხედოთ. თუ კავშირს, რა თქმა უნდა, არა აქვს მთავარ
წინადადებაში სიტყვა, რომელსაც ის შეიძლება მიემართებოდეს
ისე, როგორც ეს ზემოთ განიხილულ შემთხვევებში შეინიშნებოდა;
უშუალოდ თუ-ს არ გააჩნია სასაზღვრი სიტყვა მთავარ წინადადე-
ბაში. მაშ იქნება თუ კავშირიანი დამოკიდებული წინადადება
მომდინარეობს კითხვითისაგან? არა! მართალია, იმის გამო, რომ
თუ-ს კორელატი არა აქვს მთავარ წინადადებაში, ცალკეული
სიტყვის განსაზღვრის პრინციპი არ მოქმედებს, მაგრამ მთლიანად
დამოკიდებული წინადადების გენეზისის რკვევისათვის არსებითი
მაინც ეს მომენტი კი არ არის, არამედ თვით დამოკიდებული
წინადადების მთავართან მიმართების ხასიათი. დამოკიდებულ
წინადადებაში გამოხატული აზრით კი მთავარ წინადადებაში ისევე
სიტყვა ისაზღვრება, ოღონდ ეს სიტყვა უკვე შემასმენელია:

აღ-თოჯ-იარო პირითა შენითა ო'რი ი'ჯ... ხცხონდე, კიმ. I,
84,29

(რა პირობით ცხონდები? თუ აღიარებ უფალს...)

დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით ისაზღვრება
მთავარი წინადადების შემასმენლით გამოხატული მოქმედების პი-
რობა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ კავშირიანი დამოკიდებული
წინადადება შეაპირობებს იმ ფაქტს, რომ მთავარი წინადადების
შემასმენლით გამოხატულ მოქმედებას პირობითი შინაარსი
უჩნდება¹.

არსებითად ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე ოდეს ზმნი-
ზედიან ქვეწყობილ წინადადებაში (ოდეს მოვიდეს იგი, მითხრას
ჩუენ ყოველი, ი. 4,25), სადაც დამოკიდებულ წინადადებაში გამო-

¹ თავდაპირველად პირობითი დამოკიდებული წინადადება, როგორც ჩანს,
თუ კავშირის გარეშეც უკავშირდებოდა მთავარს:

ხატული აზრით ისაზღვრება მთავარი წინადადების შემასმენელი ამ უკანასკნელის მიერ გადმოცემული მოქმედების დროის მიხედვით.

რა თქმა უნდა, შეიძლება სხვა ტიპის დამოკიდებულწინადადებებიანი ქვეწყობილი წინადადებების განხილვაც. მაგრამ ამჯერად ეს აუცილებელი არაა. იმ ქვეწყობილი წინადადებების განხილვამ კი, რომლებიც ექვს ძირითად კითხვით სიტყვას (ვინ, რა, რომელი, სად, ოდეს, თუ) შეიცავენ, დაგვანახვა, რომ კითხვითის ფუნქციით აქ თითქოს არც სიტყვები გვაქვს და არც წინადადებები¹; და თუ ზოგიერთ ამ კითხვით სიტყვათაგან, თავის მხრივ, სხვა კითხვითი (resp. მიმართებითი) სიტყვებია ნაწარმოები, ცხადია, რომ კითხვითი შინაარსის ძებნა ამ სიტყვებშიც მოუხერხებელია როგორც სტატიკური, ასევე ისტორიული თვალსაზრისით.

დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით მთავარ წინადადებაში ისაზღვრება, ზუსტდება ცალკეული სიტყვის (არსებითის, საწყისის, ნაცვალსახელის, შემასმენელი — ზმნის) მნიშვნელობა ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით. სიტყვის მნიშვნელობის, აზრის უფრო ზუსტად და სრულყოფილად გამოთქმის საჭიროებით ჩანს შეპირობებული დამოკიდებული წინადადების წარმოშობა და, თუ დამოკიდებული წინადადების გენეზისის საკითხი დაისმის დღის წესრიგში, ჩვენი აზრით, კვლევა განსაზღვრების სპეციფიკისა და გენეზისის ძიების მიმართულებით უნდა წარიმართოს.

არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა, ვ. ტ. 790,3
არ მოვბრუნდე, მომიგლოვე, მიტირე და მივავლახე, ვ. ტ. 167,4
ასეთი მაგალითები არა ერთი და ორი დაიძებნება.

¹ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ გვაქვს ისეთი დამოკიდებული წინადადების შემცველი ქვეწყობილი წინადადებები, რომლებშიც მიმართებით ნაცვალსახელებს, ზმნიზედებს თუ კავშირებს საშუალსა და ახალ ქართულში აქვთ დასაბამი (და ბუნებრივია, მათი გენეზისისათვის თვალის დევნებაც უფრო ადვილია).

დამოკიდებული წინადადების კითხვითისაგან მომდინარეობის მოსაზრების სასარგებლოდ მასალები არც ამ მაგალითებზე ჩანს.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

სინტაქსის საგნის საკითხისათვის რთული ძველგოგინი წინადადების შარბლავში

1. საბჭოთა ენათმეცნიერებაში საყოველთაოდ ცნობილია გრამატიკის ასეთი განსაზღვრა: გრამატიკა (მორფოლოგია, სინტაქსი) სიტყვათა ცვლილებისა და წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესების კრებულია.

გრამატიკა ორი დარგისაგან შედგება — მორფოლოგიისა და სინტაქსისაგან.

გრამატიკაში სინტაქსი მორფოლოგიის გვერდით მოიხსენიება, მაგრამ როგორც თეორიული, ასევე კერძო საკითხების დამუშავების ნხრივ სინტაქსი მორფოლოგიის გვერდით არ დგას. სინტაქსი გრამატიკის სუსტი უბანია. სხვა რომ არაფერი ითქვას, სინტაქსის საგნის საკითხიც კარგა ხანია დავის საგანს წარმოადგენს, და ასეთ პირობებში, ბუნებრივია, რომ კერძო საკითხების კვლევა ფერხდება ან, თუ წარმოებს, ხშირად სინტაქსის სფეროში არ წარმოებს.

სინტაქსის წამოწვევის საკიროება მორფოლოგიის გვერდით ამჟამად შეტად საგრძნობია. არ გვექნება ენის რამდენადმე სრულყოფილი გრამატიკა, სანამ კვლევა-ძიების შედეგების მიბღღვით სინტაქსი მორფოლოგიას არ „წამოეწევა“, არ „გაუთანაბრდება“.

იმისათვის, რომ ენათმეცნიერულ კვლევა-ძიებას სინტაქსის სფეროში სანდო საფუძველი ჰქონდეს, საჭიროა პირველ რიგში დამუშავდეს სინტაქსის თეორიული საკითხები, დადგინდეს იქნეს სინტაქსის საგანი, მისი საზღვრები.

ქვემოთ ჩვენ მსჯელობა გვექნება სინტაქსის საგნის საკითხზე ქვეწყობილი წინადადების ფარგლებში.

2. სანამ უშუალოდ ამ საკითხს შევხებოდეთ, გავიხსენოთ — რა არის ენაში სინტაქსური ბუნებისა.

ენაში სინტაქსური ბუნებისაა წინადადებად სიტყვათა შეკავშირების წესები. წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესების გამოვლინებამ უნდა მოგვეცეს სინტაქსი ამა თუ იმ ენისა. მაშასადამე, სინტაქსი სწავლობს წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესებს.

თვით წინადადებას? თვით წინადადებას სინტაქსი შეისწავლის მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სიტყვები ერთმანეთთან წინადადებაში არიან დაკავშირებული.

ამ გარემოებაზე სპეციალური ყურადღების გამახვილება იმიტომაც არის საჭირო, რომ წინადადებათ, რომელშიაც სიტყვები ერთმანეთთან არის დაკავშირებული, ყოველთვის გარკვეული აზრი გვეძლევა, ეს კი შესაძლებელი ხდება სიტყვათა შორის ორმხრივი კავშირის საფუძველზე: წინადადებაში სიტყვები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან მნიშვნელობითაც (აზრობრივადაც) და გრამატიკულადაც. სინტაქსში უნდა უგულებელვყოთ მნიშვნელობითი (აზრობრივი) მხარე, სინტაქსმა სიტყვათა შორის გრამატიკული (სინტაქსური) კავშირი უნდა ასახოს.

„დავითს უყვარს სიმონი“ და „დავითს სძულს სიმონი“ კონკრეტული შინაარსით ერთმანეთს უპირისპირდება. მაგრამ სინტაქსურად ეს ორი წინადადება სავსებით ერთნაირი აგებულებისაა; მისი შემადგენლობა განისაზღვრება ფორმულით: რეალური სუბიექტი მიცემითში + გარდაუვალი ორპირიანი ინვერსიული ზმნა + რეალური ობიექტი სახელობითში (და საამისო შეთანხმება-მართვა). ასევე: „დავითმა ააშენა სახლი“ და „დავითმა დაანგრია სახლი“, „ყინვამ დააზიანა ხეხილი“, „მზემ ააყვავა მთა-ბარი“ — ერთ სინტაქსურ მოდელს იძლევა: რეალური სუბიექტი მოთხრობითში + გარდამავალი ზმნა ნამყო ძირითადში + რეალური ობიექტი სახელობითში (სათანადო საურთიერთო მართვა-შეთანხმებით). წინადადებების კონკრეტული შინაარსი სრულიად სხვადასხვაა, ზოგჯერ დაპირისპირებულაც კია, სინტაქსური ფორმულა ერთნაირია¹.

მაშასადამე, სინტაქსმა წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესები უნდა მოგვეცეს. წინადადებათ (ისევე როგორც სიტყვით) გამოხატული კონკრეტული შინაარსი სინტაქსური ბუნებისა არ არის და მას სინტაქსი ვერ შეისწავლის, მიუხედავად იმისა, რომ იგულისხმება: თითოეული წინადადება, რომელსაც კი სიტყვათა შეკავშირების წესების დასადგენად მივმართავთ, ყოველთვის რაიმე კონკრეტული შინაარსის შემცველი იქნება.

3. რადგან წინადადებად სიტყვათა შეკავშირების წესები სინტაქსს იძლევა, ხოლო ქვეწყობილი წინადადება უპირველეს ყოვლისა წინადადებაა, აქედან გამომდინარეობს, რომ წინადადებათა ქვეწყობის ფარგლებში სინტაქსური ბუნებისა შეიძლება იყოს გრეთვე მხოლოდ სიტყვათა შეკავშირების წესები.

¹ ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, 308.

მაშასადამე, სიტყვათა შეკავშირების წესების გამოვლინებამ ქვეწყობილი წინადადების ფარგლებში უნდა მოგვცეს ქვეწყობილი წინადადების სინტაქსი.

განვიხილოთ ეს საკითხი დამოკიდებული წინადადებების ამჟამად არსებული კლასიფიკაციის ფონზე¹.

* * *

4. საკითხის განხილვა უფრო მცირე სინტაქსური ერთეულებით შეიძლება დავიწყოთ.

განსაზღვრება ჰქვია წინადადების წევრს, რომელიც სახელით (ან სახელზმნით) გადმოცემულ სხვა წინადადების წევრს რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს, ანუ განსაზღვრავს.

წინადადების სხვა წევრთა შორის გვხვდება გარემოება. მნიშვნელობის მიხედვით გარემოება შეიძლება იყოს: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა.

გარემოება ჰქვია წინადადების წევრს, რომელიც გვიჩვენებს, თუ სად, როდის ან როგორ ხდება მოქმედება, ან კიდევ: რატომ ან რისთვის ხდება, რამდენად ან რამდენჯერ...

ცოხე შიგნიდან, გატყდებაო.

ღღეს მერცხალი შემოფრინდა.

ძიძიას სიცივე მეტად აწუხებდა.

ხიცხის გამო ყველანი გარეთ დერეფანში ვწვიბოდით.

მტერზე მისული ბიჭები ბრძოლისთვის გვეძახიანო.

მოყვანილ წინადადებებში ხაზგასმული სიტყვები გარემოებებია, პირველში—ადგილისა, მეორეში—დროისა, მესამეში—ვითარებისა, მეოთხეში—მიზეზისა, მეხუთეში—მიზნისა. თითოეული გარემოებათაგანი მნიშვნელობით შემასმენელთან არის დაკავშირებული (შიგნიდან გატყდებაო, ღღეს შემოფრინდა, მეტად აწუხებდა, ხიცხის გამო ვწვიბოდით, ბრძოლისთვის გვეძახიანო). როდესაც ამბობენ: გარემოება „გვიჩვენებს, თუ სად, როდის ან როგორ ხდება მოქმედება, ან კიდევ: რატომ ან რისთვის ხდებაო...“, ეს სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, —რომ გარემოება განსაზღვრავს შემასმენელს, ახასიათებს მას ანა თუ იმ ნიშნის მიხედვით. ადგილის გარემოებით შემასმენლით გამოხატული მოქმედების ადგილი ხუსტდება და განისაზღვრება, დროის გარემოებით—შემასმენლით

¹ კლასიფიკაციის მიხედვით, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა, ისწავლება ამჟამად ქვეწყობილი წინადადების სინტაქსი სკოლებშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც.

გამოხატული მოქმედების დრო, ვითარების გარემოებით — შემას-
მენლით გამოხატული მოქმედების ვითარება და ა. შ.

„... საჭირო ტერმინები და ცნებები — დამატება, განსაზღვრება,
ადგილის, დროის, მიზეზის, ბიზნისა და ვითარების გარემოება
თვით გრამატიკამ შექმნა.

როგორია ეს ცნებები? ავიღოთ გრამატიკის მიერ მოცემული
გაგება. რა არის განსაზღვრება? ის სიტყვა, რომელიც განსაზ-
ღვრავს, განმარტავს მეორე სიტყვის აზრს, — ასეთია ჩვეულებრივი
პასუხი. „მეზობლის ბავშვი ეზოში თამაშობს“. ვისი ბავშვი? მეზობ-
ლის (ბავშვი). როგორი ბავშვი? — „ცელქი“... „მეზობლის“, „ცელ-
ქი“ — განსაზღვრებაა. კი მაგრამ: „ეზოში“ — სიტყვაც სომ გან-
საზღვრავს სხვა სიტყვის აზრს? „თამაშობს — ეზოში“ და არა
ბაღში, ან ღერეუანში თუ ოთახში. როგორც სიტყვები: „მეზობ-
ლის“, „ცელქი“ განსაზღვრავენ სიტყვას „ბავშვი“, ისევე გან-
საზღვრავს სიტყვა „ეზოში“ ზინას „თამაშობს“.

ეგვე უნდა გვეთქვა, სხვა სიტყვებიც რომ გვქონოდა: ყოველი
მათგანი ან სუბიექტს (ქვემდებარეს) „განსაზღვრავს“, ან პრედი-
კატს (შემასმენელს). სხვა დასკვნის გაკეთება არ შეიძლება, თუ
თანმიმდევრობას დავიცავთ და მართლაც ლოგიკურ ანალიზს
ვაწარმოებთ¹.

შემასმენელი შეიძლება განისაზღვროს სრულმნიშვნელოვანი და
არასრულმნიშვნელოვანი სიტყვებით (ზმნიზედებით):

სოფელში წავიდა	იქ წავიდა
დღეს წავიდა	მაშინ წავიდა
ქარგად თქვა	ასე თქვა

და ა. შ.

პირველი რიგის მაგალითებშიც შემასმენელი რაიმე ნიშნის
მიხედვით (ადგილის, დროის, ვითარების) ისაზღვრება და მეორე-
შიც (ადგილის, დროის, ვითარების), ოღონდ მაგალითების მეორე
წყებაში ზმნიზედა (განსაზღვრება) შემასმენლით გამოხატული მოქ-

¹ ა. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებუ-
ლებას, კულტურული აღმშენებლობა, № 5, 193, გვ. 501.

შდრ.: „ქვემდებარესა და შეამენილსაც შეიძლება დაერთნენ თითო ანუ მრავალნი სიტყვანი, რომელნიც იწოდებიან არა.. მთავარ ნაწილებად ანუ დაშოკედებულ სიტყვებად, მისთვის რომ ესენი უსათუოდ ემორჩილებიან ანუ ქვემდებარეს და ანუ შესმენილსა, ე. ი. ანუ ქვემდებარეს მსაზღვრენ და ანუ შესმენილსა.

რომელნი მსაზღვრენ ქვემდებარესა იწოდებიან განმმარტველ სიტყვებად, ხოლო შესმენილისა მსაზღვრელნი — დამატებოთად“, თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ქარ-
თული გრამმატიკა, (ეტიმოლოგია და სინტაქსი), ტფილისი, 1889, გვ. 35.

მედების ადგილზე, დროსა თუ ვითარებაზე მხოლოდ ზოგადად მიუთითებს (მღრ.: ის წუხა და ბებერი მუხა)...

5. წინადადებათა ქვეწყობაში გარემოებათა ტიპების შესაბამისად გაშოკოტენ დამოკიდებულ წინადადებათა ტიპებს: ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას, დროის გარემოებისას, ვითარების გარემოებისას, მიხედვის გარემოებისას, მიზნის გარემოებისას..

რას გვეუბნება ქვეწყობილი წინადადების ზოგადი განსაზღვრა? „ქვეწყობა ჰქვია ისეთ წინადადებათა დაკავშირებას, რომლებიც ერთიმეორის მიმართ არაა თანასწორი და რომელთაგანაც ერთი ხსნის ნეორეს“¹.

ვნახოთ მაგალითებზე:

სადაც ბევრი ტყეა, იქ წყალიც უხვად დის.

მან მხოლოდ მაშინ აძოისუნთქა თავისუფლად, როდესაც გორას გადაეფარნენ სტუმრები.

პირველი რიგი მტრის ჯარისა იხე დაენხო დედამიწაზედ, როგორც ცელით მოქრილი გამომძარი ყანა იქცევა ძირს.

ხმლით იერიშის მიტანა ოსმალ-ლეკებს იმის გამოც არ შეეძლოთ, რომ ხმალში ქართველები მარჯვენი იყვნენ.

დიდის ღმერთის საკურთხეველის მისთვის ღვინის ცეცხლი გულში, რომ ერისა მოძმედ ვიყო ჰმუნვასა და სიხარულში.

დამოკიდებული წინადადება განსაზღვრავს, ხსნის მთავარ წინადადებას. როგორია ვითარება ზემოთმოყვანილ მაგალითებში? დამოკიდებული წინადადება მთავარ წინადადებას განსაზღვრავს მთლიანად, თუ მის რომელიმე წევრს?

თითოეულ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადებით განისაზღვრება მთავარი წინადადების შემასმენლით გამოხატული მოქმედების ადგილი, დრო, ვითარება, მიზეზი ან მიზანი. მაშასადამე, ყველა შემთხვევაში დამოკიდებულ წინადადებას განსაზღვრების ობიექტად მთავარი წინადადების შემასმენელი აქვს. იგი ამ შეპასმენელს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით განსაზღვრავს.

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, სინტაქსი, სახელმძღვანელო VII—VIII კლასებისათვის, 1952. ქვეწყობილი წინადადების ასეთი განსაზღვრა ტრადიციულია. სხვას აღარ ვინოწმებთ.

მარტივ წინადადებაში სხვადასხვა სახის გარემოება სხვადასხვა წიშნის მიხედვით განსაზღვრავდა შემასმენელს. აქაც ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე, ოღონდ წინადადებათა ქვეწყობაში დამოკიდებული წინადადებით განსაზღვრებას ერთი თავისებურება ერთის: მთავარ წინადადებაში (სხვადასხვაგვარი სიხშირით დამოკიდებული წინადადების ტიპების მიხედვით) შეიძლება შეგვხვდეს არასრულმნიშვნელოვანი სიტყვები (ზმნიხედები), რომლებიც აგრეთვე მთავარ წინადადებათა შექასმენლებს მიერთიან იმავე განსაზღვრების ფუნქციით. ზემოთმოყვანილ მაგალითებში, მაგალითად, *ოქ* (ადგილისა), *მამინ* (დროისა), *ისე* (ვითარებისა), *იმიხ* *გამო* (მიზეზისა), *მისთვის* (მიზნისა) გარემოებებია (მნიშვნელობის მიხედვით განსაზღვრებებია), ისინი მთავარი წინადადების შემასმენლებზე არიან მირთული, მაგრამ იმ უნარს, რომ კონკრეტული მნიშვნელობის მიხედვით განსაზღვრონ შემასმენელი, მოკლებული არიან. განსაზღვრების კონკრეტულ მნიშვნელობას ისინი დამოკიდებული წინადადების მეშვეობით იძენენ. ამიტომ დამოკიდებული წინადადებით მთავარი წინადადების შემასმენლის ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით განსაზღვრება ერთგვარად გაშუალებულია.

შეიძლება მთავარი წინადადების შემასმენელზე მირთული გარემოება სრულმნიშვნელოვანი სიტყვა იყოს:

ორმა მოუსყენარმა სოფლის ბიჭმა ტყიხაკენ გასწია, სადაც ნიბლიას ბუდე იყო¹.

ასეთ შემთხვევებში დამოკიდებული წინადადებით „იქსება“ გარემოების (ტყისაკენ) მნიშვნელობა და, როგორც გარემოებით, ასევე დამოკიდებული წინადადებით (ცალ-ცალკე თუ ერთად) ისევე მთავარი წინადადების შემასმენლით გამოხატული მოქმედება ისაზღვრება ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით (აქ: ადგილი ზუსტდება).

6. ნათელია, რომ დამოკიდებული წინადადება მართლაც განსაზღვრავს მთავარი წინადადების შემასმენელს (შეიძლება მთლიანად წინადადებასაც განსაზღვრავდეს). მაგრამ რა განსაზღვრავს რას?

წინადადება განსაზღვრავს სიტყვას.

ვაშობთ: წინადადება განსაზღვრავს სიტყვასაო. როგორ განსაზღვრავს წინადადება სიტყვას? ცხადია, აქ მხედველობაში რომ არ გვქონდეს დამოკიდებული წინადადებით გამოხატული აზრი,

¹ ამ ტიპის წინადადებები განსაზღვრებითადაა მიჩნეული. იხ. ლ. კვა-
კაძე, რთული წინადადებების სწავლების მეთოდთა, 1950, გვ. 56.

ვერ ვიტყვით — დამოკიდებული წინადადება განსაზღვრავს მთავარი წინადადების შემასმენელსაო (ან მთლიანად წინადადებას). შემასმენელი (მთავარი წინადადება) დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით ისაზღვრება. არის თუ არა აზრი სინტაქსური ოდენობა? — არა.

ვამბობთ: წინადადება განსაზღვრავს სიტყვასაო, მაგრამ დამოკიდებული წინადადებით გამოხატული აზრი რომ არა, — ვერც ამას ვიტყვით.

წინადადება განსაზღვრავს სიტყვასაო. სიტყვა (შემასმენელი) გარკვეული შინაარსის შემცველი ოდენობაა. დამოკიდებული წინადადებით მთავარი წინადადების შემასმენელი (ან მთლიანად წინადადება) განისაზღვრება, ზუსტდება ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით. მაგრამ სიტყვის (წინადადების) განსაზღვრებით სხვა არაფერი ზუსტდება და განისაზღვრება, თუ არა სიტყვის მნიშვნელობა (ან წინადადებით გამოხატული აზრი).

მაშასადამე, დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით ისაზღვრება და ზუსტდება მთავარი წინადადების სიტყვის (შემასმენლის) მნიშვნელობა (ან მთლიანად მთავარი წინადადება) ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით.

მაგრამ წინადადებით გამოხატული აზრიც, სიტყვის მნიშვნელობაც და სიტყვის მნიშვნელობასთან წინადადებით გამოხატული აზრის მიმართებაც სინტაქსური ბუნებისა არ არიან.

აქედან გამომდინარეობს, რომ თვალსაზრისიც, რომელიც დამოკიდებულ წინადადებას განსაზღვრებითად¹ (გარემოებითად) მიიჩნევს, არ შეიძლება სინტაქსური იყოს.

7. მიუხედავად იმისა, რომ დამოკიდებული წინადადებების ტრადიციულ კლასიფიკაციას საფუძველი სინტაქსური არა აქვს, იგი სინტაქსშიც საჭიროა. რატომ არის აღნიშნული კლასიფიკაცია საჭირო სინტაქსისათვისაც?

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ სინტაქსმა წინადადებათა ქვეწყობაში მთავარი და დამოკიდებული წინადადებებით გამოხატული აზრობრივი (ან, მითუმეტეს რეალური) მიმართებანი ისწავლოს, ან იმით შემოიზღუდოს თავი, რომ ერთი წინადადება, ვთქვათ, ამა და ამ ტიპს განუყოფნოს და სხვა — მეორეს. სინტაქსმა ამ საკლასიფიკაციო ერთეულებით უნდა დაიწყოს, გა-

¹ ტერმინი — „გარემოებითი“ (ადგილის გარემოებითი, დროის გარემოებითი...) საქმის ვითარებას არ ცვლის: გარემოებითი დამოკიდებული წინადადებით ისაზღვრება მთავარი წინადადების შემასმენელი (ან მთელი წინადადება).

მოველანოს სიტყვათა ურთიერთობის, სიტყვათა შეკავშირება-შეხა-
ბების წესები ქვეწყობის შიგნით, სიტყვათა შეკავშირების რაგვარ
წესებთან გვაქვს საქმე ქვეწყობილ წინადადებაში. რონელიც,
ვთქვათ. ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას შეი-
ცავს, ან ქვეწყობილ წინადადებაში, რომელიც მიზნის გარეპოებით
დამოკიდებულ წინადადებას შეიცავს და ა. შ.

გარეპოებათა ტიპების შესაბამისი დამოკიდებული წინადადებე-
ბის შემცველ წინადადებათა ქვეწყობაში სიტყვათა შეკავშირება-
შეხაბების წესების სახეობად უნდა მივიჩნიოთ საკავშირებელი სიტ-
ყვების (მიმართებითი ზანიწელებასა (კავშირების) და მათი კორე-
ლატების) შეკავშირების წესები.

იქ	— სადაც	ან ანათი შებრუნებული	სადაც	— იქ
მაშინ	— როდესაც	რიგით:	როდესაც	— მაშინ
ისე	— როგორც		როგორც	— ისე

ჩვეულებრივ ასეა: რა შინაარსისაც არის მიმართებითი ზანიწე-
და, მას კორელატად ამავე შინაარსის ზანიწედა (გარემოება) შე-
ესატყვისება: ადგილისას—ადგილისა, დროისას დროისა... მაგრამ
ეს ყოველთვის ასე არ არის...

რომ კავშირი ახალ ქართულში უაღრესად პოლისემანტიკური
კავშირია, დამოკიდებული წინადადება, რომელიც ამ კავშირს შეი-
ცავს, იმისდა მიხედვით, თუ მთავარ წინადადებაში რომელი საკავ-
შირებელი სიტყვა (ზანიწედა) აღმოაჩნდება, სხვადასხვა ტიპისა
შეიძლება იყოს:

იქ დასახლდა, ჩემი ნათესავები რომ ცხოვრობენ.
აქხანავი რომ მოვიდა, სტუმრები მაშინ წამოი-
შალნენ.

ბნელა იხე, რომ აღარ ჩანს თითი, თვალთან მიტა-
ნილი.

ნიკომ მღვდელობაზე უარი გამოაცხადა იმის
გამო, რომ არ შემოიძლიაო.

მისთვის ღვივის ცეცხლი გულში, რომ ერისა მოძმედ
ვიყო...

ამ ქვეწყობილ წინადადებებში დამოკიდებული წინადადების
ტიპზე საკავშირებელი სიტყვა (ზანიწედა მთავარ წინადადებაში:
იქ... მაშინ... ისე...) გვანიშნებს. „რომ“ კავშირი ამ უნარს მოკ-
ლებულია.

შეიძლება პირიქით: საკავშირებელი სიტყვა გამორტოვებული
იყოს და დამოკიდებული წინადადების ტიპზე მიმართებითი ზანიწე-

ზედა ნიგვითითებდეს („გაეშურა, საიდანაც ხმა მოესმა...“). ისიც ხდება, რომ კორელატი სიტყვაც გამოტოვებულია და კაეშირიც პოლისემანტიკურია. ასეთ შემთხვევებში დამოკიდებული წინადადების რომელიაზე ლაპარაკი მთელი ქვეწყობილი წინადადებით გამოხატული აზრის მიხედვით პერხდება.

ასე თუ ისე, დამოკიდებული წინადადების ტიპების მიხედვით კორელატი სიტყვების არჩევანი და მათი შეხამება წინადადებათა ქვეწყობაში ნებისმიერი არ არის. არ შეიძლება, ვთქვათ, მიზეზის განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ქვეწყობაში კორელატად ადგილის ზმნიზედა ვინმართ მთავარ წინადადებაში (ნიკომ მღვდელობაზე უარი განოაცხადა იქ, რომ არ შემძლიაო...), ან მთავარი წინადადების კორელატს — ვითარების ზმნიზედას დროის მიმართებითი ზმნიზედიანი დამოკიდებული წინადადება დაუკავშიროთ (პირველი რიგი მტრის ჯარისა ისე დაემხო დედამიწაზედ, როდესაც ცელით მოქრილი ყანა იქცევა ძირსო...)

... სინტაქსის კურსებში საკავშირებელ სიტყვებზე ყურადღება მეტ-ნაკლებად გამაზვილებულია.

საკავშირებელი სიტყვების ურთიერთობით ამოიწურება ქვეწყობის ფარგლებში სიტყვათა შეხამების წესები? არა!

ავიღოთ, მაგალითად, ქვეწყობილი წინადადება დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებით:

როდესაც გოჩამ დალოცვა გაათავა, ხალხს გამოუცხადა ნუგზარ ერისთავის სურვილი.

შევეცვალოთ მთავარი წინადადების შემასმენელის (ზმნის) მწკრივი: როდესაც გოჩამ დალოცვა გაათავა, ხალხს გამოუცხადებს (ან: უცხადებდა, ან: უცხადებდეს, ან: გამოუცხადოს) ნუგზარ ერისთავის სურვილს.

შეუძლებელია! ახლა უცვლელად დავტოვოთ მთავარი წინადადების ზმნა და შევეცვალოთ დამოკიდებული წინადადებისა:

როდესაც გოჩა დალოცვას გაათავებს (ან: გაათავებდა, ან: ათავებდა, ან: გაათავებდეს, ან: გაათავოს...), ხალხს გამოუცხადა ნუგზარ ერისთავის სურვილი.

ესეც შეუძლებელია! რა გამომდინარეობს?

ჩანს, მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენელთა მწკრივის არჩევანი ნებისმიერი არ არის.

ძველ ქართულში დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების კავშირებად შეიძლება შეგვხვდეს სინონიმური ხასიათის კავშირები: რაჟამს, ოდეს, რაჟ, ვითარ (მნიშვნელობით „როცა“,

„როდესაც“). ამათ შემცველ წინადადებათა ქვეწყობაში მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენელთა ასეთი შეფარდება ვლინდება: თუ მთავარი წინადადების შემასმენელი თბრობითი კილოს ზმნაა, დამოკიდებული წინადადების შემასმენელიც მის კილოს იმეორებს:

რაქამს მოიწია სახედ თქსა გაბრიელ მთავარი, მაშინ აუწყა ღმრთის-მოყუარემან მეულლემან მის-მან... ხანძთ. იგ, 24

ოდეს წუენის ქამაჲ გულმ^რნ უთქს, ნაცვალად წუენისა შილიხ მარილისა ხოშორი, საბა. 5,16

უფალი მხოლოჲ უძლოდა მათ, ხედვიდა რაჲ გულსა მათსა წმიდასა, ხანძთ. 3,20

ვითარ ქამდეს იგინი, ჰრქუა მათ იესუ, მ. 26,21

„ძველ ქართულში თბრობით კილოს მომავალი დროის მნიშვნელობით საკუთარი ფორმები არ გააჩნდა, საამისოდ კავშირებითის ფორმები იყო გამოყენებული (პირველისა ან მეორისა)“¹. „ძველს ქართულში კავშირებითიც არსებითად თბრობითს კილოს დროს წარმოადგენდა (მყოფადის შინაარსს გადმოგვეცემდა)“².

კავშირებითის მწკრივით, მაგრამ თბრობით კილოიან (ე. ი. მყოფადის შინაარსით) ზმნათა შეფარდებას უნდა გადმოგვეცემდნენ შემასმენლები ასეთ ქვეწყობაში:

ხოლო რაქამს აღვდგე, წარგიძლუე თქუენ. მ. 26,32 C

რაქამს მოვიქცე აუხაზეთით, თანა-წარგიყვანო შენ ხანძთად, ხანძთ. კბ, 10

ოდეს გიხილონ შენ ეგვპტელთა მათ, თქუან, დაბ. 12,12

ოდეს სამართალმან დავასამართლოს, მაშინ იხილო თავი შენი ცნობა-მიღებულ, ხანძთ. მზ, 102

თუ მთავარი წინადადების შემასმენელი ბრძანებითი კილოს ზმნაა (წართქმითი თუ უკუთქმითი), დამოკიდებული წინადადების შემასმენელი ჩვეულებრივ კავშირებითი მწკრივის (კავშირებითი კილოს) ზმნად წარმოგვიდგება:

ხოლო შენ რაქამს ილოცვიდე, შევედ საუნჯესა შენსა, მ. 6,6

რაქამს ჰპოოთ, მითხართ მე, მ. 2,8

ოდეს იხილოთ ესე ყოველი, გულისგზა-ყავთ, მრკ. 13,29 C

¹ ა. შანიძე, ძვ. ქართული ენა, გვ. 306.

² ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 276.

ხოლო შენ რაეამს ჰყოფდე ქველის საქმესა შენსა, ნუ სცნობნ მარცხენც შენი... მ. 6,3

რაეამს იქმნოდი ქველის საქმესა შენსა, ნუ ჰქადავებ წინაშე შენსა, მ. 6,2

რაეამს ილოცვიდეთ, ნუ მრავალსა იტყუთ, მ. 6,7

უნდა აღინიშნოს, რომ რაეამს და ოდეს კავშირებიან ქვეწყობაში შემასმენელთა თხრობითიკლოიანი შეფარდება შეიძლება გამოხატული იყოს წყვეტილის, უწყვეტლის, ხოლმეობითის, კავშირებითის მწკრივთა სახით. მაგრამ რაჲ და ვითარ კავშირებიან ქვეწყობილ წინადადებებში ზმნათა კავშირებითის მწკრივიანი შეფარდებანი მეტად იშვიათად გვხვდება (მაგ.: მო-რაჲ-კუდეს, მესამესა დღესა აღდგეს, მრკ, 9,31).

ამ თვალსაზრისით ახალ ქართულში (და ძველშიც!) ვითარება შეუსწავლელია ცხადია, მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენელ-ზმნათა შეფარდება არცაქ უნდა იყოს ნებისმიერი.

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ქვეწყობაში მთავარი წინადადებით გარკვეული მოქმედება გამოიხატება, დამოკიდებულთ კი — ამ მოქმედების მიზანი.

მთავარ წინადადებაში გამოხატული მოქმედებაც და დამოკიდებულში ასახული მიზანიც შეიძლება წარსულს განეკუთვნებოდეს.

თვითონ კი ლომივით ტრიალებდა, რომ როგორმე ტივი შეეუენებინა ნაპირზე.

იმ ღამეს იქ დაგრჩი, რათა თვალი გაშეძლო მშვენიერის სანახავეების ხილვითა.

მტრედები წყვილ-წყვილად გამოდიოდნენ, რომ ბუნების მშვენიერებით დამტკბარიყვნენ.

სისხლიანი ფაფანაკი დიდხანს იყო გამოკიდებული მოედანზე, რომ ხალხს ენახა...

ასეთ შემთხვევებში მთავარი წინადადების შემასმენელი წარსული დროის რომელიმე მწკრივის (წყვეტილის, უწყვეტლის) ზმნად წარმოგვიდგება. დამოკიდებული წინადადებისა კი — II თურბეობითის მწკრივისად.

მაგრამ შეიძლება მთავარი წინადადებით გამოხატული შინაარსი აწმყოს განეკუთვნებოდეს, მაშინ დამოკიდებული წინადადებით გამოხატული მიზანი მომავალს გულისხმობს:

... მისთვის ღვივის ცეცხლი გულში, რომ ერისა მოძმედ ვიყო...

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუდღევ წინა ერსა...

ასეთი შინაარსის გადმოსაცემად მთავარი წინადადება აწმყოს მწკრივის ზმნას მიმართავს. ხოლო დამოკიდებული წინადადება — კავშირებითისას.

რათა დამოკიდებული წინადადებით გამოხატული მიზანი მისალ-წვევი გახდეს, შესაძლებელია მთავარ წინადადებაში მოქმედება შე-სასრულებლად სავალდებულოდ იყოს დასახული, მაშინ მთავარი წინადადების შემასმენელი ბრძანებითი კილოს ზმნაა, დამოკიდებუ-ლისა — კავშირებითი კილოსი (მწკრივისა):

ცოტა დაისვენე, რომ აღრიანად ვეწიოთ საქმეს.

ყოველთვის ასე იყო? არა! ძველ ქართულში, მაგალითად, რაჟ-თა კავშირიან ქვეწყობაში მთავარი წინადადების შემასმენელი სხედასხვა მწკრივის ზმნა შეიძლებოდა ყოფილიყო, დამოკიდებუ-ლი წინადადების შემასმენელი კი, როგორც წესი, კავშირებითი მწკრივისა იყო:

მაშინ იესუ აღმოიყვანა სულისაგან უდაბნოდ, რაჟ-თა გამოიცადოხ ეშმაკისაგან, მ. 4,1

ნუ შჯით, რაჟთა არა დაისჯნეთ, მ. 7,1

გუფც ჩუენ წყალი, რაჟთა ვსუათ, გამოსლვ. 17,2

უმჯობეს არს შენდა, რაჟთა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, მ. 5,29

მკლავითა მათითა აღვიპურან შენ, რაჟთა არა წარსცე ქვასა ფერჯი შენი, მ. 4,6

ერთი ტიპის დამოკიდებული წინადადების შიგნით განსხვავე-ბულ მნიშვნელობათა (მიზანი წარსულში, მიზანი მომავალში) ამსახველი სინტაქსური საშუალება, როგორიც ახალ ქარ-თულში შეიმჩნევა, ძველ ქართულში¹ ჩამოუყალიბებელია, II თურ-მეობითის მწკრივი ენაში იმ სახით, როგორითაც მას შემდეგში ვხვდებით. ჯერ დამკვიდრებული არ იყო; ამიტომ ვფიქრობთ, რომ კონსტრუქცია -- რაჟთამცა + თხრობითი კილოს ზმნა -- II თურ-მეობითის მწკრივის შინაარსის გადმომცემი უნდა ყოფილიყო. იგი უნდა ხმარებულიყო ქვეწყობაში, რომელშიც მთავარი წინადადების შემასმენელი წარსული დროის ზმნა (წყვეტილის, უწყვეტლის მწკრივით) იქნებოდა:

და არა უნდა, რაჟთამცა აგრძნა ვინმე, მრკ. 7,24 (=არ უნდოდა, რომ ვინმეს ეგრძნო).

ამის გამო უნდა იყოს, რომ რაჟთამცა კავშირიან ქვეწყობაში მთავარი წინადადების შემასმენელი მეტწილად წარსული დროის რომელიმე მწკრივის (წყვეტ., უწყვ.) ზმნაა, და, თუ გვხვდება

¹ შდრ. დ. გეწაძე, საპირიან ზმნათა III სერიის ფორუმების შესახებ ძველ ქართულში, ქუთაისის პედინსტ. შრ. ტ. XVII, 1957, გვ. 465—472.

აწმყოსა და კავშირებითის მწკრივის ზმნებიც, ეს უკვე იმ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ II თურმეობითის ჩამოყალიბების პროცესი - მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციის მნიშვნელობას ავიწროებს და მისი ფუნქციაც ნათლად აღარ იგრძნობა...

პირობით დამოკიდებულ წინადადებას შესატყვისი (ფარდი) წვერი მარტივ წინადადებაში არ მოეპოვება (არა გვაქვს პირობის გარემოება). პირობითი დამოკიდებული წინადადების შესახებ ამბობენ, რომ იგი „გვიჩვენებს, თუ რა პირობებში შეიძლება მოხდეს, ან შეიძლებოდა მომხდარიყო ის, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი“¹, რომ „ურთიერთობა მთავარ წინადადებასა და დამოკიდებულს შორის ხშირად ასეთია: დამოკიდებულში პირობაა დასახელებული, მთავარში კი — შედეგი“².

პირობითია დამოკიდებული წინადადება ასეთ ქვეწყობაში:

თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი; და ასეთშიც:

ჩვენი ლხინი რომ ენახათ, სირცხვილითაც დაიწვოდნენ.

ერთ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადების კავშირია თუ, მეორეში — რომ, მაგრამ ამათი ერთმანეთის მაგიერად ხმარება ამბვე კონტექსტში შეუძლებელია (რომ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი) ან, დღევანდელ სალიტერატურო ენაში თითქმის აღარ იხმარება (ჩვენი ლხინი თუ ენახათ, სირცხვილითაც დაიწვოდნენ).

ახლა თუ ამ ორი წინადადებით გამოხატულ შინაარსს გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ პირველით გამოხატული პირობა აწმყოს განეკუთვნება, შედეგი — მომავალს (ამა და ამ მოქმედებას შედეგად ესა და ეს მოჰყვება).

მეორე მაგალითში ქვეწყობილი წინადადებით გამოხატული პირობაც და შედეგიც წარსულს განეკუთვნება, მაგრამ პირობა სავარაუდებელია და, ამიტომ მთელი წინადადებით გამოხატული შინაარსიც წარსული დროის სავარაუდებელ ფაქტზე მიგვითითებს (ესა და ეს მოქმედება რომ მომხდარიყო, ამას ესა და ეს შედეგი მოჰყვებოდაო). განსხვავებულია მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენელთა შეფარდებაც მწკრივთა თვალსაზრისით (პირველში: აწმყო + მომავალის მწკრივი; ბორეში: II თურმ. + ხლომ.).

¹ ა. შანიძე, სინტაქსი..., 92.

² იკვე.

მაშასადამე, ერთი ტიპის ქვეწყობის ფარგლებში განსხვავებული შინაარსის გადმოსაცემად ენა მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენელთა განსხვავებულ შეფარდებას მიმართავს.

ერთი თავისებურება ახასიათებს ზოგიერთი სახის პირობით დამოკიდებულ წინადადებას: თუ პირობა და შედეგი წარსული დროის ამბავს შეიცავს, პირობის აღმნიშვნელი ზმნა საწინააღმდეგო ფორმით უნდა გადმოიციეს: თუ მოქმედება დადებითია, ზმნის ფორმა უარყოფითი (ანუ უკუთქმითი) უნდა იყოს (ე. ი. „არ“ ნაწილაკი უნდა ახლდეს) და თუ უარყოფითია, ზმნის ფორმა დადებითი უნდა იყოს (ე. ი. წართქმითი)... სტუმარს რომ არ მივშველებოდი, გააფთრებული ძალი დაგლეჯდა... რომ სტუმარს დროზე მივშველებოდი, ძალი რას დააკლებდა...¹

მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შეფარდებაა: II თურმ. + ხოლმ.

ძველ ქართულში პირობითი დამოკიდებული წინადადებების ძირითად კავშირად გვხვდება თუ და მისი ნაწილაკიანი ვარიანტები. თუ და უკუეთუ კავშირებიან ქვეწყობაში მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენელთა შეფარდება საკმაოდ კრელ სურათს იძლევა, მაგრამ როგორც უნდა იყოს ეს შეფარდება, ერთი ცხადია: მეტად იშვიათად გვხვდება წარსული დროის მწკრივები (წყვეტილი, უწყვეტელი).

როდესაც თუ და უკუეთუ კავშირებს -მცა ნაწილაკი ერთვის, შემასმენელთა შეფარდების თვალსაზრისით სწორედ ზმნათა წარსული დროის მწკრივები (წყვეტილი, უწყვეტელი) იჩენენ თავს (უფალო, თუმცა აქა ყოფილ იყავ, არამცა მოკუდა ძმა იგი ჩემი. 11,32 = ბატონო, აქ რომ ყოფილიყავი, ჩემი იმა არ მოკვდებოდა).

რას უნდა ნიშნავდეს ასეთი დაპირისპირება? ალბათ იძას, რომ გადმოსაცემი შინაარსი განსხვავებულია. პირობითობის შინაარსს გადმოგვეცემენ უნაწილაკოც და ნაწილაკიანი კავშირების შემკველი დამოკიდებული წინადადებებიც, განსხვავებული შინაარსი ამ პირობითობის შიგნით არის საძიებელი. როგორც ეს ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ძველ ქართულში II თურმეობითის მწკრივი ააღად ყალიბდება, ხოლმეობითის მწკრივიც (რას იზამდა?) იჩენს თავს, მაგრამ მოგვიანო ქართულში (XI საუკუნიდან). ამიტომ ვფიქრობთ, რომ -მცა ნაწილაკიანი პირობითობის კავშირების შემკველ ქვეწყობაში იგივე შინაარსი აისახებოდა, რაც ახალი ქართულის ასეთი მაგალითის მიხედვით გვაქვს: ჩვენი ლხინი რომ ენახათ, სირცივილითაც დაიწვოდნენ (მდრ.: თუმცა აქა ყოფილ იყავ, არამცა მოკუდა ძმა იგი ჩემი = აქ რომ ყოფილიყავი, ჩემი იმა არ მოკვდებოდა).

¹ ა. შანიძე, სინტაქსი..., 92.

8. აქ ჩვენ სხვა ტიპის დამოკიდებული წინადადებების განხილვას ამ თვალსაზრისით ვერ შევეუდგებით. იმას, რაც აქ აღენიშნეთ, მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: აჩვენოს შესაძლებლობა იმისა, რომ ქვეწყობის ფარგლებში, სიტყვათა ურთიერთობის ხაზით, მხოლოდ ფორმაუცვლელი კავშირებისა და მათი კორელატების ურთიერთობა კი არ არის საძებნელი, არამედ სხვაც, მაგალითად, მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენელთა შეფარდებანი მწკრივთა თვალსაზრისით. აღნიშნული შეფარდებების ასახვამ წინადადებათა ქვეწყობაში სიტყვათა შორის ურთიერთობის სახეობა, წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესების სახეობა უნდა მოგვცეს.

მაშასადამე, წინადადებათა ქვეწყობაში საკავშირებელი სიტყვების შეკავშირების წესებით სიტყვათა შეკავშირების წესები საერთოდ არ ამოიწურება. სხვადასხვა ტიპის ქვეწყობაში ან ტიპის შიგნით განსხვავებული შინაარსის გადმოცემისათვის მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა შემასმენლები ერთმანეთს გარკვეული წესის მიხედვით უკავშირდებიან. ამ მიმართულებით სპეციალურმა კვლევა-ძიებამ უნდა გამოავლინოს სხვა წესებიც, რომლებიც სიტყვათა ურთიერთობის ხაზით არსებობენ როგორც ქვეწყობილი წინადადების ფარგლებში საერთოდ, ისე დამოკიდებული წინადადების შიგნით კერძოდ.

წინადადებათა ქვეწყობაში სიტყვათა შეკავშირება-შეხამების წესების გამოვლინება რომ არა, გარემოებათა ტიპების შესაბამისად დამოკიდებული წინადადებების კლასიფიკაცია ხინტაქსში თვითმიზნური ხასიათისა იქნებოდა, რადგან წინადადება როგორც აზრის შემცველი ოდენობა სინტაქსური ბუნებისა არ არის და არც წინადადებათა აზრობრივი მიმართება შეიძლება იყოს სინტაქსისათვის მიზანი.

* * *

მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველ წინადადებათა ქვეწყობაში გამოყოფენ დამოკიდებულ წინადადებათა ტიპებს: ქვემდებარულს, განსაზღვრებითს, დამატებითს.

მოეუსინჯოთ ამ კლასიფიკაციას საფუძველი.

9. ქვემდებარული წინადადება მაშინ არის შესაძლებელი, თუ მთავარ წინადადებაში ქვემდებარე სრულებით არ მოიპოვება, ან მოიპოვება, მაგრამ გამოხატულია ნაცვალსახელით. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ხსნის და აზუსტებს მთავარი წინადადების ქვემდებარეს, რომელიც გამოხატულია ნაცვალსახელით (ან იგულისხმება).

ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია¹.
ვისაც ეძინება, დაიძინოს.

მეორე მაგალითში მთავარი წინადადების ქვემდებარე არ მოიპოვება, მაგრამ იგი იგულისხმება და დამოკიდებული წინადადებით ეს ნაგულისხმევი ქვემდებარე ისაზღვრება. ამიტომ მეორე რიგის მაგალითები კონსტრუქციულად ისევე უნდა განიხილებოდეს, როგორც პირველი რიგისანი, რომლებშიც ნაცვალსახელით გამოხატული ქვემდებარე შოიპოვება. გვჩნება ერთი ტიპი:

ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.
ასეთ ქვეწყობილ წინადადებაში, მაგალითად:

ამხანაგი, რომელმაც წიგნი მაჩუქა, ამჟამად აქ არ არის.

მთავარი წინადადებაა „ამხანაგი... ამჟამად აქ არ არის“. ამხანაგი მთავარი წინადადების ქვემდებარეა. დამოკიდებული წინადადებით — „რომელმაც წიგნი მაჩუქა“ — ზუსტდება, ისაზღვრება მთავარი წინადადების ქვემდებარე, მაგრამ მხოლოდ ამის გამო დამოკიდებულ წინადადებას ქვემდებარულად არ მიიჩნევენ (ასეთები განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებებია). აუცილებელია, რომ დამოკიდებული წინადადებით განსაზღვრული ქვემდებარე ნაცვალსახელით იყოს წარმოდგენილი.

ეს დაახლოებით იმასვე ნიშნავს, რომ ასეთი წინადადების შესახებ, მაგალითად, — „ამხანაგი აქ არის“ — ითქვას: წინადადებაში ქვემდებარე კი გვაქვს, მაგრამ იგი „ქვემდებარული“ ქვემდებარე არ არის, რადგან არსებითი სახელით არის წარმოდგენილი და ამისათვის შეგვეპირისპირებინა სხვა წინადადება — „ის აქ არის“, რომელშიც ქვემდებარე ნაცვალსახელია (ის) და ამიტომ „სრულფლებიანი“ ქვემდებარეც.

ნათელია, რომ ასეთი რამ შეუძლებელია.

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებისათვის ამოსავალია მისამართი სიტყვა. იგი მთავარი წინადადების ქვემდებარეა. მოსალოდნელი იყო, რომ ასე იქნებოდა ყველა შემთხვევაში, მაგრამ „ნაცვალსახელურობის“ მომენტი ამ პრინციპს არღვევს და ქვემდებარის ცნებას ავიწროებს: შეიძლება მისამართი სიტყვა ქვემდებარე იყოს (არსებითი სახელი), მაგრამ აქისი განმსაზღვრელი დამოკიდებული წინადადება ქვემდებარული არ იქნება.

10. მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველ წინადადებათა ქვეწყობაში ყველაზე გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება.

¹ მაგალითები ამოღებული გვაქვს ლ. კვაკაძის ნაშრომიდან „რთული წინადადების სწავლების მეთოდიკა“.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება განმარტებაა მთავარი წინადადების ისეთი წევრისა, რომელიც არსებითი სახელით (საწყისით) არის გადმოცემული.

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებით მთავარი წინადადების ქვემდებარე ისაზღვრებოდა (მართალია, ნაცვალსახელით გადმოცემული, მაგრამ მაინც ქვემდებარე!), ამიტომ იყო იგი ქვემდებარული. ახლა განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებასთან გვაქვს საქმე. რაკი ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება იმ ნიშნის მიხედვით არის გამოყოფილი, თუ მთავარი წინადადების რომელი წევრი ისაზღვრება დამოკიდებული წინადადებით და სახელდებაც ამას ემყარება (ქვემდებარული), უნდა გვეფიქრა, რომ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით მთავარი წინადადების განსაზღვრება დაზუსტდებოდა და განისაზღვრებოდა. მაგრამ არა! დამოკიდებული წინადადებით აქ მთავარი წინადადების არსებითი სახელი (საწყისი) ისაზღვრება, მიუხედავად ამისა დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია (და არა, ვთქვათ, „სახელური“ ან „საწყისური“).

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებით მთავარი წინადადების ქვემდებარე ისაზღვრებოდა და საკლასიფიკაციო ნიშნად თითქოს სინტაქსური ნიშანი იყო დასახული. აქ დამოკიდებული წინადადებით განისაზღვრება მთავარი წინადადების ისეთი წევრი, რომელიც არსებითი სახელით (საწყისით) არის გადმოცემული. საკლასიფიკაციო ნიშანი უკვე მორფოლოგიურია.

ამიტომ არის, რომ მისამართ სიტყვად მთავარ წინადადებაში შეიძლება ქვემდებარე გვქონდეს, მაგრამ დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითი აღმოჩნდეს (მთიულეებმა, რომელთაც მოაგონეს წასვლის დრო, გაშოიყვანეს ელგუჯა ტბილი ოცნებიდან), ან პირდაპირი, ირიბი თუ უბრალო დამატება იყოს, მაგრამ ამათი განმსაზღვრელი დამოკიდებული წინადადება მაინც განსაზღვრებითად მივიჩნით (ეკალში ვარდი შევნიშნე, ობლად რომ ამოსულიყო... ყველანი სიხარულით მიეგებნენ ონიესს, რომელიც მოსვლის შემდეგ ყველაზე მეტს მხიარულებდა... ზაფხულის სითბო შეიცვლებოდა მსუბუქი ნიავით, რომელიც ნაზად გაურბენდა ფოთლებს...).

კლასიფიკაცია ისევ არათანმიმდევრულია...

11. დამატებითი დამოკიდებული წინადადება სხვადასხვა ხასიათისაა: ზოგი შეიცავს პირდაპირი დამატების გაგებას, ზოგი ირიბისას, ზოგი კიდევ — უბრალო დამატებისას. ან: დამატებითი დამოკიდებული წინადადება შეიცავს პირდაპირი, ირიბი ან უბრალო

დამატების გაგებას. იგი ხსნის და აზუსტებს მთავარი წინადადების ერთ-ერთ დამატებას, რომელიც ნაცვალსახელის სახითაა წარმოდგენილი (ან იგულისხმება) მთავარში.

დამატებითი დამოკიდებული წინადადებების საილუსტრაციო მაგალითებად, სხვათა შორის, განიხილავენ ხოლმე ასეთ წინადადებებსაც:

რასაც დასთეს, მასვე მომკი.

რასაც აღარ ეშველება, იმას თავი დავანებოთ.

მეორედაც ეს გაუპობს გულმკერდს მას, ვინც რომ ქვეყნის მავნებელი მტერია.

და ა. შ.

წინადადებაში — „რასაც დასთეს, მასვე მომკი“ — მთავარია „მასვე მომკი“, დამოკიდებული — „რასაც დასთეს“. რატომ არის დამოკიდებული წინადადება დამატებითი? იმიტომ, რომ იგი დამატების გაგებას შეიცავს — გვეუბნება განსაზღვრა. მაგრამ როგორ შეიძლება „რასაც დასთეს“ წინადადება პირდაპირი დამატების გაგებას შეიცავდეს? მთავარ წინადადებას თავისი დამატება აქვს (მასვე), დამოკიდებულს — თავისი (რასაც). დამოკიდებული წინადადება მხოლოდ მაშინ შეიძლება უოფილიყო დამატებითი (მაინც მნიშვნელობის მიხედვით და არა სინტაქსური თვისების მიხედვით), თუ მას მთავარი წინადადების შემასმენლის მიმართ მართლაც პირდაპირი დამატების გაგება ექნებოდა. მთავარი წინადადების ქვემდებარეა „შენ“ (მასვე მომკი [შენ]). ეხება თუ არა ქვემდებარის მოქმედება პირდაპირ დამოკიდებულ წინადადებას? არა! ქვემდებარის მოქმედება მთავარი წინადადების შემასმენლის დამატებას (მასვე) ეხება. ეს შეუსაბამობა მით უმეტეს თვალნათლივ ჩანს, თუ დამატების განსაზღვრიდან მის არსებით, სინტაქსურ ნიშანს მოვიშველიებთ, რომლის მიხედვით პირდაპირი დამატება ბრუნვაცვალებად ობიექტად წარმოგვიდგება („მასვე მომკი“ — „იგივე მომკე“).

ამ შემთხვევისათვის თითქოს უკეთესი იქნებოდა, რომ გამოყენებულიყო დამოკიდებული წინადადებით მთავარი წინადადების დამატების განსაზღვრის პრინციპი. რა განსაზღვრება დამოკიდებული წინადადებით ზემოთმოყვანილ მაგალითში (რასაც დასთეს, მასვე მომკი)? ცხადია, დამატება (მასვე) მთავარ წინადადებაში. ახლა შეიძლება გვეთქვას: დამოკიდებული წინადადება დამატებითია.

მაგრამ ესეც მოუხერხებელია, რადგან დამატებით დამოკიდებულ წინადადებათა ძირითად ჯგუფებს ასეთი მაგალითები კი არ შეადგენენ (რასაც დასთეს, მასვე მომკი), არამედ ისეთი ქვეწყო-

ბილი წინადადებები, რომლებშიც მთავარი წინადადების შემასმენლის მიმართ დამოკიდებული წინადადება მთლიანად ეწევა შინაარსობრივ ნაცვლობას (გავრცობილი სახით) იმ სიტყვისას, რომელიც სხვა შემთხვევაში ამ შემასმენლის დამატება შეიძლებოდა ყოფილიყო:

მე შევნიშნე, რომ ამ წამოწევამ ძალიან შეაწუხა.

რატომ შეიძლება აღნიშნულ და მსგავს მაგალითებში დამოკიდებული წინადადება დამატებითად მივიჩნიოთ? იმიტომ, რომ მთავარი წინადადების შემასმენელს სინტაქსურად გამოხატული პირდაპირი დამატება არ მოეპოვება, და, მაშასადამე. არც დამოკიდებულ წინადადებას აქვს მთავარში ის სიტყვა (დამატება). რომელსაც იგი დააზუსტებდა, განსაზღვრავდა. ასეთი ტიპის ქვეწყობაში დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების დამატებას კი არ განსაზღვრავს, არამედ ამ დამატების ნაცვლობას ეწევა მთელი წინადადების სახით (ზღრ.: „მე შევნიშნე კაცი“ და „მე შევნიშნე, რომ ამ წამოწევამ ძალიან შეაწუხა“). იმიტომ, ცხადია, რომ არ შეიძლება დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების შემასმენლის მიმართ დამატების ნაცვლობასაც ეწეოდეს და იმავედროულად ამ შემასმენლის ნაგულისხმევი პირის (შევნიშნე ის) — დამატების განმსაზღვრელად მოგვევლინოს. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ მთავარ წინადადებაში დამატების პირი ჩვეულებრივ არც გვხვდება, და, კიდევაც რომ ვცადოთ და ეს მოსალოდნელი პირი აღვადგინოთ, წინადადების ხელოვნურ თანხვას მივიღებთ (მე შევნიშნე ის, რომ ამ წამოწევამ ძალიან შეაწუხა...).

ასეთი ტიპის ქვეწყობაში მთავარი წინადადების შემასმენელს დამატების პირი, როგორც აღვნიშნეთ, ჩვეულებრივ არ მოეპოვება:

ოთარაანთ ქვრივი ამ ბოლო ხანებში ხედავდა, რომ შვილს გუნება ეცვალა.

ონისემ ერთბაშად ვერ მოიხრა, რომ ფიფქთოვლში ნადირობა მართლა საშიში იყო.

და უამბე შენი პირით, რაც სირცხვილი დაგემართა.

ხანჯალმა უთხრა ხანჯალსა, რაც უნდა ეთქვა ენასა.

ერთხელ მთვარიან ღამეში შევნიშნე, რომ ჩემი და ტალავერ ქვეშ იდგა.

დედაჩემმა უჩია მამაჩემს, რომ მეც წავეყვანე ქუთაისში

და ა. შ.

ამიტომ ქვეწყობილი წინადადება ამ ტიპისა: — „რასაც დას-
თეს, მასვე მომკი“ საჭიროა გაიმიჯნოს ამ ტიპისაგან: — „მე
შევნიშნე, რომ ამ წამოწევამ ძალიან შეაწუხა“. ეს
უკანასკნელი, და ამ ტიპის ქვეწყობა საერთოდ, ცალკე უნდა განი-
ხილებოდეს, რადგან მიმართებითი ნაცვალსახელები, როდესაც
ისინი დამოკიდებული წინადადებების შემადგენლობაში იჩენენ
თავს, მიმართებითი არ არიან (დანჯალმა უთხრა ხანჯალსა, რაც
უნდა ეთქვა ენასა), რადგან მათ მისამართი სიტყვები ჩვეულებრივ
არ მოეპოვებათ, ზოგჯერ კი დამოკიდებული წინადადება „მიმარ-
თებითი“ ნაცვალსახელების გარეშეც უკავშირდება მთავარს (მე
შევნიშნე, რომ ამ წამოწევამ ძალიან შეაწუხა და ა. შ.) და მისა-
მართი სიტყვა ჩვეულებრივ არც ასეთ შემთხვევებში ჩანს.

12. რა შეიძლება საერთოდ ითქვას მიმართებითი ნაცვალსახე-
ლების შემცველ ქვეწყობაში დამოკიდებული წინადადებების კლასი-
ფიკაციის შესახებ?

კლასიფიკაციისათვის ამოსავალია ასეთი საფუძველი. დამოკიდე-
ბული წინადადებით ისაზღვრება:

ა) ნაცვალსახელით გამოხატული ქვემდებარე (მაშინ ქვემდებარულ
დამოკიდებულ წინადადებასთან გვაქვს საქმე),

ბ) არსებითი სახელი, საწყისი (მაშინ დამოკიდებული წინადა-
დება განსაზღვრებითი იქნება), ან

გ) დამოკიდებული წინადადება ნაცვალსახელით გამოხატული
რომელიმე დამატების გაგებას შეიცავს. იგი ხსნის და აწესებს
მთავარი წინადადების ერთ-ერთ დამატებას (მაშინ დამოკიდებული
წინადადება დამატებითია).

ახლა თუ ყურადღებას მივაქცევთ საკლასიფიკაციო ნიშანს, რო-
მელიც ერთი ტიპის დამოკიდებული წინადადების შემცველ ქვე-
წყობას მეორისაგან მიჯნავს, აღმოჩნდება, რომ საორიენტაციო
მისთვის მისამართი სიტყვაა მთავარ წინადადებაში, ხოლო ამ
მისამართი სიტყვის კვალიფიკაცია განსხვავებულია თითოეულ
შემთხვევაში. როგორც ქვემდებარული, ისე განსაზღვრებითი და-
მოკიდებული წინადადებების შემცველ ქვეწყობაში დამოკიდებული
წინადადებით მთავარი წინადადების გარკვეული წევრი ისაზღვრე-
ბა, მაგრამ ერთ შემთხვევაში მისამართი სიტყვა სინტაქსური ნიშ-
ნის მიხედვით გამოიყოფა (ქვემდებარე), მეორეში — მორფოლო-
გიური ნიშნის მიხედვით (არსებითი სახელი, საწყისი). დამატებით
დამოკიდებულ წინადადებაში კი საკლასიფიკაციო ნიშანი არც
სინტაქსურია და არც მორფოლოგიური (დამატებითი დამოკიდე-
ბული წინადადება დამატების გაგებას შეიცავს), მაგრამ, როდესაც

ვცდილობთ ასეთი ნიშანი მოეძებნოთ: (დამოკიდებული წინადადებით მთავარი წინადადების შემასმენლის რომელიმე დამატება ისაზღვრება), ასეთ შემთხვევებში დამოკიდებული წინადადება დამატების გაგებას უკვე აღარ შეიცავს (რასაც დასთეს, მასვე მომკი).

მაშასადამე, მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველ წინადადებათა ქვეწყობაში დამოკიდებული წინადადებების სამ ტიპს გამოყოფენ: ქვემდებარულს, განსაზღვრებითს, დამატებითს. სამსავე შემთხვევაში საკლასიფიკაციო ნიშანი სხვადასხვაა.

ეს კოტაა. თანამიმდევრული თვალსაზრისი არ ჩანს დამოკიდებული წინადადების თითოეული ტიპის შიგნითაც: ქვემდებარული და დამატებითი დამოკიდებული წინადადებებით ისაზღვრება არა ყოველგვარი ქვემდებარე და დანატება, არამედ მხოლოდ ისეთები, რომლებიც ნაცვალსახელების სახით არიან წარმოდგენილი... განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით შეიძლება ისაზღვროდეს მთავარი წინადადების ქვემდებარე, მაგრამ დამოკიდებული წინადადება ქვემდებარული არ იყოს... ან — დამატება, მაგრამ დამოკიდებული წინადადება დამატებითი არ იყოს...

ასეთი კლასიფიკაციის გამართლება ძნელდება.

აღრევას არსებითად მისამართი სიტყვის თავისებური გაგება იწვევს. განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას ქვეწყობაში მისამართ სიტყვებად სრულმნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულებია მიჩნეული (არსებითი სახელი, საწყისი), ქვემდებარული და დამატებითი დამოკიდებული წინადადებების შემცველ ქვეწყობაში კი — ნაცვალსახელი.

საკმარისია, ნაცვალსახელიც მისამართ სიტყვათა რიგში მოვაქციოთ (სინტაქსური კვალიფიკაციის გარეშე), რომ ვითარება საესებით მარტივდება:

ყველა სახის დამოკიდებული წინადადება, რომელიც კი მიმართებით ნაცვალსახელებს შეიცავს (+ რომ კავშირიანი განსაზღვრებითი ახალ ქართულში) განსაზღვრებითია.

ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.

დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია იმიტომ, რომ დამოკიდებული წინადადებით ისაზღვრება მთავარი წინადადების ნაცვალსახელი (იგი).

რასაც დასთეს, მასვე მომკი.

დამოკიდებული წინადადება აგრეთვე განსაზღვრებითია, რადგან დამოკიდებული წინადადებით სხვა არაფერი ისაზღვრება, თუ არა მთავარი წინადადების ნაცვალსახელი (მასვე).

მთიულეებმა, რომელთაც მოაგონეს წასვლის დრო, გამოიყვანეს ელგუჯა ტკბილი ოცნებიდან.

ამ ტიპის წინადადებები ხომ აღიარებული განსაზღვრებითებია. აქ დამოკიდებული წინადადებით არსებითი სახელი (მთიულეებმა) ისაზღვრება¹.

რა თქმა უნდა, ზისამართ სიტყვას თითოეულ შემთხვევაში შეიძლება მიეცეს სინტაქსური კვალიფიკაცია, რომ, ვთქვათ, ერთ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების ქვემდებარეს განსაზღვრავს, მეორეში — პირდაპირ დამატებას, მესამეში — ირიბს და ა. შ., მაგრამ ამით ტერმინების გარდა არაფერი შეიცვლება.

რატომ?

დაეუწვათ, რომ ვცადეთ დამოკიდებული წინადადებების „სინტაქსური“ ნიშნის მიხედვით კლასიფიკაცია, ე. ი. დამოკიდებული წინადადებები დავაფასეთ, სახელიც შევარქვით იმის მიხედვით, თუ მთავარი წინადადების რომელ წევრს განსაზღვრავს იგი (ქვემდებარეს, დამატებას) და ეს თვალსაზრისი ყველა შემთხვევაზე გავევრცელოთ.

რა ღირებულება ექნება ასეთ კლასიფიკაციას?

როდესაც მარტივი წინადადების ფარგლებში გამოყოფენ ქვემდებარეს, დამატებას, განსაზღვრებას, ეს გამოცალკეება წარმოებს იმ სინტაქსური როლის მიხედვით, რომელიც სიტყვებს აქვთ წინა-

¹ მ. ჯანაშვილი, მაგალითად, განმარტებითი (=განსაზღვრებითი) დამოკიდებული წინადადების ასეთ განსაზღვრას იძლევა: „განმარტებითი წინადადება ჰასნის მთავარ წინადადების რომელიმე სიტყვას და მასთან შესაკავშირებლად ხმარობს სიტყვებს: რომელი? ვინ? როგორ? რა? ვისი? რამდენი? ამ სიტყვებს უმთავრებს წინადადებაში ყოველთვის ეპირისპირებინან: *იგი, ახეთი, იხეთი, იმდენი*“. აი მისი საილუსტრაციო მაგალითებიც:

იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია.

იმდენი იცოცხლეთ, რამდენიც გესურვებოდეთ.

ამირანი იხეთი კაცი იყო, როგორიც ეზლა აღარ არის.

ეს კაცი მოვიდა, რომელიც გუშინ ვნახე.

მოგიტანე ის, რაც შენ გინდოდა და ა. შ.

მასვე აქვს აღნიშნული, რომ „უმთავრეს და დამოკიდებულ წინადადებებში ნაცვალსახელი ხშირად გამოიტოვება“, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906, გვ. 144.

შდრ. ავრეთვე: „იმ დამოკიდებულ წინადადებას, რომელიც უკავშირდება მთავარი წინადადების ქვემდებარეს ან დამატებას სიტყვებით: რომელიც, რომ, როგორიც, ვინც, რამდენიც, — რომელთაც მთავარ წინადადებაში ეპირისპირება სიტყვები: *ეს, იგი, იხეთი, იმდენი*, — განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ეწოდება“, ი. ნიკოლაიშვილი, ქართული ენის გრამატიკა, ტფილისი, 1927, გვ. 128.

დადებაში. სიტყვა, რომელსაც ქვემდებარეს ვუწოდებთ, ასეთსა და ასეთ დამოკიდებულებაშია შემასმენელთან. შემასმენელი ქვემდებარის მიმართ საკუთარ სინტაქსურ უფლებებს ამჟღავნებს. ასევეა ეს დამატებების შემთხვევაში. რაც შეეხება განსაზღვრებას, მარტივ წინადადებაში მის გამოყოფას სინტაქსური თვალსაზრისით მხოლოდ ის გამართლება აქვს, რომ აღინიშნოს: მნიშვნელობით ერთმანეთთან დაკავშირებულ წყვილის ცალკებს შორის ასეთი და ასეთი სინტაქსური ურთიერთობააო, და არა ის, რომ იგი (მსაზღვრელი) ამა და ამ ნიშნის მიხედვით განსაზღვრავს, ახასიათებს საზღვრულ სიტყვას.

დამოკიდებული წინადადებით მისამართი სიტყვის მნიშვნელობა ისაზღვრება. როგორადაც უნდა განისაზღვროს მისამართი სიტყვის მნიშვნელობა (ან რომელიც უნდა იყოს სიტყვის მნიშვნელობა), ამას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ქვემდებარისა თუ დამატების სინტაქსურ თვისებებთან, ე. ი. იმასთან, რის გამოც ქვემდებარე ქვემდებარეა და დამატება -- დამატება.

დამოკიდებული წინადადებით მთავარი წინადადების ქვემდებარე ისაზღვრებაო -- ვთქვათ, და გვეგონოს, რომ ამით აესაბავთ საკვლევი ობიექტის სინტაქსურ ბუნებას, იმასვე ნიშნავს, რომ დაგვეშვა: გარდამავლობის კატეგორიას ზმნაში ზმნის მნიშვნელობა განსაზღვრავსო, -- და ეს განსაზღვრა მორფოლოგიური ბუნებისად მიგვეჩნია...

ამ შემთხვევაში სინტაქსის ტერმინების მომარჯვება მხოლოდ იმ ტენდენციის გამოვლინებაა, რომ წინადადებათა ქვეწყობაზე მოძღვრება რაც შეიძლება „გასინტაქსურდეს“ (ქვემდებარული, განსაზღვრებითი, დამატებითი წინადადებები!), მაგრამ ისიც ცხადია, რომ მხოლოდ ტერმინებით არასინტაქსური ცნებები სინტაქსურად ვერ იქცევა.

მიუხედავად ამისა, მაინც ცხადია, რომ მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველი დამოკიდებული წინადადება მთავარ წინადადებაში რომელიმე სიტყვას (არსებით სახელს, საწყისს, ნაცვალსახელს) განსაზღვრავს. დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით მისამართი სიტყვის მნიშვნელობა ზუსტდება და განისაზღვრება. მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა, წინადადებით გამოხატული აზრიც, სიტყვის მნიშვნელობაც და სიტყვის მნიშვნელობასთან წინადადებით გამოხატული აზრის მიმართებაც სინტაქსური ბუნებისანი არ არიან.

მაშასადამე, თვალსაზრისიც, რომელიც მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველ დამოკიდებულ წინადადებას განსაზღვრებითად მიიჩნევს, აგრეთვე არ შეიძლება სინტაქსური იყოს.

13. მაშ რა უნდა მივიჩნიოთ ამ ტიპის ქვეწყობაში სინტაქსური ბუნებისად, რომ თვალსაზრისი ც სინტაქსური ჩამოყალიბდეს?

დამოკიდებული წინადადებების არსებული კლასიფიკაციის სასარგებლოდ შეიძლება დაგვეშვა: სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობა დამოკიდებული წინადადების შიგნითაც არსებობს. ეს სინტაქსურად ორგანიზებული მთლიანობა უკავშირდება მთავარი წინადადების რომელიმე წევრს და, მაშასადამე, სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის პრინციპი ქვეწყობის ფარგლებში დაცულიაო.

მაგრამ არა! ასეთი დაშვება უნდა მოიხსნას. რა თქმა უნდა, დამოკიდებული წინადადების შიგნითაც სინტაქსურად ერთმანეთთან დაკავშირებულ სიტყვებთან გვაქვს საქმე, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სინტაქსურად ორგანიზებული მთლიანობა თავისთავად, მთლიანობის სახით კი არ უკავშირდება მისამართ სიტყვას, არამედ კავშირისათვის იგი მიმართებით ნაცვალსახელს იყენებს. ეს „შუამავალი“ ერთდროულად დამოკიდებული წინადადების წევრია. დამოკიდებული წინადადების ეს წევრი ამყარებს კავშირს მთავარი წინადადების რომელიმე წევრთან.

მაშასადამე, წინადადებათა ქვეწყობაში მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის კავშირი წყვილებზე დაიყვანება. ამ წყვილის ცალებს (მიმართებით ნაცვალსახელსა და მისამართ სიტყვას) შორის სპეციალური კავშირი სინტაქსურიც არის და ქვეწყობილ წინადადებაში სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის ამსახველიც.

რაში მდგომარეობს მიმართებით ნაცვალსახელსა და მისამართ სიტყვას შორის სპეციფიკური სინტაქსური კავშირი?

ანალოგიისათვის მივმართოთ ძველი ქართულის მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობას: კაცი კეთილი. მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს და მას ბრუნვაში უთანხმდება (შდრ.: კაც-მან კეთილ-მან). საზღვრული ითანხმებს მსაზღვრელს რიცხვშიც (კაც-ნი ი კეთილ-ნი). მსაზღვრელად შეიძლება ნაცვალსახელი გვქონდეს: კაცი იგი, მსაზღვრელი ნაცვალსახელი საზღვრულს უთანხმდება ბრუნვაშიც და რიცხვშიც (კაც-მან მან, კაც-თა მათ). ამ ორი ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულს შორის სინტაქსური ურთიერთობა ერთი და იგივეა: საზღვრული ითანხმებს მსაზღვრელს ბრუნვასა და რიცხვში. ერთგვარობაა ადგილის მიხედვითაც: მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს. განსხვავება სემანტიკურია: პირველ შემთხვევაში მსაზღვრელი საზღვრულს გარკვეული ნიშნის მიხედვით ახასიათებს (კაცი კეთილი), მეორეში—მხოლოდ მითითებით განსაზღვრავს მას.

ახლა მიმართებით ნაცვალსახელსა და სასაზღვრ სიტყვას შორის ურთიერთობას გადავხედოთ:

კაცი, რომელიც გოჩასთან იდგა, მიუბრუნდა მოხუცს.

მიმართებითი ნაცვალსახელი სასაზღვრ (მისამართ) სიტყვას მითითებით განსაზღვრავს (კაცი რომელიც). ეს მოძენტი საერთოა წყვილთან: კაცი იგი. მსაზღვრელი უთანამდება რიცხვში საზღვრულს (შდრ.: კაცები, რომლებიც გოჩასთან იდგნენ, მიუბრუნდნენ მოხუცს; კაცებს, რომლებიც გოჩასთან მდგარან, შეუძინევიათ მოხუცი...) და ეს მომენტიც საერთოა წყვილთან — კაცი იგი. საერთოა აგრეთვე მსაზღვრელის ადგილი: იგი მოსდევს საზღვრულ სიტყვას (შდრ.: კაცი რომელიც და კაცი იგი).

აღნიშნული სამი მომენტით (სასაზღვრ სიტყვაზე მითითება, რიცხვი, მსაზღვრელის ადგილი) წყვილი — კაცი რომელიც იმეორებს მსაზღვრელ-საზღვრულს — კაცი იგი.

რა განაგებს მსაზღვრელი ნაცვალსახელის ბრუნვას წყვილში — „კაცი რომელიც“? მსაზღვრელი ნაცვალსახელის ბრუნვა აქ უკვე საზღვრულ სიტყვაზე აღარ არის დამოკიდებული. მსაზღვრელი ნაცვალსახელის ბრუნვა აქ დამოკიდებული წინადადების შიგნით წესრიგდება (შდრ.: კაცი, რომელმაც გოჩა დაინახა, მიუბრუნდა მოხუცს).

მაშასადამე, მიმართებით ნაცვალსახელსა და მისამართ სიტყვას შორის კავშირი არსებითად მსაზღვრელ საზღვრულის ურთიერთობას იმეორებს (სასაზღვრ სიტყვაზე მითითება, რიცხვში 'მეთანხმება, მსაზღვრელის ადგილი), მაგრამ ამ ორ ოდენობას შორის სინტაქსური კავშირი სპეციფიკურია. სპეციფიკა კი იმაში მდგომარეობს, რომ მიმართებითი ნაცვალსახელის, როგორც მსაზღვრელი ნაცვალსახელის, ბრუნვას საზღვრული სიტყვა კი არ განაგებს, არამედ ძირითადად დამოკიდებული წინადადების შემასმენელი.

მისამართი სიტყვა მთავარ წინადადებაში გვაქვს, მიმართებითი ნაცვალსახელი — დამოკიდებულში. რადგან მისამართი სიტყვა მიმართებით ნაცვალსახელს რიცხვში ითანამებს, ჩანს, მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის კავშირი არა მიოლოდ აზრობრივია, არამედ სინტაქსურიც, ოღონდ სინტაქსური კავშირი საერთოდ მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის კი არ არსებობს, არამედ მთავარი წინადადების მისამართ სიტყვასა და დამოკიდებულ წინადადების მიმართებით ნაცვალსახელს შორის, და მხოლოდ ამდენად მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორისაც საერთოდ.

აქედან დასკვნა: ფორმაცვალებადი კავშირების შემცველ წინადადებათა ქვეწეობაში სინტაქსისათვის ერთ საკითხად მისამართ სიტყვასა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის კავშირის საკითხი უნდა დადგეს (და არა დამოკიდებული წინადადებების ტიპების გამოყოფა!).

რას გვაძლევს, მაგალითად, მიმართებით ნაცვალსახელსა და მისამართ სიტყვას შორის ურთიერთობის საკითხში სინტაქსის მონაპოვარი კვლევა-ძიების დღევანდელ ეტაპზე?

1. მხოლოდობითს რიცხვში დასმულ მისამართ სახელთან მიმართებითი ნაცვალსახელიც მხოლოდობითშია: ...ტაფობის შუა ადგილს მოჩანდა რგვლად ამალღებული პატარა გორაკი, რომელსაც ფერდოები შენოსილი ჰქონდა ვერხვის ტყითა...

2. მრავლობითში დასმულ მისამართ სიტყვასთან მიმართებითი ნაცვალსახელიც მრავლობითშია: მთიულეებმა, რომელნიც შემოვიდნენ და მოაგონეს წასვლის დრო, გამოიყვანეს ელგუჯა ამ ტბილი ოცნებიდან...

3. „რომელიც“ მრავლობით რიცხვშია, როცა ის მიემართება მხოლოდობითში დასმულ ისეთ სახელს, რომელსაც განსაზღვრებად ახლავს ერთზე მეტი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი: მათიამ დაინახა იმისკენ მოავეალი ორი ქალი, რომელთაც დააშლევინეს მოუფიქრებელის გარდაწყვეტილების აღსრულება...

4. „რომელიც“ მრავლობითშია მაშინაც, როცა ის მიემართება შერწყმული წინადადების მხოლოდობითში დასმულ ერთნაირ წევრებს: ონისე და გუგუა, რომელთაც დღეს დარბაისლობა უნდა გამოეჩინათ, ისხდნენ გაუნძრევლად...¹.

¹ ლ. კვაკაძე, რთული წინადადების სწავლების მეთოდოლოგია, გვ. 51.

ა. შანიძე ამ წესებს შემდეგნაირად იძლევა: „თუ დამოკიდებული წინადადება განსაზღვრავს მრ. რ. ცუვის სახელს, მიმართებითი „რომელიც“ აგრეთვე მრავლობითში უნდა დაისვას: „სხვა ყაზახები. რომლებიც ყოყინით ამხნეებდნენ ამხანაგებს, კარგად დაშორებოდნენ მას“. „რომელიც“ მრავლობითში დაისმის იმ შემთხვევაშიც, თუ მიემართება რიცხვით განსაზღვრულ სახელს (ეს რიცხვი ოდონდ ერთზე მეტი უნდა იყოს). ან ისეთს, რომელსაც განსაზღვრებად ახლავს „ბერი“, „მრავალი“, „რამდენიმე“, „ყველა“, ე. ი. როცა იგულიახმება, რომ სახელით აღნიშნული საგანი ერთზე მეტია ოვალურად..“, სინტაქსი, გვ. 85.

ეს ყველაფერი ეხება მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვს, როდესაც მიმართებით ნაცვალსახელად გვაქვს რომელიც.

მაგრამ მიმართებითად გვხვდება აგრეთვე ვინც, რაც, რამდენიც, როგორიც, რანაირიც... რა ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც მიმართებითად გვხვდება აღნიშნული ნაცვალსახელები? ამის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ ზოგი რამ შეიძლება ითქვას.

მიმართებითი ნაცვალსახელი სინტაქსური ფუნქციის მიხედვით შინაგანად „გათიშულია“: რიცხვში მთავარი წინადადების სასახლვრ სიტყვას უთანხმდება, ბრუნვა ძირითადად დამოკიდებული წინადადების შემასმენლისათვის აქვს მინდობილი. ოდენობა კი ერთია. ამიტომ, როდესაც მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვს ვითვალისწინებთ, მისი ბრუნვა არ შეიძლება მხედველობის გარეშე იქნეს დატოვებული (ამას მოითხოვს სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის პრინციპი ქვეწყობის ფარგლებში).

ქვეწყობილ წინადადებაში სიტყვათა რიგის შესწავლის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი: მიმართებითი ნაცვალსახელი ხან დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეა. ხან პირდაპირი ან უბრალო დამატება, ხანაც განსახლვრება, მაგრამ იგი, როგორც წესი, დამოკიდებული წინადადების თავშია. მაშასადამე, დამოკიდებული წინადადების წევრების ადგილი ცვალებადია, მაგრამ მისი არჩევანი, ცხადია, ნებისმიერი არ არის... დაახლოებით ეგვევ ითქმის მისამართი სიტყვის ადგილის შესახებაც, როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების მომდევნოდ არის მოქცეული: მისამართი სიტყვა იჩენს მიდრეკილებას, რომ მიმართებითი ნაცვალსახელის უშუალო მეზობლობაში და, მაშასადამე, მთავარი წინადადების ბოლოს დაიმკვიდროს ადგილი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ წინადადების სხვადასხვა წევრის როლში (ქვემდებარის, დამატების, გარემოების) შეიძლება მოგვევლინოს, ხოლო, როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავარს წინ უსწრებს, მისამართი სიტყვა ჩვეულებრივ მთავარი წინადადების თავში ექცევა (ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია)...

ცხადია, ამიტომ სიტყვათა რიგის საკითხი მარტივსა და ქვეწყობილი წინადადების ფა-გლებში არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე დაისვას (ვთქვათ, მარტივ წინადადებასა და მთავარ წინადადებაში (ქვეწყობაში), რადგან თითოეული მათგანი დასრულებულ აზრს გამოხატავს)...

მაშასადამე, მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველ წინადადებათა ქვეწყობაშიც დამოკიდებული წინადადების მთავართან

აზრობრივი მიმართების ხაზით ყველა ტიპის დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითაა.

ქვეწყობის ფარგლებში სიტყვათა შეკავშირების ხაზით გამოიყოფა მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის კავშირი, როგორც წინადადებაში სიტყვათა შორის კავშირის სახეობა. თითოეულ მიმართებით ნაცვალსახელს მისამართ სიტყვად მთავარ წინადადებაში აღმოაჩნდება არსებითი სახელი, საწყისი ან ნაცვალსახელი. საკითხებად დაისმის: როგორია აღნიშნული სიტყვების (მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის) შეკავშირების წესები, როდესაც მიმართებით ნაცვალსახელებად გვაქვს გინც, რაც, რამდენიც, როგორიც... იცვლება თუ არა ამ სიტყვათა შეთანხმების წესები, როდესაც იცვლება მისამართი სიტყვა (იმისდა მიხედვით არსებითი სახელი გვექნება, საწყისი თუ ნაცვალსახელი)... ის, რაც საერთო აღმოჩნდება, მოგვცემს სიტყვათა შეკავშირების წესს ქვეწყობის ფარგლებში. სიტყვათა განსხვავებულმა ურთიერთობამ აგრეთვე წესი უნდა მოგვცეს, მაგრამ უკვე ამა თუ იმ მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის კავშირისათვის დამახასიათებელი.

სარკვევია, გვაქვს თუ არა მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველი ქვეწყობაში სიტყვათა შეთანხმების სხვა წესები, რომლებიც მართივ წინადადებაში სიტყვათა შეთანხმების წესებისაგან განსხვავებულია და ა. შ.

* * *

14. ზემოთ, როდესაც დამატებით დამოკიდებულ წინადადებას ვიხილავდით, აღვნიშნეთ, რომ ქვეწყობილი წინადადება ამ ტიპისა— „მე შევნიშნე, რომ ამ წამოწვევამ ძალიან შეაწუხა“—საქიროა გაიმიჯნოს ყველა სხვა ტიპის დამოკიდებულ წინადადებების შემცველი ქვეწყობილი წინადადებებისაგან და ცალკე შეისწავლებოდეს, რადგან მთელი კონსტრუქცია სპეციფიკურია. რაში მდგომარეობს ეს სპეციფიკა?

პირველ რიგში იმაში, რომ მთავარი წინადადების შემასმენელი არ შეიძლება იყოს ნებისმიერი ზმნა, არამედ მხოლოდ „ცნობიერება წრისა“ (უთხრა, თქვა, უბასუხა, მიუგო, უბრძანა, დააბარა, შეუთვალა, ახარა... იცის, გაიგო, დაინახა, მოიაზრა, შენიშნა და ა. შ.).

როდესაც მთავარი წინადადების შემადგენლობაში „ცნობიერება წრის“ ზმნა იჩენს თავს, დამოკიდებულ წინადადება მთავარს შეიძლება დაუკავშირდეს კავშირით „რომ“¹:

¹ იშვიათად „რომ“ კავშირის მნიშვნელობით ახალ ქართულში იხმარება თუ: ვინ იცის, თუ მე პირიმზე მიყვარს?

ონისემ ერთბაშად ვერ მოიაზრა, რომ ფიფქ თოვლში ნადირობა მართლა საშიში იყო.

ოთარაანთ ქვერივი ამ ბოლო ხანებში ხედავდა, რომ შვილს გუნება ეცვალა.

მე შევნიშნე, რომ ამ წამოწევამ ძალიან შეაწუხა და ა. შ.

„რომ“ კავშირით დამოკიდებული წინადადება მთავარს მაშინ უკავშირდება. თუ კავშირის მომდევნოდ კითხვით-მიმართებითი ნაცვალსახელები არ ივარაუდება.

დამოკიდებული წინადადება შეიძლება იწყებოდეს კითხვით-მიმართებითი ნაცვალსახელებითა და ზნინხელებით:

შალვამ დედასაც უამბო, რაც ჰნახა და გაიგონა.

უამბო...	{	... ვინც...
		... რაც...
უთხრა...	{	რომელიც...
		... რამდენი...
გაიგო...	{	როგორი...
		სად...
იცის...	{	... როდის...
		... როგორ...
		რის გამო...
	{	... რისთვის...

ამ კითხვით-მიმართებითი ნაცვალსახელების წინ ხშირად იჩენს თავს თუ კავშირი:

კარგა ხანობამდე ვერ მიუხვდა მიმინოს, თუ რას მოასწავებდა იმისი გალობა.

ხუთი-ექვსი წლისამ ძალიან კარგად ვიცოდი, თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურის გდება, ფრინველის მოვლა.

მიხვდა...	{	თუ ვინ...
		თუ რა...
დაინახა...	{	თუ რომელი...
		თუ რამდენი...
შენიშნა...	{	თუ როგორი...
		თუ სად...
		თუ რის გამო...
		თუ რისთვის...

აღნიშნული ტიპის ქვეწყობაში დამოკიდებული წინადადება შეიძლება იწყებოდეს თ.თოეული ნაცვალსახელითა და ზმნიზედით, რომლებიც კი შეიძლება შეგვხვდეს კითხვითად და მიმართებითად, მაგრამ შინაარსით ისინი არც კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნი-ზედებია (თუ დამოკიდებული წინადადება სპეციალურად კითხვითად არ არის) და ვერც მიმართებითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზე-დების რიგში ჩაღებებიან, რადგან მთავარ წინადადებაში მათი მისა-მართი სიტყვები ჩვეულებრივ არ მოეპოვებათ. ასეთივეა ვითარება კავშირიან ქვეწყობაში.

მართალია, გვხვდება ასეთი წინადადებები: „ეს ყველამ ვიცით, რომ მგლები გაუბაძლარნი არიან“, სადაც „ეს“ ვიცით ზნის დამატებაა და შეიძლება გვეთქვა, რომ დამოკიდებული წინადადებით „ეს“ ნაცვალსახელი განისაზღვრებაო, მაგრამ თუ ამ წინადადებას შევადარებთ სხვას, რომელშიც დამოკიდებული წინადადებით მთა-ვარი წინადადების შემასმენლის დამატება ისაზღვრება (რასაც დასთეს, მახვე მომკი), განსხვავება მაინც თავს იჩენს: მეორე წი-ნადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელი „რასაც“ მისამართ სიტ-ყვას განსაზღვრავს მითითებით, პირველ მაგალითში კი კავშირისა და მისამართი სიტყვის ასეთი ურთიერთობა არა გვაქვს. დამო-კიდებული წინადადებით „ეს“ ნაცვალსახელი არ ისაზღვრება. რომ ამ კონსტრუქციაში „ეს“ ნაცვალსახელი ამა თუ იმ ტიპის დამო-კიდებული წინადადების განსაზღვრების ობიექტი არ შეიძლება იყოს. იქიდანაც ჩანს, რომ მთავარი წინადადება იგივე შეიძლება დარჩეს (ეს ყველამ ვიცით), მაგრამ მას სულ სხვადასხვა სახის და-მოკიდებული წინადადებები დაუკავშირდეს:

ეს ყველამ ვიცით, თუ სად წავიდა.

ეს ყველამ ვიცით, თუ რის გამო წავიდა.

ეს ყველამ ვიცით, როგორც წავიდა.

ეს ყველამ ვიცით, როდის წავიდა... და ა. შ.

მიმართებითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების (ზოგჯერ კავშირებისაც) შემკველ ქვეწყობაში დამოკიდებული წინადადებით ისაზღვრებოდა მთავარი წინადადების რომელიმე სიტყვა (მისამართი სიტყვა), რომელიც შეიძლება გამოტოვებული ყოფილიყო, მაგრამ ვამბობდით, რომ დამოკიდებული წინადადება მას, გამოტოვებულს, მაგრამ ნაგულისხმევს, განსაზღვრავსო.

„ცნობიერება წრის“ ზინებიან კონსტრუქციაში მისამართი სიტყვა ჩვეულებრივ არა გვაქვს, თუნდაც აღვადგინოთ მთავარი წინადადების შემასმენლის პირი, იგი მისამართი სიტყვის დანიშ-ნულებას ვერ შეასრულებს. დამოკიდებული წინადადება მას არ განსაზღვრავს. დამოკიდებული წინადადება მთლიანად ეწევა შინა-

არსობრივ ნაცვლობას (გაერცობილი სახით) იმ სიტყვისას, რომელიც სხვა შემთხვევაში შემასმენლის დამატება შეიძლება ყოფილიყო.

ახალ ქართულში „ცნობიერება წრის“ ზმნა, განსხვავებით ძველი ქართულისაგან, არაიშვიათად ვნებითი გვარისაა.

უკვე აღინიშნა, რასაც მომხსენებელი ამბობს...

ითქვა, რომ ამ გზით სიარული კირს... და ა. შ.

სიტყვათა შეკავშირების საკითხი ამ ტიპის ქვეწყობის ფარგლებში ცალკე უნდა შეისწავლებოდეს. საკვლევეია და გამოსავლინებელი „ცნობიერება წრის“ ზმნები საერთოდ, მათი ბუნება... ნებისმიერია თუ კანონზომიერებას ემყარება ის ფაქტი, რომ კითხვით-მიმართებითი ნაცვალსახელების წინ თუ კავშირი შეიძლება გვექონდეს და შეიძლება—არა... რა არის აქ სპეციფიკური სიტყვათა შეკავშირების წესებში და ა. შ.

15. სინტაქსში ცალკე გამოყოფენ „პირდაპირ და ირიბ ნათქვანს“. რას წარმოადგენს „პირდაპირი და ირიბი ნათქვამი“? მთავარი წინადადების შემასმენელი ყოველთვის „მეტყველება წრის“ ზმნაა, დამოკიდებული წინადადება ნათქვამის შინაარსს გადმოგვცემს. კონსტრუქციულად და არსებითადაც ასეთი ტიპის ქვეწყობა „ცნობიერება წრის“ ზმნებიან წყობას იმეორებს.

ამიტომ მიზანშეწონილია „პირდაპირი და ირიბი ნათქვამი“ თავისი სპეციფიკით „ცნობიერება წრის“ ზმნებიან კონსტრუქციოში განიხილებოდეს.

„მეტყველება წრის“ ზმნებიან ქვეწყობაში ძველი ქართული დამოკიდებულ წინადადებას მთავარი წინადადების მომდევნოდ აქცევდა. ახალ ქართულში შეიძლება შეგვხვდეს წინაც, მომდევნოდაც და მთავარში ჩართულიც¹ (მართალი უთქვამთ: წუთისოფელი ზოგისთვის მამაა, ზოგისთვის მამინაცვალიო... ახ, ნეტავი შენ!—წაიდუღუნა... სად იყავი, შვილო,—ჰკითხა მერე დედამ,—რომ ეგრე დაილაღე?).

სხვათა სიტყვის ნაწილაკების ხმარების კანონზომიერებათაგან ზოგი ცნობილია (იხ. ა. შანიძე, სინტაქსი..., 104).

¹ სერაპიონის ცხოვრებაში (კ. კეკელიძის გამოცემის მიხედვით) ერთი ადგილი ასე იკითხებოდა: „ხოლო მთავარმან, აგებისა ესე“, ჰრქუა, „მამაო, რათა კაცმან ნეფსით თაჲი კირთა მისცეს“. ივ. იმნაიშვილს სიტყვები ასე გადაუჯგუფებია: „ხოლო მთავარმან ჰრქუა: აგებისა ესე, მამაო, რაათა...“ (ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, 1947, VII). ძველი ქართულის ნორმების მიხედვით ასეთი გადაჯგუფება კი სწორია, მაგრამ, თუ ხელნაწერში გადაუჯგუფებელია, მიზანშეუწონელია. სიტყვათა წყობის ისტორიის გასათვალისწინებლად ასეთი მაგალითები სჯობს შეუსწორებლად იქნეს დატოვებული.

16. რა არის შემასმენლური დამოკიდებული წინადადება?

შემასმენლური დამოკიდებული წინადადება ქართულში მაშინაა შესაძლებელი, როდესაც მთავარი წინადადების შემასმენელი შედგენილია, აზრს კონკრეტულად ვერ გამოხატავს და მოითხოვს ახსნასა და დაზუსტებას. დამოკიდებული წინადადება, რომელიც შეიცავს ასეთი შემასმენლის შინაარსს, შემასმენლურია. მაშასადამე, შემასმენლური დამოკიდებული წინადადება ისეთია, რომელიც ხსნის და აზუსტებს არა მთავარი წინადადების შემასმენელთან დაკავშირებულ (წარმოდგენილ ან ნაგულისხმევ) რომელიმე წევრს (მაგ. ქვემდებარეს, ერთ-ერთი სახის დამატებას...), არამედ თვით შემასმენელს. თუ მთავარი წინადადების შემასმენელი მარტივია, გადმოცემული ზმნის პირიანი ფორმით, ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ შემასმენლური დამოკიდებული წინადადების შექმნაც შეუძლებელიაო.

გარემოებითი დამოკიდებული წინადადებით მთავარი წინადადების შემასმენელი ისაზღვრება რაიმე ნიშნის მიხედვით (აღვილის, დროის, მიზეზის...). შემასმენლური დამოკიდებული წინადადებით ისევ მთავარი წინადადების შეძასმენელი ისაზღვრება, მაგრამ რა ნიშნის მიხედვით? ასეთი ნიშანი არ ჩანს. თანაც საყურადღებოა, რომ მთავარი წინადადების შემასმენელი მხოლოდ შედგენილი შეიძლება იყოს: თუ მთავარი წინადადების შემასმენელი მარტივია, გადმოცემული ზმნის პირიანი ფორმით, შემასმენლური დამოკიდებული წინადადების შექმნაც შეუძლებელიაო. მაშასადამე, თუ შემასმენლურ დამოკიდებულ წინადადებას ცალკე ტიპად „ვექმნით“, მხოლოდ იმიტომ, რომ დამოკიდებული წინადადებით ისაზღვრება მთავარი წინადადების არა საერთოდ შემასმენელი რომელიმე ნიშნის მიხედვით, არამედ მხოლოდ შედგენილი შემასმენელი. რა დანიშნულება ან ღირებულება აქვს ასეთ პირობას, გარდა იმისა, რომ დამოკიდებული წინადადების ახალი ტიპი შეიქმნას? არავითარი (ეს იმასვე ნიშნავს, რომ გვეთქვა: წინადადებაში „პეტრე კარგი მკედელია“ ზედსართავი „კარგი“ შედგენილი შემასმენლის (მკედელია) სახელად ნაწილს კი არ განსაზღვრავს, არამედ მთლიანად შედგენილ შემასმენელსაო. ზედსართავი რომ სახელს განსაზღვრავს, ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია, შედგენილ შემასმენელში სახელი კი არ განისაზღვრება, არამედ მთლიანად შედგენილი შემასმენელიო, და ამის მიხედვით, განსაზღვრების ახალი ტიპი შემოგველო — „განსაზღვრება შედგენილი შემასმენლისა“).

ასეთ ქვეწყობაში — „ის აღარა ვარ, რაც ვიყავ“ — დამოკიდებული წინადადებით მთავარი წინადადების შედგენილი შემას-

მენელი კი არ ისაზღვრება, არამედ მისი სახელადი ნაწილი „ის“. მიმართებითი ნაცვალსახელი „რაც“ მას მიემართება (ზღრ.: „ალა-რა ვარ ის, რაც ვიყავ“) და დამოკიდებული წინადადებაც განსაზღვრებითად შეიძლება მივიჩნიოთ.

ამ მაგალითში — „შემასმენლური დამოკიდებული წინადადება ისეთია, რომელიც ხსნიის და აზუსტებს მთავარი წინადადების შემასმენელს“¹ — მთავარი წინადადების შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი — „წინადადება“ გამოტოვებულია, ამიტომ მეშველი ზმნა განსაზღვრებას ერთვის (ისეთი-ა). დამოკიდებული წინადადება ისევე განსაზღვრებითია.

მაშასადამე, არ არსებობს არც საფუძველი და არც საქიროება იმისა, რომ აღნიშნული ტიპის ქვეწყობაში დამოკიდებული წინადადებების მიხედვით წინადადების ახალი სახეობა გამოვყოთ.

* * *

საერთო ტენდენციას, რომლის მიხედვით დამოკიდებული წინადადების თითოეული ტიპი აუცილებლად წინადადების წევრების შესაბამისად უნდა გამოიყოს, უფრო შორს მივყავართ, ვიდრე ეს ქვეწყობილ წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესების შესასწავლად არის საჭირო.

დამოკიდებული წინადადება წინადადების ყველა წევრს უნდა იმეორებდესო, ასეთია წინასწარი დაშვება. წინადადების წევრებად სხვათა შორის გვაქვს ქვეცდება, დამატება, შემასმენელი... მაშასადამე, ამათი შესაბამისი დამოკიდებული წინადადებებიც უნდა დაიძებნოსო. და იძებნება კიდევ... სიტყვათა ურთიერთობის წესები ამ ფონზე იჩრდილება.

* * *

17. აქამდე ჩვენ ვიხილავდით ქვეწყობილ წინადადებას, რომელშიც მთავარი წინადადება ერთი დამოკიდებული წინადადებით იყო წარმოდგენილი. წინადადებათა ქვეწყობაში ცალკე გამოყოფენ ქვეწყობის ტიპს, რომელშიც ერთ მთავარ წინადადებასთან რამდენიმე დამოკიდებული გვხვდება: „ვიდრე შინ მივალწედიოთ, მინდორში, სადაც ერთი ხეცკი არ დგას, წვიმამ მოგვისწრო, რომელმაც ძალიან დაგვასველა“...

რას გვაძლევს ახალს ქვეწყობის აღნიშნული ტიპი სიტყვათა ურთიერთობის თვალსაზრისით? მთავარი წინადადების ირგვლივ დამოკიდებული წინადადებები ასე ჯგუფდება:

¹ მაგალითი ლ. კვაკაძისაა.

ვიდრე შინ მივალწვედით, წვიმამ მოგვისწრო.

მინდორში, სადაც ერთი ხეც არა დგას, წვიმამ მოგვისწრო.

წვიმამ მოგვისწრო, რომელმაც ძალიან დაგვასველა.

სიტყვათა ურთიერთობის თვალსაზრისით აქ ახალი თითქოს არაფერია. მთავარი წინადადების მიმართ პირველ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება დროის გარემოებითია (განსაზღვრებითია), მეორესა და მესამეში — განსაზღვრებითი. თითოეულ შემთხვევაში ალბათ საქმე გვექნება სიტყვათა ისეთ ურთიერთობასთან, როგორც შეიძლება გვექონდეს ქვეწყობაში, რომელიც შესაბამისი ტიპის ერთ დამოკიდებულ წინადადებას შეიცავს.

არსებითად ეგვევ ითქმის ქვეწყობილი წინადადების სხვა გავრცობილი ტიპის შესახებ, რომელსაც „დამოკიდებულის დამოკიდებულს“ უწოდებენ: „ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც ზევით დაღმართებიდან ერთი ცხენოსანი გამოჩნდა, რომელიც ძალზე მოაქენებდა“. აქ მთავარი წინადადებაა: „ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ“. მას მოსდევს დროის გარემოებითი (განსაზღვრებითი) დამოკიდებული წინადადება: „როდესაც ზევით დაღმართებიდან ერთი ცხენოსანი გამოჩნდა“. ამ დამოკიდებულს კიდევ თავისი დამოკიდებული ახლავს, განსაზღვრებითი: „რომელიც ძალზე მოაქენებდა“. მაშასადამე, ურთიერთობა მოყვანილ სამ მარტივ წინადადებას შორის, რომლებიც ერთ რთულშია გაერთიანებული, შემდეგია: პირველზე დამოკიდებულია მეორე, მეორეზე — მესამე, ე. ი. შუა წინადადება („როდესაც ზევით დაღმართებიდან ერთი ცხენოსანი გამოჩნდა“) დამოკიდებულია პირველის მიმართ და მთავარია უკანასკნელის მიმართ და ა. შ.

წინადადებათა ქვეწყობას, რომელშიც ერთ მთავართან რამდენიმე დამოკიდებული წინადადება გვაქვს, ან ეს „მთავრულ დამოკიდებლური“ ურთიერთობა თანმიმდევრულია, სინტაქსის სასკოლო კურსებში შესაძლებელია ერთგვარი გამართლება მართლაც აქვს, მაგრამ სინტაქსური ხასიათის კვლევა-ძიებისათვის ასეთი ყალიბები აგრეთვე გამოუსადეგარი აღმოჩნდება, თუ, რა თქმა უნდა, აღნიშნული ტიპის „ზერთულ“ წინადადებებში არ დაიძებნება სიტყვათა ისეთი ურთიერთობა, რომელიც კერძოდ მისთვის იქნება დამახასიათებელი, სპეციფიკური. შეიძლებოდა აქ ამის შესახებ არაფერი თქმულიყო, რომ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ასეთი წინადადებებისათვის ახალ-ახალი ყალიბები არ იძებნებოდეს და ასეთი

წინადადებებით გამოხატული აზრობრივი მთლიანობანი სინტაქსურ ოლენობებად და სინტაქსის ობიექტად არ ისახებოდნენ¹.

ჩვეულებრივ ფაქტების კლასიფიკაცია იმიტომ ხდება, რომ მოვლენის შესწავლა გაადვილდეს. საკლასიფიკაციო ერთეულებისათვის ტერმინები იძებნება, მაგრამ ამის შემდეგ ზოგჯერ ისიც ხდება, რომ ფაქტების შესასწავლად მოწოდებული კვლევა-ძიება საკლასიფიკაციო ერთეულებს აქცევს შესასწავლ ობიექტად, ე. ი. იკვლევს იმას, რაც საშუალება უნდა ყოფილიყო ფაქტების დასადგენად². ასეთ პირობებში მოულოდნელი აღარც არის, რომ საკლასიფიკაციო ერთეულები მიზნად იქცევა...

ხომ არ ნიშნავს ყველაფერი ეს იმას, რომ წინადადებათა ქვეწყობა უარიყოფა საერთოდ? არა. ენაში სინტაქსურია წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესები. სინტაქსი უნდა სწავლობდეს თითოეულ საკითხს, რომელიც კი ქვეწყობილი წინადადების ფარგლებში სიტყვათა შეკავშირების ხაზით გამოვლინდება. რა არის წინადადებათა ქვეწყობაში სპეციფიკური სიტყვათა შეკავშირების თვალსაზრისით, რა განასხვავებს მას სიტყვათა შეკავშირების წესებისაგან, რომლებიც შეიძლება შეგვხვდეს მთავაოსა თუ დამოკიდებულ წინადადებებში ცალ-ცალკე... სიტყვათა შეკავშირების რომელი წესები იძლევა დამოკიდებული (ქვეწყობილი!) წინადადების განსხვავებულ ტიპებს... ამდენად სინტაქსისათვის საჭიროა ცნებები „ქვეწყობა“, „მთავარი წინადადება“, „დამოკიდებული წინადადება“. სინტაქსმა კვლევა-ძიება ამ ცნებებით უნდა დაიწყოს, რათა გაიჩვენოს სიტყვათა ურთიერთობის საკითხი აღნიშნული ცნებების შიგნით. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ძიება სინტაქსური, გრამატიკული, რამდენადაც იგი სინტაქსურის (ე. ი. წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესების) გამოვლინებას შეეცდება.

სიტყვათა შორის სინტაქსური კავშირი არსებობს ზემოხსენებული ცნებების შიგნით, მაგრამ არსებობს აგრეთვე კავშირი ამ ცნებათა შორისაც (მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორისაც). ეს კავშირი კი სიტყვათა ურთიერთობის ხაზს აღარ აგრძელებს, ე. ი. იგი სინტაქსური აღარ არის. მაშასადამე, ამ ცნებათა ურთიერთობის საკითხი (საკითხი დამოკიდებული წინა-

¹ მაგალითად, იხ. Н. С. Поспелов, О грамматической природе сложного предложения და О грамматической природе и принципах классификации бессоюзных сложных предложений. ორივე ნაშრომი დაბეჭდილია კრებულში Вопросы синтаксиса современного русского языка, под редакцией акад. В. В. Виноградова, Москва, 1950.

² აქედან მომდინარეობს ერთგვარი სკეპტიციზმი სინტაქსის მიმართ.

დადების მთავართან მიმართებისა) არ შეიძლება სინტაქსის საკითხად ჩაითვალოს.

რაც შეეხება დამოკიდებულ წინადადებათა დამკვიდრებულ კლასიფიკაციას, მას გადასინჯვა ესაჭიროება...

18. თითოეულ საკითხთაგანს, რომელიც კი ქვეწყობის ფარგლებში სიტყვათა შეკავშირების ხაზით დაისმის და წინადადებაში სიტყვათა შეხამების კვლევის პრინციპს დაიცავს, ისტორიული თუ ისტორიულ-შედარებითი ძიებისათვისაც ნათელი პერსპექტივებში უჩანს: რა ვითარებასთან გვექონდა საქმე ძველ ქართულში, საშუალ ქართულში, რა გვაქვს ახლა... რას გვაძლევენ დიალექტების, ზანურის, სვანურის, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემები... როგორ უნდა დაფასდეს სათანადო მოვლენები ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით და ა. შ.

ასეთი პერსპექტივების წინაშე წინადადებათა არსებული კლასიფიკაცია უძლური აღმოჩნდება, თუ წინადადებათა ურთიერთმიმართების კვლევას დაისახავს მიზნად.

ვაწარმოებდეთ კვლევა-ძიებას მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ურთიერთმიმართების ხაზით, ე. ი. ვაჯგუფებდეთ წინადადებებს ტიპების მიხედვით, ნიშნავს — ვეწეოდეთ უსარგებლო შრომას სინტაქსის ინტერესებისათვის. მივიჩნით ყველა ზემოთგანხილული ტიპის დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითად (და არ შეიძლება ისინი ასეთებად არ მივიჩნიოთ), ნიშნავს იმას, რომ ისინი უნდა მივიჩნიოთ ასეთებად ყველგან და ყველა დროისათვის, სადაც და რა დროიდანაც წინადადებათა ქვეწყობა არსებობს... მაშასადამე, საგანგებო კვლევა-ძიება არც ამას ესაჭიროება (რა თქმა უნდა, სხვაა, თუ დაისნის საკითხად — როგორია განსაზღვრება, მაგრამ უკვე საკითხის ამგვარად დასმას სინტაქსის ფარგლებს გარეთ გავყავართ)...

19. როგორც ეს ზემოთ არის აღნიშნული, წინადადებათა ქვეწყობაში, ისევე როგორც მარტივი წინადადების ფარგლებში, სიტყვები ერთმანეთს უკავშირდებიან მნიშვნელობითაც და გრამატიკულადაც. სიტყვათა ამ ორნაირ კავშირში სინტაქსური შეიძლება იყოს მხოლოდ სიტყვათა შორის გრამატიკული კავშირი. მაშასადამე, სიტყვათა შორის გრამატიკული კავშირი უნდა აისახოს სინტაქსშიც, ქვეწყობილი წინადადების სინტაქსშიც. „სიტყვათა დამოკიდებულებას ანუ სიტყვათა შეკავშირებას სწავლობს სინტაქსი... სინტაქსი ახასიათებს ყოველ სიტყვას იმ როლის მიხედვით, რომელიც მას ეკუთვნის, როცა სიტყვები კავშირდებიან აზრის (ანდა

აზრის ნაწილის). გამოკატეგორიულად, გარკვეული შინაარსის გადმოსაცემად¹.

აქედან კი ის განომდინარეობს, რომ ქვეწყობილი, მთავარი თუ დამოკიდებული წინადადების (მათი განსაზღვრებითურთ) სინტაქსურ ოდენობებად მიჩნევა და მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის ურთიერთობათა სინტაქსურ ურთიერთობებად აღიარება გაუმართლებელია, რადგან ეს ტრადიციული თვალსაზრისი წინადადებაში სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის ამსახველი არ არის, რადგან მას წინადადებად სიტყვათა შეკავშირების პრინციპი წინადადებათა შეკავშირების პრინციპზე დაჰყავს.

მიუხედავად ამისა ცხადია, რომ დამოკიდებული წინადადებით მთავარი წინადადების რომელიმე სიტყვა მართლაც განსაზღვრება და ზუსტდება. მაგრამ აქედან, რა თქმა უნდა, ვერ გაკეთდება დასკვნა, რომ სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრა დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით სინტაქსური ბუნებისაა და, რომ, მაშასადამე, სწორედ ეს მიმართება მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის სინტაქსში უნდა შეისწავლებოდეს.

მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ყალიბები სინტაქსისათვის მხოლოდ საშუალება შეიძლება იყოს და არა მიზანი. მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ყალიბებით სინტაქსმა უნდა დაიწყოს, რათა გაარკვიოს სიტყვათა შეკავშირების წესები ქვეწყობის ფარგლებში.

20. მაინც, რადგან ფაქტია, რომ დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით მთავარი წინადადების რომელიმე სიტყვა განსაზღვრება, ხომ შეიძლება დაისვას საკითხებად—როგორია ეს განსაზღვრება, რამდენად შეეფერება დამოკიდებული წინადადებით გამოხატული აზრი გადმოსაცემ შინაარსს მის მიმართებაში ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობასთან? ასეთი საკითხები ბუნებრივად დაისმის, მაგრამ ისინი სემასიოლოგიისა და სტილისტიკის სფეროს უფრო განეკუთვნება, ვიდრე სინტაქსისას.

წინადადება, როგორც აზრის შემცველი ოდენობა და მთლიანობა, წინადადებათა ურთიერთმიმართებანი, როგორც გარკვეული აზრების ურთიერთმიმართებანი სემასიოლოგია-სტილისტიკის სფეროში მოექცეოდა. წინადადება სემასიოლოგია-სტილისტიკისათვის მიზანი იქნებოდა.

ამ ხაზით სემასიოლოგია-სტილისტიკა ისეთსავე მიმართებაში აღმოჩნდებოდა სინტაქსთან, როგორ მიმართებაშიც არის სინტაქსი

¹ ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 282.

მორფოლოგიასთან: წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესები სინტაქსისათვის მიზანია, მორფოლოგიისათვის—საშუალება, რადგან სიტყვათა ცვლილების წესები შეკავშირებული სიტყვების წესების ფონზეა ხელშესახები...

წინადადება, როგორც აზრის შემცველი ოდენობა, სემასიოლოგია-სტილისტიკის საგანი იქნებოდა, წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესები—სინტაქსისა, წინადადებაში სიტყვათა ცვლილების წესები—მორფოლოგიისა...

К ИСТОРИИ СЛОЖНОГО ПРЕДЛОЖЕНИЯ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

(Вопросы гипотаксиса)

Резюме

Настоящая работа „К истории сложного предложения в грузинском языке (Вопросы гипотаксиса)“ состоит из двух частей.

В первой части дается описание сложноподчиненных предложений с относительными местоимениями, с относительными наречиями и союзами в грузинском языке. Эта часть работы в целом построена на материале литературных памятников V—XX вв.

Во второй части работы одна глава посвящена вопросу генезиса гипотаксиса. На этом вопросе пришлось остановиться лишь постольку, поскольку он затронут в грузинской лингвистической литературе.

В этой же части работы дана попытка уяснить, что следует считать объектом синтаксиса сложноподчиненного предложения.

* * *

В сложноподчиненном предложении придаточным (мыслью, выраженной придаточным предложением) определяется склоняемое слово (существительное, отглагольное существительное, местоимение) или спрягаемое слово (глагол) главного предложения по тому или иному признаку. В первом случае имеем дело с определительным придаточным предложением, во втором случае—с обстоятельственными предложениями.

1. Определительное придаточное предложение присоединяется к главному посредством относительных местоимений. Относительное местоимение обычно связывает придаточное предложение

с каким-нибудь членом главного предложения—соотносительным словом, которое и определяется придаточным предложением. В отличие от других типов предложений в сложноподчиненных предложениях с относительными местоимениями имеем соотносительное слово, относительное местоимение и специфическую синтаксическую связь между ними.

Соотносительными словами могут быть существительные, отглагольные существительные, местоимения. Соотносительное слово может находиться или в непосредственном соседстве с относительным местоимением, или же быть отдалено от него каким-нибудь другим членом главного предложения.

В роли относительных местоимений в грузинском языке выступают в основном следующие местоимения:

რომელი *romeli* который, როდები || რადები || რამდები *rodebi* || *radebi* || *ramdebi* сколько, როგორი *rogori* какой, რა *ra* || რა *ra* || რა *ra* что, ვინ *vin* кто.

В работе дается подробная морфологическая характеристика относительных местоимений: склонение, формы с послелогами, падежные формы с частицами, анализируется также состав этих местоимений.

1. Падеж относительного местоимения რომელი *romeli* который зависит от сказуемого придаточного предложения, от послелога или от определяемого слова в придаточном предложении. Место именительного падежа часто заступает чистая основа, т. е. неоформленный падеж (გარდაგორვებულ იყო ლოდი იგი, რომელ იყო დიდ ფრად *gardagorvebul iqo lodi igi, romel iqo did priad* отвалел был камень, который был весьма велик).

Относительное местоимение რომელი *romeli* согласуется с соотносительным словом в числе, однако это правило подлежит ограничениям, а именно:

а) Если множественное число соотносительного слова образовано при помощи суффикса-ებ (-eb), относительное местоимение согласуется с ним лишь факультативно (მოწყდა ყოველი ყრბები, რომელი იყვნენ ბეთლემს *moqyda qovel i qmebi, romeli iqvnes betlems* убил всех младенцев, которые были в Вифлееме, срв.:... სხვადასხვა ნავები, რომელი იყო მის თანა *sxwajsa navebi, romeli iqo mis tana* букв.:... и другие лодки, которая была с ним).

б) Если в качестве соотносительных слов выступают два или больше слова и каждое из них стоит в единственном числе,

მე რომე→რომ რომ). Полученный в результате этого процесса союз რომ რომ „что“ прочно утвердился в грузинском литературном языке.

Благодаря тому, что этот процесс не был всеобъемлющим, относительное местоимение რომელი romeli с его основными синтаксическими особенностями, наблюдающимися в древнегрузинском языке, сохранилось до сегодняшнего дня. Сложноподчиненные предложения с относительным местоимением რომელი romeli широко распространены в современном литературном языке. С синтаксической точки зрения замечаются и отступления от правил, действующих в древнегрузинском языке.

а) Случаи нарушения согласования в числе относительного местоимения с соотносительным словом, по причине наличия в древнегрузинском языке т. н. неоформленного падежа, в современном литературном языке уже не встречаются, так как неоформленный падеж в современном грузинском вообще исчез.

б) Относительное местоимение согласуется в числе с соотносительным словом и в том случае, если множественное число соотносительного слова выражено суффиксом -ებ -eb.

в) С собирательным явлением в роли соотносительного слова относительное местоимение согласуется уже в единственном числе.

г) Существовавшее в древнегрузинском языке правило, согласно которому относительное местоимение могло согласоваться в числе и с определяемым им словом (в придаточном) и с соотносительным словом одновременно, в современном грузинском не действует.

д) В отличие от древнегрузинского в современном литературном языке, если соотносительное слово определяется именем числительным (больше одного), то соотносительное слово стоит в единственном числе, а относительное местоимение согласуется с ним во множественном числе (ხუთი წიგნი, რომლებიც ხუთი ციგნი, რომლებიც... пять книг, которые... букв.: пять книга, которые...); такое же правило наблюдается, когда соотносительное слово определяется словами, указывающими на неопределенное количество რამდენიმე ramdenime несколько, მრავალი mravali много, არა ერთი (და ორი) ara erti (da ori) ни один (и два)...

е) Когда соотносительное слово определяется указательным местоимением, прилагательным или причастием и стоит во множественном числе, то оно иногда может опускаться. В этих случаях показатели множественного числа перемещаются к определяющим словам, и относительное местоимение согласуется с ними в числе.

Придаточное предложение с относительным местоимением **რამდენი** *ramdeni* может предшествовать главному, следовать за главным или быть включенным в главное предложение. Замечается общая тенденция (особенно в древнегрузинском): если в главном предложении в роли соотносительных слов выступают существительные или отглагольные существительные, то придаточное предложение следует за главным, если же в качестве соотносительных слов имеются местоимения, то придаточные предложения могут предшествовать или следовать за главными предложениями (чаще предшествуют).

2. Падежом относительного местоимения **რამდენი** *ramdeni* || **რავდენი** *ravdeni* || **რამდენი** *ramdeni* „сколько“ управляет сказуемое придаточного предложения или определяемое слово. Соотносительными словами, вместо ожидаемых существительных, обычно выявляются местоимения. В таких случаях относительные местоимения выполняют функцию подлежащего или дополнения и согласуются в числе с соотносительными словами.

В среднегрузинском языке вместо **რამდენი** *ramdeni*, которое встречается уже довольно редко, появляются его фонетические варианты **რამდენი** *ramdeni*, **რამდენი** *ramteni*, **რამდონი** *ramtoni*, **რამდენი** *ramteni*.

В придаточном предложении относительным местоимением обычно определяется другое слово, а в главном часто наблюдается коррелятивное слово **მდენი** *mdeni* „столько“.

В современном литературном языке утвердилось соотношение **რამდენიც... მდენი რამდენიც... მდენი** *ramdenic... mdeni ramdenic... mdeni* „сколько... столько“. Место придаточного предложения вышеуказанными относительными местоимениями не определено.

3. **როგორი** *rogori* „какой“ в роли относительного местоимения появляется в среднегрузинском языке, но встречается редко. По данным современного литературного языка соотносительными словами **როგორი** *rogori* может иметь существительное, иногда

и отглагольное существительное, а коррелятивными словами — *ისეთი iseti*, *იმისთაბა imistana* „такой“. Относительное местоимение согласуется в числе с соотносительным местоимением, но это правило нарушается довольно часто. Если *როგორი როგორი* *gogori* выступает в роли определения (в придаточном), то определяющее слово согласуется в падеже с определяемым, в других же случаях падежом относительного местоимения управляет сказуемое придаточного предложения или послелог.

4. Относительное местоимение *რაა* „что“ *raa* в древнегрузинском не имеет форм множественного числа, поэтому соотносительное слово, как правило, стоит в единственном числе. В среднегрузинском появляются формы именительного падежа множественного числа *რამი რამი*; нередко *რა რა* выступает в роли определения в придаточном (*რაც წამალი მქონდა, სრულად ვაიტანა* *gas samali mkonda, srulad gaitana* сколько я имел лекарства, забрал всё).

В современном литературном языке местоимение *რა რა* имеет уже все формы падежей (кроме звательного), употребляется оно и в вопросительно-притяжательном значении (*რისი || რისა რისი || risa*). Придаточное предложение с местоимением *რა რა* может относиться к главному предложению в целом.

5. Относительное местоимение *ვინ ვინ* „кто“ в древнегрузинском употреблялось только в четырех падежах единственного числа (именительный, эргативный, дательный, родительный) и сравнительно редко — во множественном числе (*ვინთაბი ვინთაბი* *vietni*, *ვინთაბა ვინთაბა* *vietta*), если соотносительное слово стояло во множественном числе. Начиная с среднегрузинского *ვინ ვინ* встречается в вопросительно-притяжательном значении (*ვინი ვინი* *visi*). Формы множественного числа исчезли; с соотносительным словом во множественном числе в современном грузинском языке относительное местоимение не согласуется в числе.

Падежом местоимений *ვინ ვინ* и *რაა რაა* *raa* управляют сказуемые придаточных предложений или послелоги.

Придаточным предложением по смыслу определяется соотносительное слово в главном предложении, на фоне этой смысловой связи предложений выделяется специфическое сочетание слов, под которым следует подразумевать синтаксическую связь, взаимоотношение между соотносительным словом и относительным местоимением. Такая связь слов является одним из видов словосочетаний.

Придаточным предложением с относительными наречиями или союзами обычно определяется сказуемое главного предложения по тому или иному признаку, точнее: мысли, выраженной в придаточном предложении, определяется место, время, обстоятельство, причина или цель действия, переданные сказуемым главного предложения.

В придаточном предложении имеем относительные наречия или союзы, в главном можем иметь коррелятивные слова, которые примыкают к сказуемым главного и придаточного предложений — соответственно.

В литературном грузинском языке встречаются следующие основные относительные наречия и союзы:

1. ვიდრე *vidre*, ვიდრე-ესე *vidre-ese*, ვიდრე-იგი *vidre-igi*, ვიდრეცა *vidreca*, ვიდრელა *vidreya*, ვიდრელა-იგი *vidreya-igi*, ვიდრელა-რა *vidreya-ra*, ვიდრემდე *vidremde*, ვირე *vire*, ვირემ *virem*, ვირემდე *viremde*, ვირემდის *viremdis*.

Наречие ვიდრე *vidre* употребляется в значении „куда, где“ (ვიდრე მე მივალ, თქვენ ვერ ველ გეწიფების მისვლად *vidre me mival, tkwen ver qel-geciṗebis misvrad* куда я иду, туда вы не можете прийти), более часто со значением „пока“ (ვიდრედე, ვიდრე ნათელი გაქუს *vidodet. vidre nateli gakws* ходите, пока есть свет). Относительно редко встречается ვიდრე *vidre* с частицами -ესე *-ese*, -იგი *-igi* (ვიდრე-ესე *vidre-ese*, ვიდრე-იგი *vidre-igi*). С частицей -ცა *-ca* ვიდრე *-vidre* обладает только значением „куда, где“ (მოგდევდე შენ, ვიდრეცა ხვლოდა *mogdevde ſen, vidreca xvdodi* я пойду за тобой, куда бы ты не пошел), а с частицей -ლა *-la* значением „пока“ или „до того, что; по причине чего“.

Последние формы ვიდრე *vidre* (ვიდრემდე *vidremde* || ვიდრემდის *vidremdis*) по существу имеют то же значение, что и в современном грузинском языке „пока; до тех пор, пока“ (არა დაგიტეო შენ, ვიდრემდე ვყო მე ყოველივე *ara dagiṭeo ſen, vidremde vqo me qovelive* не оставлю тебя, пока не исполню всего), но они имеют и вторичное значение „так что, по причине чего → поэтому“ (იქმნის იგი ხე დიდ, ვიდრემდის მოვილიან მფრინველნი ცისანი და დაიბუღიან რტოთა მისთა *ikmnis igi xe did, vidremdis movidian mṗriṗvelni cisani da daibudian ṗtota mista* становится большим деревом, так что прилетают птицы небесные и укрываются в ветвях его). Придаточные предложения с наречиями ვიდრემდე *vidremde* || ვიდრემდის *vidremdis* в этом

последнем значении следуют за главным предложением. Имена в роли соотносительных слов в главном предложении встречаются редко, но при их наличии придаточное предложение также следует за главным, и наречие ვიდრე *vidre* может быть замещено относительным местоимением რომელი *romeli* (მეიახლნეს დაბასა მას, ვიდრეცა მივიდოდეს *mieaxlnes dabasa mas, vidvesa mividodes* приблизились они к тому селению, куда шли, срв.: მეიახლნეს დაბასა მას, რომელსა მივიდოდეს *mieaxlnes dabasa mas, romelsa mividodes* приблизились они к тому селению, в которое шли).

В результате фонетических изменений в среднегрузинском языке ვიდრე *vidre* → ვირე *vire*, ვიდრემდის *vidremdis* → ვირემდის *viremdis* || ვირემდინ *viremclin* → ვირემ *virem* || ვინემდის *vinemdis*, частицы, которые употреблялись с наречием ვიდრე *vidre* (-ესე *-ese*, -ევე *-ege*, -იგი *-igi*, -ცა *-ca*, -ლა *-la*), исчезли.

В современном грузинском языке ვიდრე *vidre* употребляется в его древней форме, но как в среднегрузинском, так и в современном сохранилось только одно его значение — временное („пока; до сих пор, пока“). Наречия с частицами встречаются довольно редко (с послеложными формами), придаточное предложение может употребляться перед главным предложением или следовать за ним.

2. ვითარ *vitaz*, ვითარ-ევე *vitaz-ege*, ვითარ ესე *vitaz ese*, ვითარ-იგი *vitaz-igi*, ვითარმედ *vitarmed*, ვითარმცა *vitarmca*, ვითარლამცა *vitarylamsca*, ვითარცა *vitarca*, ვითარცა ევე *vitarca-ege*, ვითარმცა-ესე *vitarmca-ese*, ვითარცა-იგი *vitarca-igi*, ვითარცა-რაჲ *vitarca-raj*, ვითარცალა *vitarcaya*, ვითარცალა-იგი *vitarcaya-igi*, ვითარცა სახედ *vitarca saxed*, ვითა *vita*. ვითაც *vitac*, ვითამც *vitams*, ვითომ *vitom*, ვითომც *vitoms*, ვით *vit*.

Относительное наречие ვითარ *vitaz* и его варианты с частицами (ვითარ-იგი *vitaz-igi* ვითარცა *vitarca*) употребляются: а) в значении „когда“ (ვითარცა შემწუხრდა, მოუჯდეს იოწათენი მისნი *vitarca šemcuxrda, mouqdes močapeni misni* когда же настал вечер, приступили к нему ученики); б) в значении „как“ (ვითარ-ევე *vitaz-ege*, ვითარ ესე *vitaz-ese*, ვითარ-იგი *vitaz-igi*, ვითარცა *vitarca*, ვითარცა-ესე *vitarca-ese*, ვითარცა ევე *vitarca-ege*, ვითარცა იგი *vitarca-igi*, ვითარცა რაჲ *vitarca-raj* (Иср.: ყო ეგრეთ კაცმან მან, ვითარცა უბრძანა მას იოსებ და *egret kactman man, vitarca ubrzanა mas ioseb* сделал тот человек так, как сказал ему Иосиф), придаточное предложение, содержащее

землю, откуда ты вынешь?). Если же вместо существительных предполагаются наречия места, то они обычно опускаются. Придаточное предложение, которое содержит относительное наречие в значении „откуда“, следует за главным предложением. Если в главном предложении не встречаются существительные, обозначающие место, или наречия места (и они не подразумеваются), то союзы ვინაჲ *vinaj* и ვინაჲცა *vinajca* употребляются в значении „по причине чего; поэтому“. Придаточное предложение всегда следует за главным. Наречие ვინაჲცა *vinajt* со значением места встречается редко, ვინაჲცა *vinajt* употребляется чаще в роли определительного слова (ვინაჲცა დღითგან *vinajt džitgan*).

Одним из значений союза ვინაჲცაგან *vinajtgan* является „с тех пор, как“ (იყვნეს ოპიზას ძმანი მცირედნი... ვინაჲცაგან ოვნილ იყო წმიდაჲ იგი იყვნეს ოპიზას ჳმანი მცირედნი... *vinajtgan povnil iqo cmidaj igi* В Опизе было немного братьев... с тех пор, как обречена была святая церковь), придаточное предложение обычно следует за главным. Когда придаточное предложение с союзом ვინაჲცაგან *vinajtgan* стоит перед главным предложением, то союз в большинстве случаев употребляется в значении „так как“ (ვინაჲცაგან ჰყავ ესე სიტყუაჲ, ... კურთხევით გაკურობო შენ *vinajtgan hqav ese sitqwaŷ*..., *qurtxevit gaqurtxo ŷen* так как ты сделал это дело... то я благословляя благословлю тебя).

ვინაჲ *vinaj* и его варианты постепенно стали сдавать свои позиции, уже в среднегрузинском языке они встречаются редко, а в современном грузинском из них утвердился только ვინაიდან *vinaidan* (← ვინაჲცაგან *vinajtgan*) со значением „так как“.

4. თუ *tu*, უკუეთუ *ukwetu*, თუმცა *tumca*, უკუთუმცა *ukwetumca*, ლათუ *ŷatu*, ღალათუ *dayatu*, ღალათუმცა *dayatumca*, ღალატათუ *dayacatu*, ღალატათუმცა *dayacatumca*, რაბეთუ *rametu*, თუ არა *tu ara*, თუმცა *tumca*, თუცაღა *tucaŷa*, თუცა *tuca*, თუცაღა *tucaŷa*, თულა *tula*, უკეთუ *uketu*, თუ რომ *tu roŷ*, თუ კი *tu ki*, თუ გინდ *tu gind*, თუ ვინიციბაა *tu vinicobaa*.

Союз *tu tu* в основном имеет условное значение „если“ (თუ გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ *tu gnebavs, vkmnet aka sam talavar* если хочешь, сделаем здесь три кущи). Путем наращивания частиц -მცა -*mca*, -უკუე -*ukwe*, -ღა -*ŷa*, -ცა -*ca* и союза *და da* и некоторых других отдельных слов образуются остальные (вышеуказанные) разновидности союзов.

Союз უკუეთუ *ukwetu* является только условным, он всегда находится в начале придаточного предложения, само придаточное предложение может стоять как перед главным, так и следовать за ним. Союзы თუმცა *tumsa* и უკუეთუმცა *ukwetumsa* встречаются со значением „что“ („если бы“), когда сказуемое придаточного предложения является в форме злочного (результативного) II-го (უკუეთუმცა არა დაგუეყონა, აწმცა მოქცეულ ვართ სამ გზის *ukwetumsa ara dagweqovna, acmsa mokceul vart sam gzis* если бы мы не медлили, то уже сходили бы три раза).

Союзы ლათუ *latu*, დალათუ *dayatu*, დალაცათუ *dayacatu* употребляются в значении „хотя“, если сказуемое придаточного предложения — глагол изъявительного наклонения (დალათუ მჭუარნი იგი სამარესა იხნეს, და შიშულ არა იყო *dayatu mcwarni igi samaresa ixnes, da šišwel ara iqo* хотя целены лежали в могиле, но он не был наг), и в значении „если даже“, когда сказуемое придаточного предложения представлено в форме сослагательного наклонения (დალათუ სასიკუდიბც სუან, არარად ავნოს მათ *dayatu sasikwdiub swan, ararad avnos mat* если даже что смертоносное выльют, не повредит им). Сказуемое придаточного предложения при наличии союзов დალათუმცა *dayatumsa* დალაცათუმცა *dayacatumsa* является всегда глаголом изъявительного наклонения, который по значению приравнивается к глаголу сослагательного наклонения, поэтому эти союзы имеют одно значение — „если даже“. Союзом რაბეთუ *rametu* („так как“) всегда начинается придаточное предложение, которое следует за главным.

В среднегрузинском языке наблюдается ослабление синтаксической функции частицы -მცა -*msa*. В отличие от древнегрузинского в конструкциях с частями -მცა -*msa* встречаются глаголы и сослагательного наклонения, союзы თუცა *tusa*, თულა *tuła*, თუცალა *tusala* употребляются с условным значением, но трудно установить оттенки, различающие их друг от друга; союз უკუეთუ *ukwetu* видоизменился в უკეთუ *uketu*.

В современном грузинском языке основным условным союзом является союз თუ *tu*, унаследованный от древнегрузинского, его варианты с частицами исчезли; хотя и встречаются с этим союзом частицы *jo ki* и *ara ara* (თუ *jo tu ki*, თუ *ara tu ara*), но они не являются ограничительной частью союза *tu*, то же

самое можно сказать и о глаголах (გინდ *gind*, ვინიცობა *vinicoba*), которые превратились в частицы и употребляются вместе с союзом თუ *tu* (თუ გინდ *tu gind*, თუ ვინიცობა *tu vinicoba*); в современном грузинском прослеживаются конструкции, в которых თუ *tu* имеет значение რომ *rom* („что“).

5. ოდეს *odes*, ოდეს-იგი *odes-igi*, ოდესლა *odesla*, ოდესცა *odesca*, ოდესმცა *odesmca*, ოდესაც *odesac*.

Относительное наречие ოდეს *odes* имеет одно значение „когда“ (ოდეს განთენა, მოუწოდა მოწაფეთა თქთა *odes ganena, moqoda moqareta tysta* когда же настал день, призвал учеников своих). В этом же значении встречаются формы с частицами (ოდეს-იგი *odes-igi*, ოდესლა *odesla*, ოდესცა *odesca*). В качестве коррелятивных слов могут выступать существительные, обозначающие время; в таких случаях придаточное предложение следует за главным.

В среднегрузинском языке ოდეს *odes* употребляется с частицами (ოდესცა *odesca*, ოდესაც *odesac*, ოდესმცა *odesmca*) и без них. Относительное наречие всегда начинает придаточное предложение. В современном грузинском языке наречие ოდეს *odes* является архаизмом, встречается только в языке художественной литературы.

6. რაჟამს *ražams*, რაჟამს-იგი *ražams-igi*, რაჟამსა *ražamsa*, რასჟამს *rašžams*, რაჟამსიგან *ražamitgan*.

Наречие რაჟამს *ražams* употребляется в значении „когда“ (რაჟამს მიეხალა ეგვიპტედ, ჰრქუა... *ražams mieaxla egypted, hrkwa*... когда он приблизился к Египту, сказал), союз составной: местоимение რა *ra* присоединяется к имени ჟამს *žams* („время“). Определяемое слово стоит в дательном падеже. Определяющее местоимение редко согласовано в падеже с определяемым; რას ჟამს *raš žams*. Иногда местоимение вместо окончания дательного падежа -ს *-s* имеет -ა *-j*. К редким формам относятся дательный падеж определяемого слова с эмфатическим окончанием რაჟამსა *ražamsa* и форма творительного падежа с послесловом -გან *-gan*—რაჟამსიგან *ražamitgan* „с тех пор, как“. В роли коррелятивного слова часто выступает наречие მაშინ *mašin*. რაჟამს *ražams* уже в среднегрузинском языке уступает место другим относительным наречиям времени.

7. რაჲ რა *ra*, რაჲთა *rajta*, რაჲთამცა *rajtamca*, რაჲთგან *rajtgan*, რათა *rata*, რათამცა *rathamca*, რათგან *ratgan*, რადგან *radgan*, რადგანაც *radganac*, რაჲი *raḥi*, რაც *rac*, რაც

ჟო რაც ki, რაილა raiva, რაღი raiai, რის გამო ris gamo, რის გამოხად ris gamoisad, რისთვისაც ristvisac.

Союзы რაჲ raj, რაჲთა rajta, რაჲთამცა rajtamca, რაჲთგან rajtgan представляют собой окаменевшие формы именительного (რაჲ raj) и творительного (რაჲთა rajta) надежей местоимения რა ra. В форме რაჲთამცა rajtamca -მცა -მცა является частицей, а в რაჲთგან rajtgan -გან -გან -ისლემის შემდეგ. Значение союза რაჲ raj „когда“ (ესმა რაჲ ესე, დაუკრდა esma raj ese, დაუკრდა когда услышал это, удивился). Союз находится всегда в непосредственном соседстве со сказуемым придаточного предложения, или же внутри глагола (გან-რაჲ- იღებეს, იხილეს დიდებაჲ gan-raj-iyuzes, ixiles didebaj когда проснулись, увидели славу). На რაჲ raj вообще не нарастают частицы, если не считать, в виде исключения, местоименной частицы -იგი-იგი. Редко встречается რაჲ raj и в т. н. неоформленном надеже (რა ra).

Значение союза რაჲთა rajta — „чтобы“ (მიხარო მე, რაჲთა მეცა მივიდე mitxart me, rajta mesa mivide скажите мне, чтобы и мне пойти). Придаточное предложение с რაჲთა rajta следует за главным предложением. Сказуемое придаточного предложения, которое является всегда глаголом сослагательного наклонения, может быть заменено отглагольным существительным в падежном надеже или же причастием будущего времени в том же надеже (უბრძანა მათ, რაჲთა მისცენ მას ჰამადი ubrzana mat, rajta miscen mas xamadi повелел (сказал) им, чтобы дали ей есть, срв.: უბრძანა მათ ცემად მისა პური ubrzana mat cemad misa puri повелел (сказал) им дать ей есть; или: შეკარო ძნეულად, რაჲთა დაიწუეს xekart zneulad, rajta dajcves свяжите их в связки, чтобы сжечь их; срв.: დაკარო იგი ძნეულად დასაწუეულად dakart igi zneulad dasacwvelad свяжите их в связки для сожжения).

Союз რაჲთამცა rajtamca употребляется также в значении „чтобы“. Сказуемым придаточного предложения является глагол изъявительного наклонения. Союз რაჲთგან rajtgan встречается редко: значение его „так как“ (მესამე მამაჲ იყო ოპიზისაჲ, რაჲთგან სამოელ და ანდრე გარდაცვალებულ იყვნეს mesame mamaj ijo opizisaj, rajtgan samoel da andre gardacvalebni iqvnes on был третий пастырь Опизы, так как Самуил и Андрей представились).

В среднегрузинском языке вышеуказанные союзы подверглись изменению: რაჲ raj→რა ra, რაჲთა rajta→რათა rata, რაჲ-

თამცა rajtamca→რათამცა ratamca, რაჯთგან rajtgan→რათგან ratgan→რადგან gadgan.

В современном литературном языке союз რა га присоединяет к главному предложению придаточное предложение времени. С частицей კი ki союз რა га (რაკი რაქი) передает значение причины, хотя иногда он употребляется и в значении времени. Возвещенные из диалектов союзы რაილა raiva, რალია raia, встречающиеся в языке художественной литературы, а также რადგან gadgan, რადგანც gadganac и формы с послелогам—რის ვამო ris gamo, რისთვისაც ristvisac являются союзами придаточного предложения причины, რათა rata присоединяет к главному придаточное предложение цели.

8. სადა sada, სადა-ეგე sada-ege, სადა-იგი sada-igi, სადაც sadac, სადაცა-იგი sadaca-igi, სადამცა sadamca, სადაქუეს sadakwes, სადალა sadaya, სადაჯთ sadajt, სადაჯთ-ესე sadajt-ese, სადაჯთ-იგი sadajt-igi, სადაც sadac, სად sad, სადამდის sadamdis, საიღამაც saidamac, საიღგანაც saidganac, საიღანაც saidanac, საითაც saitac, სით sit, სითაც sitac, საითქენაც saitkenac, სადამდინაც sadamdinac, სადამდისაც sadamdisac, სადაც კი sadac ki.

Относительное наречие სადა sada и его варианты с частицами (-ეგე-ege, -იგი-igi, -(ა) -ca), -მცა -mca, -ცა-იგი -ca-igi, -ქუეს -kwes) употребляются в значении „где“ (და-ლა-ადგრა ადგილსა მას, სადაცა იყო... da-ya-adgra adgilsa mas, sadaca iqo... пробыл на том месте, где находился), а наречие სადაჯთ sadajt с частицами (ესე -ese, -იგი -igi) в значении „откуда“.

Если в роли коррелятивных слов выступают существительные, обозначающие место, то придаточное предложение следует за главным предложением, и наречие სადა sada может быть заменено относительным местоимением რომელი romeli (იყო ადგილსა მას, სადაცა მიეგებვოდა მას მართა iqo adgilsa mas, sadaca miegebvoda mas marta был на том месте, где встречала его Марфа, срв.: იყო ადგილსა მას, რომელსა მიეგებვოდა მას მართა iqo adgilsa mas, romelsa miegebvoda mas marta...). Если же в качестве коррелятивного слова имеется наречие места, то придаточное предложение предшествует главному. Как в первом, так и во втором случае სადა sada находится в начале придаточного предложения.

В среднегрузинском языке სადა sada встречается с частицей -ცა -ca и без нее, появляются საცა saca (←სადაცა sadaca→სადცა sadca→საცა saca) и формы с послелогам სადამდისცა sadam-

disca, სადამდი sadamdi, хотя последнее обычно присоединяет к главному придаточное предложение времени; употребляется также საიდამაც saidamac „откуда“.

В современном грузинском სადა sada встречается всегда с частицей -ცა -са, придаточное предложение места присоединяется к главному также посредством относительных наречий საიდანაც saidanac „откуда“, საითაც sitac „куда“ и вошедшим из диалектов в язык художественной литературы საიდამაც saidamac, სადამდინაც sadamdinac, საიდგამაც saidgamac, სით sit, სითაც sitac..

9. Основа რომელ gomeI в виде относительного местоимения употребляется и в древнегрузинском языке; придаточное предложение, содержащее эту основу, определяет склоняемое слово (существительное, отглагольное существительное, местоимение) главного предложения. რომელ gomeI встречается и в среднегрузинском языке, но придаточное предложение с того времени относится обычно к сказуемому главного предложения, при квалификации некоторых типов придаточных предложений создаются затруднения (მკურნალი ძებნე, რომელ გარგოს რაო mkurnali zebne, gomeI gargos gaო იძი ძელთა, რომელს бы помог тебе... или: იძი ძელთა, чтобы он помог тебе...). Придаточное предложение можно признать и определятельным и обстоятельством.

В среднегрузинском началось постепенное и последовательное фонетическое упрощение основы რომელ gomeI: რომელ gomeI → რომე gome → რომ gom. Придаточные предложения, содержащие названные варианты რომელ gomeI, могут быть и определятельными и обстоятельными.

რომე gome и რომ го употребляются и в диалектах современного грузинского языка, в литературном языке уже не встречаются რომელ gomeI и რომე gome, зато широкое распространение получил союз რომ gom, посредством которого к главному предложению присоединяются все виды придаточных предложений, разграничивающихся не только по смысловому взаимоотношению главного и придаточного предложений, но и по правилам определенных словосочетаний, действующих в сложноподчиненном предложении в целом.

10. როდესაც rodesac, როდისაც rodisac, როდეს rodes, როს ros, როსცა rosca, როცა rosa.

Все из названных относительных наречий появляются в среднегрузинском языке и присоединяют придаточные предложения времени к главному предложению. В современном литературном языке употребляются только როდესაც *rodesac*, როცა *roca* („когда“).

11. როგუარაცა *ragwaraca*, როგვარადცა *ragvaradca*, როგვარადაც *ragvaradac*, როგორადაც *rogoradac*, როგორათაც *rogogatac*, როგორაც *rogoras*, როგორც(ა) *rogorc(a)*.

Наречие როგუარაცა *ragwaraca* („как“) является исходной формой для всех остальных наречий, посредством которых присоединяются к главному придаточные предложения образа действия. Коррелятивными словами они могут иметь აგრე *agre*, ეგრე *egre*, ასრე *asre*, ისრე *isre*, ისე *ise*, ისემც *isemc*, იმა წესითა *ima cēsita*, იმ რიგად *im rigad* („так; в том порядке“). В современном литературном языке относительными наречиями придаточного предложения образа действия утвердились როგორც(ა) *rogorc(a)*, როგორადაც *rogoradac*, коррелятивными словами — ისე *ise*, იმ რიგად *im rigad*. Если в главном предложении имеются коррелятивные слова მაშინვე *mašivve*, იმ წამსვე *im čamsve* („тогда же, в ту же секунду“), или они подразумеваются, то наречие როგორც (კი) *rogorc(ki)* может присоединять к главному придаточное предложение времени.

12. რახან *rahan*, რახანც *rahanc* обладает двумя параллельными значениями — временным („когда“) и причинным („так как“), исходным является временное значение; в современном грузинском языке რახანც(ი) *rahan(c)* чаще употребляется с причинным значением.

13. Временными являются также наречие სანამ *sanam* „пока“ и его формы с послелогом სანამდის *sanamdis* || სანამდი *sanamdi*, в среднегрузинском они встречаются редко, в современном литературном სანამ *sanam* в роли коррелятивных слов может иметь მანამ *manam*, მანამდე *manamde*, მანამდის *manamdis* „до тех пор“. რარიგადცა *garigadca*, რარიგადაც *garigadac* (в значении „как“) присоединяют к главному придаточное предложение образа действия, ვინცობა არის *vinicoba aris* → ვინცობაა *vinicobaa* (в значении „если“) — условное придаточное предложение; перед ვინცობაა *vinicobaa* иногда употребляется и основной условный союз თუ *tu* (თუ ვინცობაა *tu vinicobaa*).

В современном литературном языке в роли обстоятельственного союза выступает частица თითქოს *titkos* || თითქო *titko* (в

значении „как, как будто“), при коррелятивных словах *იმპაირად* *impaired*, *იმეტნიირად* *isetnairad*, *იმეტვარად* *isetgvarad* („так“), придаточное предложение всегда следует за главным. Значением того же обстоятельственного союза обладает и *რამდენადც* *ramdenadac* („поскольку“), *რამდენჯერაც* *ramdenjerac* („сколько раз“), коррелятивными словами могут быть *იმდენად* *imdenad* („поскольку“), *იმდენჯერ* *imdenjer* („столько раз“).

Как это устанавливается по данным литературных памятников, большинство относительных наречий и союзов употреблялось в древнегрузинском языке и без изменения сохранилось до сегодняшнего дня (*ვიდრე* *vidre*, *ვიდრემდე* *vidromde*, *ვიდრემდის* *vidreindis*, *თუ* *tu*, *სადა* *sada*), другая часть относительных наречий и союзов, встречающихся в древнегрузинском, вышла из употребления (*ვითარცა* *vitarsa*, *ვინაჲ* *vinaj*, *ოდეს* *odes*, *რაჲმს* *raġams*), третья часть в современном литературном языке предстала фонетически в измененном виде (*ვინაჲთგან* *vinajtgan* → *ვინაიდან* *vinaidan*, „*რომელ*“ *romel* → „*რომე*“ *rome* → „*რომ*“ *rom*), некоторые из относительных наречий и союзов появились в среднегрузинском (*როდესაც* *rodesac*, *როგორც* *rogorc*, *რახან* *rahan*, *სახან* *sahan*, *რარიგადაც* *rarigadac*), а небольшое количество их — в современном грузинском языке (*თითქო* *titko*, *რამდენადც* *ramdenadac*).

Относительные наречия и союзы могут быть однозначными (*ოდეს* *odes*, *რაჲმს* *raġams*, *სადა* *sada*...) или многозначными (например, *ვიდრე* *vidre* в древнегрузинском). Некоторые из них не имеют определенного значения вообще, но в конкретных случаях они приобретают его — в зависимости от того, какое по содержанию придаточное предложение присоединяется к главному (союз *რომ* „что“ в современном литературном языке).

Обращает на себя внимание тот факт, что относительные местоимения и наречия, употребляющиеся первоначально без частиц и поэтому ничем не различающиеся от соответствующих вопросительных местоимений и наречий (как это наблюдается в ряде языков), уже в древнегрузинском оформились с частицами *-ცა* *-ca*, *-მცა* *-mca*, *-ესე* *-ese*, *-ეგე* *-ege*, *იგი* *-igi*, *-რაჲ* *-raġ*, *-ლა* *-la*. *-უკვე* *-ukve*. Из этих частиц в современном языке сохранилась только *-ცა* *-ca*.

В сложноподчиненном предложении с относительными наречиями и союзами, с точки зрения сочетания слов, обращают на себя внимание сочетание относительных наречий и союзов с

теми или иными определенными коррелятивными словами, соотношение сказуемых главного и придаточного предложений по временам и наклонениям, закономерное словосочетание в сложноподчиняемом предложении в целом и т. д.

* * *

В древнегрузинском языке (как и вообще в грузинском) встречаются т. н. глаголы *dicendi et sentiendi*. Они обуславливают особую синтаксическую конструкцию предложения. Из этих глаголов наиболее часто употребляются: ჰრქუა || ეტყვს *hrkwa || etqys* „сказал он ему“, თქუა || იტყვს *tkwa || itqys* „сказал он“, აღუთქუა *aḡutkwa* „обещал“, მიუგო *miugo* „ответил“, ჰქიბხა *hkitxa* „спросил“, ახარა *axara* „благовестил“, აღიარა *aḡiara* „исповедал“, აუწყა *aucqa* „возвестил“, უბრძანა *ubgzana* „повелел“, წამა *čama* „засвидетельствовал“, იცის, უწყის *icis, ucqis* „знает“, ცნა *cna* „узнал, понял“, გულიცმა-ყო *gulisqma-ḡo* „догадался, узнал“, იხილა *ixila* „увидел“ и т. д.

Когда какой-либо из этих глаголов имеется в главном предложении, то придаточное предложение, которое следует за главным, может соединяться с главным при помощи союзов ვითარმედ *vitarmed*, ვითარმცა *vitarmca*, რამეთუ *rametu*, რომელ *romel*, თუ *tu*, причем все эти союзы употребляются в значении „что“ (например: ცნეს, ვითარმედ მათთვის თქუა იგავი იგი *cnes, vitarmed šattys tkwa igavi igi* поняли, что о них сказал притчу; ვიცით, რამეთუ ჰეშნარიტ ხარ *vicit, rametu čəšnarit xar* знаем, что ты справедлив; ვინაჲ უწყი შენ, თუ მეფე მძულს *vinaj ucqi šen, tu meqč mzuks* откуда знаешь ты, что не правяжу я царя). За союзом თუ *tu*, который в приведенной ниже конструкции не имеет определенного значения, может следовать вопросительное местоимение или наречие:... თუ რაჲ *tu raj*... თუ რომელი *tu romeli*... თუ ვითარ *tu vitar* (например: არაჲ უწყი, თუ რაჲ ვუო არაჲ *ucqi, tu raj vḡo* не знаю, что мне делать). В этой же конструкции после вопросительных местоимений и наречий в древнегрузинском может встретиться частица *do* ჯი, которая выступает в функции союза თუ *tu* (срв.: თუ რაჲ *tu raj* и რაჲ-*do* *raj-ḡi*, თუ ვითარ *tu vitar* и ვითარ-*do* *vitar-ḡi*). Если в придаточном предложении отсутствуют союз თუ *tu* и частица *-do* ჯი, то придаточное предложение начинается вопро-

ჭვეტა უკვეტისა...) является специфическим вопросительным словом.

Выводы относительно генезиса придаточного предложения являются спорными.

Как взаимоотношение отдельных слов (относительных местоимений и наречий к соотносительным и коррелятивным словам), так и характер зависимости между главными и придаточными предложениями дают возможность предположить, что происхождение гипотаксиса следует искать в направлении исследования специфики и генезиса определения в широком смысле этого слова.

* * *

Как известно, синтаксис изучает правила соединения, сочетания слов в предложении. Сложноподчиненное предложение представляет собой один из видов предложения. Стало быть, в границах сложноподчиненного предложения предметом синтаксиса следует считать также соединение, сочетание слов. На фоне связанных по смыслу главного и придаточного предложений синтаксису предстоит выявить правила соединения, сочетания слов в сложноподчиненном предложении в целом. Между отдельными словами в границах сложноподчиненного предложения прослеживаются специфические синтаксические взаимоотношения. Ограничимся указанием нескольких примеров.

Относительное местоимение имеется всегда в придаточном, а соотносительное слово — в главном предложении. В роли соотносительных слов в грузинском языке выступают существительные, отглагольные существительные, местоимения; относительные местоимения бывают различные. Выяснение синтаксической связи (напр., согласования в числе) этих местоимений с различными соотносительными словами дает возможность выявить правила сочетания слов в сложноподчиненном предложении в целом.

Падежом относительного местоимения управляет сказуемое придаточного предложения, а падежом соотносительного слова — сказуемое главного предложения. Но в древнегрузинском языке не редки примеры, в которых падеж соотносительного слова зависит от относительного местоимения. соотносительное слово согласуется в падеже с относительным местоимением. Это бывает в тех случаях, когда придаточное предложение находится

внутри главного (ყოველმან ხეწან რომელმან არა გამოიღოს ნა-
ყოფი კეთილი, მოეკუეთოს qovelman ხეშან romelman ara ga-
moiγos naqori ketili, moekwetos вместо ожидаемого: ყოველი ხე,
რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს qoveli ხე,
romelman ara gamoiγos naqori ketili, moekwetos всякое дерево,
которое не приносит плода доброго, срубают).

Сказуемые (глаголы) главного и придаточного предложений
сочетаются по определенным правилам. Например, в подчинен-
ном предложении с придаточным условным следующего типа—
თუშტა აქა ყოფილ იყავ, არამცა მოკულა ძმა იგი ჩემი თქსა აკა
qoril iqav, aramca mokwda zmaj igi čemi ели бы ты был
здесь, не умер бы брат мой—получается формула соотношения
непосредственно зависимых слов: союз თუ თუ+частица-მცა-მსა
+глагол в заочном II-м (в придаточном) и глагол в прошедшем
совершенном (или несовершенном) обычно при наличии частицы
-მცა -მსა в главном. В современном грузинском языке это же
содержание передается измененной формулой (აქ რომ ყოფილიყავ-
ვი, ჩემი ძმა არ მოკვდებოდა ak rom qorliqavi, čemi zma ar mo-
kvdēboda): союз რომ rom + глагол в заочном II-м (в придаточ-
ном) и + глагол в форме многократного ряда (в главном).

Содержание, передаваемое приведенным и аналогичными
подчиненными предложениями, указывает на условный факт в
прошедшем времени, но чаще условное содержание относится
именно к настоящему или будущему времени. В этих слу-
чаях формула соотношения зависимых слов меняется (უკუ თუ
თუალი შენი ვაცთუნებდეს, აღმოიღე იგი ukwetu twali šeni ṽ: c-
tunebdes, aγmoiγe igi ели глаз свой соблазняет тебя, вырви
его)...

В подчиненном предложении, которое содержит придаточн. с
предложение цели, как действие, передаваемое глаголом глав-
ного предложения, так же и цель этого действия, выраженная
придаточным предложением, могут относиться к прошедшему
времени (თვითონ კი ლომივით ტრიალებდა, რომ ტუვი შეეყენებინა
ნაპირზე tviton ki lomivit trialebda, rom tivi šeeqenebina na-
pirze ა сам метался как лев, чтобы причалить плот к берегу).
Формула зависимых слов: глагол прошедшего времени несовер-
шенного или совершенного вида (в главном) + союз რომ rom
или რათა gata + глагол заочного II-го (в придаточном); если же
действие, выраженное в главном предложении, происходит в
настоящем, тогда цель, передаваемая придаточным, относится

к будущему времени (მისთვის ღვივის ცეცხლი გულში, რომ ერისა მოძმედ ვყო... mistvis ოvivis cexli gulsi, რომ ერისა მოძმედ ვყო букв.: огонь пылает в груди для того, чтобы мне быть собратом народа).

В таких случаях для выражения сочетания зависимых слов вводится в действие другая формула.

Следовательно, в границах сложноподчиненного предложения в целом наблюдаются специфические правила сочетания слов, характерные только для сложноподчиненного предложения...

В сложноподчиненном предложении так же, как и в простом предложении, слова сочетаются по значению и грамматически. В этой двусторонней связи слов синтаксической может быть лишь грамматическая связь между словами, а это означает, что в синтаксисе должна найти отражение в первую очередь грамматическая связь слов не только простого, но и сложноподчиненного предложения в целом. Понятия „сложноподчиненное предложение“, „главное предложение“, „придаточное предложение“ по существу нельзя признать понятиями синтаксического (грамматического) порядка, так как в них принцип сочетания слов заменяется принципом сочетания предложений. Мыслью, выраженной в придаточном предложении, обычно определяется значение какого-нибудь слова главного предложения по тому или иному признаку. Но, как это общеизвестно, ни мысль, выраженная в придаточном предложении, ни значение слова, ни взаимоотношения между ними не являются понятиями или отношениями синтаксического характера.

Упомянутые понятия могут быть лишь средством, а не целью синтаксиса. Внутри этих понятий синтаксис должен выявлять правила сочетаний слов в сложноподчиненных предложениях, какие, например, имеются правила сочетаний слов в сложноподчиненных предложениях с придаточными места, цели, причины и т. д.

Правила сочетания слов в предложении изучаются в синтаксисе, правила изменения слов в предложении—в морфологии. Было бы целесообразно, если бы предложение, содержащее определенную мысль, взаимоотношения предложений, как смысловые взаимоотношения, изучались бы в семасиологии и стилистике. Смысловые категории синтаксис мог бы заимствовать от семасиологии и стилистики, но лишь постольку, поскольку в той

или иной смысловой категории отображается сочетание слов, различное от сочетания слов других смысловых категорий. Такое разграничение между смысловыми и грамматическими категориями впесо бы определенную ясность в задачи, поставленные перед грамматикой.

На фоне этих соображений существующая ныне классификация придаточных предложений подлежит пересмотру. Та общая тенденция, согласно которой виды придаточных предложений выделяются по всем соответствующим членам простого предложения, ведет дальше, чем этого требуют интересы изучения сложноподчиненного предложения с точки зрения синтаксиса.

Как уже было отмечено, придаточным предложением определяется (уточняется) склоняемое слово (существительное, отглагольное существительное, местоимение) или спрягаемое слово (глагол) главного предложения по тому или иному признаку, поэтому все виды придаточных предложений являются определительными. Из них следует рассматривать отдельно только одну — среди признанных ныне дополнительных предложений — группу, наличие которой в сложноподчиненном предложении образует особый вид взаимоотношения главного и придаточного предложений; в данном случае имеются в виду сложноподчиненные предложения с глаголами *dicendi et sentiendi*.

დავაშავებული ძეგლები და სახელწოდებათა შემოკლებანი

1. ანდ.—ანდახები, პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1937.
2. არიმათ.—(არიმათიელი) Иосиф Аримафейский, Сказание о построении перной церкви в городе Лидде, исследование, издам и переиел Н. Марр. Тексты и размышления по армяно-грузинской филологии, СПб, 1900.
3. არჩ.—არჩილი, არჩილიანი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, I, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1936.
4. აღაბ.—ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაბებით, საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, თბილისი, 1901.
5. ა. შან.—აკაკი შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953.
6. ა. წ.—აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტომი IV, 1948.
7. ბოლნ.—იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, მ. ჯანაშვილის გამოცემა, ტფილისი, 1911.
8. გამოსლვ.—(გამოსლვათაჲ) წიგნი ძუელისა აღუთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. I, გამოსცა აკაკი შანიძემ, 1947.
9. გარ.—ქელმწიფის კარის გარიგება, ექ. თაყაიშვილის გამოცემა, ტფილისი, 1920.
10. გოგ.—იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, II ტ. 1954.
11. გურ.—დავით გურამიშვილი, დავითიანი, მეცხრე გამოცემა, 1955 წ.
12. დაბ.—იბ. გამო. ლვ.
13. დოჯ.—მოსე ზონელი, ამირან-დარეჯანიანი, ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, II, შედგ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, 1949.
14. ვესტ.—მარტულობა და მოთმინება წმიდისა ვესტათი მცხეთელისა, ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, ტ. I (V—X საუკუნეების ძეგლები), გამოსცა და ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1949.
15. ერეკლე—ერეკლე მეფის მიმოწერა (1769—1770 წწ.), Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии, том. II, выпуск I, под редакцией А. А. Цагарели, СПб, 1898.
16. ერისთ.—ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954.
17. ესაია—(ესაიასი) წიგნი ძუელისა აღუთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. 2, გამოსცა აკაკი შანიძემ, 1948.

18. ექუსთ.—ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბილისი, 1947.
19. ვაეა—ვაეა-ფშაველა, რჩეული, ერთტომეული, 1953.
20. ვისრ.—ვისრამიანი, ძვ. ქართ. ლიტერატურის კრესტომათია, II, შედგ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, 1949.
21. ვ. ტ.—შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1951.
22. ხარზმ.—ბასილ ხარზმელი, ცხოვრება და მოქალაქობა სერაპიონ ხარზმელისაჲ, ადრინდელ ფეოდალური ქართული ლიტერატურა, კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, ტფილისი, 1935.
23. თმრხ.—თემურახ I, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, გამოცემა პირველი, 1934.
24. ი.—(იოვანე) ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936, 973 წწ.), გამოსცა ა. შანიძემ, 1945
25. იობ.—(იობისი) იხ. ესაია.
26. იპლტ.—(იპოლიტე) Ипполит, Толкование Песни Песней, грузинский текст по рукописи X века, исследование, первый и издан Н. Марр. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, СПб, 1901.
27. ი. კ.—ილია ქავეკავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, 1951, I, II და III ტომი.
28. კ. ბაქრ.—კოტე ბაქრაძე, ლოგია, 1955.
29. კეკ. კ.—კეკელიძე კორნელი, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951.
30. კიმ. I—კიმენი, ნაწილი პირველი, ტომი I, კ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფილისი, 1918
31. კიმ. II—კიმენი, ნაწილი პირველი, ტომი II, გამოსცა კ. კეკელიძემ, 1946.
32. კლდ.—კლდიაშვილი დავით, თხზულებანი, ტომი პირველი, 1952.
33. „კომ.“—გაზეთ „კომუნისტის“ 1955 წ. სექტემბრის ნომრები.
34. ლ.—(ლუკა) იხ. ი
35. ლორთქ. ნ.—ლორთქიფანიძე ნიკო, რჩეული თხზულებანი, ტომი I, 1950.
36. მ.—(მათე) იხ. ი.
37. მთწმ.—გიორგი ხუცესმონაზონი, ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა, იხ. ალაპ.
38. მრვლ.—მრველიშვილი მიხეილ, მოთაროებები, 1953.
39. მრვლთ.—მრავალთავი, ტექსტები, ილ. აბულაძის გამოცემა, ნაკვეთი პირველი, ფნიშკის მოამბე, XIV, 1944.
40. მრკ.—(მარკოზი) იხ. ი.
41. მრწთ.—მარხვათა საკითხავები, ილ. აბულაძის მიერ გამოსაცემად გამზადებული ტექსტები (X—XI ს. ს. ხელნაწერთა მიხედვით) ¹.
42. მსაჯ.—(მსაჯულთა) იხ. ესაია.
43. მცქლ.—საქმე მოციქულთა, გამოსცა ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, 1948.
44. ნინოშე.—ნინოშვილი ეგნატე, თხზულებათა სრული კრებული, 1954.
45. რუთ.—(რუთისი), იხ. ესაია.
46. საბა—ცხოვრება საბა ასურისა, არილი, ს. ჯანაშიას გამოცემა, 1925.
47. სიბრძნ.—სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე-სიცრუისა, 1938.

¹ ეს ძველი გვიან გამოიცა სახელწოდებით—„მამათა სწავლანი“, 1955.

48. სიძვ.—საქართველოს სიძველენი, ტ. I, გამოცემა II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1920.
49. სმყრნ.—ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი) მ. სააკაშვილის რედაქციით, 1950.
50. სმრთლ.—ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თინა ვნუჭიძემ, 1955.
51. სსლ.—პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები, VIII—X საუკუნეები, 1913.
52. უზნ.—უზნაძე დიმიტრი, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940.
53. ქილ.—ქილილა და დამანა, ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, II, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, 1949.
54. ღრმტ.—ქართული ღრამატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, 1885.
55. ყაზ. ა —ყაზბეგი ალექსანდრე, თხზულებანი ორ ტომად, I, 1955.
56. შნგ.-დ --შენგელაია დემნა, ბათა ქექია, წითელი ყაყაჩო, 1954.
57. შუმ. —იაკობ ცურტაველი, მარტილობა შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები. გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, 1938.
58. ცხრ.—გიორგი მთაწმიდელი, ცხორება იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, 1946.
59. წარტყ.—(წარტყუნეაჲ იერუსალმისაჲ) Аптиох Стратиг, Пленоние Иерусалима в 614 г., издаѣл. Н. Марр. Тексты и размыскапия по армяно-грузинской филологии, IX, СПб, 1909.
60. კყნდ.—ანტონ კყნდიდელის ქადაგებანი, იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის გამოცემა, ქუთაისი, 1898.
61. ხანძთ.—(ხანძთელი) Георгий Мерчух, Жизнь св. Григория Хандвтицского, грузинский текст, введение, издание, персвод Н. Марра. Тексты и размыскапия по армяно-грузинской филологии, VII, СПб, 1911.
62. ხნმტ.—ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპირი რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, თბილისი. 1944.
63. ჰაბო.—იოანე საბანისძე, წამებაჲ წმიდისა... ჰაბოასი. იხ. ზარზმ.
64. ჰმტ.—ჰამეტი ტექსტების ნიმუშები, ა. შანიძე, ჰამეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923.

დაგოვამეგული ლიტერატურის

ს ი ა

1. ბასილაია ნ. მისათითებელი სიტყვები (კორელატები) რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, სოხუმის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1950.
2. გეჭაძე დ. სამპირიან ზმნათა III სერიის ფორმების შესახებ ძველ ქართულში, ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XVII, 1955.
3. დონდუა კ. მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940.
4. დონდუა კ. დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში, თ. ს. უნივერსიტეტის შრომები XXXVII, 1949.
5. დონდუა კ. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი შესავალი სტროფის ლინგვისტური ანალიზისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 9, 1943.
6. თოფურია ვ. ძი ნაწილაკი ქართულში, ენიმკის მოამბე, ტ. XIV, 1949.
7. კეკელიძე კ. „წინაშე“, „თანა“, „ხედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში, I, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI № 2, 1942, ტ. III, № 3.
8. კვაჭაძე ლ. რთული წინადადების სწავლების მეთოდთა, 1950.
9. მარტიროსოვი ა. თანდებული ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946.
10. ნიკოლაიშვილი ი. ქართული ენის გრამატიკა, 1927.
11. ყორღანი თ. ქართული გრამატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), 1889.
12. როგავა გ. ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები VIII, 1948.
13. კობალავა ი. რა||რაჲ კავშირი ძველ ქართულში, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის (15) მოხსენებათა თეზისები, 1953.
14. ყაუხჩიშვილი ს. ბერძნულ-ქართული სემასიური პარალელები, თ. ს. უნივერსიტეტის შრომები, XXX, 1947.
15. ყაუხჩიშვილი ს. ერთი უცნობი სინტაქსური მოვლენისათვის ძველ ქართულში, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, IX, 1949.
16. ყაუხჩიშვილი თ. ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946.
17. შანიძე ა. ძველი ქართული ენა, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, კრესტომათია საშუალო სკოლის IX კლასისათვის, შეადგინეს ა. შანიძემ, აღ. ბარამიძემ, ილ. აბულაძემ, ა. შანიძის რედაქტორობით, XI გამოცემა, 1950.
18. შანიძე ა. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1942.
19. შანიძე ა. გიორგი მთაწმიდლის ენა იოანეს და ეფთჳმეს ცხოვრების მიხედვით, ცხოვრება იოანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, 1946.
20. შანიძე ა. ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი, სახელმძღვანელო VII—VIII კლასებისათვის, 1952.
21. შანიძე ა. —მდე თანდებულის გენეზისისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 4, 1942.

22. შ ა ნ ი ძ ე ა. ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში, I, საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 2, 1942.
23. შ ა ნ ი ძ ე ა. „მტა“ ნაწილაკი ძველს ქართულში, პრომეთე, № 1, 1918.
24. შ ა ნ ი ძ ე მ. „რომელ“ ნაცვალსახელის ფუნქციისა და ადგილისათვის ძველ ქართულში, სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი III, 1948.
25. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე თ. თა სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითსა და ვითარებითს ბრუნვებში, თ. ს. უნივერსიტეტის შრომები, XXIIV, 1945.
26. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე თ. „იით“ თანდებული ქართულში, თ. ს. უნივერსიტეტის შრომები, X, 1939.
27. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე თ. უარყოფითი ნაწილაკები სვანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1945.
28. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა. კანურის გრამატიკული ანალიზი. 1936.
29. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა. მოთბრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თ. ს. უნივერსიტეტის შრომები, X, 1939.
30. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1948.
31. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა. ზოგი სიტყვის მნიშვნელობის განვითარებისათვის ძველ ქართულში, ფსიქოლოგია III, 1945.
32. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942.
33. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა. რა თვისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას, „კულტურული აღმშენებლობა“, № 5, 1930.
34. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა. ენათმეცნიერების შესავალი, 1952.
35. ძ ი ძ ი გ უ რ ი შ. ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954.
36. ძ ი ძ ი გ უ რ ი შ. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის, კავშირები და საკავშირებელი სიტყვები, 1959.
37. ძ ო წ ე ნ ი ძ ე ქ. „გან“ თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946.
38. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ. ქართული გრამატიკა, 1906.
39. Земский А. М., Крючков С. Е., Светлаев М. В. Русский язык, часть вторая, учебник для педагогических училищ, Москва, 1950.
40. Марр, Н. Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925.
41. Мейс А. Введение в сравнительное изучение индо-европейских языков, Москва-Ленинград, 1939.
42. Пospelov Н. С. О грамматической природе сложного предложения; О грамматической природе и принципах классификации бессоюзных сложных предложений, вопросы синтаксиса современного русского языка, под редакцией акад. В. В. Виноградова, Москва, 1950.
43. Соболевский С. Н. Древне-греческий язык, Москва, 1950.
44. Шухардт Г. О пассивном характере переходного глагола в кавказских языках, Эргативная конструкция предложения, Москва, 1950.
45. Грамматика русского языка, часть II, синтаксис, учебник для 6 и 7 классов..., под редакцией Л. В. Щербы, 1952.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წიხასიტყვაობა	2
ნაწილი პირველი	7
ქვეწვობილი წინადადება ქართულში	7
თავი პირველი. მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველ წინადადე-	
ბათა ქვეწვობა	7
ა) რომელი	3
ბ) რაოდენი, რავდენი, რამდენი	49
გ) როგორი	51
დ) რაა	60
ე) ეინ	66
თავი მეორე. მიმართებითი ზმნიწედებისა და კავშირების შემცველ	
წინადადებათა ქვეწვობა	74
ა) ვიდრე, ვიდრე-ესე, ვიდრე-იგი, ვიდრეცა, ვიდრელა, ვიდრელა-იგი, ვიდრელა-რა, ვიდრემდე, ვიდრემდის, ვირე, ვირემ, ვირემდის ვირემდე, ვირემდინ	75
ბ) ვითარ, ვითარ-ეგე, ვითარ-ესე, ვითარ-იგი, ვითარმედ, ვითარმცა, ვითარლამცა, ვითარცა, ვითარცა-ეგე, ვითარცა-ესე, ვითარცა-იგი, ვითარცა-რაა, ვითარცალა, ვითარცალა-იგი, ვითარცა სახედ, ვითა, ვითაც, ვითამც, ვითომ, ვითომც, ვით	80
გ) ვინა, ვინა-იგი, ვინა-კერძმცა, ვინამცა, ვინადაც, ვინადაცა-იგი, ვინადათ, ვინადათცა-იგი, ვინადათგან, ვინადაღან, ვინადაგან, ვინაიდან	93
დ) თუ, უკუეთუ, თუმცა, უკუეთუმცა, ლათუ, დალათუ, დალათუმცა, დალადათუ, დალადათუმცა, რამეთუ, თუ არა, თუცა, თუცადა, თულა, უკეთუ, თუ რომ, თუ კი, თუ გინდ, თუ ვინიცობაა	103
ე) ოდეს, ოდეს-იგი, ოდეს-ლა, ოდესცა, ოდესმცა, ოდესაც	120
ვ) რაჟამს, რაჟამს-იგი, რაჟამსა, რასჟამს, რაჟამს, რაჟამითგან	123
ზ) რაა (რა), რაადათ, რაადათმცა, რაადათგან, რა რომ, რათა, რათამცა, რათგან, რაღან(აც) რომ, რაკი, რაკი რომ, რაც, რაც (კი), რაილა, რაღაი, რა რომ, რის გამო, რის გამოისად, რისთვისაც	125
თ) სადა, სადა-ეგე, სადა-იგი, სადაცა, სადაცა-იგი, სადამცა, სადაქუეს, სადალა, სადადათ, სადადათ-ესე, სადადათ-იგი, სადაც, სად, სადამდი- სცა, საცა, საცა რომ, საიდამაც, საიდგანაც, საიდანაც, საითაც, სით, სითაც, საითყენაც, სადამდინაც, სადამდისაც, სადაც კი	142
ი) რომელ, რომე, რომ	150
კ) როდესაც, როდისაც, როდეს, როდესცა, როს, როსცა, როცა, როცა რომ	172

ლ) რაგუარაღა, რაგვარადღა, რაგვარადღა. როგორადღა, როგორა-	
თაღ, როგორაღ, როგორღ(ა), როგორღ კი	174
შ) რაზან, რაზანღ	177
ზ) სანამ, სანამღის, სანამღი	178
ო) რარიგადღა, რარიგადღაღ	179
პ) ვინიღობა არის, ვინიღობაა	179
ჟ) თითღო, თითღოს	180
რ) რამღენადღა, რამღენღერაღ	181
თ ა ე ი მ ე ს ა მ ე . „ცნობიღერება წრის“ ზმნების შემცველი რთული წინა-	
დაღებები	183
ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე	195
ქეწუობიღ წინადაღებასთან დაკავშირებული საკითხები	195
თ ა ე ი მ ე ო თ ხ ე . პიოტაქსის გენეზისის საკითხისათვის	195
თ ა ე ი მ ე ხ უ თ ე . სინტაქსის ხაგნის საკითხისათვის რთული ქვეწუობიღო	
წინადაღების ფარგლებში	215
Резюме .	253
დამუშაებული ძეგლები და სახელწოდებათა შემოკლებანი	277
დამოწმებული ლიტერატურის სია	280



რედაქტორი ი. ქავთარაძე.

*

ტექნორედაქტორი ნ. ბერიძე
კორექტორი ვ. მალანია

Эртелишвили Парнаоз Георгиевич

К ИСТОРИИ СЛОЖНОГО ПРЕДЛОЖЕНИЯ
В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

(Вопросы гниотаксиса)

(На грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси — 1963

გადაეცა წარმოებას 13/IX-62

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/I-63

ანაწყოების ზომა 6×10

ქალაქის ზომა 60×92

ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა 17,75

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახთა რაოდენობა 16,26

სააქტორო თაბახთა რაოდენობა 15,92

შეკვეთის № 1324

უე 09371

ტირაჟი 1000

ფასი 1 ზან. 30 კპა.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ი. ჯავახიძის პროსპექტი, 1.

Типография Издательства Тбилисского университета,
Тбилиси, проспект И. Чавчавадзе, 1.